

პეპა



№46 16/11/2017 ფასი 1.5 ლ



„ლოგინად
ჩავარდა,
ორი წელი
ვუვლიდი...“

ნანა კუხალაიშვილი
ცხოვრებისეულ
ტრაგედიაზე და
სიტყვების
წყურვილზე
გვ. 26

„დროს თუ არ
აწყვები, მაშინ
მართლა
ბებერი ხარ!“

რატომ არ დაენანა
ნანი ბრეგვაძეს დაპარგული
ძვირად ღირებული ნივთები
გვ. 22

ავტოკარის შემდეგ
შეცვლილი ცხოვრების ხიბლი

„ვაბობდი: 2 შვილი მყავს,
არ უნდა მოვკვდა-მეთქი“

სალომე გოგაშვილის პირადი ცხოვრება
გვ. 36

ექსკლუზივი



„ივანე კთობრაშვილივით,
განურა ფურცა, სველი ჩაიცვა
და წავიდა...“

გვ. 8


რას ჰყვება აფხაზეთის ომის
> დროს უგზო-უკვლოდ
დაპარგული გმირის შვილი



„მეგობრებს
არ იჩნევენ“

გვ. 50

როგორ გახდა სალომე
> ბაკურაძე ნოლიკოს
„გულის ნაწილი“



წარმატებული
სპორტსმენების
LOVE STORY

გვ. 20

> ერთადერთი და მარადიული
სიყვარულის სიბოლო

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009




ჯონ გოლგოთი

ოთხშობაუდი ტომი III

შაბაგი
ოთხშობაუდი

ჩემი წიგნის კაფე



ბიბლუსი გალერეა
თბილისი: ჭავჭავაძის ქ. N7 კანდელაკის ქ. N7 ვაჟა-ფშაველას ქ. N47
ბათუმი: მემედ აბაშიძის ქ. N52 | თელავი: ბახტრიონის და საბაკის ქუჩების კვეთა

საბავშვო კარუსელი



მუნდას სთიკერი

ხალისიანი გზა
ბავშვის
განვითარებისთვის



სარუქრად:

სამაგიერო თაბაჭი "ჭირკი"
სახატავი და
განსაზრებელი აღზომი



ფასი 5 ლ



„ყველაფერი ერთად დამატყდა თავს, მართო ვიყავი“

„21 წლის ნათია თოდუამ გერმანულ მუსიკალურ პროექტ „ვოისში“ მონაწილეობით ჟიურის წევრები აღაფრთოვანა... „რთული და ეკლიანი გზა იყო“, — ამბობს ნათია საქართველოდან გერმანიაში გაველილ გზაზე საუბრისას...“

24



„ჩემი შეყვარებულის პირადი მწვრთნელი ვარ“

„ბოლო დროს მოდის სფეროში ტენდენცია შეიცვალა — მოდელის სიმაღლესა და ნავარჯიშებ სხეულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წინათ ცოტა სხვანაირ ბიჭებს ირჩევდნენ. ახლა, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცურობას აქცევენ ყურადღებას...“

47



**5 000 წლით დათარიღებული
შენობებისა და ნივთების ნაშთები**

„ერთ კოკაში ირმის დახერხილი რქები იყო მოთავსებული. როგორც გაირკვა, ირმის რქა სხვადასხვა დაავადების საოცარი სამკურნალო საშუალებაა. მათ შორის, ძლიერი სისხლდენისა და ეპილეფსიის სამკურნალოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში...“

68


- **მინიატიურები** 5
„ვერ შევჭამ და დავკებე“
- **პოლიტიკა** 6
რა სარგებლობას მოგვიტანს სიახლე მთავრობაში
- **პროფესია** 17
ფოსტალიონის მოგონებები, ხელნაწერი წერილების რომანტიკა და „მოკითხვამდე“ შეყვარებულებისთვის
- **დაუსრულებელი წინადადება** 28
„მე გამიგებენ, ალბათ ასე — სამას წლის მერე...“
- **ასე უყვარდათ საქართველოში** 30
ისტორიკოსისა და მევიოლინეს სიყვარულის ამბავი
- **სიტუაცია** 33
ქმრის ცემისთვის დაჭერილი ცოლი...
- **ადამიანი** 34
ამბავი უმიზეზოდ შეძულებულ ქმარსა და დანგრეულ ოჯახზე
- **შთამომავლობა** 49
რის გამო ნუხან შევარდნაძის შვილიშვილები



ჯონ გოლზუორთი

ოთხტომეულში შედის:

- I რაინდი (მოთხრობები)
- II ფორსაიტების საგა (წიგნი I)
- III ფორსაიტების საგა (წიგნი III)
- IV ფორსაიტების საგა (წიგნი III)



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
ამოღის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთი „კვირის პალიტრის“ დაბადება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი **ლიკა ქაჯაია**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი **თათია ფირცხელავა**

დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა:
ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი



დაიბეჭდა
სტამბა
კოლორში

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07

6-თვიანი პატიმრობა ცოლისთვის ხელის გალანუნებისთვის

ოჯახში ძალადობა ისევ და ისევ პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ადამიანი დაისაჯა და არაერთი მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერი გაიცა, დანაშაულები მაინც ხდება. ისიც ფაქტია, ხშირად შემაკავებელი ორდერი არ არის საკმარისი და მოძალადე მაინც სჩადის დანაშაულს. თუ ასეთ ვითარებაში ცოლი ისევ სამართალდამცავებს გამოიძახებს, ქმარს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ციხეში გამოკეტვაც მოუწევს.

მორიგი ასეთი ოჯახური ძალადობის ფაქტი მოხდა თბილისში



და საქმე სასამართლომდე მივიდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ახალგაზრდა მამაკაცი მეუღლის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებაში დამნაშავედ ცნო. მთავარი პროკურატურის განცხადებით, სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 17 აგვისტოს დილის საათებში, თბილისში მამაკაცი მეუღლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სახეში ხელი დაარტყა. ქალმა პოლიცია გამოიძახა და საქმეს მსვლელობა მიეცა, რადგან ცემის დროს დაზარალებულმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო, რამაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია. ამ დანაშაულისთვის მამაკაცი დააკავეს და აღკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდეს.

სასამართლომ ბრალდებული მამაკაცი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო. ცოლისთვის ხელის გალანუნებისთვის სასჯელის ზომად მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს.

8 წელი არასრულწლოვანე ძალადობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ მამაკაცი არასრულწლოვან გოგონასთან სქესობრივი კავშირისა და სხვაგვარი სექსუალური ურთიერთობისთვის გაასამართლა. რადგან საქმე არასრულწლოვანს ეხებოდა, სასამართლო პროცესები დახურული იყო. სასამართლომ, გაუკუღმართებული სექსუალური კავშირისთვის, ბრალდებული დამნაშავედ ცნო, რომელსაც 2017 წლის 25 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი. დახურულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულმა თავის მართლება სცადა, წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და ირწმუნებოდა, რომ დაზარალებულის ასაკი მისთვის ცნობილი არ იყო. თუმცა, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის მოწმეთა გამოკითხვის ოქმებითა და „ფეისბუქის“ მიმონერის დათვლიერებით დადასტურდა, რომ გრძნობებით მანიპულირებითა და თვითმკვლელობის მუქარით, ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა არასრულწლოვანზე. დანაშაული მას შემდეგ გაიხსნა, რაც გოგონამ ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული აბების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან სექსუალურ ურთიერთობაზე დედას უამბო.

სასჯელის ზომად მამაკაცს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ციხეში გამოკეტეს.



ავტოსაგზაო შემთხვევებმა იკლო



ავტოსაგზაო შემთხვევებს სამწუხაროდ ბევრი ეწირება და ამიტომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სამართალდამცავებმა კანონი გაამკაცრეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ავტოსაგზაო შემთხვევების მაჩვენებლების კლება ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა. „შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზებზე ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებისა და პრევენციის მიზნით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მრავალკომპონენტური, გრძელვადიანი პროგრამას აგრძელებს, რომელიც ტექნოლოგიურ რეფორმას, საკანონმდებლო

ცვლილებებსა და სოციალურ კამპანიას მოიცავს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილებები, ამოქმედდა ე.წ. ქულათა სისტემა და უკონტაქტო პატრულირება. მიმდინარე წლის 1-ლი ნოემბრიდან კი ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. ჭკვიანმა კამერებმა და ძალაში შევიდა ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის, მათ შორის, ავტოავარიების შედეგად გარდაცვლილებისა და დაშავებულების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ჩაატარა. „2017 წლის ათი თვის მონაცემებით, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევები 14%-ით, გარდაცვლილთა რაოდენობა 7%-მდე, ხოლო დაშავებულების — 12%-მდე შემცირებული. ავტოსაგზაო შემთხვევების მაჩვენებლების კლება ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა“, — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



„ვერ შევჭამ და დავკბერ“

შესავლის მავიერ ტრიალებს და ბრუნავს წუთისოფელი! აი, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენში — მინისტრთა პორტფელები. მართალი გითხრათ, არ მჯერა, რომ პორტფელები კვირიკაშვილმა დაატრიალა! ჯეჯელავა თავის ვაშლებიან-წვეტიანაზრებიანად რომ მოსაცილებელი იყო, ახლა გაიგო „სპასატელმა“ გიორგიმ? ცალკე შსს-ს პირველი პირის თემაა საეჭვოდ საინტერესო.

„რესპუბლიკური პარტიდანაც“! ამბობენ, ეგ ხელიდანაც წავიდაო, მაგრამ ქვეყნიდან ხომ არ წასულა მიშა კიტრენკოსავით? ამას რად არ აფასებ, ბატონო პრემიერო? ნუთუ დაგავინწყდათ, ბატონი გიგლა პარლამენტის აგრარულ კომიტეტსაც ედგა სათავეში და მერე გარემოს დაცვას ემინისტრებოდა, დაატრიალეთ ეს მინისტრთა კაბინეტი, სოფლის მეურნეობის მინისტრს დაუტოვეთ პორტფელი და აგულაშვილს — არა! სადაა სამართალი? ვფიქრობ, არ აპატიეს აგულაშვილს „რესპუბლიკელო-

ჩვენი ვაშლმინისტრა მალე აღარ გვემასხოვრება, რადგან საქართველოში ვის ადარდებს გუშინდელი? ლარის კურსისა და სხვა გაჭირვებათა შემხედვარე, როგორ უნდა გავაანალიზოთ, რა გააფუჭა ჯეჯელავამ? არც ის გვახსოვს, როგორ აუვარდათ თავში პოლიციის სისტემის ხალხს, რადგან ახლა ადგილობრივ თვითმმართველობებში დიდი აურზაურია. „ძველებს“ ადგილების შენარჩუნება უნდათ, „ახლებს“ ვითომ პერსპექტიული, 450-ლარიანი სამსახურების „მოჩანგვლა“. ვფიქრობთ საკუთარი თავის გადარჩენაზე და არა ქვეყნის მომავალზე! აი, ახლა დგას ვაზელინის გასაღების დიდი პერიოდი. არც ეს ვაზელინი გამოილია, საშველი რომ დაგვადგეს საბოლოოდ!



სკეპტიკურად ვუყურებ ახალი მინისტრების მოსვლასაც და „დაკარუსელებსაც“. ჯერ არ შესულან კაბინეტში ჩხენკელი და გახარია და უკვე „ცუდი“ მინისტრები მგონია, არა იმიტომ, რომ ჩხენკელი ოკეანის გადაღმა სწავლობდა და გახარია — რუსეთში! მხოლოდ იმიტომ, რომ სისტემაა გასანმენდი ყველგან და ეყოფათ ძალა, სისტემის მოსანესრიგებლად? ყველა მინისტრი, ვინც კი დაგვინიშნეს, კარგი მენეჯერიაო, გვეუბნებოდნენ. მენეჯერობა რომ არ ეყო არც ეკონომიკას, არც შსს-ს, მით უფრო — განათლებას, კი ვხედავთ! სამინისტროებს სათავეში იმ სფეროს პოლიტიკის გამტარებელი უნდა ჩაუდგეს, რომელიც საჭიროა, მაგრამ საქართველოში არ მოიშალა ნათესაობა, პირადი სიმპათიები და „ნაპარუკების“ მახინჯი ტრადიცია!

აი, კვირიკაშვილს ხმამაღლა ვეკითხები, გარემოს დაცვის მინისტრის პორტფელი რომ გააუქმა, დაავინყდა, რამხელა მსხვერპლი „დადო“ აგულაშვილმა თავის დროზე „ქართული ოცნების“ სამსხვერპლოზე? ჯერ იყო და გიგლა პარლამენტიდან წავიდა მინისტრად, მერე —

ბა“, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ არ არსებობს ყოფილი „რესპი“! აი, ყოფილი „ნაციონალი“ კი არსებობს, რომელმაც მოხდენილად მოიჩიგო „ოცნების“ მანტია და მშვენივრად დასკუბდა თანამდებობებზე („ნანაცარი“ „გაქოცებული“ ზუგდიდელი ლაშა გოგია პირველი და უკანასკნელი არ გვეგონოთ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში)! მაინც ვფიქრობ, რომ უკეთესობისკენ დაიძრა ჩვენში საარჩევნო კულტურა. თიანეთმა და ოზურგეთმა ეს მშვენივრად აჩვენა. ცალკე ქუცნაშვილს დაემხო თავზე უძლველობის მოლოდინი, ცალკე სიორიძემ დაინახა, რომ გურიაში ვერ იქნება დავით აღმაშენებელი შეთავსებით, უკუნითი უკუნისამდე... ისიც პროგრესია, რომ „ქართული მარშის“ წევრების ისტერიკამაც მოიკლო, სამინისტროების რაოდენობაც შემცირდა და სრულ გაბრწყინებამდე ორიოდ ნაბიჯილა დავგვრჩა!

P.S. ჯეჯელავას ეკითხებიან: — რაც დაურიგებელი დავგვრჩა, იმ ვაშლს რას უპირებო? — შევჭამო! — რასაც ვერ შეჭამო? — რასაც ვერ შევჭამ, იმას დავკბერო!

პროვოკატორი



რა სარგებლობას მოგვითანს სიახლე მთავრობაში

მიმდინარე კვირა მოულოდნელი და საინტერესო ცვლილებებით დაიწყო: სამინისტროების შერწყმა, ოპტიმიზაცია, სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები, ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება და სხვა... სამთავრობო რეფორმებზე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები — გუგული მალრაძე, გია გაჩეჩილაძე, ზურაბ ჯაფარიძე, თამაზ მეჭიაური და გოგი წულაია თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს გვიზიარებენ.

თამაზ დაღეპალი

გუგული მალრაძე, დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი:

— დაგპირდით, რომ სამინისტროები უფრო კომპაქტურები გახდებოდა და დაპირებას ვასრულებთ. ჩვენნაირი ქვეყნისთვის ბევრი სამინისტრო საჭირო არ არის, დეპარტამენტები შეიქმნება სხვადასხვა სამინისტროში და ყველა საქმეს თავისი პატრონი ეყოლება. მმართველობითი ხარჯები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ, ოღონდ ისე, რომ საქმიანობას ხელი არ შეუშლოს. მინისტრი, მოადგილეები, თანაშემწეები, მდივნები, ადმინისტრაცია, მძღოლები და ა.შ. ცხადია, გარკვეულწილად შემცირდება, ამით მართვა უფრო ოპტიმალური გახდება. გარემოს დაცვის სამინისტროს ამბავი ცოტა პრობლემური მეჩვენება, რადგან ფაქიზი სფეროა და ინტერესთა კონფლიქტი არ მოხდეს. მისი დანიშნულება და ფუნქციები მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს, ჩვენი ქვეყნისთვის გარემოს დაცვა პრიორიტეტულია.

— განათლების ახალ მინისტრზე რას გვეტყვით?

— ამ სფეროში კარგი გამოცდილება აქვს, წლების განმავლობაში უცხოეთში მუშაობდა, უნივერსი-

ტეტში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. საზღვარგარეთ მიღებული სწავლა და გამოცდილება ჩვენი განათლების სისტემაში დიდი ინვესტიციაა, კარგ შტრიხებს შეიტანს. იმედი მაქვს, რომ განათლების სამინისტროში საქმე კარგად იქნება, თუმცა, ბატონი სანდრო ჯეჯელავას ბევრ ინიციატივასაც ვეთანხმებოდი, რადგან ორიგინალური მიდგომები ჰქონდა.

ბიზანჩიჩილაძე, საპარლამენტო ფრაქციის — „მწვანეების“ თავმჯდომარე:

— მთავრობის ნაბიჯი მისასაღებელია იმ თვალსაზრისით, რომ

ტყეების, მდინარეების გარდა, არაფერი გაგვარჩია. გარემოს დაცვის სამინისტროს არსებობა ცალკე ჯობია, თუმცა, გაერთიანებასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, აგრარული სექტორის მიბმა იმის შანსს იძლევა, რომ საქართველოში ბიომეურნეობები განვითარდეს.

— ბიუჯეტის მხრივ როგორ იქნება საქმე?

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი გაცილებით დიდია გარემოს დაცვაზე. მართვის სტრუქტურაში ალბათ მოხდება ცვლილება, თორემ ძირითად ბიუჯეტში — ვერანაირად, ხარჯები უკვე განვირგია,

ეს გაქარია ქუცნაშვილის, ყოფილი გამგებლის სახეა, რომელმაც ეს ყველაფერი გახარჯა

სტრუქტურების ოპტიმიზაცია ხდება და გაერთიანებებიც ლოგიკურია. დიდი შრომა გავწიეთ, გარემოს დაცვის სამინისტროს შესანარჩუნებლად და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია. პარლამენტში წარმოდგენილი იქნება პროექტი, მას შეუერთდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მსგავსი მოდელები არსებობს ევროპაში. თუმცა, მაინც უკეთესი იქნებოდა, ცალკე ყოფილიყო, რადგან ჩვენი უნიკალური გარემოს — ბუნების,

მაგალითად, დაცული ტერიტორიებისთვის, სატყეო დარგისთვის, სარწყავი სისტემების, ირიგაციის განვითარებისთვის, მცენარეთა დაცვის და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე, მათ ვერაფერს მოაკლებ, პირიქით, დამატება სჭირდება.

ზურაბ ჯაფარიძე, პოლიტიკური გაერთიანების — „გირჩის“ ლიდერი:

— თუ აქამდე 18 სამინისტრო ითხოვდა ყოველ წელს მომავალი



გარემოს დაცვის სამინისტროს ამბავი ცოტა პრობლემური მეჩვენება



მსგავსი მოდელები არსებობს ევროპაში



გაცილებით მეტი სამინისტროს გაერთიანებაცაა შესაძლებელი

ნლისთვის ბიუჯეტის გაზრდას, ახლა ასეთი 14 იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუროკრატიის ზრდის ნაკლები ტემპი იქნება, ეს მუდმივი პრობლემაა საქართველოშიც და ზოგადად, სხვა ქვეყნებშიც. ეკონომიკის ზრდისთვის საჭიროა არა უბრალოდ სამინისტროების შემცირება, არამედ იმ ხარჯების შემცირება, რომელიც ამ სამინისტროებს ყოველწლიურად სჭირდებათ. ამისთვის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს უნდა დაველოდოთ, რომელიც ამ წლის ბოლოს შევა პარლამენტში, ცვლილებების დამტკიცების შემდეგ. საჯარო სექტორში ადამიანების რაოდენობისა და ხარჯების შემცირების შემთხვევაში ამას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი და ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდეს.

— თქვენი აზრით, ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროების დაწყვილება სწორად მოხდა?

— დიახ, სწორია, გაცილებით მეტი სამინისტროს გაერთიანებაცაა შესაძლებელი. ენერჯეტიკა იქნება, ინფრასტრუქტურა თუ სოფლის მეურნეობა, ყველა ეკონომიკური შინაარსის მქონეა და თუკი ერთი სამინისტროს ქვეშ მოიყრიან თავს, ესეც სწორი იქნება. ცალკე ყოფნის არანაირი საჭიროება არაა. მრეწველობის, ტრანსპორტის ან ტურიზმის სამინისტრო ცალკე ხომ არ გვაქვს? მაგრამ ეს სექტორები თავისებურად ვითარდება. რაოდენობის შემცირება კიდევაც შესაძლებელი.

— ამ პრაქტიკამ რამდენად გაამართლა სხვა ქვეყნებში?

— საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანი მაინც ისაა, მთავრობა რამდენს ხარჯავს, ვიდრე ის, თუ რამდენია რაოდენობა, თუმცა, ჩვენნაირ პატარა ქვეყანას ამდენი სამინისტრო არაფერში სჭირდება, ცოტა რაოდენობითაც კარგად გავართმევთ თავს. მთავრობის ხარჯები ახლა მთლიანი ეკონომიკის 35%-ია, მინიმუმ გასანახევრებელია და 15-20%-მდე დასაყვანი, თუ გვინდა, რომ ეკონომიკა სწრაფი ტემპებით განვითარდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გასაკეთებელი!

— შსს-ს ახალ მინისტრზე რას იტყვით?

— პლუსებსა და მინუსებს თუ ვისაუბრებთ, მინუსი შეიძლება ის იყოს, რომ ამ ადამიანს შეხება არ ჰქონია სამართალდამცავ სტრუქტურებთან, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა,



ყველაფერი გამოცარიელებული, დახარჯული დამხვდა

სწორედ ეს აღმოჩნდეს მისი პლუსი. სისტემაში გამოცდილების არმქონე ადამიანის მისვლამ შეიძლება პირიქით, უფრო გააადამიანუროს ეს სისტემა.

— თანამშრომლები, თიანეთის მერი:

— ფვიქრობ, ოპტიმიზაციის პროცესი დადებითი შედეგის მომცემა თუნდაც იმიტომ, რომ ხარჯებს შეამცირებს, გამოთავისუფლებულ თანხებს კი უფრო საჭირო მიმართულებით გამოიყენებენ, თუნდაც, სოციალურ სფეროში ან ეკონომიკაში. მეც იმავეს გაკეთებას ვგეგმავ ჩვენს მუნიციპალიტეტში.

— თქვენს მერიამი როგორი სიტუაციაა?

— მივედი და ყველაფერი გამოცარიელებული, დახარჯული დამხვდა. ნაძვის ხის მოსართავი ფულიც კი არ დაუტოვებიათ. წარმომადგენლობითი ხარჯები ბოლომდე ათვისებული აქვთ, კარგად გასუფთავებული ბიუჯეტი დამახვედრეს. ბატონი ზაქარია ქუცნაშვილი სხვას ეძახის კორუმპირებულს და დარჩენილი ბოლო თანხები მის ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ბანკეტში დახარჯეს. სამწუხაროდ, ეს არის სახე სუფლებო ჩინოვნიკებისა, რომლებიც ოფიციალური მილიონერები გახდნენ, მაგრამ თავიანთ დასანაყრებელ ფულსაც კი ვერ იმეტებენ და იმასაც ბიუჯეტიდან ხარჯავენ. ეს ზაქარია ქუცნაშვილის, ყოფილი გამგებლის სახეა, რომელმაც ეს ყველაფერი გახარჯა და არც კი უფიქრია იმაზე, რომ საბავშვო ბაღებისთვის, სკოლებისა თუ გაჭირვებული ადამიანებისთვის თითო კანფეტი მაინც მიგვეწოდებინა საახალწლოდ. გარე განათების ფუ-



ერთი-ერთში აკეთებენ ყველაფერს, რასაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ

ლი აღარ არის. ავტომობილი ისეთი მომსპარია, მისით გადაადგილება შეუძლებელია. ამაზე ალბათ ხელისუფლებას მივმართავ და მიხედონ თავიანთ ასეთ წარმომადგენლებს ან ამ რაიონისთვის დამატებით გამოყოფილ თანხები, თორემ, ფაქტობრივად, ჩვენი საქმიანობის პარალიზება ხდება.

— გომი ნუშლიანი, „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერი:

— სამინისტროების ოპტიმიზაცია და ასე მთავრობების წევრების ცვლა უკვე მერამდენე ვნახეთ, მაგრამ დამისახელებთ რომელიმე, რომელმაც დადებითი შედეგი მოიტანა. ერთი-ერთში აკეთებენ ყველაფერს, რასაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ. ახლა ყველა თავისი გუნდით მივა და რა თქმა უნდა, სამსახურს ბევრი ადამიანი დაკარგავს. ამ ქვეყანაში პარტიულობითა და მეგობრობის, ნათესავების თუ საყვარლების სამსახურებში მიყვანა უნდა დასრულდეს.

— განათლების მინისტრის პოსტიდან ალექსანდრე ჯეჯელავას გათავისუფლებაზე რა აზრის ხართ?

— დავილუპეთ და ეგაა! ბავშვები ვაშლის გარეშე დაგვრჩნენ! ან მოყვანა რა იყო მისი, ან ეს ექსპერიმენტები? ზღაპრის გმირებთან ბრძოლა და ხმლების მტვრევა როგორ უნდა შევაფასო, არ ვიცი.

— ბატონო გოგი, თქვენი ქალაქის — ქუთაისის ახალ მერზე რას იტყვით?

— მე ჩემი აზრი და დამოკიდებულება მაქვს „ქართული ოცნებისადმი“ და ეს ცნობილია — ძალიან უარყოფითი. მის რომელიმე კანდიდატზე საუბარი, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია, ნამდვილად არ მინდა.

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირების კვალი

„ივანე კობორაშვილივით, უცნაო გარდაცვალებას განიცდის, სველი ჩაიცვას და წავიდა...“



ომში გამოცდილებს იღებდნენ, რომელთაც „სხვანაირი“ პიროვნული თვისებები ჰქონდათ...

საქართველოს უახლოესი ისტორიის ომებიდან უამრავი გმირი შემორჩა, რომელთა სახელები ქართველებისთვის ნაცნობია, თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც ფართო საზოგადოება არ იცნობს... ერთ-ერთი ასეთი მერაბ ნიქაბაძეა, რომელიც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში, ყიუღი შარტავასა და მის თანამებრძოლებთან ერთად, სოხუმის დაკარგვამდე, ბოლო წუთამდე დარჩა... მისი კვალი ამ დრომდე დაკარგულად მიიჩნევა.

აფხაზეთის ომის გმირის შვილი, ლევან ნიქაბაძე მამას იხსენებს და იმედოვნებს, რომ სოხუმიდან გადმოსვენებულ 91 გმირის ნეშტს შორის მამამისიც იქნება...


2005 წლის 25 ნოემბრის საქართველოს პრეზიდენტის №877 განკარგულებით, მერაბ ნიქაბაძე ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ლალაი კაპასკირი

— მამა „ავღანელთა ბატალიონში“ 1992 წლის 3 სექტემბრიდან ირიცხებოდა. იქ მხოლოდ ომში გამოცდილებს იღებდნენ, რომელთაც „სხვანაირი“ პიროვნული თვისებები ჰქონდათ... მამა სამაჩაბლოს ომის მონაწილე იყო, საბრძოლო ნათლობა იქ მიიღო.

— პროფესიით ვინ იყო?

— ფილოლოგი. შოთა რუსთაველის სახელობის წიგნის ფაბრიკაში გამომცემლობის დირექტორი იყო, რუსულიდან თარგმნიდა წიგნებს:



ერთ-ერთმა მებრძოლმა მამას სიკვდილის ცნობა ჩამოგვიტანა

ლინდა გუდმენის „ჰოროსკოპი“, ვოლდემარ ბრანკის „პატარა ადამიანი დიდ გზაზე“ და კიდევ რამდენიმე ნაწარმოები მისი თარგმნილია... სამაჩაბლოს ომში მოხალისედ წავიდა, შემდეგ განვევითაც მოუწია... მერე აფხაზეთის ომი დაიწყო, იქაც წავიდა და თუ არ ვცდები, 1992 წელს, „ავღანელთა კავშირის წევრი“ გახდა — მათ ბატალიონშიც ჩაირიცხა. რადგან გამოცდილება ჰქონდა, ცხელ წერტილებში ფრონტის წინა ხაზზეც მიდიოდა... მაშინ 11 წლის ვიყავი და მამის შესახებ ბევრი რამე კარგად მახსოვს. მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, სახლში ხანდახან ჩამოდიოდა. კონტუზირებულიც ჩამოსულა, მაგრამ უკან მაინც ბრუნდებოდა... ბოლოს, თუ სწორად მახსოვს, 24 სექტემბერს გაფრინდნენ.

მძიმე დღეები იყო... ვიდრე გაფრინდებოდა, რამდენჯერმე სცადა აფხაზეთში წასვლა, მაგრამ ფრენა გადაიდო. ბოლოს, როდესაც სახლის ტელეფონზე დაურეკეს, მამამ უპასუხა, — ავაშენა ლემერთაო... ეს სიტყვები ცნობიერებაში ჩამრჩა... უხაროდა, წასვლა რომ გადაწყდა...

აღმოჩნდა, რომ დედას მისი ფორმა გარეცხილი ჰქონდა, რომელიც ჯერ კიდევ სველი იყო. ძალიან უყვარდა სამხედრო ფორმა. ჰოდა, ივანე კობორაშვილივით, სამოსი განურა, სველი ჩაიცვა და წავიდა... იმ დროს ბაბუშერის აეროპორტში თვითმფრინავი აფეთქდა... 25 სექტემბერს, სოხუმის სატელევიზიო ანძის ალბაში მონაწილეობდნენ, 6 კაცი დაეღუპათ. შემდეგ ბრძანება მიიღეს და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს — „სოვემენის“ შენობაში გადავიდნენ. მას შემდეგ ბევრი ვერსია ვრცელდებოდა, მაგრამ დოკუმენტურად გადმოცემული და შესწავლილი დეტალები არსად წამიკითხავს...

— აფხაზეთშიც დუმან...

— იმიტომ, რომ ბევრი არაფერი აქვთ სათქმელი... თუ იმ ყაბარდოელი ტამირის მონათხრობს არ ჩავთვლით, ცოტა რამ არის ცნობილი.

— თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ მამაზე?

— სოხუმის დაკეციდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-ერთმა მებრძოლმა მამას სიკვდილის ცნობა ჩამოგვიტანა, თუმცა, თავიდანვე რალაც-რალაც...

ლაცები დაუზუსტებელი იყო, — ჯერ თქვეს, მოკლესო, შემდეგ — თავი მოიკლაო... ვიცოდი, მამა ტყვედ არ ჩაჰბარებოდა, რადგან ერთი ტყვია ყოველთვის კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული, მაგრამ თავის მოკვლის ვერსია მაინც არ მიმარჩნია სარწმუნოდ... ვიცი, მონინალმდეგეებს მასზე ჯილდო ჰქონდათ დანესებული (მასზე და იმ ადამიანებზე, ვინც დიდხანს იბრძოდნენ). ორივე მხარეს ჰქონდა ერთმანეთზე ინფორმაცია, მეტიც, გვარ-სახელებითაც იცნობდნენ ურთიერთს. იყო შემთხვევები, როდესაც პოზიციებით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და გადაძახილები ჰქონდათ... ის ყაბარდოელი ტამირი იხსენებს, როდესაც ჩაგვბარდნენ და გასაიარაღებლად შევედით, დავინახეთ, ერთი მეომარი გახსნილი ხელყუმბარით ხელში იჯდა, მეორე ხელში კი ჯვარი ეჭირაო... დეტალურად აღწერს მამას... სხვა „ავღანელი“, სახელად მერაბი, იმ 70 ადამიანში არ ყოფილა. სოხუმის მაშინდელ ეპარქიაში მეუფე დანიელი მსახურობდა, რომელმაც მამას ჯვარი არუქა, რომელიც სულ თან დაჰქონდა... ფოტოებშიც ჩანს... როგორც ვხვდები, ხელყუმბარა არ გამოიყენა, რადგან იქ მისიანებიც იყვნენ. შემდეგ მონინალმდეგე მხარეს გაუგია, რომ „ავღანელი“ იყო. მათაც ჰყოლიათ ბატალიონში ავღანეთის ომის მონაწილე და ის მიუშვეს, რომ დალაპარაკებოდა...

მამა მორწმუნე კაცი იყო და შესაძლოა, ამანაც შეაჩერა ან როგორც უკვე ვთქვი, თავისიანები ვერ განირა: აფეთქებისას ყველანი დაიხოცებოდნენ. ერთი სიტყვით, კავკასიური სოლიდარობა გამოუჩინათ, ვაჟკაცი ხარ და გაგიყვანათ. მოლაპარაკების შედეგად, ხელყუმბარა გამოართვეს. მამასთვის იარაღის ჩაბარება მოუთხოვიათ, მაგრამ არ მიუცია, მჭიდრი მოუხსნია და უთქვამს, — იარაღს ვერ მოგცემთო... შემდეგ, ამ ჩრდილოკავკასიელებმა გამოიყვანეს, მაგრამ იმ კადრებში მამა არ ჩანს. ტამირი ჰყვება, „რაფში“ ჩასვესო, მაგრამ ისიც თქვეს, შემდეგ „იკარუსის“ ავტობუსით ნაუყვანიათო...

— ყაბარდოელი ტამირი იმასაც ამბობს, — ტყვეები შენობიდან რომ გამოვიყვანეთ, აფხაზები ისე აგრესიულად იქცეოდნენ, ჰაერში გასროლა დაგვჭირდა, ტყვეები რომ გაგვეყვანათ...

— დიახ და შეიძლება, შემდეგ „რაფსა“ და „იკარუსში“ გადაინანილეს. რადგან ყველანი ერთად გაიყვანეს, იქ ნიღბიანები დახვედრიან, სავარაუდოდ, რუსები ან აფხაზები და ტყვეები ნაურთმევით. შარტავასა და გაბისკირიას საბუთები მათ დაუტოვებიათ...

— სად იკარგება მამათქვენის კვალი?

— „სოვმენის“ შენობიდან გამოსვლის შემდეგ, მამა არც ცოცხალი, არც დაღუპული არავის უნახავს... ვინც მამას სიკვდილის ამბავი ჩამოგვიტანა, ისიც ვილაცის მონაყოლს იმეორებდა... გენადი ფიცხელაური ქისტურ დიალექტზე საუბრობდა. ამიტომაც, ერთ-ერთმა ქისტმა გადაარჩინა და ერთი თუ ორი თვის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში. ის არაფერს ჰყვებოდა, რადენჯერმე დაათვრეს კიდეც. იხსენებდა, როგორ გაარიდეს სიტუაციას, მაგრამ მამაზე არაფერს ამბობდა... ბოლოს, აფხაზეთიდან სულ 91 ადამიანის ნეშტი ჩამოასვენეს, 25-ის იდენტიფიკაცია მოხდა და იმედი მაქვს, დანარჩენებში მამაც იქნება. ეს ბევრ რამეს მოჰყენს ნათელს და გაირკვევა, მამაც სხვებთან ერთად იყო და დახვრიტეს თუ არა... შესაძლოა, რადგან იარაღი არ ჩააბარა, ვილაცამ იცნო, დანახეს ალბათ იარაღიანი ქართველი და ესროლეს. რა იცოდნენ, იარაღში ტყვიები რომ არ იდო? ამ ვერსიასაც განიხილავენ, თუმცა, მეორე ვერსიით, ის ყველასთან ერთად დახვრიტეს.

— ალბათ, სულ ელოდით...

— დიახ, სულ ელოდით, წლები გავიდა მის ლოდინსა და ძებნაში... ბებიაჩემი, ჯილდა თოფურიძე მართლაც მთელი ცხოვრება ელოდა. შემდეგ, მან სხვებთან ერთად დააარსა ფონდი „მოლოდინი“... იმავე სახელწოდების გაზეთიც გამოდიოდა, თვეში ერთხელ და ბებია მისი რედაქტორი იყო. აფხაზეთშიც ჩადიოდნენ, ბაბუშერის აეროპორტში დაღუპულთა გადმოსვენების ამბები მათი დანყებულია... ომის დასრულებიდან მალევე, პირველ წლებში, აფხაზებთან, დაღუპული მეომრების ოჯახებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. იმათაც ჰყავდათ უგზო-უკვლოდ დაკარგულები და მათ პოვნაში ეხმარებოდნენ... ბებია 2012 წელს გარდაიცვალა და დაკარგული შვილის ტკივილი თან გაჰყვა... ხშირად ეშლებოდა და



91 ადამიანის ნეშტი ჩამოასვენეს, 25-ის იდენტიფიკაცია მოხდა

მამაჩემის სახელს მეძახდა და მერე ამაზე ტიროდა... მამას დაღუპულად არასდროს ვიხსენიებდით, თუმცა, ბოლო წლებში მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი, — ცოცხალი რომ ყოფილიყო, აქამდე აუცილებლად გამოჩნდებოდა... თავდაპირველად, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც ვილაცები გვატყუებდნენ, — ვიცით, რომ ტყვედ არის და მის გამოყვანაში



დაკარგული შვილის ტკივილი თან გაჰყვა...

დაგეხმარებითო... გვეუბნებოდნენ, რომ „პარტიზანები“ იყვნენ და გარკვეული თანხის სანაცვლოდ მასზე ინფორმაციას გვპირდებოდნენ. თუმცა, მალევე ირკვეოდა, რომ გვატყუებდნენ... შემდეგ თანდათან ყველაფერი მიწყნარდა და მივხვდი, რომ მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო...

ერთად ვებრძოლოთ მავნებელს

რა პრეპარატებით შიძლება აზიური ფაროსანას შენამვლა და როდის?

რა უნდა იცოდეს მავნებლებით შეწუხებულმა მოსახლეობამ:

მცენარეები ინსექტიციდებით უნდა დამუშავდეს მხოლოდ მავნებლით დასნებოვნებულ ადგილებში. მნიშვნელოვანია, ქიმიური ნამლობა ჩატარდეს ნიმფის (მატლის) ფაზაში. მავნებლის წინააღმდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოში რეგისტრირებული პირეტროიდების, ნეონიკოტინოიდების, კარბამატების ჯგუფის პრეპარატები. საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებით, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია პირეტროიდული ჯგუფიდან ბიფეტრინის შემცველი პრეპარატები: ტალსტარი, ინსეკარი. პრეპარატების ხარჯვის ნორმა 0.6 — 1 ლ-ია ჰექტარზე. ინსექტიციდების პირველადი შესხურება არა უგვიანეს ივნისის ბოლოს უნდა მოხდეს.

უსაფრთხოების რა ნორმები უნდა იქნას დაცული პესტიციდების გამოყენებისას?

პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცვის ინდივიდუალური საშუალებები: სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, რესპირატორი, აირნიალი, დამცავი სათვალე და ხელთათმანი! შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება. პესტიციდების გამოყენების წინ დახურეთ სასმელი წყლის ჭები, დაამწყვდით ფრინველი, საქონელი, შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა!

შენამლული პროდუქტის საკვებად გამოყენება დაუშვებელია ნამლობიდან 18-20 დღის განმავლობაში!

ნამლობა ტარდება უქარო ამინდში, დილას ან საღამოს, ან ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში!



არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება ღია წყალსაცავებისა და წყალსატევების სიახლოვეს!

რა აუცილებელი ინფორმაცია უნდა მიიღოს ცხელი ხაზის ოპერატორმა მოსახლეობისგან?

მიღებული შეტყობინება ივსება სპეციალურად შედგენილ ექსელის ფაილში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ცხელი ხაზის ოპერატორებისთვის. უნდა ვეცადოთ, ყველა გრაფა იყოს შევსებული, რომელიც მნიშვნელოვანია მავნებლის გავრცელების ლოკაციის დასადგენად.

რა ღონისძიებებს ჩაატარებს სურსათის ეროვნული სააგენტო მავნებლის წინააღმდეგ?

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო სამი ძირითადი მიმართულებით განახორციელებს:

ჩატარდება სრულმასშტაბიანი მონიტორინგი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

დასავლეთ საქართველოში განისაზღვრება მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდება ქიმიური შესხურების ზუსტი თარიღი. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი — მონიტორინგი მავნებლის შესაძლო გავრცელების შესახებ ჩატარდება. მონიტორინგის ფარგლებში, დაგეგმილია, აგრეთვე, სპეციალური დამჭერი ზაფანგების (ფერომონების) განთავსება.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, ქიმიური ნამლობა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო შეისყიდის შესაბამის პრეპარატს და ტექნიკას, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. მავნებლის გავრცელების კერებში შენამვლით სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული ჯგუფები განახორციელებენ, რომლებსაც წინასწარ ჩაუტარდება შესაბამისი სწავლებები.

მოსახლეობისთვის აზიური ფაროსანას შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განხორ-

ცივდება აქტიური საინფორმაციო კამპანია. მავნებლის ინტენსიური გავრცელების რეგიონებში, შეიქმნება საკოორდინაციო შტაბები; იმუშავებს ცხელი ხაზი, ასევე მუდმივად განახლდება ვებგვერდი, სადაც განთავსდება მავნებლის გავრცელების ელექტრონული რუკა.

სასარგებლო რჩევები სპეციალისტისგან

მავნებელი მწერების წინააღმდეგოდ შესანიშნავი საშუალებები არსებობს. ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ აზიური ფაროსანას წინააღმდეგაც.

1. 400 გრამი თამბაქოს ნარჩენი (მტვერი) ჩავყაროთ ჭურჭელში და დავასხათ 10 ლიტრი წყალი. გავაჩეროთ ორი დღე-ღამე, შემდეგ გადავწუროთ და სითხეს კვლავ 10 ლიტრი წყალი დავუმატოთ.

მიღებულ სამუშაო ხსნარს ყოველ 10 ლიტრზე 40 გრამი სარეცხის საპონი ემატება. აუცილებელია, რომ ის ბოლომდე იყოს გახსნილი. ამიტომ საპონი დათალეთ თხლად ან გახეხეთ. შეიძლება მისი ცალკე შემთბარ წყალში გახსნა და გაზავებაც.

მიღებული სამუშაო ხსნარი შეგიძლიათ შეასხუროთ მცენარეებს სასხურებელი აპარატით.

შენიშვნა: თუ ორჯერ გაზავებულმა ხსნარმა არ იმოქმედა, შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ გადაწურული 10 ლიტრი სითხე, მეორე 10 ლიტრის დაუმატებლად.

2. თამბაქოს ნარჩენები (მტვერი) შეიძლება დავყაროთ ძველ ტაფაზე ან ლითონის ჭურჭელზე და ცეცხლი მოვუკიდოთ. რაც მეტხანს იხრჩოლებს კვამლი, მით უკეთეს შედეგს მივიღებთ. ოღონდ ყურადღება მიაქციეთ ქარის მიმართულებას, რათა ცეცხლი ისეთ ადგილას დაანთოთ, რომ კვამლი საჭირო ტერიტორიას მოეფინოს.

3. შეიძლება თამბაქოს მტვრის შეფრქვევა, ოღონდ ჯერ ძალიან წვრილად უნდა დაიფქვას. გამოდგება გოგირდის შესაფრქვევი აპარატი.

არსებობს სხვა მცენარეებიც, რომლებიც გამოდგება მავნებელი მწერების წინააღმდეგ: ხახვის მწვანე კანი, ნივრის ბოლქვები, მდგოვი, პირშუშა, ლენცოფა, ლემა, ძალდყურძენა, პომიდვრის ანასხლავი, კარტოფილის მინისზედა ნაწილი, ცხარე წინაკა, აბზინდა, ფარსმანდუკი.

P.S. სტატია მომზადდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), FERRER-სა და CNFA-ს „საქართველოს თხილის სექტორის განვითარების პროექტის“ (G-HIP) მხარდაჭერით. წინამდებარე სტატია არ წარმოადგენს აშშ-ის მთავრობისა და USAID-ის შეხედულებებს.

ბრალდებული ბიცილას აზანტაჟება

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს, რომელიც შანტაჟის გზით ფულის გამოძალვას ცდილობდა. ბრალდებული საკუთარ ბიძას ცოლის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების გავრცელებით ემუქრებოდა, თუ მას 5.000 აშშ დოლარს არ გადაუხდოდა. მამაკაცი დაპატიმრდა ამ თანხის გადახდას და სანამ ბრალდებული მოთხოვნილ თანხას მიიღებდა, იგი დააკავეს. გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს. ისიც გაირკვა, რომ 29 წლის ბრალდებული თ.ი. დაზარალებულის ძმისშვილი გახლავთ.

— ეს ფაქტი მას შემდეგ გაირკვა, რაც ბიჭი დააკავეს. უპატიოსნესი ქალია, ვის დაშანტაჟებასაც ის ცდილობდა და ვერავინ დაიფერებს, რომ მას ცუდი საქციელის ჩადენა შეეძლო, მაგრამ ჩათვალეს, რომ ვიღაცამ მალულად, ისეთი ფოტო გადაუღო, რისი გავრცელებაც არ იყო მიზანშეწონილი. თურმე ქალ-

თან მივიდა მაზლიშვილი და უთხრა, — ტელეფონზე უცნობმა პირებმა დამირეკეს და მითხრეს, ხელთ ინტიმური ფოტო და ვიდეომასალა გვაქვს ბიცილაშენზე; თუ 5.000 დოლარს არ მოიტანო, ამ მასალას ბიძაშენს გავუგზავნით მობილურზეო. ეს სიტყვები რომ მოუსმენია, ქალი გაგიჟებულა, — ასეთი რამ გამორიცხულია და ვინც გითხრა, იმისი ნომერი მომეციო. მერე მაზლიშვილი სასწრაფოდ მიიყვანა თავის ქმართან და საქმის კურსში ჩააყენა. მას ბიძასთანაც იგივე გაუმეორებია. ეს კაცი არაფრის გარკვევას არ დალოდებია, პოლიციაში წასულა და განცხადება დაუწერია, — მაშანტაჟებენო. მოკლედ, დაიწყო გამოძიება და დადგინდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ამ ბიჭმა მოიგონა და მასთან არავის დაურეკავს. თვითონ ცდილობდა, ფული გამოეძალა ბიძისა და ბიცილასთვის და არანაირი ჩანაწერი არ არსებობდა. ყველაფერი თვითონ მოიგონა, ახლა ჩაჯდეს ციხეში და ციხის კედლები ხეხოს, —



ამბობს მეზობელი.
ბრალდებულს პატიმრობა უკვე შეეფარდა, საქმის გამოძიება გრძელდება.

ოჯახის მკურნალი

18 და 19 ნოემბერს ან გამოსტოვოთ

სამედიცინო ღამეების უფასო აქცია ბავშვებისთვის

პედიატრიული პრინაუტ კლინიკის ექიმები, **სავაჭრო ცენტრ-ქარვასლაში,**
უფასოდ შეამოწმებენ: ფილტვებს, ბრონქებს, სასუნთქ გზებსა და
განვითარების დონეს



www.mkurnali.ge

13:00-დან 17:00-მდე

#შვილებისათვის

გამომძაღვლები ტრაგედიით სპეკულირებდნენ



ალბათ საზოგადოებას კარგად ახსოვს 2016 წლის აგვისტოში გონიოში დატრიალებული ტრაგედია. სამხედრო წვრთნების დროს ორი ახალგაზრდა კაპრალი იაგო შარაძე და რიგითი გიორგი ნანეტაშვილი ზღვაში გაუჩინარდნენ. სამწუხაროდ ბევრი ძებნის მიუხედავად, მაშველებმა მათ ცხედრებსაც ვეღარ მიაკვლიეს. დიდხანს გრძელდებოდა სამძებრო სამუშაოები, საქმეში თურქი სპეციალისტები და მათი ტექნიკაც ჩაერთო, მაგრამ უშედეგოდ. დაკარგულთა ოჯახის წევრებს ეს ტკივილი არ განელეზბათ და მათ მიმართ ჩადენილი ქმედება ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს. ცნობილია, რომ გიორგი ნანეტაშვილის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდნენ და თაღლითები მათგან ფულის გამოძალვას ცდილობდნენ. თითქოს გიორგი ცოცხალი იყო, თურქეთში ფინანსური პრობლემების გამო გაიპარა, დახმარება ესაჭიროებოდა და ოჯახისგან ფულს ითხოვდა. სამართალდამცავებმა სამი პირი დააკავეს თაღლითობის მცდელობის ბრალდებით. ვახტანგ ბოლქვაძე, გია ხიდურელი და ჯამბულ შეყილაძე პატიმრობაში არიან. საქმის მასალების მიხედვით, გიორგი ნანეტაშვილის სახელით წერილები თბილისში, თემქაზე იგზავნებოდა. ნანეტაშვილების ნათესავმა სულ 4 წერილი მიიღო. „სალამი ყველას! კარგად ვხვდები, ჩემ გამო რაც გადაგხდათ. თურქეთის ძალზე მიყრუებულ ადგილას ვარ. საქმეები კარგად მოვაგვარე. ახალი საბუთე-

ბი მაქვს. მანდ არ ჩამომესვლება. სამუდამოს მომისჯიან. ჩემ შესახებ არც ერთი სიტყვა არავის უთხრათ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. მანდ რომ დაფრჩენილიყავი, მკვდარი ვიქნებოდი. ძალიან დამეხმარა ერთი ქართველი. დაქირავებულ ჯარშიც გამიფორმა საბუთები. 1 წლის განმავლობაში 80.000 დოლარს იძლევიან. საწყობში ვიქნები, თან რუსული პასპორტით, რუსეთში ცხოვრება გარანტირებული მაქვს, პრობლემა შემექმნა. ადამიანს, რომელიც დამეხმარა, მამასავით გვერდში მედგა, ვულალატე და მისი ახლობლისთვის განკუთვნილი 39.000 დოლარი მოვსხენი ბანკიდან და დავხარჯე ჩემი საბუთების, ბინის და კვებისათვის. ახლა მომაგნო და არ ვიცი, რა ვქნა. 7 დღეში როგორც გინდა, იშოვე და ჩარიცხე ისე, რომ არავისთან ხმა არ ამოიღო. ამ კაც-მაც რა ქნას? მართლა გთხოვ, იქნებ ერთი წლით მისესხო და 80.000 დოლარს რომ ავიღებ, სულ ყველას, 5.000-ის გარდა, თქვენ მოგცემთ... ამ წერილს ჩემი კარნახით სხვა ადამიანს ვანერინებ...“, — წერია წერილში და მითითებულია საბანკო რეკვიზიტები და ერთ-ერთი ბრალდებულის, ჯამბულ შეყილაძის პირადი მონაცემები, სადაც ოჯახს ფული უნდა ჩაერიცხა.

როგორც ჩანს, ბრალდებულებს ეგონათ ოჯახი პროვოკაციას ნამოეგებოდა და თანხას ჩარიცხავდა, მაგრამ რომ არ მიიღეს თანხა, მორიგი წერილი დაწერეს „ჩემი თქვენთან კონტაქტი ამ ფორმითაც სახიფა-

თოა. ამ წერილსაც სხვას ვანერინებ ჩემი კარნახით, რადგან ყველაფერი ისმინება, ის კი არა, ჩემი მეგობარი აჭარიდან ჩემთან არის და მის ოჯახსაც არ გააგებინა, რომ ცოცხალია. შეიძლება ის სწორია, მაგრამ მე ასე გადავწყვიტე, რადგან თქვენი დარდი რამენაირად შეემსუბუქებინა. თქვენ კი ყველაზე უახლოეს ადამიანსაც არ უნდა უთხრათ ჩემ შესახებ... თანხის ანგარიშზე დასმა ძალიან მეჩქარება. ერთ კვირაში ამ ადგილიდან გადავდივართ და სამი თვის მარტო სასტუმროს ფული მაქვს გასასტუმრებელი. ნიაზისაც ამოეწურა თანხა. ძალიან ცუდ დღეში ვართ. თანხის დასმა, პირადობის ნომრითაც შეიძლება, რომელიც მოგწერეთ. ანგარიშის ნომერი კი შეიცვალა. არაფრით მანყოფს, თანხის ხელით გადაცემა. მინდა, საბუთი მქონდეს, რომ თანხა ნამდვილად ჩაირიცხა. ჯანმრთელობის მხრივ ცუდად არ ვარ. ცოტა ყური მანუხებდა. ანთება მქონდა და ოცი დღე ვეკურნალობდი, რაც მაშინ წყალში დიდხანს ყოფნით იყო გამოწვეული. არ იდარდოთ. ჩემი ერთი წლის მუშაობით ჩემს დასახელებულ თანხასაც გადავიხდი და კიდევ ერთი იმდენი დამრჩება. ახლა სულ სხვა გვარი მაქვს. სახელი გიორგი დავიტოვე. რუსეთის მოქალაქის პასპორტით ვიმუშავებ, შემდეგ რუსეთში ცხოვრების უფლებით. ჩემი ბედი თქვენზეა დამოკიდებული. დაყოვნების შემთხვევაში ყველაფერი წყალში ჩაიყრება...“ ამ წერილის შემდეგ კიდევ ორი წერილი გაუგზავნეს ოჯახს და რადგან შედეგი არ ჩანდა, ბოლოს უკვე მუქარის შემცველი წერილი მიიღეს. მეოთხე წერილი ვინმე ნიაზ დუმბაძის სახელით, რომელიც ერთ-ერთი ბრალდებულის ახლობელია და წერია, იძულებული ვარ, საქართველოს სუს-ს შევატყობინო მათი სამყოფელი და რაც მე დავხარჯე, ჯილდოს სახით მაგაზე მეტსაც მომცემნო.

გიორგი ნანეტაშვილის ოჯახის წევრებმა საქმეში პოლიცია მაშინვე ჩართეს, იცოდნენ, რომ ვიღაც მათი ოჯახის ტკივილით სპეკულირებდა. სასამართლოზე ვახტანგ ბოლქვაძემ და გია ხიდურელმა ყველაფერი აღიარეს. როგორც ირკვევა, ამ საქმეში ბრალდებული ჯამბულ შეყილაძე თავად გაება თაღლითების მახეში. მისი ადვოკა-

ტის თქმით, შეეცადა თავად არის მსხვერპლი. ვახტანგ ბოლქვაძე შეეცადა რამდენიმე წლის წინ გაიცნო სხვა სახელით. უთხრა, რომ ნუკრი ერქვა. შეეცადა ჭიათურის დან ჩამოტანილ რძის პროდუქტს თემქასა და მუხიანში, სავაჭრო ჯიხურებსა და მაღაზიებში აბარებდა. ერთ-ერთი ჯიხური ბოლქვაძეს ეკუთვნოდა. ვინც შეეცადა ფულს ხელზე ვერ აძლევდა, მათთვის მან ბანკში ანგარიში გახსნა და ამ ანგარიშზე ურიცხავდნენ თანხას. ბრალდებული ამბობს, რომ მისი ანგარიშის ნომერი სწორედ ამიტომ ჰქონდა ბოლქვაძეს. ბოლქვაძე მას 2017 წლის ზამთარში დაუკავშირდა და მისი ანგარიშით სარგებლობა სთხოვა. უთხრა, რომ ესპანეთში მყოფი შვილისგან სოლიდური თანხის ჩარიცხვას ელოდებოდა და რადგან ბანკებთან ვალების გამო პრობლემები ჰქონდა, სთხოვა, მისი ანგარიშით ესარგებლა.

რამაზ ჩინჩალაძე, ადვოკატი: — პროკურატურამ თავიდან ყველას საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესთავაზა, როგორც ვიცი, ბოლქვაძეს შესთავაზეს წელიწადნახევრიანი რეალური სასჯელი, თუმცა, მას



იაგო შარაძე და რიგითი გიორგი ნანეტაშვილი ზღვაში გაუჩინარდნენ

ხელი უნდა დაედო ჯამბულ შეეცადა მისთვის. ჩვენების მიცემისას მას ეყო ვაჟკაცობა და უდანაშაულო კაცს ხელი არ დაადო — ჯამბულ შეეცადა არ იცოდა სიმართლე, მაგრამ რალაცას რომ ვმამიუნობდი, ეს შეიძლება იცოდნო. გვქონდა საუბარი პროკურორთან. თუ ჯამბულ შეეცადა დაეთანხმებოდა ბრალს და მისცემდა აღიარებით ჩვენებას, გაუფორმებდნენ საპროცესო შე-

თანხმებას და მხოლოდ 6-თვიანი სასჯელის მოხდა მოუწევდა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან უდანაშაულოა. ჯამბულ შეეცადა სამინლად განიცდის, რომ ამ დანაშაულს ედავებიან. გაგიჟებულა, ჩემი უდანაშაულობა უნდა დავამტკიცო, პროკურატურამაც იცის, რომ ის უდანაშაულოა და ეს დამტკიცდება. ჩვენ მის უდანაშაულობას დავამტკიცებთ.

ფაქტზე გამოძიება გრძელდება. ■

ფლუქოლდი

რომლის ეფექტურობა
თქვენ უკვე გამოსცადეთ
15 წლის მანძილზე!

გაციების სადარაბოზე!

ფლუქოლდი ტაბლეტი N4



ფლუქოლდის ჩაი N 5 პაკეტი

- გრიპი
- გაციება
- მაღალი ტემპერატურა
- სურდო და ცემინება
- თავის და კიდურების ტკივილი



მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა“ ოფისიური
წარმოადგენელი საპროცესო რეგისტრირებული
ფაქტობრივი: 557 943914

გამოყენების წინ გაცხადით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების
შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ უკან

რა ფარულ საფრთხეებს შეიცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტი

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს მთავრობის მიერ, 27 ოქტომბერს დამტკიცებულმა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტმა, რომელიც მავანთა და მავანთა მიერ, არც მეტი, არც ნაკლები, გვიპროპაგანდად მოინათლა?

ნინო ჯავახიშვილი

საზოგადოების ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ამ სტანდარტით ბავშვებს ბალის ასაკიდანვე ასწავლიან, თითქოს ტრანსგენდერობა ნორმაა, ხოლო გენდერი — არჩევითი მოცემულობა. ამან კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოზარდების ფსიქიკას და ამიტომაც, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის საჯაროდ მიმართა თხოვნით, ამოეღო სტანდარტიდან მე-19 მუხლის მე-2 გ პუნქტი. ამ მიმართვას ხელს იურისტი თამთა მეგრელიშვილიც აწერს და „ფეისბუქ“-გვერდზე საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირებასაც არ ერიდება. მისი აზრით, ბავშვებს ბალის ასაკიდანვე დაუფიქსირ-



ვლო სტანდარტის დამკვიდრებაზე უარს ვამბობ, თუ ის ასწავლის, რომ ბავშვებში ბიჭებისა და გოგონების გენდერული ნიშნით გამორჩევა არასწორია და აღმზრდელმა ყველა ტიპის საქმიანობაში ბავშვების

გენდერთან მოახდენს თვითიდენტიფიკაციას! მე ვგმობ ყოველგვარ ძალადობას! მე, როგორც რიგით მოქალაქეს, არ მინდა, რომ ვინმე ძალადობისა და შევიწროების მსხვერპლი იყოს, ხოლო როგორც იურისტი, ვალდებული ვარ, დავდე ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე!

— ქალბატონო თამთა, მე გულდასმით წავიკითხე ეს სტანდარტი და ასე პირდაპირ ვერ დავინახე ის საშიშროება და საფრთხე, რაზედაც თქვენ მიანიშნებთ. იქნებ, უფრო დავგიკონკრეტოთ, რა არ მოგწონთ?

— ადამიანი დაბადებიდან გარდაცვალებამდე განვითარების მრავალ ეტაპს გადის. მაგალითად, ბავშვი ვინრო ოჯახური გარემოდან ხვდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სადაც პერსონალთან ერთად იწყებს საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას: ხის, მუყაოს, პლასტმასისა და სხვა სახის ნივთების შეცნობას. იქ არსებული გარემო კომპლექსურად ემსახურება წარმოსახვის, შემოქმედებითობის, კრიტიკული აზროვნებისა და კონკრეტული ქცევების ჩამოყალიბებას. სწორედ ამ უნარ-ჩვევების ნაკრებს მიჰყავს ის პიროვნულ განვითარებამდე, რაც ვლინდება ქცევაში და ქმნის ინდი-

ბავშვი ჩათვლის, რომ გენდერი არჩევითი მდგომარეობაა და რომ მას შეუძლია, თავად აირჩიოს, რომელ გენდერთან მოახდენს თვითიდენტიფიკაციას!

ჯებთ აზროვნებას — შეიძლება მათ ჩათვალონ, რომ გენდერი არჩევითი მოცემულობაა და ამას ბავშვზე ძალადობად აღიქვამს. ქალბატონ თამთას დაფუკავშირდით იმაზე სასაუბროდ, თუ რა საფრთხეებს ხედავს ამ სტანდარტის დამკვიდრებაში, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსს, ნინო ბესელიას ვთხოვეთ, საზოგადოებისთვის აეხსნა, რას ემსახურება და რა სასიკეთო მიმართულებები აქვს სტანდარტს.

თამთა მებრაქიშვილი, იურისტი:

— სკოლამდელი განათლების გენდერულად ნეიტრალური სახნა-

თანასწორად ჩართულობა უნდა უზრუნველყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბიჭები ტრადიციულად ბიჭებისთვის საინტერესო საქმიანობითა და გართობით კი არ იყვნენ უპირატესად დაკავებულნი, ხოლო გოგონები ტრადიციულად გოგონებისთვის საინტერესო საქმიანობით, არამედ ისინი თანაბრად დაკავდნენ ყველა ტიპის გართობითა და საქმიანობით. ეს უპირისპირდება ადამიანის ბუნებრივ სანყისებს და პირდაპირ კავშირშია სქესთა აღრევის თეორიასთან. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ჩათვლის, რომ გენდერი არჩევითი მდგომარეობაა და რომ მას შეუძლია, თავად აირჩიოს, რომელ

ვიდს. ინდივიდუალობა კი ძალიან რთული ფენომენია. მკვლევრები ამბობენ, რომ „ადამიანები ჰგვანან ყველა სხვა ადამიანს, ჰგვანან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგვანან არავის“. აქედან გამომდინარე, გოგონებსა და ბიჭებს შორის არსებული განსხვავება სიცოცხლის პირველსავე წელს ვლინდება. თამაშის პროცესში მათი განვითარებისთვის აუცილებელია სპეციფიკური გარემო და მიდგომები. მაგალითად, გოგონების თამაში ახლო ხედვაზეა გათვლილი, ისინი თვალწინ განალაგებენ ხოლმე სათამაშოებს, ბიჭები კი სივრცეს საჭიროებენ — დარბიან, ისვრიან, ანუ მათი თამაშები უფრო შორს ხედვას ემყარება. მაშინ, როდესაც მოცემულ ეტაპზე თამაში ბავშვის ქცევის ნამყვანი ფორმაა, ჩემთვის მისაღები არ არის სამინისტროს არგუმენტები, თუმცა ეთიკური და მორალური ღირებულებები (ბიჭმა გოგოს რომ უნდა დაუთმოს სკამი, არ უნდა დაარტყას, იზრუნოს პირად ჰიგიენაზე და სხვა) საკამათო არ არის. ჩემი აზრით, ძალადობაა, როდესაც მაიძულებენ მივიღო ის, რასაც საკუთარი ნებით არ ვეთანხმები, ძალადობაა ყოველგვარი ქმედება, რომლის დროსაც

სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად ეხებიან თქვენს და ჩემს ღირსებას, ძალადობაა, როდესაც თავდაცვით თავდასხმაზე გადმოდიან...

ნინო ბესელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი:

— 2015 წელს შემუშავდა სკოლამდელი განათლების კანონი, რომელშიც მოცემულია არაერთი სამთავრობო ორგანიზაციისა და მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობისა და უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი. სამინისტროს ევალება, შექმნას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტები. ამ სტანდარტებში განხილულია, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები, რა ღირებულებები უნდა გამოუმუშავდეს ბავშვს და რა უნარ-ჩვევები, ცოდნა და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პედაგოგს, პოზიტიური სასწავლო-სააღმზრდელი გარემო რომ შექმნას. ჩვენი მოვალეობაა მონიტორინგის სისტემის შემუშავება, რათა შემდგომ დავაკვირდეთ პროცესებს, როგორ იწერება ეს

სტანდარტები — შემუშავდება რეკომენდაციები, გადაცემა მუნიციპალიტეტებს და დაწესებულებები გაითვალისწინებენ. სტანდარტს აქვს რამდენიმე მიმართულება: ფიზიკური და სენსორული განვითარება, შემეცნებითი განვითარება, კომუ-



ღირებულებები უნდა ჰქონდეს პედაგოგს, პოზიტიური სასწავლო-სააღმზრდელი გარემო რომ შექმნას

4 ლაკაბრიდან

LVINIS ელი ენციკლოპედია

ახლანდელ „ჯიხის ჰაიპის“ მათხვედრის სპონსორი ფასი **23.50 ლ** ბაზეთთან ერთად **25 ლ**

მოქართული ორსომედი

მაგარი ყლით

საქართველო

ელვა

პალიტრა L

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.

ნიკაცია და მეტყველების განვითარება, სოციალური და ემოციური განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა და ასევე, მნიშვნელოვანია ხელოვნების, მეცნიერებისა და ნიგნიერების მხრივ მათი განვითარება. სწავლება მთლიანად ბავშვზეა ორიენტირებული, ბავშვია ჩვენი ამოსავალი წერტილი და შემოიქცევა, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ამ სტანდარტზე მომუშავე ადამიანებს სიკეთის, სიყვარულის, პატიოსნებისა და სინამდის გარდა, სხვა ფარული ზრახვები არ ამოძრავებთ.

— **ეს სტანდარტები ქართველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს თუ რომელიმე ქვეყნის მოდელი გადმოიღეს?**

— სტანდარტი შემუშავდა ჩვენთან, ქართულ ლირებულებებზე,

სწორედ ადრეულ ასაკში ხდება ბავშვის ტვინის ფორმირება, ისინი ღრუბელივით ისრუტავენ ყველაფერს და რა არის იმაში ცუდი, თუ მათ გარკვეული ცოდნა და უნარ-ჩვევები ადრიდანვე ჩამოუყალიბდებათ?

— **რას ფიქრობთ, საზოგადოების მხრიდან რა იქნა არასწორად გაგებული და რაში ხედავენ ფარულ საფრთხეს?**

— ჟურნალისტის მთავარი ვალდებულებაა, ფაქტები სწორად მიანოდოს საზოგადოებას, მან საკუთარი მოსაზრებები და ვარაუდები თავს არ უნდა მოახვიოს ხალხს. „ქრონიკის“ სიუჟეტის შემდეგ ალაპარაკდა ხალხი, რომ თითქოსდა ამ სტანდარტით ისწავლება ბალებში, რომ გენდერი არჩევითი და არა ბიოლოგიური მოცემულობაა. ჩანანერი, რომელმაც

ქმიანობა საკვების მომზადებაც, რომელიც მათემატიკურ წარმოდგენებზეა აგებული: ვთქვათ, ავილოთ ნახევარი სტაფილო, მომანოდე პურის 2 ნაჭერი და ა. შ. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტში მრავლადაა ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავენ შემდეგს: ბავშვმა იცის საზოგადოებაში ქცევის წესები და ისიც, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ წესების დარღვევას; იცის, რომ უნდა იზრუნოს გარემოზე და არ უნდა დააბინძუროს, რომ თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა გარკვეულ საქმიანობებში, გამოუმუშავებული აქვს შრომის ჩვევები: მაგიდის ალაგება, ოჯახის წევრების დახმარება სხვადასხვა საქმიანობის დროს და ა.შ. აი, სწორედ ამ საქმიანობებში უნდა მონაწილეობდნენ გოგონები და ბიჭები. მათ არჩევანში არავინ ზღუდავს და ეს განსაზღვრულია სტანდარტით და არა მარტო სტანდარტით — ბავშვის უფლებათა კონვენციითაც, რომლის ცოდნაც ევალებათ აღმზრდელ-პედაგოგებს. ამ ჩანანერში სხვა არაფერი იგულისხმება. ეტყობა, ტერმინი გენდერი სხვადასხვა მნიშვნელობით აღიქმება. აღნიშნულ ინდიკატორში გენდერი ქალისა და კაცის სოციალური როლით შემოიფარგლება. მე ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი ომობანას, ე.წ. ბიჭების თამაშს და მახსოვს, ბიჭები ჩვენთან ერთადაც თამაშობდნენ სახლობანას და რა შეიცვალა ამით, არასწორად ჩამოყალიბდით? ჩვენ ცხოვრებისთვის ვამზადებთ ბავშვებს და ამ სისტემაში მომუშავე ადამიანებს არ აქვთ იმის ინტერესი, რომ მათ აზროვნება დაუმახინჯონ.

— **თუ რომელიმე არ დაინტერესდება თამაშით, პედაგოგი ვალდებულია, სურვილის საწინააღმდეგოდ აუცილებლად ჩართოს ბავშვი ამ აქტივობაში?**

— რა თქმა უნდა, არა. თუ ბავშვს არ უნდა, ვინ დააძალებს? სტანდარტში მოცემულია მუხლები, რომლითაც გამოირიცხულია, ბავშვის სურვილის საწინააღმდეგოდ რამის დაძალება. არჩევანის უფლება ბავშვს ყოველთვის აქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არანაირი გენდერული შინაარსი არ არის ჩადებული სტანდარტში, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების გარდა, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას მაღალზნეობრივ ლირებულებებს განუვითარებს!

აღნიშნულ ინდიკატორში გენდერი ქალისა და კაცის სოციალური როლით შემოიფარგლება

თუმცა გავცანით სხვადასხვა რესურსს. ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, პედაგოგები, აღმზრდელები, დირექტორები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, საზოგადოების წევრები. ეს რამდენიმე ადამიანის ნააზრევი კი არ არის, გუნდის მიერ შემუშავებული სტანდარტია, რომლის მიხედვითაც სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება იწყება საბავშვო ბალებში. ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან

რატომღაც განსაკუთრებული შემოფოთება გამოიწვია, ასეთია (19-ე მუხლში, მიმართულება — ინკლუზიური განათლება): „პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის თანაბარ ჩართულობას, განურჩევლად მისი შესაძლებლობებისა. აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი თანაბრად ურთიერთობენ თითოეულ ბავშვთან — არ გამოარჩევენ მათ შესაძლებლობების, გარეგნული თავისებურებების, რელიგიის, ასაკის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, სოციალური მდგომარეობის და სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით“. და კიდევ: „აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ბავშვებს არ გამოარჩევენ გენდერული ნიშნით — ხელს უწყობენ გოგონებსა და ბიჭებს, ყველა ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად“. სტანდარტშივე განმარტებულია საქმიანობის ტიპები, რომლებიც რუტინული საქმიანობებით შემოიფარგლება — სათამაშოების ალაგება, გარემოს მონესრიგება... მაგალითად, ზოგჯერ მასწავლებელი გოგონებს არ ათამაშებს კონსტრუქტორით, რადგან ეს ბიჭის გასართობად ითვლება, მან არ უნდა გამოარჩიოს ამ დროს ბავშვები გენდერული ნიშნით. კონსტრუქტორით თამაში ბავშვების შემეცნებით განვითარებას უწყობს ხელს. კონსტრუქტორს თუ ავანსობინებთ გოგონებს, ამით რა დაშავდება? მნიშვნელოვანი სა-



მახსოვს, ბიჭები ჩვენთან ერთადაც თამაშობდნენ სახლობანას და რა შეიცვალა ამით

ფოსტალიონის მოგონებები, ხელნაწერი წერილების რომანტიკა და „მოკითხვამდე“ შეყვარებულებისთვის

„სოფელში იყო ადგილი, სადაც ველოსიპედითა და ჩანთით გავლა არ მინდოდა“

თამუნა კვინიკაძე

გურამ ბაღდაძე 45 წელია, საქართველოს ფოსტის თანამშრომელია. მისი პროფესიული ბიოგრაფია ერთი სოფლის ფოსტალიონობით დაიწყო.

— აბაშის რაიონის სოფელ ტყვირში დავიბადე და გავიზარდე. სკოლა 1972 წელს დავამთავრე. წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, ყველა საგანში უმაღლესი შეფასება მქონდა. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაბარება მოვიწოდე, გამოცდებზე გავედი, მაგრამ ვერ მოხვდი. ამის გამო იმდენად ვინერვიულე, რომ დეპრესია დამეწყო, გარეთ აღარ გავდიოდი, ჩავიკეტე, ჭამაზეც კი უარს ვამბობდი. მეგონა, დიდი სირცხვილი იყო. ამ მწარე იმედგაცრუებისას, გაზეთ „კომუნისტი“ შემთხვევით ამოვიკითხე, კავშირგაბმულობის ინსტიტუტი აბიტურიენტების მიღებას აცხადებდა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან განსხვავებით, გამოცდები შემოდგომაზე იწყებოდა. მობობებს ვუთხარი, — აუცილებლად უნდა წავიდე-მეთქი. მანამდე საჭირო იყო, კავშირგაბმულობის დარგში სტაჟი მქონოდა. ფოსტალიონად მუშაობა ჩვენს სოფელში დავინწყე. პარალელურად

უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ვემზადებოდი.

— თქვენი პირველი სამუშაო დღე გაიხსენეთ?..

— ველოსიპედი მყავდა, წერილებსა და გაზეთებს ჩანთაში ჩავალაგებდი და სოფელში დავდიოდი. საკმაოდ მძიმე ჩანთა იყო. ყველა გაკვირვებული მიყურებდა, ამ პოზიციაზე ვერავის წარმოვედგინე.

— თავად რა განცდა გქონდათ?

— სიმართლე გითხრათ, უხერხულობის გრძნობა მქონდა. შეიძლება ამ განწყობას ისიც მიმდაფრებდა, რომ ჩემი ფოსტალიონობა ზაფხულის არდადეგების პერიოდს დაემთხვა, სოფელში დასასვენებლად უამრავი ადამიანი იყო ჩამოსული. მე კი მიზანი მქონდა და ჩემი გეგმა, რომელიც უნდა შემესრულებინა.

— ეჭვი მაქვს, დამსვენებლებს შორის, იყო გოგონა, რომელიც მოგწონდათ.

— (იცინის) ჰო, ახალგაზრდა გოგონების უფრო მრცხვენოდა. განსაკუთრებით არ მინდოდა, ერთს რომ ვენახე. ყველამ იცოდა, რომ გამოცდებს ვაბარებდი და უეცრად ფოსტალიონი გავხდი. თავს უხერხულად ვგრძნობდი.

სოფელში იყო ადგილი, სადაც



გამოცდებს ვაბარებდი და უეცრად ფოსტალიონი გავხდი

ველოსიპედითა და ჩანთით გავლა, არ მინდოდა. არადა, იქვე ახლოს წერილი მქონდა მისატანი. გამოსავალი ვიპოვე, წერილი ჩემს მეგობარს მივეცი და ვთხოვე, ადრესატამდე მიეტანა. მას იმდენად ვენდობოდი, ჩემი თხოვნა შეასრულა თუ არა, აღარ გადამიმონებია. შემდეგ

10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ

<input type="checkbox"/> ქისი	<input type="checkbox"/> უსახელაური	<input type="checkbox"/> ციცქა	<input type="checkbox"/> ოცხანური საფერე
<input type="checkbox"/> ქინძმარაული	<input type="checkbox"/> კახური მწვანე	<input type="checkbox"/> ცოლიკოური	<input type="checkbox"/> ალადასტური
<input type="checkbox"/> რქაწითელი	<input type="checkbox"/> ხიხვი	<input type="checkbox"/> ჩხავერი	<input type="checkbox"/> ჩინური
<input type="checkbox"/> საფერავი	<input type="checkbox"/> ხვანჭკარა	<input type="checkbox"/> ოჯალეში	<input type="checkbox"/> ტვიში
<input type="checkbox"/> მუკუზანი	<input type="checkbox"/> შავკაპიტი	<input type="checkbox"/> გორული მწვანე	<input type="checkbox"/> ახაშენი
<input type="checkbox"/> კრახუნა	<input type="checkbox"/> თავკვერი	<input type="checkbox"/> წინანდალი	

შეავსეთ კუპონი, ამოჭერთ და მოათავსეთ AllWine.ge-ის სადგეუსტაციო კუთხეებში განთავსებულ ყუთებში, მისამართებზე: თბილისი: კანდელაკის 7, ქავჭავაძის 7; თელავი: ერეკლე II და ბახტრიონის კვეთა; ბათუმი: მემედ აბაშიძის 52. ან მოათავსეთ საქართველოს ფოსტის ყუთში და გამოაგზავნეთ მისამართზე: იოსებიძის 49. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ Facebook-ზე: 10 ღვინო რომელიც უნდა გასინჯო • 10 Wines You Must Try, Email: 10wines@palitra.ge.

ვალისრა მელია

10 ღვინო რომელიც უნდა გასინჯო სანამ ცოცხალი ხარ

გავიგე, ჩემი მეგობარი მდინარეზე საბანაოდ წასულა, წერილს 2 დღე ჯიბით დაატარებდა. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, მსგავსი რამ აღარ განმეორებულა.

— ფოსტალიონობა შრომატევადი საქმეა, ხომ?

— ძალიან შრომატევადი და საპასუხისმგებლო. მაშინ ხომ ინტერნეტი არ არსებობდა, არც მობილური ტელეფონი იყო. პრესა ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. ჩემი დანახვა ყველას უხაროდა, ხალხისგან დიდ სითბოს ვგრძნობდი, განსაკუთრებით — ხანში შესული ადამიანებისგან.

— ოჯახებში შეპატიჟება, გამაპინძლება, მსგავსი შემოთავაზებები თუ იყო?

— რა თქმა უნდა, მსგავსი შემთხვევა ხშირად იყო, მაგრამ საამისოდ არ მეცალა. 450 ოჯახში ვიყავი მისასვლელი.

— დღის განმავლობაში რამდენ წერილს აბარებდით?

— 50-60 წერილს ვაბარებდი, მაგრამ უამრავი გაზეთი იყო: „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ლელო“... რუსულენოვანი გაზეთებიც ემატებოდა. მოსახლეობისთვის სავალდებულო იყო, გამოეწერათ.

შემდეგ ისე მოხდა, რომ აბაშის რაიონის საფოსტო კავშირგაბმულობის უფროსი საპენსიო ასაკის გამო თანამდებობიდან წავიდა. რაიკომის მდივანმა, მგელაძემ ითხოვა, ეს თანამდებობა დამეკავებინა, მამასაც ძალიან უნდოდა, მაგრამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. თბილისში ვიყავი უკვე წამოსული, სხვა გეგმები მქონდა და რატომღაც აბაშაში დაბრუნება აღარ მინდოდა.



უხერხულობის გრძნობა მქონდა

— გაიხსენეთ წერილი, რომელიც გამორჩეულად გახსოვთ.

— ყოველთვის ძალიან დიდი ემოცია ახლდა იმ წერილებს, რომლებსაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი ახალგაზრდები მშობლებს უგზავნიდნენ. ერთი შემთხვევა მახსენდება: ბიჭი საბჭოთა კავშირის შორეულ ქალაქ ულან-უდეში მსახურობდა, მშობლებისთვის ძალიან დიდი ხნის მანძილზე წერილი არ ჰქონდა მონერილი. ბუნებრივია, ოჯახში ყველანი ნერვიულობდნენ. ამიტომ, გადაწყვიტეს იმ ქალაქში გამგზავრებულიყვნენ. ერთ მშვენიერ დღეს მივედი და შვილის წერილი მივუტანე. ის ამბავი, ის სიხარული და ყრიაშული, რაც ამ წერილის მიტანას ახლდა, არასდროს დამავიწყდება. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხნის უნახავი შვილის ნახვის ტოლფასი სიხარული იყო. ბუნებრივია, მათი სიხარული მეც ძალიან მიხაროდა. მაშინ ხომ მხოლოდ წერილებით იგებდნენ ამბებს.

— „საქართველოს ფოსტაში“ რომელი წელიდან საქმიანობთ?

— 1972 წლის დეკემბერში მოვედი და იმ დღიდან „საქართველოს ფოსტაში“ ვმუშაობ.

— ამჟამად თქვენს თანამდებობაზე რას გვეტყვი?

— საფოსტო გზავნილებათა დახარისხების ცენტრის უფროსის მოადგილე ვახლავართ. ეს არის განყოფილება, სადაც თავს იყრის როგორც ქვეყნის შიგნით არსებული მიმომწერა, ასევე გზავნილები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ამ განყოფილებაში ხვდება ყველა წერილი. ბუნებრივია, მეთოდოლოგია და დახარისხების ტექნოლოგია დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ახლა კალამი კომპიუტერმა და ელექტრონულმა პროგრამამ ჩაანაცვლა. ამ წუთში, აქ ტომრებში დახარისხებული წერილებია, რომელიც გასაგზავნადაა უკვე მზად. თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლამ წერილების რაოდენობა შეამცირა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო შემთხვევები, როცა ამანათი მოდიოდა ნოემბერში და ადრესატი თებერვლამდე ვერ იღებდა. გზავნილების ძალიან დიდი რაოდენობა იყრიდა თავს, ხშირად დასალაგებლად ადგილი არ გვექონდა, დამხმარე ნაგებობებს ვიყენებდით, ფიზიკურად შეუძლებელი იყო ამის გამკლავება. დღეს მსგავსი პრობლემა აღარ გვაქვს, წერილების რაოდენ-

ობამ იკლო და თან ტექნოლოგიაც უფრო გამართული და დახვეწილია. საახალწლოდ გზავნილების რაოდენობა ახლაც იმატებს, მაგრამ შეფერხება აღარ გვაქვს.

— დღეს შეყვარებულებს წერილებს აღარ სწერენ, მაგრამ იმ პერიოდში, როცა თქვენ ფოსტალიონად მუშაობდით, ეს რომანტიკა ნამდვილად არსებობდა. შეყვარებულებისთვის წერილების მიტანაზე შეგიძლიათ რამე გვიამბოთ?

— ფოსტაში გარკვეული წესი იყო დამკვიდრებული, პირობითად ამ ფორმას „მოკითხვამდე“ ერქვა. ზოგიერთ გოგოს არ უნდოდა, მის მშობლებს გაეგოთ ბიჭისგან წერილებს რომ იღებდა. ფოსტის შენობაში მოდიოდნენ და კითხულობდნენ, მათ სახელზე წერილი ხომ არ იყო მოსული. ხშირად მართლაც ხვდებოდათ, ხელს აწერდნენ და ვატანდით. მაშინ წერილს დიდი ფასი ჰქონდა. ყველა სოფელს თავისი ფოსტალიონი ჰყავდა. ბევრი ფოსტალიონი ფეხით დადიოდა, მათ შორის ქალბატონებიც იყვნენ. დღეში 5-6 კილომეტრის ფეხით გაველა და თან მძიმე ჩანთის ტარება უწევდათ. ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ უნიკალური ნამუშევარია. ვერ დავთვლი, რამდენჯერ მაქვს ნანახი და კიდევ სიამოვნებით ვნახავ. ჩვენი პროფესიის ადამიანების ყოფა საკმაოდ კარგად არის წარმოჩენილი. კარგი იქნება, მსგავს ფილმებს სხვადასხვა პროფესიებზეც თუ გადაიღებენ.

— პროფესიიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძალიან ბევრ ადამიანთან გინევდათ. მათგან გამორჩეულად რომელიმე დაგამახსოვრდა?

— ერთხელ ხანში შესულ ქალბატონს წერილი მივუტანე. მას მეუღლეს გარდაცვლილი ჰყავდა, ერთი შვილი მოსკოვში ცხოვრობდა, მეორე — თბილისში. ეს ქალბატონი მართლაც ძალიან განიცდიდა, უკვე დაუძღვრებულ იყო. მითხრა, ვიცი, როგორი ოჯახის შვილი ხარ, უმაღლეს სასწავლებელში რომ ჩააბარებ და დაამთავრებ, შენი სოფელი არ მიატოვო, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში ვარ, არ მინდა, იგივე სხვებმაც გამოცადონ, ამ სიტყვებს ყველა ახალგაზრდას ვეუბნებო და ტირილი დაიწყო. მისი სიტყვები სულ მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევუსრულე. სამწუხაროდ, მისი იმედი ვერ გავამართლე.

იზრუნე მომავალზე

„ფონდი ნატახტარის“ თანხის შებენიანების მექანიზმები ტალღა დაიწყო



8 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით „ნატახტარის ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში 1, 3 და 5 თეთრი გადაირიცხება

„ფონდი ნატახტარის“ თანხის შეგროვების მექანიზმები ტალღის დაწყების თაობაზე პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელობასა და ჟურნალისტებთან ერთად, ფონდის საქმიანობაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ.

სტუმრების წინაშე სიტყვით გა-

მოვიდნენ და მომავალი გეგმები განიხილეს კომპანია „ნატახტარის“ გენერალურმა დირექტორმა, ჯუზეთ არათიმ, კომპანიის კორპორაციულ საქმეთა დირექტორმა, ნიკოლოზ ხუნდაკიშვილმა, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა, მანანა ომარაშვილმა. მათ მოწვეულ საზოგადოებას „ფონდი ნატახტარის“ საქმიანობის შედეგები და ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის ადვოკატობის კამპანიის დეტალები გააცნეს.

„ფონდმა ნატახტარმა“ ფუნქციონირება 6 წლის წინ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში შეგროვდა დაახლოებით, 756 ათასი ლარი და დახმარება გაუწიეთ 300-ზე მეტი ბენეფიციარს. კომპანია „ნატახტარი“ გააგრძელებს აღნიშნული პროექტის დაფინანსებას მანამდე, ვიდრე ამ ტიპის დახმარების აუცილებლობა იქნება საზოგადოებაში. 8 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით „ნატახტარის ლიმონათის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში 1, 3 და 5 თეთრი გადაირიცხება, — განაცხადა ნიკოლოზ ხუნდაკიშვილმა.

— საჭიროებების გათვალისწინებით, ვეხმარებით მოზარდებსა და ახალგაზრდებს, ეს იქნება თავშესაფრით უზრუნველყოფა, განათლებისა თუ კურსების დაფინანსება, გზის ხარჯების ანაზღაურება და ა.შ. ფონდის განსაკუთრებულია და უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მოზარდი არის ცალკე აღებული „ქეისი“ და მიდგომა თითოეულ მათგანთან, ინდივიდუალურია. ჩვენს რეალობაში ეს ერთადერთი პროექტია, რომელიც სერვისსა და მომსახურებას არ წყვეტს, როდესაც მოზარდები 18 წლის ხდებიან. პროექტი მათ მიჰყვება მანამდე, სანამ ისინი მზად იქნებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“, — აღნიშნა მანანა ომარაშვილმა.

[R]





სახე

ირმა ხარშილაძე

სხვათა შორის, ვაჟი — სოსო მაჭავარიანი ერთხელ ჩვენი ჟურნალის რესპოდენტიც იყო, ოღონდ მაშინ ანი შერმადინს არც იცნობდა. სოსო საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი, იტალიის 19-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული სანტა მარგარიტას „ტიგულიოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა და მისი საუკეთესო მოთამაშეც იყო; მანამდე თამაშობდა სლოვენის „ოლიმპიასა“ და იტალიის „ფორმიაში“. დღეს სოსო



ყველა ჩვენ გვიყურებდა. ესპანელებსაც კი ვაკვირვებდით

ულამაზესი სპორტული წყვილის დიდი სიყვარული და იმედი

ერთადერთი და მარადიული სიყვარულის სიმბოლო

ოდესღაც ეს გოგონა და ეს ვაჟი თბილისის ერთ სკოლაში, პარალელურ კლასებში სწავლობდნენ. მაშინ ძალიან პატარები იყვნენ და შესაბამისად, ვერც ამჩნევდნენ ერთმანეთს. მერე, წლები გავიდა და ბედისწერამ კვლავ შეახვედრა... ამჯერად — სამუდამოდ!

გოგონა ფრენბურთელია, ვაჟი — კალათბურთელი; ფაქტობრივად, ასაკითაც თანატოლები არიან და სიმალლითაც — გოგონა 22 წლისაა, ვაჟიც მალე „დაენევა“, ძალიან მალე გახდება 22-ის; ვაჟი — 2.00 მეტრია, გოგონაც თითქმის, ენევა — სიმალლე 1.85 მეტრი აქვს; ისეთი წყვილია, ჩვენი წინაპრები რომ იტყოდნენ: ფერი ფერსა და მადლი — ღმერთსაო!

და ანი წყვილად მოვიწვიეთ, უფრო დანვრილებით რომ მოეთხროთ, ასეთი ლამაზები და ტოლ-სწორები როგორ შეხვდნენ ერთმანეთს.

სოსო:

— ჩვენ საერთო მეგობარი გვყავს, ცნობილი კალათბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი შერმადინი, რომელიც ესპანეთში თამაშობს. წლების წინ მე და გიო ერთადაც ვთამაშობდით, სლოვენის „ოლიმპიაში“. იქიდან მოყოლებული, გიორგი ყოველთვის მხარში მედგა და დღემდე ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია. ანი თამაშობდა ესპანეთში, უმაღლესი ლიგის გუნდში — მადრიდის „ალკობენასში“, რომელიც ესპანეთის ჩემპიონიც იყო.

მოგვარეები — ანი და გიო ერთმანეთს ესპანეთში შეხვდნენ და დამეგობრდნენ. ანის მამა გარდაცვლილი ჰყავს და გიო ძმასავით ედგა მხარში. თუკი მადრიდში ჰქონდა თამაში, აუცილებლად ეპატიჟებოდა ანისაც და ისიც ხშირად ესწრებოდა მის თამაშებს. ანი გიოსთან ერთად გადაღებულ ფოტოებს თავის „ფეისბუქ“-გვერდზე ხშირად აქვეყნებდა, მე კი ამ ფოტოებს ვინონებდი. პარალელურად, მეც ვაქვეყნებდი გიოსთან ერთად გადაღებულ ფოტოებს და ანი მინონებდა. ასე, ინტერნეტით გავიცანით ერთმანეთი და დავმეგობრდით. ცხადია, ანი ძალიან მომეწონა და — იმიტომ...

ანი:

— მეც მომეწონა სოსო და მალევე გადავედით ვიდეოთვალთ საუბარზე. ამ საუბრების დროს აღმოვაჩინე, რომ კიდევ უკეთესი ბიჭი იყო, ვიდრე ფოტოებით ჩანდა.

სოსო:

— სამი თვის შემდეგ ესპანეთში ჩავაკითხე.

ანი:

— მისი ჩამოსვლა ძალიან მოუ-

ლოდნელი იყო. მადრიდში, მეფის სასახლის წინ ვცხოვრობდი. სოსომ, ასე თუ ისე, იცოდა მადრიდის ქუჩები და ის ადგილიც, რადგან ადრე მამასთან ერთად სწორედ იქ ჰქონია ფოტოები გადაღებული. ჩემს სახლთან იყო, როცა დამირეკა, თუ შინ ხარ, დაბლა ჩამოდიო. შინიდან გავდიოდი, ასე რომ, ფორმაში ვიყავი და მაშინვე ჩავირბინე. ქვევით ისეთი ბიჭი დამხვდა, როგორსაც ველოდი...

სოსო:

— თანაც, ჩვენს პირველ შეხვედრას კარგად დაემთხვა მუსიკალური ფონი. საერთოდ, მადრიდის ქუჩებში მუდამ ისმის სასიამოვნო მელოდია. ადრე ანისთვის ფილმ „ქალის სურნელიდან“ „ტანგოს“ მუსიკა მქონდა გაგზავნილი. იმ დღეს, ქუჩაში გამოვიდა თუ არა, სწორედ იმ ტანგოს მელოდია დაუკრეს და მეც მივხვდი, ერთმანეთისთვის რომ ვიყავით გაჩენილები.

— დიდი თაიგულით იდექი?

— ყვავილი მართლაც მეკავა, მაგრამ დიდი თაიგული არ იყო. მადრიდში რომ ჩავედი, ერთი სული მქონდა, ანის როდის ვნახავდი, ამიტომ წუთის დაკარგვაც არ მინდოდა, ისე გავიქეცი მისი სახლისკენ. გზად მხოლოდ ერთი ვარდი ვიყიდე, ერთადერთი და მარადიული სიყვარულის სიმბოლო!

ანი:

— მანამდეც თითო ვარდს მიგზავნიდა ხოლმე ინტერნეტით და დასძენდა: ეს ერთადერთი და მარადიული სიყვარულის სიმბოლოაო (იცინის)...

სოსო:

— ვარდთან ერთად, თამარ-მეფის გამოსახულებით, კულონიც მეკავა ხელში, როგორც დედოფლობის სიმბოლო.

ანი:

— ვხედავდი, ველაპარაკებოდი,



სოსოს გამო იქ თამაშზე უარის თქმა სულაც არ მენანება

მაგრამ თითქოს, ვერ ვიჯერებდი, იქ, ჩემ გვერდით რომ იყო... ბედნიერი ვიყავი...

სოსო:

— მე კიდევ ერთმა რამემ გამახარა: თავიდან ვერ ვიჯერებდი, ან მართლა მეტრი და 85 სანტიმეტრი თუ იყო. შორიდან ვერაფრით აღვიქვამდი, მაგრამ რომ შევხვდით და ფაქტობრივად, ერთმანეთს თვალები გაუფსნორეთ, გავოცდი... ასეთი ლამაზი ტანის გოგო სიმალლითაც ზუსტად შემეფერებოდა! მოდელივით მოდიოდა მადრიდის ქუჩებში. ყველა ჩვენ გვიყურებდა. ესპანელებსაც კი ვაკვირვებდით. ხშირად გვაჩერებდნენ და გვეუბნებოდნენ, რა ლამაზი წყვილი ხართო! თბილისშიც ასე ხდება, ყველა ყურადღებას გვაქცევს...

— **მოდი და, ნუ მოგაქცევთ ყურადღებას: ასეთი სიმალლისა და სილამაზის, ასეთი შესაფერისი წყვილი არცთუ ხშირად გვხვდება ქუჩაში... სოსო, დიდხანს დარჩი მადრიდში?**

— დიდხანს ვერ გავჩერდი ესპანეთში. თბილისში დავბრუნდი და ანის ველოდებოდი, რომელიც საბუთებს აწესრიგებდა, ესპანეთის მოქალაქეობის ნებართვას და „სათამაშო ვიზას“ ელოდებოდა. სექტემბერში ჩამომაკითხა და ორი თვე ვხვდებოდით, ბოლოს ერთმანეთის ოჯახის წევრებიც გავიცანით და გადაწყვიტეთ, დავოჯახებულიყავით.

— **სწრაფად გიმოქმედიათ...**

— 8 თვე გაგრძელდა ეს ყველაფერი... ცოტა ხნის წინ, 24 ოქტომბერს დავინიშნეთ. საკმაოდ დიდი ნიშნობა გადავიხადეთ,

80-კაციანი. სამწუხაროდ, გიორგი შერმადინი ვერ ჩამოვიდა, თამაშები ჰქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქორწილში აუცილებლად ჩვენ გვერდით იქნება. რა თქმა უნდა, ქორწილსაც საკმაოდ მასშტაბურად აღვნიშნავთ და ამისთვის სერიოზულად ვემზადებით, რადგან სტუმრად უცხოელებსაც ველოდებით. იქამდე კი დიდი დროა — ლამის, ერთი წელი, რადგან ანის კიდევ უწევს ესპანეთში ჩასვლა, საბუთების საკითხი უნდა დაასრულოს...

სამწუხაროდ, მე ვეღარ ვთამაშობ კალათბურთს. გასულ ზამთარს ძალიან ცუდი ტრავმა მივიღე, კოჭი მოვიტეხე და ახლაც რკინები მაქვს ჩადგმული. ამიტომ, ჩემი მეორე პროფესია გავიხსენე — ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ვმუშაობ ისრაელ-საქართველოს დიზაინერ მენარმეთა ასოციაციაში, რომლის პრეზიდენტი ცნობილი ებრაელი დიზაინერი და ბიზნესმენი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი მაქს მეიერ შავიტია და საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტი მაქვს — ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ.

— **ანი, ესპანეთში აღართამაშებ?**

— ახლა დროებით, შესვენება ავიღე. საერთოდ, მინდა, თამაში საქართველოში განვაგრძო, ჩვენს ეროვნულ ნაკრებში. ფრენბურთის ფედერაცია დამთანხმდა, მიგიღებთო.

— **საქართველოს ნაკრებში არასდროს ვითამაშია?**

— საქართველოდან რომ წავედი, 15 წლის ვიყავი და ასაკიდან

გამომდინარე, უფლება არ მქონდა, ეროვნულ ნაკრებში მეთამაშა. პერსპექტიულ მოთამაშედ მასახელებდნენ, რადგან ნარმატეული სპორტსმენი ვიყავი. იმიტომაც მიმინვია მადრიდის გუნდმა.

— **არ გენანება იქაურობის მითოვება? არ სცადე, სოსო გადაგებირებინა?**

სოსო:

— შეიძლება, ამხელა, 2-მეტრიანი ბიჭის გამო დაენანოს (იცინის)?

ანი:

— რას ამბობთ, სოსოს გამო იქ თამაშზე უარის თქმა სულაც არ მენანება! სოსო აქ თავისი საქმით არის დაკავებული და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ, ერთად ყოფნა გვინდა და ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია.

სოსო:

— ჩვენს სახლში ვცხოვრობთ, ერთად ყოფნა გვიხარია. არც კულტურულ ცხოვრებას ვაკლდებით და არც სპორტულს — ახლაც, კინოთეატრიდან დავბრუნდით. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და მომავალს იმედინად ვუყურებთ... ბედნიერებაც სხვა რაღა არის?! ■



არც კულტურულ ცხოვრებას ვაკლდებით და არც სპორტულს

„დროს თუ არ აჰყვები, მაშინ მართლა ბებერი ხარ!“

რუბრიკა „გემოვნებაში“ სამაგალითო და მისაბამი გემოვნებიან ქალბატონად სშირად ასახელებენ ნანი ბრეგვაძეს. ამჯერად, მომღერალი თავად დავაყენეთ არჩევანის წინაშე და ვკითხეთ, თუ ვის გამოარჩევს, როგორც ყველაზე გემოვნებიან ადამიანს...

მანანა ბაბრიაძე

— პირველ რიგში, უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც გემოვნებიანად დამასახელა... გულწრფელად გითხრათ, გაკვირვებულნი ვარ, რადგან საქართველოში ბევრი ქალბატონია, რომლებსაც ამ მხრივ, ჩემზე წინ დავაყენებდი. კარგი გემოვნების ხალხი ნამდვილად გვყავს და რაღა მე ამომარჩიეს, არ ვიცი. თუმცა, ეს ძალიან სასიამოვნოა! სიტყვები არ მყოფნის, მადლიერება როგორ გამოვხატო!

— **რა ახდენს ადამიანზე ყველაზე დიდ გავლენას გემოვნების ჩამოყალიბებაში?**

— გემოვნება ღვთის ბოძებულია, როგორც ხმა, ლექსის წერის ნიჭი და ა.შ. შეიძლება, მხატვარიც კი არ იყოს ვილაციისთვის გემოვნებიანი... პირადად მე, ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ ასაკის შესაბამისად გამოვიყურებოდე. მაგალითად, თინეიჯერ გოგონებს რომ ვუყურებ, მათ სამოსში, აქსესუარებში რაღაცები მომწონს და იმწუთას მავიწყდება, რამდენი წლის ვარ. მერე მახსენდება ჩემი ასაკი და უკან ვიხევ — ეს აუცილებელია (*ილიმის*)! ასეთი რამ არ უნდა შეგეშალოს: რა უხდება თინეიჯერს და რა — შენს ასაკს! ზედმეტი არასოდეს უნდა მოგივიდეს, ზომიერება ყველაფერში აუცილებელია! ხშირად ვკითხულობ მოდის ჟურნალებს. რჩევებს ვეკითხები ჩემს არაჩვეულებრივ მეგობრებს, რომლებიც მოდის სფეროში ერკვევიან...

— **ასაკის მატებას ზოგიერთი ქალბატონი განიცდის, ზოგიც პირიქით, ამას საინტერესოდ მიიჩნევს...**

— ვფიქრობ, არც ერთ ქალს არ უხარია წლები რომ ემატება, მაგრამ



რატომ არ დაენანა ნანი ბრეგვაძემ დაპარტული ძმირად ღირებულ ნივთები

ტრაგედიაც არ უნდა შექმნა! მე მაგალითად, ჩემს ასაკს ხმამაღლა ველარ ვამბობ, რადგან მგონია, ამ ასაკის არ ვარ — მთავარია შინაგანი განწყობა! ცხოვრების ინტერესი არ უნდა დაკარგო! ღმერთმა იცის, კიდევ რამდენს ვიცოცხლებ, მაგრამ სულ რაღაცის იმედი მაქვს! არ უნდა იტირო და არ უნდა იყო დაბოღმილი, არ უნდა ბრაზობდე რაღაცებზე! იქნებ ახალგაზრდები მართლები არიან, საერთო ენის გამონახვა რომ უჭირთ უფროს თაობასთან... მე მსურს მივყვე დროს. დროს თუ არ აჰყვები, მაშინ მართლა ბებერი ხარ!

— **ადამიანმა რომ კარგი განწყობა შეინარჩუნოს, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება მოგზაურობაა. მეთანხმებით?**

— ნამდვილად! ერთი ძალიან საინტერესო ქალბატონი ამბობდა, — დანებეთ თავი ყველაფრის შექმნას, ბევრი იმოგზაურეთ და ის საქმე აკეთეთ, რაც ძალიან გიყვართ. ჰოდა, დიდხანს იცოცხლებთო... მართალია და ამ მოსაზრებას სრულიად ვეთანხმები! უამრავი რამ შევიძინე და შეიძლება, ჩემმა შვილიშვილებმა მერე ყველაფერი გადაყარონ, რადგან მოდაში სხვა რამ იქნება... ამიტომაც, მიხედვით ადამიანმა შენს ცხოვრებას და იმოგზაურე. ყველა ქვეყანას აქვს საინტერესო ისტორია.

პირველად საბჭოთა საზღვრებს რომ გავცდი, სადაც პირველად დავდგი ფეხი და დაუვინყარი შეხვედრა მქონდა, სადაც დიდი სიყვარული ვიგრძენი, ეს იყო პარიზი და შემდეგ — რომი... ახლაც გული მიფანცქა-

ლებს ის დღეები რომ მახსენდება. კიდევ ძალიან ბევრი ლამაზი ქალაქის დასახელება შემიძლია, მაგრამ გულთან და სულთან ახლოს, ეს ორი ქალაქია! პირველ ადგილზე მაინც, პარიზს დავასახელებდი, რომელიც დღეს „გაფუჭდა“... სამწუხაროდ, ადრინდელ პარიზს აღარ ჰგავს! საზღვარგარეთ მოგზაურობა კარგია, მაგრამ არ შემიძლია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს რომ არ ვენვიო! ასეთი ლამაზი მხარეები სხვაგან არსად მეგულება! მართალია, ბევრი რამ მიუღებელია, მაგრამ იმ სიტუაციაში, რაც ქართველებს გვაქვს, სხვაგან ვერსად იპოვით! ამიტომაც არის, რომ აქ ყველას სურს ჩამოსვლა... ახლახან ქუთაისში ვიყავი და სიხარულით ლამის გავგიჟდი: ადრინდელი თბილისი გამახსენდა, ყველას კეთილი სახე აქვს, ერთმანეთს უღიმიან. საერთოდ, ქუთაისი არის ადგილი, სადაც ყოველთვის საუკეთესო საზოგადოება ცხოვრობდა...

ბოლო ხანებში რაჭაზე შევიშალე. რაჭველმა მუსიკოსებმა გადავწყვიტეთ იქ ჩასვლა. მე მამული მაქვს, რომელიც დიდი ბაბუის დატოვებულია. ჩემი ბიძაშვილი დადის ხოლმე იქ და გარკვეული პერიოდით რჩება. გავგიჟდები, ცოტა ხანს იქ რომ არ ვიცხოვრო... ხვდებით, როდის მოვიდა ეს სურვილი? — უკვე ნახევარი ფეხით მეორე ქვეყანაში ვარ! მსურს, ყველა ჩემს მეგობარს დავანახო ის სილამაზე, რაც რაჭას აქვს. იქ ისეთი ბუნებაა, რომლის მსგავსს ვერც დახატავ!

— **რომელმა ქვეყანამ დატოვა**

თქვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება გემოვნებიანი მცხოვრებლების თვალსაზრისით?

— პარიზში პირველად 1964 წელს ვიყავი. „შერბურის ქოლგებში“ რომ ქალს შესანიშნავი ვარდისფერი პალტო აცვია, ისეთი ვიყიდე, ოღონდ — ბორდოსფერი... ასევე, შევიძინე „შანელის“ კუბოკრული კაბა და შავი სვიტერი. რომ დავინახავდი ქუჩაში კარგად ჩაცმულ ადამიანს, იმის მიხედვით ვიძენდი სამოსს... თბილისში იმ დროს იმდენად გემოვნებიანად ეცვათ, რომ მოსკოველები ვერ შეგვედრებოდნენ. ამბობდნენ კიდეც, თბილისი პატარა პარიზიაო... ყველა ქართველს შქონდა და აქვს ინტერესი, კარგად გამოიყურებოდეს. ნინო რამიშვილი თუ სადმე მიღებაზე მიდიოდა საზღვარგარეთ, მოცეკვავეებს ეუბნებოდა, ჯერ საუკეთესო პიჯაკები იყიდეთ, კარგად გამოეწყვეთ და მერე წამოდითო... სადაც მიდიოდნენ, ყველგან აცვიფრებდნენ ადამიანებს: ასეთი ლამაზი ქალები და კაცები სხვაგან არსად გვინახავსო.

არ შემიძლია არ გავიხსენო რომი და მილანი... მახსოვს, რომის აეროპორტში დიდხანს მომიხდა ყოფნა, რადგან თვითმფრინავს დაავადებდა. მეგონა, გამოფენაზე თუ ვიყავი იმდენად საოცრად კარგად ჩაცმული ხალხი დადიოდა ირგვლივ. შემდეგ მილანში ვიყავი და საუკეთესო მაღაზიებით, გემოვნებიანი ხალხით გამორჩეული ქალაქი აღმოჩნდა!

— თქვენთვის რომელი ფერებია მიმზიდველი, რა ფერის სამოსს ამჯობინებთ?

— ახლა რომ ვუყურებ ჩემს გარდერობს, შავი ფერი საერთოდ არ ჩანს... კაბები სულ სხვადასხვა ფერისაა: ჭრელი, ყვითელი, წითელი, ლურჯი... ჯერ კიდევ „ორერაში“ რომ ვმღეროდი, იქაც კი არ მცმია შავი კაბა. ტანსაცმელებს კარგ მაღაზიაში ვარჩევ, მაგრამ იმიტომ არა, რომ აუცილებლად ძვირფასი იყოს. ზოგჯერ უბრალო მაღაზიებშიც არის კარგად შეკერილი სამოსი... გასაკვირია და როდესაც ტანსაცმელს ვისინჯავ, არც ერთი ფერი ისე არ მიხდება, როგორც შავი. ამიტომაც, ბოლო დროს რალაცებს იშვიათად, მაგრამ შავსაც ვყიდულობ, ზაფხულში კი სულ ვცდილობ, ფერადი მეცვას.

— როგორი სამკაულები გიყვართ?

— უამრავი ლამაზი სამკაული მაქვს, თითო-ორი თუ იქნება იქიდან

ძვირად ღირებული. სამწუხაროდ, ისე ხდებოდა, რომ ყველაფერი მეკარგებოდა. ბევრ ოქროსა და ბრილიანტს მჩუქნიდნენ, ისრაელში მგონი, ორმეტრიანი მძივი მაჩუქეს, მაგრამ დამეკარგა. გული კი დამწყდა, მაგრამ ახლობლების ჯანმრთელობა ჩემთვის უმთავრესია! როდესაც ძვირად ღირებული ნივთებს ვკარგავდი, ვამბობდი, რომ ეს ალბათ ადამიანების კარგად ყოფნის ხარჯზე მოხდა-მეთქი... ოქრო კი გინდმქონია, გინდ არა! ძალიან მიყვარს ზურმუხტი. ზოდიაქოს მიხედვით ჩემი ქვაა. ასევე, მიყვარს მარგალიტები...

— რა აზრის ხართ პლასტიკურ ოპერაციებზე?

— ვისი რა საქმეა, მე რას გავიკეთებ?! ძალიანაც ვუყვლი ჩემს თავს! თუმცა, ამ ბოლო დროს ცოტა მეზარება, ეს ყველაფერი... ადრე სახეზე რალაც ინიექციებიც შემეყვანია, რადგან ქალმა თავს უნდა მიხედოს! არავის მოსწონს მსახიობი სცენაზე „მოჭუჭკნული“... ერთადერთი, ახალგაზრდა გოგონებს რომ ვუყურებ, გული მისკვდება, ზოგს იმხელა ტუჩი აქვს. ყველა ერთმანეთს დამესგავსა და აღარ არსებობს ინდივიდუალობა... ტუჩიც გაიდიდე, კი ბატონო, ოღონდ ზომიერად!

— თქვენზე უთქვამთ, ოცი წლის გოგოს აღნაგობა აქვსო...

— ღმერთმა დამიფაროს, ამ ასაკში ოცი წლის გოგოს ტანადობა მქონდეს! ყველა ასაკს შესაფერისი სილამაზე აქვს! ლამაზად მოხუცებულ ქალს რა სჯობია?! მაგალითად, ნინო რამიშვილი ბოლო წლებში ნაოჭებით საოცრად გალამაზებული და დიდებული იყო... მთელი შენი ინტელექტი და შინაგანი სამყარო გარეგნობაში ჩანს სიბერეში — ამის ნათელი მაგალითი იყო ვერიკო ანჯაფარიძე!

რაც შეეხება აღნაგობასა და სიგამხდრეს, დიეტა არასდროს დამიცავს, ყოველთვის გამხდარი ვიყავი! ახალგაზრდობაში ვიყავი ცოტა უფრო ლამაზად შევსებული, ახლა კი რალაც კატასტროფა მჭირს, ვიკლებ და ვიკლებ... არავინ თქვას, არაფერს ვჭამ და ვსუქდებიო, ალბათ, არასწორად იკვებება... ორგანიზმს უნდა მოუსმინო.

ქალი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს. პირადად მე, მაღაზიაში კი არა, როდესაც სახლში ვარ და ვიცი, ფოსტალიონი უნდა მოვიდეს და მე ქვითარს ხელი უნდა მოვანერო, არავითარ შემთხვევაში, ხალათით არ

დავხვდები!.. პატივი უნდა სცე ყველას და შენც იგივე დაგიბრუნდება! რაც უნდა ცუდი მითხრას ადამიანმა, ცუდად არ ვუპასუხებ — ეს არის ჩემი ცხოვრების უმთავრესი წესი! არასოდეს არავინ გამილანძღავს, რადგან უარყოფითი ისევ შენზე მოქმედებს ცუდად!

— რა გაძლევთ ძალას, კარგი განწყობის შესაქმნელად?

— ყოველ დღით ქალმა შხაპი უნდა მიიღოს... ოღონდ, ხეხვა არ არის საჭირო, რადგან კანს აზიანებს. უბრალო წყლის გადავლება საც კი ყველაფერი მიაქვს, თუკი რამ უარყოფითია... ძალიან კარგად გიღვას, აბაშიძეზე ვცხოვრობ. ერთ მხარეს სულ ხეებია და ეს მშველის, თორემ წინა მხარეს სიმახინჯე კორპუსები ააშენეს. მისაღები ოთახის მხარეს იზრდება და იზრდება ხეები, მე კი სიამოვნებით გაყურებ ამ ულამაზეს, ამჯერად შემოდგომის ფერებში მორთულ ბუჩებს! საოცრად კარგი ჰაერი მოდის და ივსება ფილტვები... არასოდეს მიყვარდა ალკოჰოლი. ამ ბოლო დროს ოდავ თუ მოვწრუპავ, როდესაც სადილზე ვარ სტუმრად. სიგარეტსაც არ იღებს ჩემი ორგანიზმი. ვენედი, მაგრამ ცუდად ვხდებოდი და ბოლოს მივხვდი, ჯობდა, თავი დამენებებინა... ჯანსაღი ცხოვრების წესს მივდექ და თუკი მართლა კარგად გამოვიყურები, ამის წყალობა იქნება (ილიმის).



ღმერთმა დამიფაროს, ამ ასაკში ოცი წლის გოგოს ტანადობა მქონდეს

„ყველაფერი ერთად დამატყდა თავს, მარტო ვიყავი“

როგორ ცხოვრობს ნათია თოღუა გერმანიაში

21 წლის ნათია თოღუამ გერმანულ მუსიკალურ პროექტ „ვოისში“ მონაწილეობით ჟიურის წევრები აღაფრთოვანა... „რთული და ეკლიანი გზა იყო“, — ამბობს ნათია საქართველოდან გერმანიამდე გავლილ გზაზე საუბრისას. იმედგაცრუებული მომღერლის თქმით, საქართველო არ აღმოჩნდა ის ადგილი, სადაც წარმატებას მიაღწევდა.

სოფო ჟონიშვილი

— გალის რაიონში დავიბადე და გავიზარდე. ხშირად გვინევდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, მაგრამ ბავშვობის წლები ნაბაკეში მაქვს გატარებული. ამავე სოფლის მე-13 საშუალო სკოლა დავამთავრე.

— დედამამიშვილები გყავს?

— დიახ, ერთი და და ერთი ძმა მყავს.

— გარდა იმისა, რომ მღერი, კიდევ რას საქმიანობ?

— 2013 წელს კავკასიის უნივერსიტეტში ჩავირიცხე. სამჯერ გამოვიცვალე ფაკულტეტი, საბოლოოდ კი ჯანდაცვის მეცნიერებისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე შევაჩერე არჩევანი. მე-4 კურსზე ფინანსური პრობლემების გამო აკადემიური ავიღე, რადგან თანხის გადახდა აღარ შემეძლო.

— მობლები გინდინენ სწავლის საფასურს?

— ვმუშაობდი ჯგუფ „ვაკის პარკთან“ ერთად და მქონდა გარკვეული შემოსავალი.

— როგორ დაიწყო შენი მუსიკალური კარიერა?

— 17 წლისამ ერთ-ერთ პროექტში მივიღე მონაწილეობა და აქედან დაიწყო ჩემი მუსიკალური კარიერა. პირველად სწორედ მაშინ დავდექი სცენაზე და მიკროფონიც პირველად დავიჭერე ხელში. ბენდთან ერთად სიმღერა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ამის შემდეგ მივხვდი, რომ მუსიკალური კარიერა უნდა გამეგრძელებინა.

— როგორ აღმოჩნდი გერმანულ „ვოისში“?

— უნივერსიტეტში აკადემიურის აღების შემდეგ, 2017 წელს წამოვედი გერმანიაში. ოჯახში ვმუშაობდი, პარალელურად ვსწავლობდი გერმანულს, რომ აქაურ უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა იმ ფაკულტეტზე, სადაც თბილისში ვსწავლობდი. მუსიკალურ კარიერაზე აღარც ვფიქრობდი. ჩემს

დაბადების დღეზე, როცა ინტერნეტში რაღაცებს ვეძებდი, The Voice of Germany-ის შესარჩევი ტურის რეკლამა ვნახე და დამინტერესა. დავრეგისტრირდი და შიდა შესარჩევი ტურზე დამიბარეს. გასაუბრებისას მითხრეს, შენი ვიზით პროექტში მონაწილეობის უფლება არ გაქვს. თუ გინდა, უბრალოდ, შენი სიამოვნებისთვის იმღერეო. მერე გიტარაზეც დავეუკარი და ვიმღერე. გაოცდნენ. მითხრეს, გარკვეულ დროს მოგცემთ და თუ ვიზის პრობლემებს მოაგვარებ, შეგვეხმარებოდნენ... მოკლედ, გამიმართლა, გერმანიაში გათხოვილი ქართველი ქალბატონი დამიკავშირდა და მისი დახმარებით, ვიზა გამიგრძელეს. ბედნიერი და გახარებული ვარ. მჯერა, მიზანს მივაღწევ, ბრძოლას ყოველთვის აქვს შედეგი. ჩემი პირველი გამოსვლა გერმანულ „ვოისში“ წარმატებული იყო.

— პროექტში ახლა რა ეტაპზე ხარ?

— ამის წინასწარ თქმის უფლება არ მაქვს. 19 ნოემბერს გაშუქდება ტელევიზიით შემდეგი ეტაპი და ქართველი გულშემატიკორებიც შეძლებენ ახალი ვიდეოს ნახვას.

— შენ გარდა, ოჯახში მღერის ვინმე?

— ჩემი ოჯახის ყველა წევრს აქვს სიმღერის ნიჭი. დედის მხრიდან დიდი ბაბუა კოლხურ „სუიტაში“ მღეროდა.

— ვისთან ერთად ხარ ახლა გერმანიაში?

— სრულიად უცხო ადამიანები მიდგანან მხარში და მეხმარებიან ჩემი მიზნების განხორციელებაში. ამჟამად ვცხოვრობ ნათია მხეიძისა და მისი მეუღლის, რაინერ შმიდტის ოჯახში, სადაც თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარი სახლში. ეს ადამიანები ისე მექცევიან, როგორც შვილს.

ნათია მხეიძე „ჯგუფ ვაკის პარკის“ წევრების ბავშვობის მეგობარია. ის ჯერ კიდევ თბილისში, ბარში



სრულიად უცხო ადამიანები მიდგანან მხარში და მეხმარებიან

სიმღერისას გავიცანი. გერმანიაში ჩამოსულს დახმარების ხელი გამოიმინოდა და შემომთავაზა, მასთან მეცხოვრა. უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე, მასთან ვიქნები, შემდეგ კი გადავალ იმ ქალაქში, სადაც სასწავლებელია.

— გერმანიაში საკუთარი შემოსავალი გაქვს?

— კი, მაგრამ სტაბილურად მუშაობას ვერ ვახერხებ.

— და არასტაბილურად სად მუშაობ?

— ბარში ვღერი ან ძიხად ვმუშაობ.

— უცხო ქვეყანაში გზის გაკვალვა არ გაგიჭირდა?

— თავიდან ამ პროგრამით უამრავი დაბრკოლება შემექმნა... ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, უკან დაბრუნებაზეც ვფიქრობდი, მაგრამ საბედნიეროდ, იმდენი თანხა არ მქონდა, წასასვლელი ბილეთი რომ მეყიდა, თორემ დარწმუნებული ვარ, უკვე საქართველოში, ჩვეულ ამპლუაში ვიქნებოდი.

— საქართველოში „X ფაქტორიდან“ გაიცნო საზოგადოებამ. თუმცა, პროექტს დროზე ადრე გამოეთიშე...

— ქართულმა „X ფაქტორმა“ მიმახვედრა, რომ სასწრაფოდ უნდა წავსულიყავი იმ გარემოდან, სადაც არ გამომდიოდა ის, რაც მინდოდა. რეალურად, ადამიანებს ძალიან ცოტა დრო გვაქვს რაღაცის მისაღწევად და ამიტომაც, უნდა მემოქმედა.

— კმაყოფილი ხარ საკუთარი გადწყვეტილებით?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, წინ კიდევ უფრო დიდი წარმატება მელის. მთავარი შემართება და საკუთარი თავის რწმენაა, რომელსაც არასდროს ვკარგავ, ყველაზე მძიმე და რთულ პერიოდშიც კი. ეს თვისება საკუთარ თავში განსაკუთრებულად მომწონს.

— შეგიძლია საკუთარი თავის დახასიათება?

— ვფიქრობ, ერთგული და მიზანდასახული ვარ და კიდევ, ოპტიმისტი. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მიუხედავად მათი სტატუსის ან მდგომარეობისა.

— რა თვისება გაქვს ისეთი, რაც არ მოგწონს და ცდილობ, გამოასწორო?

— ზარმაცი ვარ, მაგრამ ამ მხრივ საკუთარ თავზე ვმუშაობ (იციან). არასდროს ვაფუჭებ საქმეს სიზარმაცის გამო. თუმცა, ვალიარებ, მიჭირს ამ თვისების დაძლევა.

— ვინ არის ადამიანი, ვინც ყველაფერში მხარში გიდგას და იმედს გაძლევს?

— ყველაფერში სხვა ვერ დაგვეხმარება და სულ ჩვენ გვერდით ვერ იქნება. მგონია, რომ გულის კარნახს უნდა მივყვეთ და იმ გზაზე გავაგრძელებთ სვლას, რაც რეალური და მისაღებია. რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, მყავს ადამიანები, რომლებიც მამხნევენ და ზოგჯერ ძალას მაძლევენ, რომ არ გავჩერდე.

— დამარცხება ბევრჯერ გიგემია? დებრესია გრევიია?

— საქართველოსა და უკრაინის „X ფაქტორში“ მონაწილეობას ვერ დავარქმევ დამარცხებას, რადგან ამ პროექტებში ბრძოლის შანსიც არ მომეცა. უფრო იმედგაცრუებები მქონია, ამ ყველაფერმა გამაძლიერა და გადამაწყვეტინა გერმანიაში წამოსვლა.

— უკრაინულ „X ფაქტორში“ როგორ მოხვდი?

— ქართულ „X ფაქტორში“ მონაწილეობიდან ერთი წლის შემდეგ, უკრაინიდან დამიკავშირდნენ და პროექტში მონაწილეობა შემომთავაზეს. „Cry Baby“ შევასრულე. ამ შესრულებამ აღაფრთოვანა ყველა, წარმატებაც მომიტანა, მაგრამ ბოლოს მითხრეს, სახალხო ჟანრის პროექტები შენი სტილი არ არისო. დავბრუნდი ისევ თბილისში და „ვაკის პარკთან“ ერთად, თბილისის ბარებში ვმღეროდი. ერთ დღესაც

კონკრეტულ მაგალითებზე ვერ ვისაუბრებ. ცხოვრება რთულია, მაგრამ საინტერესო. ყველაფერი ერთად დამატყდა თავს, მარტო ვიყავი, გვერდით თითქოს არავინ მყავდა, მაგრამ კეთილი ადამიანების დახმარებით, დღეს შედარებით უკეთესად ვარ. ცხოვრებისეული სირთულეები ადამიანებს გვზრდის, გამოცდილებას გვაძლევს, გვაძლიერებს და ბევრ რამეს გვასწავლის.

— როგორ ფიქრობ, გარდა



ქართულმა „X ფაქტორმა“ მიმახვედრა, რომ სასწრაფოდ უნდა წავსულიყავი იმ გარემოდან

მივხვდი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და დავტოვე საქართველო.

— რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ჯერ სხვა, უფრო სერიოზული გეგმები მაქვს და პირადი ცხოვრებისთვის არ მცალკია.

— შეყვარებული არასდროს ყოფილხარ?

— სამწუხაროდ, შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ.

— დამოუკიდებელი რომ ხარ, ეს ფაქტია. რას ნიშნავს შენთვის თავისუფლება?

— ბევრს ვაკეთებ იმისთვის, რომ არ ვიყო არავისზე დამოკიდებული, რადგან თავისუფლება ძალიან მჭირდება. როცა მატერიალურად სხვაზე ხარ დამოკიდებული, თავისუფალი ვერ იქნები და შესაბამისად, წარმატების მიღწევაც გაგიჭირდება.

— რთული იყო გზა, რომელიც გამოიარე?

— რა თქმა უნდა, რთული იყო.

მუსიკალური მონაცემებისა, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ წარმატებულ მომღერლად ჩამოყალიბდე?

— იმისთვის, რომ წარმატებული მომღერალი იყო, ბევრი რამ არის საჭირო. ვფიქრობ, ხელოვნების სფეროში მნიშვნელოვანია ადამიანის ნატურალისტობა და ინდივიდუალიზმი.

მამაკაცების გაჯანსაღების მხარე

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, აღნომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქაილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საზღვარგარეთ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასოა). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: ნაართლის 142. I სართული, VI კაბინაში
ტელ: 599 90-54-78, 234-02-38 ქაიში

„გავთხოვდი და თეატრს თავი დავანებე...“

ნანა კუხალაიშვილის ოჯახური ტრაგედიები და სიცოცხლის წყურვილი



მსახიობი — ნანა კუხალაიშვილი ფართო საზოგადოებამ სერიალიდან — „ჩემი ცოლის დაქალები“ კრიმინლდას როლით გაიცნო. ქალბატონი ნანა პროფესიით მსახიობი გახლავთ, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, შემოქმედებით ცხოვრებაში 20-წლიანი პაუზა ჰქონდა... ამჟამად, ის თეატრში — „სივრცე“ დასის ხელმძღვანელი და სამხატვრო ხელმძღვანელის ასისტენტი გახლავთ. თანამშრომლობა ახალგაზრდებთანაც უხდება და ცნობილ, გამოცდილ მსახიობებთანაც. პარალელურად, სპექტაკლებში მონაწილეობს... წლების მერე, „საქმიანი ქალის“ ამპლუაში ყოფნა როგორია, ამის შესახებ სამუშაო დღის ბოლოს, ნანა კუხალაიშვილს ვესაუბრეთ...

ეთო ყორღანაშვილი

— დასის ხელმძღვანელობას თავს როგორ ართმევთ?

— საერთოდ, ხელმძღვანელის ამპლუაში ყოფნა არ მიჭირს, რადგან მცირე დოზით მენეჯერისთვის საჭირო თვისებები მაქვს. ახალგაზრდებთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. მგონი, ჯერჯერობით თავს კარგად ვართმევ.

— ახალგაზრდების გარდა, გამოცდილ მსახიობებთანაც თანამშრომლობთ. ალბათ, მათთან განსხვავებული მიდგომაა საჭირო, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ერთმანეთისგან არავინ უნდა განასხვავო. ჩემთვის არაადამიანური ქცევა უცხოა. ძალიან მეგობრული ვარ, მაგრამ იმავდროულად — მომთხოვნიც (მათ შორის, საკუთარი თავის მიმართაც). ეს ყველამ იცის და პრეტენზია არავის აქვს. მხოლოდ მათზე კი არა, საკუთარ თავზეც ვმუშაობ — მთელი ცხოვრება ასე გრძელდება... როცა გამოცდილ

მსახიობებთან ერთად მიწევს მუშაობა, უფრო ფრთხილი ვარ, რომ მათ უხერხულობა არ იგრძნონ. შეთანხმებულად ვმოქმედებთ. ვფიქრობ, კარგი გუნდი ვართ. ხელმძღვანელის, დირექტორის სტატუსს მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენი მთავარი მიზანია, გავიმარჯვოთ, ამისთვის კი ბევრი უნდა ვიმშრომოთ.

— მმართველის პოზიციაზე სხვა დროს თუ გიმუშავიათ?

— კი, ბიზნესის დარგში. მმართველობა „ჩემია“, რადგან ადამიანებთან საერთო ენას იოლად ვპოულობ, ძალიან კომუნიკაბელური ვარ. ამ მხრივ, მუშაობა არ მიჭირს, პირიქით — მსიამოვნებს კიდევ. ჩემი ამ თვისებით არასოდეს წამიგია, თუმცა სხვა საკითხია, ბიზნესში ძლიერი ვარ თუ არა და გეტყვით, რომ არ ვარ.

— თქვენი შენიშვნის გამო არასოდეს არავინ განაწყენებულა?

— შენიშვნას ისე არავის ვაძლევ, რომ ვანწყენინო. ვურჩევ, — იქნებ, ასე ჯობდა-მეთქი? მერე თავად ხვდებიან... სათქმელს დაყვავებით ვუუბნები.

— ასეთი დელიკატურობის გარდა, კიდევ რა არის საჭირო კარგი ხელმძღვანელისთვის?

— უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელი შინაგანად შემდგარი ადამიანი უნდა იყოს. იმას არ ვგულისხმობ, რომ თავის პროფესიაში გაუმართლოს, ან ყოველი ბიზნესი ჰქონდეს და მილიონები ენყოს. უბრალოდ, კარგი, კეთილი პიროვნება უნდა იყოს... პირადად მე, მკაცრ ხელმძღვანელთან ვერ ვიმუშავებ, ჩემნაირი კი ბევრია. თუ არ ვიმსახურებ, მკაცრად არ უნდა მომექცე. დისციპლინა აუცილებელია, მაგრამ ეს ყველაფერი სიყვარულით უნდა „იფარებოდეს“. ადამიანს სიყვარულის უნარი უნდა ჰქონდეს და მეტი სიტბოს გაცემა შეეძლოს. მუშაობის განმავლობაში, დაძაბული სიტუაცია მეც შემქმნია, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ არასწორად შენიშვნას არავის ვეტყვოდი. ზღვარი უნდა არსებობდეს: მუშაობისას უნდა ვიმუშაოთ, სამსახურის მერე კი — მეგობრები ვიყოთ.

— თქვენი პირველი სამსახური გაისხენეთ...

— თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა რომ დავასრულე, მარჯანიშვილის თეატრში კასტინგი ჩატარდა. მე სხვა თეატრი მინდოდა, მაგრამ რაკი ჩემი მეგობრები „მარჯანიშვილში“ მივიდნენ, მე „ცალკე მხარეს“ ვრჩებოდი. ამიტომ, მეც იქ მისვლა გადავწყვიტე. 3 წელი ვმუშაობდი (უმეტაო თანამშრომელი ვიყავი). ის წლები ჩემთვის დაუფინყარია. არაჩვეულებრივ მსახიობებთან (ელენე ყიფშიძე, გიზო სიხარულიძე, გოგი გელოვანი, მალხაზ გორგილაძე...) ყოფნა მომიხდა. ცალკე თემა გახლავთ ის, რომ ბევრი როლი არ მითამაშია, რადგან მაშინ მარჯანიშვილის თეატრი „კლანებად“ იყო დაყოფილი — ეს ცუდი პერიოდი ყველას გვახსოვს. მით უმეტეს, ახალგაზრდა მსახიობისთვის მაშინ არავის სცხელოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, დამსახურებული მსახიობი — ელენე ყიფშიძე პატარა გოგოს ისე მექცეოდა, როგორც თანატოლს. ეს უსაყვარლესი და გულთბილი ადამიანი ჩემი დაქალი იყო, რაც დიდ სტიმულს მაძლევდა. გიზო სიხარულიძეს ახალგაზრდები ძალიან ვუყვარდით, სულ გვეფერე-

ბოდა, თავს გვევლებოდა... არაჩვეულებრივი ხალხი იყო!..

— შემდეგ, სხვა სფეროში მუშაობა რატომ დაიწყეთ?

— ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა პროფესიით მუშაობას ვერ ვაგვარძლებდი. 15 წელი რომ გავიდა, ჩემი ბავშვები ცოტათი წამოიზარდნენ და შესაბამისად, მეც მომინდა, რაღაც გამეკეთებინა. მარკეტის გახსნაც დავაპირე, მაგრამ რაც შენი საქმე არ არის, იმას ხელი არ უნდა მოჰკიდო. ურთიერთობები კარგად მქონდა აწყობილი, მაგრამ საქმეში ვერ გავამართლე — ყოველ შემთხვევაში, არ გავმდიდრებულვარ (იციინის).

— „ჩემი ცოლის დაქალებში“ და თეატრ „სივრცეში“ მუშაობის გარდა, დღეს კიდევ რას საქმიანობთ?

— ბავშვებს მეტყველებაში ვამეცადინებ.

— ამდენ საქმეს ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— როცა ადამიანს შენი საქმე გიყვარს, მეტი სტიმული და ენერჯია გაძლევა, ადრენალინი გემატება. როცა იცი, რომ შენი მიზანი უტოპია არ არის და შეგიძლია, მიალწიო, საქმის კეთების მეტი მულამი გაქვს. თან, მსახიობობა ჩემი პროფესიაა და ჩემთვის ყველაფერია. მაგალითად, შინ გვიან დაღლილი დაფრუწებული ვარ, რადგან დილით ბავშვებთან მიმუშავია, საღამოს — თეატრში, მაგრამ მეორე დღეს თეატრში რომ არ წავიდე, შეიძლება, გავვიჟდე!

— ოჯახის წევრებზე ზრუნვისთვის საკმარისი დრო გრჩებათ?

— ჩემი ორივე შვილი ჩემთან, თეატრშია. ბიჭი შედარებით მცირე ასაკის არის და რაღაც როლებისთვის იყენებენ. გოგონა — ანა ხაზალია-დადიანი კი სპექტაკლში — „ჯვარცმული ბედნიერება“ მთავარ როლს ასრულებდა. მე და ბავშვები სულ ერთად ვართ — რეპეტიციაზე ერთად მივდივართ და მოვდივართ. ვიდრე ჩემს საქმიანობას დავუბრუნდებოდი და „გარეთ გამოვიდოდი“, „დაფეთებული“ დედა ვიყავი. ახლაც „გიჟი“ დედა ვარ, მაგრამ ჩემი შვილები უკვე წამოიზარდნენ. ერთმანეთთან ვმეგობრობთ... ჩემს მეუღლეს რაც შეეხება, ის ახლა საქართველოში არ არის — საქმეების გამო, უკრაინაშია. უკვე 10 თვე გავიდა...

— მისგან შორს ყოფნას როგორ უძლებთ?

— ძალიან გვიჭირს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. მძიმე სიტუაციის გამო ასეთი დრო დაგვიდგა — უნდა წასულიყო, რაღაც გაეკეთებინა...

— ოდესმე სამსახურის დასაწყებად, „სივი“ გაგიგზავნიან?

— არა, არასოდეს. წინათ სხვის სამსახურში არასოდეს მიმუშავია.

— ამის მიზეზი რა იყო?

— მოყოლას იქიდან დავიწყებ, რომ გავთხოვდი და თეატრს თავი დავანებე. თან, მე და ჩემს მეუღლეს ისეთი სიყვარული გვაკავშირებდა, რომ უერთმანეთოდ წუთსაც ვერ ვძლებდით — მთელი 5 წლის განმავლობაში, ერთმანეთს „ჩაშტერებულები“ ვუყურებდით. მეხუთე წელს შვილი შემეძინა. მთელი ძალღონე მის გაზრდას მოვანდომე. ჩემი გოგონა 4 წლის რომ გახდა, მერე ვაჟიც დაიბადა. ამასობაში, ჩემს ცხოვრებაში ტრაგედიები მოხდა: გოგონა 2 წლის მყავდა, როცა დედაჩემი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ორი წელი ვუვლიდი, შემდეგ გარდაიცვალა. რამდენიმე წელიწადში მამაჩემიც დაიღუპა, ჩემ თვალწინ... 1 წლის მერე, ჩემი ერთადერთი და გარდაიცვალა. უმძიმესი პერიოდი მქონდა, ცუდად ვიყავი. ერთხანს ვფიქრობდი, რომ ამ სიტუაციიდან ვერ გამოვიდოდი, მაგრამ დავძლიე, რადგან შვილები, მეუღლე გვერდით დამიდგნენ. ალბათ, ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთები, როცა გვგონია, რომ ყველაფერი დასრულდა, მაგრამ შემდეგ რაღაც ხდება — შინაგანად სიცოცხლის წყურვილს გრძნობ... ამდენი წლის შემდეგ, ჩემს საქმეს დავუბრუნდი. მართლაც, ცხოვრებას არასოდეს უნდა დანებდო...


— ამჟამად, თეატრში რა ხდება?

— ახლა სპექტაკლს — „ეზოში ავი ძალღია“ ვდგამთ. პრემიერა 10 ნოემბერს გვაქვს. ერთგვარი ინტრიგაც არის: კორიფეების შემდეგ, ამ სპექტაკლში ჩვენ როგორ უნდა ვითამაშოთ? ეს სპექტაკლი ჩვენ ცოტა სხვანაირი გავხადეთ. იმედია, მაყურებელი ზუსტად ისე მიიღებს, როგორც ჩვენ გავგისარდებთ.

— „ჩემი ცოლის დაქალებში“ ისევ გამოჩნდით...

— მგონია, რომ ჩემი როლი სულ სხვაგვარად განვითარდებოდა, თემურ ძიგუას როლის შემსრულებელი — ბექა ლემონჯავა საზღვარგარეთ სასწავლებლად მართლა რომ არ გამგზავრებულყო. ვფიქრობ,

სერიალში დიდი ამბები დატრიალდებოდა. ძალიან მინდოდა, როგორც კრიმინალს, თემურისთვის სული ამომეხადა, გამენვალებინა (იციინის)... ჩემი როლი მეგრელების „კლანს“ ძალიან მოუხდა — „გიჟი“ ქალი შევიდა, „ახალი სიცოცხლე“



ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთები, როცა გვგონია, რომ ყველაფერი დასრულდა

შეიტანა. მაყურებლები ქუჩაში მხედებიან და მეუბნებიან, თუ როგორ ვუყვარვარ. თავდაპირველად, მიკვირდა — როგორ შეიძლება, კრიმინალს ვინმეს უყვარდეს-მეთქი?! სოციალურ ქსელში მლანძღავდნენ, — მოაშორეთ ეს საზიზღარი, გველი ქალიო (იციინის)... მაყურებელი ზუსტად ხვდება ჩემს ნამუშევარს. — სულ თქვენ გელოდებით, სერიალში როდის იქნებითო? — ამას რომ მეუბნებიან, თავი სიზმარში მგონია. არ მჯერა, რომ ეს ჩემს თავს ხდება... — მეგრული ხართ?

— წარმოშობით იმერელი ვარ, მაგრამ ჩემი წინაპრები სამეგრელოში დაიბადნენ, ანუ მეგრელი კუხალეიშვილი ვარ. თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარებამდე ზუგდიდში ვცხოვრობდი. მას შემდეგ იქ არ მიცხოვრია, თუმცა ფაქტობრივად, ყოველ ზაფხულს მივდივარ — იქ ჩემი მშობლების საფლავია. ასევე, უსაყვარლესი ბიძები, ბიძაშვილები მყავს. იქაურობაზე ვკიჟები, ისე მიყვარს!.. მეგრული თითქოს დავიწყებული მქონდა, მაგრამ სერიალისთვის რომ დამჭირდა, გონებაში იმდენი რამე ამომიტივტივდა, რომ თავდაც გამიკვირდა — არ ვიცოდი, ამდენი მეგრული თუ ვიცოდი. ■

„მე გაბიბებენ, ალბათ ასე – სამას წლის მერე...“



თამუნა კვინიკაძე

- დაბადების თარიღი...
- ...1982 წლის 22 სექტემბერი.
- ბავშვობაში მინდოდა გამოვსულიყავი...
- ...ძალიან ჭკვიანი.
- ჩემზე ამბობენ...
- ...რომ ვარ უჟმური.
- ვნანობ...
- ...იმაზე მეტი რომ არ ვიცი, ვიდრე დღეს ვიცი — ეს ჩემი ყველაზე დიდი სინანულია.

იმდენად ვართ თავისუფალნი, რამდენადაც ვართ ადამიანები. სხვა შემთხვევაში, ვართ ცხოველები. ტანსაცმელი რომ გვაცვია, ეს არაფერს ცვლის

- ჩემი ყველაზე დიდი სისუსტე...
- ...ბევრი სისუსტე მაქვს, მაგრამ ხასიათში ამ სისუსტეებთან ერთად, ბევრ სიძლიერესაც ვხედავ.
- როცა საჯაროდ მაქებენ...
- ...ვიღებ მშვიდად, თავში არაფერი მივარდება. უხერხულობის განცდა მაქვს თუ არა? როცა მაქებენ, ძირითად შემთხვევაში არ ესმით, რას ამბობენ. მე რატომ უნდა ჩავვარდე უხერხულ მდგომარეობაში? მას გაცნობიერებული არ აქვს, რას ამბობს, ვუთვლი წყლის ნაყვამი და არა — კომპლიმენტში.
- პატიება შემიძლია, თუ...

სენტიმენტალური ბარსელის კომეჯია

ამ პოეტს საზოგადოება ბარსელის ფსევდონიმით იცნობს. ხშირად ეძალეა ფიქრი ამაოებაზე, მისი პოეზია გროტესკია, ლაბირინთია, შინაგანი მდგომარეობის ამოძახილია, სადაც ყოველთვის იგრძნობა მუსიკა. 10 პოეტური კრებულის ავტორი, წიგნებს საკუთარ „შვილებს“ უწოდებს. უმეტესად წერს მამინ, როცა უჟმურ ხასიათზეა, მაგრამ მისი ხასიათი ლექსებში არ იგრძნობა. რა ესმის საკუთარ თავზე ყველაზე ხშირად, აქვს თუ არა განცდა, რომ ადამიანებს მისი არ ესმით, როდის ჯიუტდება, რა დროს რისკავს, რომელმა ცნობილმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ მოახდინა მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? — ამ ყველაფერს ბარსელის მიერ დასრულებული წინადადებებიდან შეიტყობთ.

- ...მოვინდომებ.
- დაშვებულ შეცდომებს...
- ...ბევრი კარგი საქციელით თუ დავფარავ.
- საკუთარ შეცდომებზე ვისწავლე...
- ...დიდი გამოცდილება მივიღე. ვითომ ვისწავლე, რომ ის შეცდომა მეროდ აღარ უნდა გავიმეორო, ერთ დროს რომ დავუშვი და მძაფრად განვიცადა.
- ბოლოს თვალზე ცრემლი მომადგა...
- ...რამდენიმე დღის წინ. სენტიმენტალური ვარ, ცრემლი ჩემს თვალზე წარმოუდგენელი და ძალიან იშვიათი არ არის. შეიძლება ეს წერის დროსაც მოხდეს. ხშირად ხდება, როცა ვიხსენებ ბავშვობას, ჩემს ეზოს, საკუთარ თავს იმ ეზოში... საოცარი

ცივი გახლავართ, ან ძალიან ცხელი. შეიძლება ოკეანე მოვითმინო და წვეთმა გამამხეცოს.

- ამ წუთში ძალიან მინდა ვიყო...
- ...იერუსალიმში, გოლგოთის მთაზე და იქ ის ტაძარი არ იდგეს. ვფიქრობ, ამ ადგილზე ტაძარი არ უნდა აშენებულყო. უფრო მეტი საშუალება იქნებოდა, ადამიანებს იმ მთაზე ასვლით განეცადათ ის სასწაული, რაც მოხდა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ახლო მომავალში იერუსალიმში წავიდე და შესაძლოა, ჩემს წარმოდგენაში ის ტაძარი გავაქრო.
- სიყვარული ეს...
- ...არის შემწყნარებლობა, სიბრძნე, თავისუფლება, სიყვარული... ღმერთი არის ძლიერი თანაბრად, მოსიყვარულე — თანაბრად, ბრძენი — თანაბრად. ეს ყველაფერი განუყოფელია.
- პირველად რომ შემეყვარდა...
- ...ერთი ციდა ვიყავი, ბალის პერიოდი უნდა გავიხსენო. საოცარი განცდები მქონდა, ყველაფერი ნათლად მახსოვს. ახლა რატომღაც „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ გამახსენდა. როცა იმ ადამიანს ვხედავდი, მინა მეცლებოდა. გოცუბული ვარ, იმ პატარა ასაკში მსგავსი განცდები და დამოკიდებულება როგორ მქონდა. ემოციას არც გადაუვლია, მთელი ცხოვრება მახსოვს.
- ახლა შეყვარებული...
- ...ვარ თუ არა? სულ შეყვარებული ვარ. ვიცი, ეს ტრაფარეტული პასუხია, მაგრამ ასეა. ჩემი საყვარელი ფრაზაა: „მე სიყვარული შემიძლია იმდენად, რამდენადაც...“ ეს უნივერსალური ფრაზაა, ბევრნაირად შეიძლება გამოიყენო. მაგალითად, მე ბოროტი ვარ, იმდენად, რამდენადაც... მე კეთილი ვარ,

ემოციებია, სულ მინდა დავაბრუნო, მაგრამ... ამ წუთში, ამ გონებით, ამ გადასახედიდან ვხვდები, როგორი მდიდარი ბავშვობა მქონდა. ის პატარა ბიჭი როგორ უცნაურად აღვიქვამდი სამყაროს. ვაცნობიერებ, როგორი უჩვეულო მქონდა განცდები, დაკვირვებები, ინტერესები...

- ვიბნევი, როცა...
- ...ვიძაბები.
- წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა შეუძლია...
- ...აფექტური ვარ, საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა უცხო რამ არ არის. რადიკალი ვარ — ან

იმდენად, რამდენადაც... ჩვენ ხომ ვერ ვწონით, რამდენად გვიყვარს, რამდენად ბრძენნი ან რამდენად კეთილები ვართ.

— ვრისკავ, როცა...

— ...რისკი ჩემი მეგობარია. ვცდილობ, უაზრო რისკი არ გავწიო. ბევრჯერ მქონია შემთხვევა, გადავმხტარვარ და ნაბიჯზე მერე დავფიქრებულვარ. ეს არასწორია, განგებას რატომ ცდი? რატომ ცდი ბედისწერას?

— ხშირად მსაყვედურობენ...

— ...ასეთი გულწრფელობაც არ შეიძლება. რომ ნაიკითხავენ, ალბათ ღიმილი მოერევათ. ზოგჯერ მსაყვედურობენ, რომ ვარ ძალიან ცივი და უგულო, არ ვიცი მოკითხვა...

— ამ დროს მე...

— ...მეცინება. არავინ მავინწყდება. ამ წუთში, ბევრი ისეთი ადამიანიც კი მახსოვს, თავად რომ ვერ წამოუდგენიათ.

— განცდა, რომ ადამიანებს ჩემი არ ესმით...

— ...ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაქვს. დღეს რომ მოვდიოდი, მაგაზე ვფიქრობდი, აქედან რომ წავალ — ამაზე ვიფიქრებ.

— ძალიან ბევრი ფული რომ მქონდეს...

— ...თვითმფრინავიდან არ ჩამოვიდოდი, დედამინას შემოვივლიდი. ბევრ კარგ რამეს გავაკეთებდი. ამ ქვეყანაში რას გავაკეთებდი? ბევრ სამუშაო ადგილს შევქმნიდი, დიდ ხელფასს გადავუხდიდი ადამიანებს, რომლებიც ამ ქალაქს, მსოფლიოში ყველაზე სუფთა ქალაქადაქცევდნენ.

— რამდენიც უნდა გადამიხადონ...

— ...ძალიან ბევრ რამეს არანაირი თანხის სანაცვლოდ არ გავაკეთებ.

— თავისუფლება არის...

— ...შტაინერის სიტყვებს ვიტყვი, რომელიც უკვე ჩემია: „იმდენად ვართ ადამიანები, რამდენადაც ვართ თავისუფალნი“. საოცარი გამონათქვამია, შეგვიძლია შევაბრუნოთ და ვთქვათ, — იმდენად ვართ თავისუფალნი, რამდენადაც ვართ ადამიანები. სხვა შემთხვევაში, ვართ ცხოველები. ტანსაცმელი რომ გვაცვია, ეს არაფერს ცვლის.

— როცა მარტო ვარ...

— ...ჩემი ფიქრების სიმძაფრე და მასშტაბი გაცილებით სხვა სფეროა და დიდია. პერიოდულად მიჩნდება განმარტოების სურვილი. მარტო ხშირად ვარ.

— ბედისწერა...

— ...რა თქმა უნდა, არსებობს. დედამინას აქვს ბედისწერა და ადამიანი რატომ უარყოფს, მიკვირს. იესო ნაზარეტელს ჰქონდა ბედისწერა, ჩვეულებრივი ადამიანი რა გამოაკვლისია?!

— ინტუიცია...

— ...ძალიან კარგი მაქვს. ვფიქრობ, ადამიანმა ინტუიცია აზრებისა და სიღრმეების წვდომაში უნდა გამოიყენოს. მე ეს კარგად გამომიდის.

— ვჯიუტდები, როცა...

— ...არასწორ დასკვნებსა და შეხედულებებს სიმართლედ ასაღებენ და მეუბნებიან, რომ მე ვცდები.

— დარიგება, რომელიც არასდროს დამავინწყდება...

— ...მთელი სახარება ჩემთვის დარიგებაა. სახარება არასოდეს დამავინწყდება.

— მე ვარ შეუმდგარი...

— ...მუსიკოსი. მუსიკა ჩემი ცხოვრებაა, პოეზიაშიც ხომ მუსიკაა. ყველაზე უზენაესია პოეზია, მერე მუსიკა და შემდეგ — მხატვრობა. ძალიან მინდოდა, მუსიკოსი ვყოფილიყავი, მაგრამ ყველაფერი ისე არ აენწყობა ხოლმე, როგორც გვინდა. მინდა, კარგად ვფლობდე როიალს, ჩელოს.

— ადამიანი, ვის აზრსაც ყოველთვის ვითვალისწინებ...

— ...შტაინერი. მან ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

— ნიგნი, რომლის ავტორიც ვიქნებოდი...

— ასეთი ბევრია, მაგრამ ერთი განსაკუთრებულია, ეს შექსპირის სონეტებია. რომ არ დაენერა, მე დავენერდი.

— ჩემი პირველი კრებული...

— ...ძალიან სუსტია... აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, პირველი კრებულის შესახებ მკითხავდი.

— ჩემი ბოლო კრებული...

— ...მხეცია.

— სტროფი, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს...

— „...დავიღალე, აღარც დაღლა აღარ მშველის,/ აღარ ვაქცევ ყურადღებას აღარც სიკვდილს,/ ყველაფერი ავიკრძალე — არაფერში,/ არაფერი — ყველაფერში აღარ მიკვირს...“

ამაოებაზე ბევრს ვფიქრობ. ადამიანები რისთვის ირჯებიან? რისთვის იბადებიან? ეს ლექსი ვენის ცენტრალურ ქუჩაზე ყოფნისას დავენერე. იქ საოცარი ტაძარია,



მუსიკა ჩემი ცხოვრებაა, პოეზიაშიც ხომ მუსიკაა

გარშემო ბევრი ტურისტი ირეოდა. ხალხის სიმრავლის გამო, ამაოებაზე ფიქრი მომეძალა. იქვე სკამზე ჩამოვჯექი და დავწერე. ეს ჩემი პოეზიის ერთ-ერთი ძლიერი ცხოვრებისეული დასკვნაა, მასში გროტესკია, ლაბირინთია, აქტუალური ამოძახილია. მიდი და გაიგე, — „არაფერში“ და „ყველაფერში“ რა იგულისხმება. ეს მატერიკული სივრცის აინონა-დაინონაა.

— დაბოლოს, გეტყვით:

— „...მე გამიგებენ, ალბათ ასე — სამას წლის მერე...“

გახლომა 5-დან 18 კმ-მდე თვეში გასაქმება 3-დან 5-6 კმ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრობატების გარეშე. რეგულირდება მალა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება ძლიერებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ანალოგურად, ელასტიკური. დადებითი სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიმძლავრე ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5მ მთავრდება 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუხეობა 0-ია.

შედეგები 100%-იანი.

ტელ: 577 29-37-41, 247-58-83
კ-ში მარიაში



ცხოვრება

ანა კალანდაძე

ისტორიკოსი და მევიოლინა

111 წლის წინ, ოქტომბერში ივანე ჯავახიშვილმა ოჯახი შექმნა. ამბობდნენ, დაოჯახება მის გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ მისი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, ქალის გაცნობისთანავე აზრი შეიცვალაო.

1905 წლის ზაფხული იდგა. სწორედ ამ დროს გაიცნო ივანე ჯავახიშვილმა მუსიკით გატაცებული 22 წლის ქალიშვილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი. მისმა ლიმილმა, ცეკვამ და ვიოლინოზე შესრულებულმა მელოდიებმა ივანე მაშინვე მოხიბლა. იმ პერიოდში ანასტასია ერთ-ერთ პირველ მევიოლინე ქალად ითვლებოდა და ბუნებრივია, მის მიმართ ინტერესი დიდი იყო. კონსერვატორია პეტერბურგში ჰქონდა დამთავრებული. მის პედაგოგებს შორის იყო მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე ნიკოლო პაგანინი. ივანე სულგანაბული იჯდა და უსმენდა. ისტორიკოსი მუსიკოსით მალე მოიხიბლა და 30 წლის ივანე ჯავახიშვილმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. თუმცა, როგორც მისი მეგობრის ერთ-ერთი წერილიდან დასტურდება, დაოჯახება მის გეგმებში არ შედიოდა. 1905 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული ივანე ნიჟარაძის წერილში ვკითხულობთ: „საყვარელო ძმაო ვანო! როგორ უნდა გამოვთქვა ჩემი სიხარული! რა სიტყვებით უნდა აღვწერო ჩემი აღტაცება?! ვანო, შენ ცოლს ირთავ! ნუთუ?! ღმერთო... შენ, რომელიც ცოლობის შესახებ სხვა აზრისა იყავი, ვერც კი ჩამოხველ საქართველოში და უკვე ცოლის შერთვა დააპირე! რა მოხდა მაგისთანა ან რათ დაივიწყე შენი მოსიყვარულე მეგობრები და არ შეატყობინე ეს ფრიად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი?! მიკვირს, რადგან არ ველოდი, რომ ცოლს ირთავ. მიხარია, ძალიან მიხარია, რომ კარგ ქალიშვილს ირთავ და ახალ ცხოვრებას შეუდექი“.

წყვილმა ჯვარი 1906 წლის 30 ოქტომბერს დაინერა. თბილისში, კალინინის ქუჩაზე დასახლდნენ,

ისტორიკოსისა და მევიოლინის სიყვარულის ამბავი

ივანე ჯავახიშვილი ყოველი ახალი წიგნის პირველ ეგზემპლარებს გულუმს უძღვნიდა



ამას წინათ, უფროსმა მეგობარმა გამოცანასავით მითხრა: მის პორტრეტს თითქმის ყოველდღე ვხედავთ; თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მუდამ ახალგაზრდებით სავსე ნაგებობა მის სახელს ატარებს; უწინ ამ შენობასთან მამაკაცები ჩერდებოდნენ, ქუდს მოიხდიდნენ, თავს დაუკრავდნენ, თითქოს სალამს ეუბნებოდნენ და გზას ისე აგრძელებდნენ. გამოიცანი, ვინ არისო? — ვალიარებ, ამ უკანასკნელმა მინიშნებამ მიმახვედრა, რომ საუბარი იყო ივანე ჯავახიშვილზე. არადა, ის 5-ლარიან ბანკნოტზეა გამოსახული; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი გახლდათ, რომელიც დღემდე ჩვენი ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლად ითვლება და ამ შენობის წინ გამვლელი უწინ მართლაც იხიდიდნენ ქუდს — მოკრძალებისა და პატივისცემის ნიშნად.

რომელიც დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს. მანამდე ეს სახლი ანასტასიას მამიდას, ცნობილ ქველმოქმედ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ეკუთვნოდა და ანდერძით დაუტოვა ძმისშვილს. აღსანიშნავია ისიც, რომ შემდეგში ამ ქალბატონმა უნივერსიტეტის მშენებლობაში სხვებთან ერთად, საკმაოდ დიდი თანხა გაიღო.

წყვილს სამი შვილი შეეძინა: ნათელა, კახა და ალექსანდრე. მას შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ყოველი ახალი წიგნის პირველ ეგზემპლარებს მეუღლეს უძღვნიდა, რომელსაც ასე ეძახდა — სტაზია, ის კი ქმარს ვანიკოთი მოიხსენიებდა.

ორად გაყოფილი აზრი

წარსულში, როცა არც ინტერნეტი გვექონდა და არც მობილური ტელე-

ფონები, ერთ-ერთი ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება წერილები იყო. როცა ადამიანი წარმატებული და ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი გახლდათ, ინტერესს არა მხოლოდ მათი ნაშრომები, წიგნები და ღვანწი ინვესტა, არამედ პირადი არქივიც და ზოგჯერ ის ხდებოდა საჯარო. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ მიზეზით არაერთ უაღრესად ინტიმური შინაარსის ფურცლებს „გამოუღწევია“ ბევრი წყვილის განჯინიდან ან გულის ჯიბიდან. შეიძლება, ამ წერილების ადრესატების ნაწილი ამის წინააღმდეგი ყოფილიყო, ზოგიც პირიქით — მოხარული, ადამიანი ხომ ათასგვარია... ფაქტისაა, რომ ოჯახის წევრებისა და შთამომავლების გადანყვეტილებით, მრავალი ასეთი

ბარათი გამხდარა ხელმისაწვდომი; არიან ისეთებიც, ვისაც სიცოცხლე-შივე, თავისი სურვილით გადაუცია „ისტორიისთვის“ ან დასაბეჭდად თავისი „გულის ისტორია“.

უნდა იყოს თუ არა ორი ერთმანეთზე შეყვარებული ადამიანის პირადი მიმონერა საჯარო, ამ თემაზე სხვადასხვა არგუმენტის დართვით, აზრი ორად იყოფა. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი მინც დიდი ინტერესით კითხულობს იმ ფრაზებს, რომელიც ოდესღაც, ორმა შეყვარებულმა ადამიანმა ერთმანეთს მისწერა.

წერილები

სასიყვარული წერილებიდან ამონარიდები გვხვდება სტატიებში. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშიც ბევრი ხელოვანის, მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის პირადი არქივია დაცული. მათ შორის არის ივანე ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის წერილებიც. ჯვრისწერამდე ერთი თვით ადრე, 1906 წელს ივანე ანასტასიას პეტერბურგიდან სწერდა:

„ჩემო თვალისჩინო, ჩემო მერცხალო სტაზიაჯან!

ნეტავი ეხლა შენი მშვენიერი ლამაზი თვალები და ხელები დამაკოცნიან ისე, როგორც ყოველთვის გააკოცებდი ხოლმე!.. როგორა ხარ, ჩემო ძვირფასო, ჩემო გულის მეგობარო? შენი ფიქრი მაქვს, გაუფრთხილდი, არ გაცივდე, რომ უფრო არ გაგიძნელებს. ახლა რომ მანდ მამყოფა, თავს შემოგვევლებოდი, მოგიკითხავდი, როგორც პატარა ბაღანას: გაგხდიდი და ლოგინში ჩემის ხელით ჩაგანვენდი; მხურვალე კოცნით შენს ფეხებს გაგიტობდი; გახსოვს, შენ ამბობდი ხოლმე: მე ფეხები და ხელები ყოველთვის ცივი მაქვსო. მე გაგიტობო კოცნით, მე გაგიტობდი ჩემის სიყვარულით: შენა ხარ ჩემი იმედი, ჩემი გამამხნეველები!.. ნეტა ღირსი ვიყო შენი სიყვარულისა! შენ გენაცვალოს შენი ვანო...

მე ვერ წარმომიდგენია ის ნეტარება და სიტკბოება, როცა მე შენი ვიქნები საბოლოოდ, სამუდამოდ და შენ ჩემი, ჩემი! შენ გენაცვალოს ვანო! ნეტავი ჩიტად მაქცია, რომ შენთან მოვფრინდე... შენც ხომ მაკოცებდი, შენც ხომ ჩამეხუტებოდი? შენი ჭირიმე სტაზიაჯან, შენ ისე ანებივრებ შენს ვანოს. მე უკვე სამი წერილი მივიღე, მოუთმენლად ველი ყოველდღე, თითქოს ყოველდღეობდეს!... ყოჩაღად იყავ ჩემო კარგო, შენს თავს

გაუფრთხილდი, თორემ შენს ვანოს აუტანელ ტანჯვასა და მწუხარებას აგრძნობინებ...

მე ძალიან მოხარული ვარ, რომ სკრიპკას უკრავ; იცი, ჩემო მერცხალო, ნუ დაანებებ მუსიკას, ნურც როდის! თუ დაანებებ, მაშინ შენც სხვებს დაემსგავსები, რომელნიც უკრავენ, უკრავენ და ბოლოს მიატოვებენ ხოლმე. მე ხომ არ გეუბნები კონცერტები გამართე-მეთქი, არა; მე მინდა მხოლოდ, რომ იმ მშვენიერ ხელოვნებას თავი არ დაანებო. მე ვერ შევძელი მუსიკის დამთავრება. ბედნიერი ვარ, რომ შენ, ჩემი თვალისჩინი, ჩემი საყვარელი სტაზია ამ ზეციურ ხელოვნებას ემსახურება, თითქოს მე ვემსახურობდე, იმიტომ, რომ მე და შენ განუყრელნი ვართ, ერთს არსებას წარმოვადგენთ. ძლიერი მხურვალე სიყვარული და გულითადი მეგობრობა გვეერთიანებს ჩვენ! მე ბედნიერი ვარ, როცა შენ უკრავ... მე სულ იმის ფიქრში ვარ, თუ როდის მეყოლები აქ; მე და ჩემი სტაზია, ჩემი მშვენიერი სტაზია, ჩემი. დაგკოცნი გაგიჟებით ისე, როგორც მე რამდენჯერმე ხოვლეში დაგკოცნე, თავით ფეხთამდე, მარად შენი ვანო“.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ მხოლოდ შეუღლებამდე ან დაოჯახების პირველ ხანებში იყო ამ წყვილის წერილები ასეთი სიყვარულით სავსე, თუმცა, ბარათები „ამბობენ“, რომ ეს მუხტი მათ მაშინაც ჰქონდათ შენარჩუნებული, როცა უკვე სამი შვილი ჰყავდათ. როგორც ჩანს, ქალს მეუღლესავით არ ეხერხებოდა საკუთარ გრძნობებზე ღიად და მრავალფეროვნად საუბარი და ამას ის ფრაზებიც მოწმობს, რომელსაც ის 1916 წელს პეტერბურგში მყოფ ქმარს წერს:

„ოჰ, რა კარგია, როცა შეიძლება თავისუფლად ადამიანმა გამოთქვას თავისი გულის გრძნობა, არ შეიკავოს, ვანიკო, ჩემო კარგო, ჩემო ლამაზო, მაგრამ ეს მხოლოდ შენ იცი ასეთი სიყვარულის გამოთქმა, მე კი საძაგელმა არა, არ ვიცი ასეთი სიყვარული, მე მხოლოდ ჩემი გულის სიღრმეში ვგრძნობ და გამოთქმა კი არ შემიძლიან, ენა ჩემი არ მემორჩილება. შენ კი, ოჰ, ვანიკო, თითოეული შენი სიტყვა ცეცხლივით არის და შედარებანი შესანიშნავი!

ვანიკო, ლამაზო და ნაზო, ტკბილო ჩემო ქმარიკო, მე ნუხელის მთელი ღამე (ორი საათის გარდა!) არა მძინებია, სულ შენზე ვოცნებობდი,

სულ თვალწინ მყავდი, შენი წერილის სიტყვები მეყურებოდა, მხოლოდ შენ თვითონ მაკლდი, გვერდით არა მყავდი და აღარ ვიცოდი რა მექნა, ისე ძნელია, როცა ასე ვართ მოშორებული ერთმანეთს!“



ინტერესები და პროფესიული არჩევანი

ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ვახვახიშვილის 6 შვილიდან, მეორე იყო ივანე, იგივე ვანო. ეროვნული ფასეულობებისადმი ინტერესს ოჯახში უღვივებდნენ. თან, ეს ის პერიოდი იყო, როცა სასტიკად იდევნებოდა ყოველივე ქართული, ქართულ ოჯახებში რუსული ლაპარაკი ისმოდა, თუმცა ჯავახიშვილების ოჯახი გამონაკლისი გახლდათ.

ჰუმანიტარული საგნები იტაცებდა, დაწყებითი განათლების წლებზე ივანე წერდა: „გიმნაზიაში სწავლის დროს ჩემს საყვარელ საგნებს ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია შეადგენდა“. მის გატაცებებს შორის იყო ხატვა და სიმღერა. ვიოლინოზეც უკრავდა, თურმე. მისი თანაკლასელი, ადამ ფორაქიშვილი იგონებს: „ავლაბარში ცხოვრობდა. ჩემთან ხშირად დაიარებოდა, ერთად ვამზადებდით გაკვეთილებს და როცა გავათავებდით ხოლმე, შემოუჯდებოდა პიანინოს, ქართულ სიმღერებს უკრავდა და ღლინებდა“.

რაც შეეხება ხატვას, ერთხელ ივანეს ნახატით მოხიბულმა მასწავლებელმა მას ამ განხრით დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა,

მაგრამ როგორც თავად ივანე წერს, მეოთხე კლასიდან მეცნიერებას მეტ დროს უთმობდა და ხატვა მეორეხარისხოვანი გახდა.

ზაფხულის არდადეგებს მშობლიურ სოფელში — ხოვლეში ატარებდა. მისი და მეგობრების ძირითადი გართობა საღამოს გამართვა იყო, სადაც სხვადასხვა საკითხზე დაწერილ რეფერატებს განიხილავდნენ. ხშირად არქეოლოგიურ სიმდიდრესაც ეძებდნენ, რომლის დროსაც მიწაში ნაპოვნ მორჩეულთაგან კვებებს ივანე დიდი ინტერესით ინახავდა.

შირყული ჯანმრთელობა

ალბათ ზედმეტი იმის მტკიცება, რომ ივანე ჯავახიშვილს ცხოვრებაში სირთულე არ შეხვედრია. დაძაბულ-დატვირთულმა სამუშაო რეჟიმმა მეცნიერის ჯანმრთელობას თავისი კვალი დაატყო. ივანეს დახასიათებისას ჯერ კიდევ მისი გიმნაზიის დირექტორი, მარკოვი წერდა: „მონაფე ივანე ჯავახიშვილი შვილია ქართველი ხელმოკლე თავადისა (სასწავლებლის ზედამხედველისა). კეთილ, პატრიარქალურ ოჯახს საუცხოო გავლენა მოუხდენია ქაბუკზე, გაუზრდია იგი რელიგიური, ზნეკეთილი, თავაზიანი და ალერსიანი. ზომიერი

მოსულ სხვა ეროვნების სტუდენტებთანაც და შექმნა „ამიერკავკასიის სათვისტომო“. აქ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა: უნივერსიტეტში სწავლისას ივანემ ოქროს მედალი მიიღო, რომლის გადაცემა, როგორც წესი, საზეიმო ვითარებაში ხდებოდა, მაგრამ ჯავახიშვილს უთქვამს, არ ვარ ამგვარ დემონსტრაციულ გამოსვლებს დაჩვეული. ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ მედალი პირადად მიუტანეს. ივანე მედალს სათუთად ინახავდა, მაგრამ წლების შემდეგ, როცა გასჭირვებია, 120 მანეთად დაუგირავებია. გამოსასყიდად მისვლა ერთი დღე დააგვიანდა. გავყიდეთო, უთქვამთ. ძალიან დასწყდა გული.

პეტერბურგი, გერმანია, ამას სინას მთა მოჰყვა, სადაც ნიკო მართან ერთად გაემგზავრა და ამ ექსპედიციის შედეგად მრავალი, მანამდე უცნობი ძველი ქართული ძეგლი გამოაშკარავდა. ცხოვრების ყველა ეტაპზე მისი საქმიანობა ყოველთვის ნაყოფიერი იყო, მაგრამ თავის პირველ აუცილებლად განსახორციელებელ მისიად საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საკითხს აყენებდა და ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ 1907 წელს დაიწყო...

კიდევ ახალგაზრდობიდან შეერყა. სტუდენტობისას ნამცხვრით მონამულულა, რომელსაც ზემოდან დანაყილი შაქარყინული ეყარა. აღმოჩნდა, რომ ნამცხვრისთვის შაქარყინული იმავე თასში მოუთავსებიათ, სადაც შაბს ნაყავდნენ. იმ ნამცხვრებით მაშინ რამდენიმე ადამიანი მონამულულა და ორი გარდაიცვალა კიდევ. ამ შემთხვევის შემდეგ ივანე მთელი ცხოვრება, იძულებით დიეტაზე იყო.

უკანასკნელი ლექცია

1940 წლის 18 ნოემბერს ჯავახიშვილს ხელოვნების მუშაკთა სახლში ლექცია ჰქონდა ჩანიშნული. თავს შეუძლოდ გრძნობდა, მაგრამ მაინც წავიდა — სირცხვილია, მოსანვევები დარიგებულია, ხალხს ვერ გავანბილებო. მივიდა. ლექცია დაიწყო თუ არა, შეუძლოდ გახდა. ჯავახიშვილი აუდიტორიიდან სტუდენტებმა გაიყვანეს. ექიმები მივიდნენ, მაგრამ ცოტა ხანში მათ თავი უძღურად აღიარეს. მაგიდაზე გადაშლილი ნაწერები ვიღაცამ გვიან დახურა...

ჯავახიშვილის სიკვდილის მიზეზად ინფარქტი დასახელდა. მისი ნეშტი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს. „ივანე ჯავახიშვილს მთელი ქალაქი აღმერთებდა. მასსოვს, როცა ვიღაცამ ხმა მოიტანა მისი გარდაცვალების თაობაზე, წამსვე, მთელი თბილისი ქუჩაში გამოეფინა. — წერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალში მარიამ ლორთქიფანიძე, — მასსოვს მისი დაკრძალვა. მე და ჩემი მეგობარი ნიკო ქანთარია ერთი საათით ადრე გამოვედით სახლიდან, მაგრამ წყნეთის ქუჩას რომ მოვუახლოვდით, წინ წამოსვლა უკვე შეუძლებელი გახდა. ძლივს მოვახერხეთ უნივერსიტეტის ლობესთან მოსვლა. მასსოვს, ჩვენ ირგვლივ ყველა — ქალიც და კაციც ქვითინებდა.

მთელმა ქართულმა ინტელიგენციამ დაიტირა ივანე ჯავახიშვილი, რადგან მას აიგივებდნენ ეროვნულობასთან. მისი დამსახურება იყო მოკრძალებული დამოკიდებულება ქართული უნივერსიტეტის მიმართ. მამაჩემიც კი, რომელსაც ეს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, მის წინ გავლისას ჩერდებოდა, ქუდს მოიხდიდა, თავს დაუხრიდა და შემდეგ აგრძელებდა გზას“.

მეუღლის დაკრძალვის შემდეგ, მისმა ქვრივმა ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანმა თითქმის 30 წელი კიდევ იცოცხლა და ისიც ნოემბერში აღესრულა...

ნეტავი ეხლა შენი მშვენიერი ლამაზი თვალები და ხელები დამაპოცნინა ისე, როგორც ყოველთვის გაპოცებდი ხოლმე!..

ხასიათის, ზრდილი, რის გამოც ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია კარგი ბუნებრივი ნიჭით, ამასთან მეტად ბეჯითი და შრომისმოყვარეა. უეჭველია, რომ მისგან საუკეთესო სტუდენტი დადგება. ჯანმრთელობა ბუნებისგან მას კარგი აქვს, თუმცა რამდენადმე შერყეული ბოლო წლების გულმოდგინე მეცადინეობით. ის ბევრს კითხულობს და კარგი ნაკითხობით გამოირჩევა, კარგად უკრავს ვიოლინოზე. შესანიშნავი შვილია და უზადოდ ზრდილობიანი ყმანვილია, არა მარტო უფროსებთან, არამედ ამხანაგებთანაც, თვით უმცროსების მიმართაც“.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სასწავლებლად გამგზავრებული ივანე სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა ქართულ სათვისტომოს. მოგვიანებით, მისივე თაოსნობით კავშირი დაამყარა ამიერკავკასიიდან ჩა-

ცარიზმის დამხობის შემდეგ ივანე თბილისში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელმაც მალე, 1918 წლის 26 იანვარს, მიადნიეს კიდევ დასახულ მიზანს. მათ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, დანებებული ფინანსური საკითხებიდან, ამ იდეისადმი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების გადარწმუნებით დამთავრებული.

უნივერსიტეტში ივანე ჯერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი იყო, 1919-1926 წლებში კი რექტორის თანამდებობა ეკავა. ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე (ხანმოკლე პერიოდის გარდა), იგი უნივერსიტეტის პროფესორად მუშაობდა.

ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი, თარხუჯ ჯავახიშვილი იხსენებდა, რომ მეცნიერს ჯანმრთელობა ჯერ

ქმრის ცემისთვის დაჭერილი ცოლი...

ინგა ჯაყელი

სამწუხაროდ, ოჯახური ძალადობა არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა ქართულ რეალობაში და თუ მკვლევლობა არ მოხდა, როგორც წესი, ფაქტი არც ხმაურდება ხოლმე. „რას იტყვის ხალხი?!“ — ძველებურად აქტუალური მდგომარეობაა ქართველი საზოგადოებისთვის.

ამბავი, რომელიც ახლახან მოხდა, ჩემმა პოლიციელმა მეგობარმა შემატყობინა: მართლაც, საჭურნაღე ამბავი მოხდა ჩვენს უბანში და თუ გინდა, შეგახვედრებ „დამნაშავეს“, ოღონდ არ გამამხილო, რომ მე ჩაგაყენე საქმის კურსშიო...

მაშინვე პოლიციის განყოფილებაში გავიქეცი, სადაც დაკავებულის დაკითხვა მიმდინარეობდა. ჩემდა გასაოცრად, დამნაშავე ქალი იყო და მას ქმრის სასტიკად ცემაში დედამთლილი სდებდა ბრალს.

როცა ყველა საბუთი გაფორმდა და ქალს ნასვლის უფლება მისცეს, ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და იმაშიც დავარწმუნე, რომ ასეთი ამბები უნდა გასაჯაროვდეს, რომ მხოლოდ მისმა ქმარმა კი არა, ვერც ერთმა კაცმა ვერ გაბედოს ცოლის ცემა.

აი, რა მიაბო 41 წლის ლიამ:

— მძიმე ოჯახურ გარემოში გავიზარდე. მამაჩემი იყო მოძალადე და დედასთან ერთად, არც შვილებს გვინდობდა. ბიჭზე მეოცნებეს, ოთხი ქალიშვილი ვყავდით და აშკარად, ვძულდით. დედას უჯიშოსა და უფარვისს ეძახდა. სხვა ქალებში დანანალებდა და ამას არც მალავდა. პირდაპირ ეუბნებოდა ცოლს: ვინც ბიჭს გამიჩენს, იმას შევიყვარებ და დავაფასებო.

არ ვიცი, რატომ უთმენდა დედა და არ მიდიოდა მისგან. ისე მწარედ მახსოვს მამის ხელი, მიკვირს, ნორმალურები რომ დავრჩით მე და ჩემი დები. სრულწლოვნები გაეხდით თუ არა, მაშინვე წამოვედით სახლიდან და ვერც მამის მუქარამ დაგვაბრუნა, ვერც დედის თხოვნამ და ცრემლებმა. დედას კარგა ხანს ვთხოვდით მიეტოვებინა მოძალადე ქმარი და ჩვენთან წამოსულიყო, მაგრამ ამბობდა, ოჯახს ვერ დავანგრევე, ხალხს არ ვალაპარაკებო. მერე დედას სიმსივნე გაუჩნდა და



ქმარს ხელი ვკარი. რაღაცას წამოედო და წაიქცა

გარდაიცვალა. ექიმთან მისვლაც არ ღირსებია, ტანჯვაში ამოხდა სული. ეჭვიც არ მეპარება, ის სიმსივნე მამის მძიმე მუშტებმა გაუჩინა, დაუნდობლად რომ ურტყამდა თავში.

მამაჩემმა კაცის სახელი შემეძულა და ნებით არასოდეს გავთხოვდებოდი, მაგრამ ჩემი ქმარი იმ სახლის მეპატრონის დისშვილი აღმოჩნდა, სადაც მე და ჩემი დები ოთახს ვქირაობდით. მოვეწონე და ნებით რომ არ დავთანხმდი ცოლობაზე, მომიტაცა. არც კი ვიცი, რატომ დავრჩი მასთან. მძიმე ხასიათი რომ ჰქონდა, მალევე გამოავლინა, მაგრამ არც მე დავუთმე და გავაფრთხილე, არც ეცადო ჩემზე ძალადობას, თორემ ყველაფერზე წამსვლელი ვარ-მეთქი. დამიჯერა და რამდენიმე წელიწადი თითქოს დამთმობიც გახდა, მაგრამ დედამისი არ ასვენებდა და ჩემს გასაგონად აღიზიანებდა: უნებისყოფო ხარ და ცოლი თავზე დაისვიო... არადა, არასოდეს არაფერი მიკადრებია ქმრისთვის ზედმეტი. ცოლისა და დედის მოვალეობასაც პირნათლად ვასრულებდი. ორი ბიჭი შეგვეძინა. თინეიჯერები რომ გახდნენ, მამას ყველაფერს აღარ უჯერებდნენ და ხშირად კამათობდნენ. ახლაც, საშინელი გინებისა და მტკრევის ხმა შემომესმა: ჩემი ქმარი თხუთმეტი წლის ბიჭს ქმრით მისდევდა და მოკვლით ემუქრებოდა. წინ გადავუდექი და გაცოფებულმა მე გადამიჭირა ის ქმარი: შენ რომ მი-

გიშვი შენს ჭკუაზე, იმიტომ მიბედავენ შენი შვილები ამდენსო... ვითომ მისეხი არ ყოფილიყვნენ.

სიმწრით გონება დამებინდა და ქმარს ხელი ვკარი. რაღაცას წამოედო და წაიქცა. ის ქმარი ხელიდან გამოვგლიჯე და არც კი ვიცი, რამდენ ხანს ვურტყამდი გამეტებით. თან, ბოლო ხმაზე გავკიოდი: ხომ გააფრთხილე, რომ ჩემზე ხელის აწევას არასოდეს გაპატიებდი და რატომ ვერ შეიგნე-მეთქი...

ისევე ბავშვებმა იყოჩაღეს და გამაკავეს, თორემ შეიძლებოდა მართლა მომეკლა. ხელი მოსტყდა და „სასწრაფომ“ საავადმყოფოში წაიყვანა. მე კი დედამთილმა დამაბეზლა და აქ წამომიყვანეს. რომც დამიჭირონ, ქმართან გამჩერებელი აღარ ვარ. მოვკიდებ ჩემს ბიჭებს ხელს და დავბრუნებდი სოფელში, სადაც დაკეტილი სახლი გვაქვს. მამაჩემიც გარდაიცვალა კარგა ხნის წინ. შვილებს იმას არ გადავატანიებ, რაც დედამ მე და ჩემს დებს გაგვიკეთა...

P.S. სიმართლე გითხრათ, მომეწონა ამ ქალბატონის საქციელიც და გადაწყვეტილებაც. არა, ქმრის ცემას და სასიკვდილოდ გამეტებას კი არ ვუნებ, ძალადობა რომ არ აპატიო და არც მასთან რჩება, ესაა მთავარი. გატეხილს აღარაფერი ამრთელებს — მის ქმარს თუ ოჯახი უნდოდა, დროზე უნდა დაეფასებინა, რაც გააჩნდა და გაფრთხილებოდა...



უცნაური აღსარება

ამბავი უმიჯნოდ შექმლებულ ქმარსა და დანგრეულ ოჯახზე

ირინა ჩემი ბავშვობის მეგობარია. ტოლებიდან მუდამ გამორჩეული იყო თავისი რევოლუციური ხასიათით, სიმაღლითა და სიგამხდრით. მოულოდნელად შევხვდით ქალაქში და ორივეს ისეთივე ბავშვური სიხარულით გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, როგორც პატარაობისას მონინალმდევე გუნდის დამარცხება საბავშვო თამაშებში შეჯიბრებისას. ორი პატარა შვილი ჰყავს, ეს ვიცი, თუმცა, მისი ცხოვრების ბევრი დეტალი უცნობია ჩემთვის. ორიოდ სიტყვით ვუთხარი ჩემზე, თან, პანანინა კაფეში ხაჭაპური და ჩაი შევუკვეთეთ.

შეკვეთის მიღებამდე, შუქი ჩაქრა და სიბნელის გასაფანტავად სიფრიფანა მიმტანმა გოგონამ სანთელი აანთო ჩვენს მაგიდაზე. გამელიმა, რომატიკული სალამოს იმიტაციაც გამოგვივიდა უნებურად-მეთქი. — მე სულ რომატიკაში ვარ, კარგა ხანიაო, — თქვა ირინამ.

როლანდ ხოჯანაშვილი

„გათხოვების მერე ცაზე სულ ჟღერი ბინდია, მზეც უფრო მუქი გახდა, ოღონდ, არა თბილი... უნივერსიტეტიც დავასრულე, მერე გერმანიაში გაცვლითი პროგრამით ვისწავლე და სამშობლოში დაბრუნებულს, მშობლებმა დაოჯახება გადამიწყვიტეს. არავინ მიყვარს, როგორ გავთხოვდე-მეთქი? დედამ მითხრა, — გგონია, მამაშენი მიყვარდა, როცა გავყვევი? ეს მერე მოდის, თავისით, შვილები შეგაყვარებთ ერთმანეთსო.

თურმე, „მეორე მხარეც“ თავის პერსპექტიულ და განათლებულ შვილს იმავეს ეუბნებოდა. მალხაზი ასაკთან შედარებით შევერცხილთმიანი ახალგაზრდა გახლდათ და კერძო სექტორში მუშაობდა, კარგი ანაზღაურებით. ორივე გა-

ბი და საზოგადოებაში ღირსეული თავდაჭერა იყო ჩემი ცხოვრება. წელს კი, თებერვლიდან ქმარს ვუთხარი, რომ მის სუნსაც ვერ ვიტანდი. არ გაოცებულა, არც გაბრაზებულა. როგორც გინდაო, — მითხრა. ოღონდაც, შვილები უნდა ვნახო ხოლმე ჩემი სურვილით, სახლსა და სკოლაში, შენც დაფიქრდი, დრომ ეგებ ისე მოგაბრუნოს ჩემკენო... სახტად დავრჩი, ჩანს, რომ არც მას ჰქონდა მძაფრი სურვილი ერთად ყოფნის... ქვეცნობიერში ალბათ ამას ვგრძნობდი და ჩემი შვილების მამა შემზიზღდა! მინდოდა, ნინალმდეგობა გაენია, ისტერიკა მოეწყო და გაერთყა კიდევ. მინდოდა, ეეჭვიანა და ვილაც კაცი ამოეჩხრიკა ოჯახის დანგრევის მიზეზად, რათა უფრო მძაფრი პროტესტის გრძნობით დავცილებოდი! — ასე არ მოხდა. ვიცი, რომ საყვარელი არ ჰყავს,

თუნდაც გერმანიაში. ეს ჩემთვის კი არა, ჩვენი შვილებისთვის გავაკეთე. მინდა, მუდამ გალიზიანებული არ იყო, შვილების მომავალი მაფიქრებო. საკმარისზე მეტი ფული იდო კონვერტში. დაუფიქრებლად ავიღე ავიაბილეთები. მეგონა, ამით ყველაფერი დალაგდებოდა. რამდენიმე ქალაქი მოვიხაზულე, სტუდენტობის დროინდელი სიხალისე თითქოს დამიბრუნდა. კიევში ჩამოვფრინდი ბერლინიდან. უკრაინიდან აქეთკენ მომავალ თვითმფრინავში უკანა რიგში მოვხვდი. გვერდით უკრაინელი სასიამოვნო ახალგაზრდა ქალი მეჯდა, ორი ბავშვით, რომელიც პერიოდულად მებოდიშებოდა შვილების საქციელის გამო, რომლებიც მე თუ მკითხავთ, ძალიანაც კარგად იქცეოდნენ. გავუღიმიე, თვალები მოვჭიუტე და დარბაისელი ქალის პოზიციით ვეუბნებოდი, — რას ამბობთ-მეთქი. არადა, როგორ მინდოდა, სკამებზე დავმდგარიყავი და მათსავით ყველასთვის გადამეხედა, ამნთო და ჩამექრო შუქები ჭერზე, ბოლოს სკამებზე მეხტუნავა. სკამებზე ხტუნვაზე ეს პატარები ვერც კი იოცნებებდნენ დედამისის ხელში... ჩვენ გარდა, ირგვლივ სულ ორთოდოქსი ებრაელები ისხდნენ. ამაზე გამახსენდა... ახალგაზრდობილი გოგო მიყვებოდა, ამერიკაში რომ ჩავედი, ვიცოდი, რომ მალე ჰელოუინი უნდა ყოფილიყო. ჩამოსვლიდან მეორე დილას გადავიხედე ფანჯრიდან და ვიფიქრე, ყველამ ჩარლი ჩაპლინად ყოფნა არაქომ გადაწყვიტა-მეთქი?... მერე აღმოაჩინა, რომ ეს ჩარლი ჩაპლინები ბრუკლინელი ორთოდოქსი ებრაელები იყვნენ, ეს ჩაცმულობაც რელიგიური ყოფილა.

ჩემი შვილების მამა შემგინგლდა! მინდოდა, წინააღმდეგობა გაენია, ისტერიკა მოეწყო და გაერთყა კიდევ

ნათლებული, მოხდენილი და სერიოზული ადამიანი ხართ, უნდა დაქორწინდეთო, — გვირჩიეს. ვერ ვიტყვი, რომ ან მალხაზს ჰქონოდა დიდი ემოცია; თითქოს ვალდებულებას იხდიდა ქვეყნისა და მშობლების წინაშე. იყო ვინრო წრეში ნიშნობა, მერე აყალმაყალიანი და დამღლეული ქორწილიც. რალაც გაურკვეველი ღიმილით ვიღებდი მილოცვებსა და საჩუქრებს, მერე შვილებიც გაჩნდნენ... ვერ ვიტყვი, რომ სიყვარული გაჩნდა. ოჯახი, სამსახური, შვილებ-

ძალღვივით ერთგულია. არც ჩემთვის არ არსებობს კაცი, რომელსაც „ბრალი“ ექნებოდა ჩემს უცნაურ გათავისუფლებებაში. ქმარი სახლიდან წავიდა და კვირაში ერთხელ მაინც ბავშვებს ასეირნებს, მერე სახლის ჭიშკართან დატვირთული პარკებით დატოვებს ბავშვებს და მიდის უსიტყვოდ.

ერთხელ უფროსი შვილისთვის პატარა კონვერტი მიუცია, — დედას გადაეცია. გავხსენი და მოკლედ ეწერა, ეგებ გარემოს გამოცვლა გჭირდება, საზღვარგარეთ წადი,

ბავშვების ცელქობამ ჩემი პატარები გამახსენა, ამ ჩემი დიდი გასაღების დროს მამასთან რომ იყვნენ. ბავშვებზე ფიქრმა გამიტაცა და ფრენის შიში გადამავიწყდა. წინა რიგში უცებ წამოდგა ორმეტრიანი ახალგაზრდა კაცი. გრძელი შავი პალტო ეცვა, რომელიც გაიხადა და წელზე თოკებით შემოიხვია. მარცხენა მკლავზე ბოლომდე აინია პერანგის სახელო. მკლავზე, ილიასთან ტყავის შავი კვადრეტი მიიმარა და გრძელი ტყავის ლახტი, რომელიც ამ „კუბიკს“ ეკიდა, მკლავზე შემოიხვია გველივით მაჯამდე... იგივე „კუბიკი“ მარტორქასავით შუბლთან დაიმარა... ეს ტეფლინია. ტეფლინი ორი ტყავის ყუთისგან და მათი შემადგენელი ზონრებისგან შედგება. ერთი მათგანი კუნთზე მაგრდება, ზონარი შვიდჯერ იხვევა მარცხენა მკლავსა და ხელზე. მეორე ყუთი შუბლზე მაგრდება. ზონრებზე ნერია ოთხი ნაწყვეტი თორიდან, ყუთებში კი მოთავსებულია ხელნაწერი პერგამენტული რელიგიური ტექსტებით. მას დილის ლოცვებზე ატარებენ. თავზე თეთრი მოსასხამი გადაიფარა და ვერცხლისფერი ძაფით მოქარგულ შავ ხავერდის ბალიშზე თორა გადაშალა, კითხვა დაიწყო და... ჩამეძინა...

მგონი, ჩემი ფრენისა და შვილების მონატრების შემსუბუქებას სთხოვდა ღმერთს ეს კარგი კაცი! მერე გამეღვიძა... მლოცველი კაცის წინ გამცილებელზე მიბარებული 4 ბავშვი ისხდა, უკრაინელები. 11-12 წლისანი იქნებოდნენ. გაშმაგებული ბავშვებოდნენ ინგლისურად, სად რა ნახეს და რას აკეთებდნენ უცხოეთში. უყურებდა ეს მალალი მლოცველი ბიჭი ამ სკამებზე მუხლებით შემხტარ ბიჭებს და ვერძნობდი, როგორ უნდოდა მათთან ლაპარაკი... ესეც თითქმის ბავშვი იყო. იქნებოდა 18 წლის. წვერი და კულულები გვერდიდან ასაკს მატებდა. ეკავა წყლით სავსე ბოთლი და თამაშობდა. დააყირავებდა ბოთლს ტუჩებისკენ. მიიღებდა წყალს, არ დაღევდა და მერე ქვემოთ დააყირავებდა ბოთლს, მერე ისევ ტუჩებისკენ წაიღებდა. ბოთლი რომ მოჰზებოდა, გაზრდილ წვერს უსვამდა თითებს ზრდის სანინალმდეგო მიმართულებით. მეც მითამაშია ეგრე, ხოტორა თავზე, პატარაობისას. კარგად მახსოვს, საბავშვო ბაღში ტილებდასეულს ვერაფერი რომ ვერ მომიხერხეს,

ერთბაშად დამაყრევინეს შავი კულულები... ბოლოს წვერით თამაში მოჰზებოდა და ტუჩების კუთხეებში გაზრდილი წვერი პირში შეიყო. ეს იყო ორმეტრიანი ბავშვი, რომელსაც უნდოდა გართობა... ახლა კი იჯდა და ახვევდა თითებით კულულებს... წამოდგა მერე, პარკი გადმოიღო და ჩემი ჩანაფიქრიც ასრულდა ნაწილობრივ: ნამცხვარი ამოიღო, მოკრძალებულად ჩაკბინა, ზოგჯერ კმაყოფილი ილოკავდა ცხიმთან თითებს... ისევე ჩემს შვილებს მივუბრუნდი ფიქრებში... არა, ჩემი შვილები არ არიან რელიგიური და არც ძალადობის მსხვერპლი. მათ თავისით უჩნდებათ სურვილი ეკლესიაში შესვლის. შეიძლება იშვიათად, მაგრამ თავისით. უფრო სანახაობისთვის შედიან ჩემი პატარები ეკლესიაში. მე არ ვიცი, სადაა ზომიერების ზღვარი, თუმცა ეჭვად მაქვს, რომ არც ამ კულულებიანის დედამ იცის... არც ამ ორი ზომიერად ცელქი ბავშვის დედამ, რადგან მხურვალე ბოდიშს მიხდიდა ინტენსიურად. შეიძლება, ეს ფრენა სულაც სხვა რამის გაკვეთილი იყო, მაგრამ ბავშვს უნდა დააცადო ბავშვობა. მოზღვავებული რელიგია ყველასთვის და თან, საზოგადოებრივ ადგილებში მხურვალე ლოცვები დიდი დისკომფორტია...

ჩამოფორინდი აეროპორტში. ჩემს ქმარს პატარები წამოუყვანია და შორიდან ტკბება ჩვენი შეხვედრის სიხარულით. ხელი მშრალად ჩამოვართვი. ვიცი, ეს ჩემთვის გააკეთა და შვილების ნახვა რამდენიმე საათით დამიჩქარა. ეს პატივისცემაა, მაგრამ მისი სუნი ისევე უხეშად დამეტაკა. შემზიზღდა უნებლიეთ და უსაფუძვლოდ ოჯახის კაცი, კარგი მამა და შემრცხვა უსაშველოდ... სირცხვილის გამო მაინც ვერ ვიცხოვრებ მასთან, ვერ ვიცხოვრებ და მორჩა. არ ვიცი, რატომ, მას არ აქვს ბრალი, შვილების გამო კიდევ მოუთმენელს ითმენს და ვაფასებ ამას ცივი გონებით, გულით კი ისევე მეზიზღება... ასე ვარ გულსა და გონებას შორის გასრესილი! ფსიქოლოგთანაც ვცადე მისვლა, მაგრამ ბოლო წუთებში გადავიფიქრე, ვერც ეკლესიაში ვთქვი ჩემს უმიზეზო სისუსტეზე. წუთუ, ისეთი ეგოისტი გავხდი, რომ ქმარზე აღმატებული მგონია თავი?..“

კაფემი ანთო ელექტრონი. მკაფიო სინათლემ დაგვანახვა, რომ ჩაი და ხაჭაპური გაცივებულიყო.



შემზიზღდა უნებლიეთ და უსაფუძვლოდ ოჯახის კაცი, კარგი მამა და შემრცხვა უსაშველოდ...

სირცხვილის გრძნობის გამო ირინამ ხაჭაპურის ნაჭერს ლუკმა ჩამოაჭრა, მერე ჩაიც დაფარული მონდობით მოწრუპა. წამოდგა, — სახლში მეჩქარებაო, მერე კი დასძინა: — ბავშვობის მეგობარს მოგიყევი აღსარებასავით ეს ამბავი და ოდნავ მომეშვა. ვიცი, არც შენ გექნება რეცეპტი ამ ყველაფრისთვის და რჩევასაც ვერ მომცემო...

ზეზე ადგომაც ვერ მოვახერხე. დამჯდარმა გამოსამშვიდობებლად ხელი ჩამოვართვი და უხერხულად გავიღიმე. სხვა რა შემეძლო?..

ქველ-სახსართა პრობლემა

კოქსარტოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული არტროზის, ანკილოზური სპონდილიტას, პოდაგრული არტრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებავით, მკურნალები პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარტივების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ტელ: 599 91-37-65 ქ-61: ქაითორ

„ვამბობდი: 2 შვილი მყავს, არ უნდა მოვკვდე-მეთქი“

ხალისიანი შშმ პირის საოცარი ოპტიმიზმი

ავარიის შემდეგ ბევრი რამის სწავლა თავიდან მოუხდა. მარტოხელა დედა იყო, 2 შვილი ჰყავდა მოსავლელი და ცდილობდა დამოუკიდებლად, ცალი ხელით გაეკეთებინა ყველაფერი. დარწმუნდა, რომ თურმე, ყველანაირი შიშის დაძლევა შეიძლება. ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია, ბოლო 2 წლის მანძილზე ფიზიკურსა თუ სულიერ ტკივილებს როგორ მოერია და გადაარჩა... მონინდობა და ყველა სირთულე დაამარცხა...

ნიკო ჯავახიშვილი

უამრავი პრობლემა აქვს — ვერ შოულობს სამსახურს; ყოველი თვის ბოლოს ფიქრობს, როგორ გადაიხადოს ბინის ქირა; არ იცის, მეორე დღეს რითი იარსებოს, მაგრამ არასდროს ნუნუნებს. — უბედურებაზე ადვილი არაფერია. ბევრი მიზეზი მაქვს, ცუდად რომ ვიგრძნო თავი, მაგრამ უფრო მეტი მიზეზი მაქვს იმისთვის, რომ „ხელმეორედ დაბადებულმა“ სიცოცხლის მშვენიერება მთელი ძალით შევიგრძნო. შეუძლებელი არაფერია, მთავარია, გჯეროდეს და გნამდესო, — ამბობს 34 წლის შშმ პირი სალომე გომეზიშვილი, რომელსაც ახლოს თუ გაიცნობ, საკუთარ შეუზღუდავ შესაძლებლობებში უფრო შეგეპარება ეჭვი ადამიანს.

— ბედის სამდურავი როგორ არ წამოცდენია, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ უფალმა უკეთესად იცის, ვის მოუვლინოს განსაცდელი. ჩემმა მდგომარეობამ მართალია, მიწაზე დამანარცხა, მაგრამ მომცა განვითარების მეტი შესაძლებლობა, ბევრ რამეზე დამაფიქრა და ახალი გზები მაჩვენა. ადრე სულ სხვანაირი ვიყავი. მარტივად მწყინდა, მერე ამწყენას გულში ვიდებდი და ადვილად ვერ ვპატიობდი შეცდომებს. ახლა, როდესაც ადამიანები ცუდად იქცევიან, ძველებურად სამდურავს კი არ ვეუბნები მათ, არამედ ვცდილობ, გავიგო მიზეზი, რატომ მატკინეს გული და რატომ არ შეეძლოთ უკეთესად მოქცევა. მე შემიძლია სიბნელეში სინათლე შევიტანო! მე ეს შემიძლია და მგონია, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც უნდა გაფანტო სიბნელე.

— მომიყვი, როგორ ცხოვრობდი ავარიამდე?

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მართლაც უდარდელი, ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ვმღეროდი, გამოვდიოდი კონცერტებზე, სილამაზის კონკურსებში ვმონაწილეობდი. არაჩვეულებრივი ბებია და ბაბუა მყავდა. მათი დამსახურებაა, ჩემში ამდენი სიყვარული რომ არის. მეცხრე კლასის დასრულებისთანავე ჩავაბარე კონსერვატორიის ათწლეფში, ვოკალის განხრით და იმ წელს გავთხოვდი კიდევ — მომიტაცეს. ჩემი ქმარი მაშინ 16 წლის იყო, მე — 14-ის. ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ. ბავშვი უცებ, ქალად ვიქცევი და ოჯახური ცხოვრება დავიწყე. მომწონდა კიდევ სახლში ფუსფუსი და მიხაროდა, სადილების მომზადებას რომ ვსწავლობდი. 16 წლისას შემეძინა მარიამი. ვერაფერს შევადარებ დედობას, ეს საოცარი გრძნობაა... ახლა მარიამი 18 წლისაა, დავსხდებით ხოლმე და ერთად ვგეგმავთ ყველაფერს, როგორც მეგობრები. მეორე გოგონა, სოფიო კი 11 წლისაა.

— სწავლა აღარ გაგიგრძელებია, არა?

— ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იმაზე ბევრად მეტის გაკეთება შემეძლო, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებდი. დამაინტერესა ფსიქოლოგიამ. მაშინ ინტერნეტი არ იყო და თუკი სადმე რამეს მოვიძიებდი, ყველაფერს ვკითხულობდი. დავდიოდი ტრენინგებზეც. მთელი ცხოვრება თითქოს, რაღაც ჩარჩოებს ვუნესებდი საკუთარ თავს. ახლა ვერ ვხვდები, რატომ მქონდა ასეთი განწყობა. მერე სოციოლოგიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა ინტერვიუერად. დამაინტერესა ადამიანის ტიპაჟმა. იმ პერიოდში ვნახე ფილმი „საიდუმლო“, რომელმაც ჩემი ცნობიერება შეცვალა. ეს ფილმი იმაზეა, თუ როგორ შეუძლია ჩვენს



ვფიქრობ, რომ ზუსტად ისეთი ვარ, როგორც ღმერთმა ჩამიფიქრა

ფიქრებს ჩვენი მომავლის შეცვლა, ანუ პოზიტიური აზროვნება რამდენად მნიშვნელოვანია და როგორ განსაზღვრავს იმას, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება... ბევრს უთქვამს: შენ რატომ დაგემართა ეს ამბავი? შენ არ უნდა დაგემართოდა... რა ვიცი, ალბათ, რომ არა ეს ტრაგიკული შემთხვევა, არ ვიქნებოდი ისეთი სალომე, როგორიც დღეს ვარ — ასეთი ძლიერი, თავდაჯერებული. ადრე ბევრი კომპლექსი მქონდა — ვიხედებოდი სარკეში და საკუთარი თავი არ მომწონდა: არც სახე, არც ტანი, არც ფეხი... აი, ახლა კი ვფიქრობ, რომ ზუსტად ისეთი ვარ, როგორც ღმერთმა ჩამიფიქრა, მიუხედავად იმისა, რომ სხეულის ნაწილი მაკლია.

— მტკივნეული იქნება კიდევ ერთხელ იმ დღის გახსენება...

— 2015 წლის 15 აგვისტოს მოხდა ეს ამბავი. სამსახურიდან წამოვედი, ბავშვებისთვის რაიონში ტკბილეული უნდა გამეგზავნა. ნაწილობრივ იყო და მძლოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა. ღვედი არ მეკეთა და ამან გადაამარჩინა, დარტყმისას მძლოლის მხარეს გადავვარდი, თორემ მარტო ხელს კი არ წამაცლიდა, რკინის ჯებირი ალბათ პირდაპირ გამჭრიდა შუაზე.

ინსტიქტურად ავნი მარჯვენა ხელი, რომ სახეზე ამეფარებინა, მაგრამ... მახსოვს, თავი რომ ავნი, რაღაც ბურუსში ვიყავი, ვერანაირ ტკივილს ვერ ვგრძნობდი, თუმცა ვხვდებოდი, რაღაც საშინელება მოხდა. ვილაც უცნობი მამშვიდებდა: ნუ გეშინია, გადაგარჩენო და მე ვეუბნებოდი: არ უნდა მოვკვდე, 2 შვილი მყავს-მეთქი. ადამიანის სახეებს ვერ ვარჩევდი, მხოლოდ ყვირილი მესმოდა. ისეთი საშინელი დასანახავი ვიყავი, ვერავინ მეკარებოდა. მერე ერთმა ბიჭმა მაისური გაიხადა და ხელზე შემომიჭირა. „სასწრაფო“ მანქანაში სახელი, გვარი და სისხლის ჯგუფიც კი ვუთხარი, მერე კი გავითიშე. მახსოვს, ჯერ ნაცრისფერი გახდა ყველაფერი და რაღაცნაირი საოცარი სითბო ვიგრძენი, მერე სიბნელე იყო... თვალები რომ გავახილე, უამრავი თეთრხალათიანი დავინახე. ფეხებს ვგრძნობდი, მარცხენა ხელსაც ვამოძრავებდი, თითქოს მეორესაც, მაგრამ რაღაც რიგზე ვერ იყო... ჯერ კიდევ ნარკოზით გაბრუებულს მესმოდა სიტყვები: ამპუტაცია, ამპუტირებული. ლაპარაკი მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი და ექთანს ვანიშნე, პირიდან ეს აპარატი ამომიღე-მეთქი. — ხელი აღარ მაქვს? — ეს იყო ჩემი პირველი შეკითხვა. ექიმი მომეფერა და დამამედა: ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, გადაარჩი, მკვდარი გაგაცოცხლეთო. რეანიმაციიდან პალატაში რომ გადამიყვანეს და ჩემები სანახავად მოდიოდნენ, ყველა ჩუმ-ჩუმად ტიროდა და შეშინებულები მიყურებდნენ. არ დამიჯერებთ, მაგრამ მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ გადავარჩი! ხომ ვიგრძენი, როგორ ვტოვებდი აქაურობას... მთელმა ცხოვრებამ თვალწინ გამიბრინა და მივხვდი, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი...

— მორჩა, დამთავრდა ყველაფერი, — ერთხელ მაინც არ დაგეუფლა ასეთი სასონარკვეთილება?

— როგორ არა! მახსოვს, პალატაში ჩემი მეგობარი შემოვიდა და ხელი ჩამიჭიდა. — ასეთი აღარავის დავჭირდები და აღარავის ვეყვარები-მეთქი, — შევჩივლე. ვიგულისხმე მშობლები, შვილები, დედამამიშვილები. ვფიქრობდი, ზედმეტი ტვირთი ვიქნები-მეთქი ყველასთვის. ჩემი ხომ გჯერაო? — მკითხა. მჯერა-მეთქი. — ჰოდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. იმ წუთში საოც-

არი ძალა მომცა მისმა სიტყვებმა... საავადმყოფოში მნახველებს თავად ვამხნევებდი. არ შემეძლო გაუთავებელი ტირილი და გოდება. დაბნეულ მკლავზე გარედან სმაილიკი მივიხატე მარკერით და ყველას ვეუბნებოდი, ჩემს ხელს პოზიტურად შეხედეთ. გაიღიმეთ-მეთქი. პირველად რომ დამოუკიდებლად შევედი სააბაზანოში, პალატაში ნავიციკვე კიდევ სიხარულის ნიშნად. ფაქტობრივად, სიცოცხლის მეორე შანსი მომეცა, მეორედ დავიბადე და აბა, რა უფლება მქონდა, ყურები ჩამომეყარა? შინაგანი ტრანსფორმაცია განვიცადე, როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად. სულ სხვანაირი, ახალი სალომე გავხდი.

— რა განსხვავებაა ძველსა და ახალ სალომეს შორის?

— ძველი სალომე მოსაწყენი და უჟმური გოგო იყო (იციინის), ახლანდელი კი ძალიან მხიარული და პოზიტურია, მთელი სამყარო უყვარს! მინდა ყველას ჩავეუტო; სურვილი მაქვს, ადამიანებს გულები უფრო მეტად გაუთბეთ ერთმანეთის მიმართ. მთელი დღის მანძილზე ერთი ადამიანი მაინც რომ გავალიმთ, უკვე კარგია. წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვლება სამყარო, ასე რომ მოვიქცეთ. ამ სიყვარულს ბევრი ვერც იგებს. მომდის ნეგატიური წერილებიც. მსაყვედურობენ, — შენი პოსტები და ბედნიერება გულწრფელი არ არის, ასეთი ნაკლი გაქვს და როგორ შეიძლება, ბედნიერი იყო? ან კიდევ, — ვიცით, რომ არც სახლი გაქვს, არც სამსახური



სურვილი მაქვს, ადამიანებს გულები უფრო მეტად გაუთბეთ ერთმანეთის მიმართ

მადლიერების დღიური და ყოველ საღამოს გაიხსენონ, რისთვის არიან დღევანდელი დღის მადლიერები... როდესაც ამ ჩანაწერებს გადახედავ, მიხვდები, რამდენი მიზეზი გაქვს იმისთვის, რომ თავი კარგად იგრძნო. ამ ავარიამ მომცა შანსი დამენახა, რომ ბევრად ძლიერი ვარ და უფრო მეტის გაკეთება შემიძლია.

ძველი სალომე მოსაწყენი და უჟმური გოგო იყო, ახლანდელი კი ძალიან მხიარული და პოზიტურია, მთელი სამყარო უყვარს!

და მაინც, რატომ ხარ ბედნიერი? ეს ამბავი ბევრ რამეზე მაფიქრებს. ნუთუ, მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა განსაზღვრავს ჩვენს განწყობასა და ბედნიერებას? იმის გამო, რომ ფული არ მაქვს და რაღაც მაკლია, განწყობას ვერ გავიფუჭებ, ვერც თვითგვემას მივეცემი და ვერც უბედური გავხდები. როდესაც უამრავი მიზეზი მაქვს ბედნიერებისთვის, რატომ ავირჩიო უბედურება ცხოვრების წესად? თქვენც და სხვა ადამიანებსაც ვურჩევ, აწარმოონ

შენ წარმოიდგინე, შემომთავაზეს საზღვარგარეთ ხელის პროთეზის გაკეთება და უარი ვთქვი. იმდენად ბედნიერი ვარ შინაგანად და იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, რომ არ მესმის, რატომ „ჩამოვიკიდო“ მხოლოდ ეს პროთეზი, რისთვის მჭირდება?

— ალბათ იმისთვის, რომ უფრო გაგაადვილდეს ყოველდღიურობა...

— (იციინის) მე გურული ვარ, საკმაოდ სწრაფი და ერთი ხელითაც ძალიან კარგად ვასწრებ ყველაფერს. სად მაქვს იმდენი მოთ-

მინება, რომ პროთეზიანი ხელი ნელა გამოძრაო? თავიდან ვფიქრობდი, თუ პროთეზი მეკეთებოდა, ხალხი ყურებას აღარ დამინებდა ქუჩაში. უცხო ადამიანების შესაბრალისი მზერა მაღიზიანებდა. ყოველთვის მოფარებული მქონდა რაღაც, რომ ვინმეს არ შეემჩნია ეს ნაკლი, მაგრამ ეს უხერხულობაც გადავლახე.

— რა დაგეხმარა ან ვინ მოგცა ძალა ამ ყველაფრის გადასატანად?

— ერთხანს ჩემს სამყაროში სალომეს კვლავ ორი ხელი ჰქონდა... არ მინდოდა რეალობისთვის თვალის გასწორება. ერთ დღეს გადავწყვიტე, რომ იმ სამყაროს კარი სამუდამოდ ჩამეკეტა და მიმელო, შემეყვარებინა ახლანდელი სალომე. პარაოლიმპიურ ცენტრში მივედი და ვარჯიში დავიწყე. თავიდან მკლავჭიდაში ვვარჯიშობდი, თუმცა ამჟამად პარამძლეოსნობაში — სირბილში ვცდი ბედს. სწორედ ვარჯიშის დროს შევხვდი ადამიანებს, რომელთაგან ზოგს არც ერთი ხელი არ ჰქონდა, ზოგს ფეხები არ ჰქონდა და აი, მაშინ საკუთარ თავს შევუძახე: სალომე, გონს მოდი! რატომ ემალები ადამიანებს? შენ არ ხარ მახინჯი, ეს არ არის ნაკლი-მეთქი. დავდგებოდი ხოლმე სარკის წინ და საკუთარ თავს ვამხნევებდი... ჩანანერებასაც ვაკეთებდი და მშველოდა განცდების ფურცელზე გადატანა, ცეკვავედი, ვვარჯიშობდი, ვაქტიურობდი სოციალურ ქსელში და ვწერდი პოსტებს, რომლებითაც ჩემნაირ მდგომარეობაში მყოფებს ვასწავლიდი, როგორ ებრძოლათ.

ამ ყველაფერმა დიდი ძალა მომცა, ტკივილი დამემარცხებინა... და კიდევ, იცით, რამ მომცა დიდი ძალა? ჩემმა პატარა გოგომ საავადმყოფოში იმდენი იტირა და ისე ინერვიულა, რომ აღარ მინდოდა, შეილებს მონყენილი და მტირალი ვენახე.

— ახლა ის მითხარი, ჯერ საცეკვაო დასში და შემდეგ — „ნიჭიერში“ როგორ მოხვდი?

— რამდენიმე თვის წინ თბილისის ინკლუზიური საცეკვაო დასის შესახებ გავიგე. სულ მინდოდა მეცეკვა და რას ვიფიქრებდი, რომ 34 წლისა დავიწყებდი ცეკვის შესწავლას. ამ დასში შშმ პირებთან ერთად პროფესიონალები ცეკვავენ. ვდგამთ პერფორმანსს, მუსიკითა და ცეკვით გამოვხატავთ ჩვენს შეგრძნებებს. სასიამოვნო და ლამაზი საყურებელია. ხალხისგან უზარმაზარი სითბო მივიღეთ. გვინდოდა, ჩვენი შესრულება ხალხის გულებამდე მისულიყო და მიმხვდარიყვნენ, რომ ჩვენც, შშმ პირებსაც შეგვიძლია ვიცეკვოთ, ვიმღეროთ და ვიყოთ საზოგადოების სრულყოფილი წევრები. ვფიქრობ, გამოვიდა. ახლა მეორე ტურისთვის ვემზადებით.

— წარმატებებს გისურვებ! ახლა მითხარი, რა მიზეზით გეუბნებიან უარს დამსაქმებლები?

— რაღაც გადაულახავი ბარიერია ჩემსა და დამსაქმებლებს შორის, ისევე როგორც საზოგადოებასა და შშმ პირებს შორის და ზუსტად ვიცი, ამ ბარიერებს მალე დავამსხვრევ. ჩემმა ახლობლებმა იციან, რომ შემიძლია ბევრი რაღაცის გაკეთე-

ბა, იმაზე მეტისაც კი, ვიდრე ადრე ვაკეთებდი, მაგრამ ეს ხომ არ იციან დამსაქმებლებმა? რადგან ინვალიდი ხარ, ფიქრობენ, რომ უნარები შეზღუდული გაქვს. ერთმა პირდაპირ მითხრა: თქვენი ვიზუალით ჩვენთან ვერ იმუშავებთ! ერთხანს ერთ კომპანიაში მარკეტინგის მენეჯერად ვმუშაობდი, მაგრამ რადგან ჩემთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ვარჯიშსა და ფიზიკურ აქტივობას, იქ მუშაობის პარალელურად კი ამას ვერ ვახერხებდი, იძულებული გავხდი, თავი დამენებებინა. მოქნილი გრაფიკი მჭირდება. ერთი ან ორი დღე რომ არ ვივარჯიშო, ხერხემლის ტკივილი მენწყება. სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩემთვის სამსახურსაც, მაგრამ არა — ჯანმრთელობის ხარჯზე. არადა, უკვე აღარ ვიცი, როგორ ვიარსებო. აქამდე თუ დედა მეხმარებოდა, ახლა ის თავადაა სამკურნალო და მისახედი. მალე დავინყებ პრაქტიკული ფსიქოლოგიისა და ქოუჩინგის სკოლაში სწავლას. სწავლის საფასურის ნახევარს სკოლა მიფინანსებს, მეორე ნახევარს კი ერთ-ერთი ორგანიზაცია. საუკეთესო სამ სტუდენტს ფსიქოლოგიურ ცენტრშივე დაასაქმებენ. იმედი მაქვს, რომ მათ შორის მოვხვდები.

— მითხარი, რომ ხშირად გასყვედურობენ თამამი ფოტოებისა და იმის გამო, რომ ნაკლს არ მალავ. რას ვერ გპატიობს საზოგადოება?

— ალბათ, ფიქრობენ, რომ რადგან შშმ პირი ვარ, მოუვლელი უნდა ვიყო. იმას, რომ კარგად გამოიყურები და ბედნიერი ხარ, რატომღაც არ გპატიობენ. მწერენ, ძალიან თამამ ფოტოებს დებ სოციალურ ქსელში, დამახინჯებული ხელი გიჩანს და რად გინდა, რომ საკუთარ ნაკლს აჩენო?.. სამაგიეროდ, არის კატეგორია ადამიანების, რომლებიც მწერენ: შენი შემართება გვშველის და გვამხნევენს, დღეებს გვიფერადებს შენი სიხალისეო, — და ეს უზომოდ მახებნიერებს. ყოველი დილის გათენება მიხარია. სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულისთვის მიზეზებს არ ვეძებ!

P.S. სალომეს შემყურეს შენც მოგინდება პოზიტიური, სიხალისითა და სიყვარულით სავსე იყო და ყოველი დღით დატკბე. სანყენია, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულად არ ზრუნავს სალომესნაირი ადამიანების დასაქმებაზე, რათა მათ ცხოვრების გაგრძელება შეძლონ!



იმას, რომ კარგად გამოიყურები და ბედნიერი ხარ, რატომღაც არ გპატიობენ



აივნისანი ქალაქი

ნიკოლოზ გაბაონი

დასაწყისი იხ. „გზა“ №7-45

თბილისში პირველი საკერავი მანქანა ფერშანგოვის ქალმა გაიჩინა. ყველა მის სანახავად მოდიოდა და გაკვირვებული უყურებდა პატარა, მაგრამ საოცარი მანქანის მუშაობას.

თვითონ შუშანიკი სამკერვალოში დაუზარებლად ფუსფუსებდა, ღარიბსა და ხელმოკლეს დღენიდავ ხელს უმართავდა და ეხმარებოდა.

კმაყოფილი ვარდისმონა თავისებურად იკრიჭებოდა და გახარებული ამბობდა:

— იცი, შუშანიკ! ახლა ვფიქრობ, რომ ის გუგული მამიშენის კედლის საათიდან სასიკეთოდ გამოფრინდა!

— მაგას რაზე ამბობ? — ჰკითხა გაოცებულმა ქალბატონმა.

— მაკას საყვარელი, ჯანუმ, ჩვენ არ გამოგვადგებოდა.

— შენ რა, შენსას არ იშლი?

— არა, არა, მართალს ვამბობ.

— რა ვიცი, წინათ მაგ კაცზე რა არ გემართებოდა! გაიხსენა ძველი ამბავი შუშანიკმა და თვითონაც გაიცინა.

— ახლა აღარ მომწონს, თვალში აღარ მომდის.

— რატომ? რა დაგიშავა?

— ქა, ჩემთვის რა უნდა დაეშავებინა? აღარ მეპიტნავება და ეგ არის!

— რად გავინყდება, მაგ კაცმა ჩვენი ოჯახი ფეხზე რომ დააყენა?

— უსარგებლოდ არც მაგას გააკეთებდა.

— უჰ, რა გრძელი ენა გაქვს, ვარდისმონავ!

— გრძელი ენა რა შუაშია? განა მე კი არ ვიცი, ვინ როგორია? აი, თუნდაც ჩვენი ვახტანგი ავიღოთ. კაცი კი არა, აუნონავი ოქროა!

— შენ, გატყობ, უარესად გამიგიჟებ ქრისტინეს.

— არხეინად იყავი, ჯანუმ! იმ ძველი კედლის საათის კარები ისეთნაირად ჩავკეტე, რომ იქიდან გუგული აღარ გამოხტება. არაფრისდიდებით!

— ღმერთმა ქნას! — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა შუშანიკმა, — უკეთეს კაცს ვერც მე ვინატრებ, ვერც ქრისტინე.

— მაირიკაც სულ ამას ამბობს, ეგ კაცი ხელიდან არ გაუშვათო.

— გოგო, მაჭანკლობა ახლაც არ უნდა მოიშალო?

ვარდისმონამ ისევ გადმოჰყარა თავისი მსხვილი კბილები.

— არც იმ მაქანკლობას ვნანობ. რა ნავაგეთ? კოსტას და ქრისტინეს რომ ვუყურებ, მეტს ბედნიერებას როგორღა ვინატრებ?

— ჰო. ჩემი გამოისობით მარტო ჩემი სანყალი დედ-მამა და საცოდავი ფილიპე გამოდგნენ უბედურნი.

— მადლობა ღმერთს, რომ მოგვხედა და არ დაგვივიწყა.

— ღმერთი რა შუაშია? ადამიანმა თუ ხელი არ გაანძრია, ღმერთი რას უშველის? თავიდათავი გარჯაა! შრომით და პირზე ოფლით უნდა მოვიპოვოთ ლუკმა-პურიც და ბედნიერებაც.

— შენ რაც გინდა, სთქვი, ჯანუმ! მე კი ყოველდღე საყდარში დავრბივარ და გამოზოგილი ფულით ხატებს სანთლებს ვუნთებ, მამაზეციერს კოსტასა და ქრისტინეს დღევგრძელობას ვავედრებ.

— კარგი, კარგი. წადი, სამკერვალოში ქალებს მიხედე. სადაც არის, ზარბაზანი გავარდება, დალილებს დასანაყრებელი უნდა მოვუმზადოთ.

ამგვარი საუბარი ხშირად იმართებოდა ხოლმე ქალბატონსა და მოახლეს შორის, რომელთაც თვალი გზაზე რჩებოდათ და უკვე აშკარა მღელვარებით მოელოდნენ ვახტანგ ტაშირელის გამოჩენას თავიანთ პატარა ქუჩაზე.

ვახტანგის და ქრისტინეს ბედნიერებაზე ფიქრობდა კნენა გოსტაშაბიშვილიც იმ მომენტში, როცა მან ნიკოლოზის მოედანზე ამაყად გაიარა და ანჩისხატის უბნისკენ გაუხვია.

5. ხელოსნის ქორწინება

ქორწილია ჩვენს უბანში, ქორწილი!

ქალაქური დაძახილი

ფერშანგოვის სახლის დიდ ეზოში ხალხი ფუსფუსებდა. დედაკაცები თონეში პურს აცხობდნენ. მამაკაცები ქვაბებში ნაირ-ნაირ კერძებს ხარშავდნენ. მათ შორის შუშანიკის უფროსი შვილი კონსტანტინე მამრადე ტრიალებდა.

კნენა გოსტაშაბიშვილი გულითადად მიესალმა მას. კოხტა, ქერა და ლურჯთვალება ყმანვილმა მდაბლად დაუკრა თავი.

— რა ამბავია თქვენთან, კონსტანტინე? — ჰკითხა კნენამ.

— ქორწილი, კნენავ.

— ქორწილი? ვის ათხოვებ?

— მარგალიტას, კნენავ, — რალაცნაირი სიამაყით მიუგო კონსტანტინე მამრადე.

კნენა გოსტაშაბიშვილმა მარგალიტას ვინაობა არ იცოდა. ჰკითხა:

— ბატონი ვახტანგი აქ ბრძანდება, კონსტანტინე?

— აქ ბრძანდება, კნენავ.

დარცხვენელ ყმანვილს მაგდამ ალერსიანად გაუღიმა.

„რა კარგი შვილები ჰყავს შუშანიკს!“ — თითქმის შურით გაიფიქრა მან.

— ვიშ, რა ქალია! — მკაფიოდ მოესმა მას, როცა კიბის ფოლორცზე ფეხი შედგა.

სიამით გაიღიმა.

გუნება გამოუკეთდა.

ქრისტინეს ოთახშიც ფუსფუსებდნენ. ქრისტინე მამრადე, მისი საქმრო ვახტანგ ტაშირელი, კენტერაძის ქალი და ამისი ქმარი, როინ ცალქალამანიძე, „ცისკრის“ კორექტურას ასწორებდნენ.

— რომ მცოდნოდა, მოუცლელნი იყავით, არ მოვიდოდი, — თქვა კნენამ.

— რასა ბრძანებთ? რასა ბრძანებთ? — შესძახეს ქალებმა, — დაბრძანდით, კნენავ, ახლავე ჩვენც დავამთავრებთ.

ხალისიანად მუშაობდნენ, გატაცებით. მუდამ დაღვრემილი ვახტანგ ტაშირელიც სახეგაბრწყინებული და გახარებული იყურებოდა, თითქოს თავისთვის ღიღინებდა კიდეც.

— მალე გამოვა? — ჰკითხა კნენამ.

— მალე, სულ მალე, მაგდა! — უპასუხა ტაშირელმა.

— ბარაქალა ქართველების მოლიერს!

ტაშირელმა იჭვნეულად გაიხედა მისკენ, მის წამოძახილში ირონიის გამონაკრთობი მოელანდა.

ბოლო ხანებში ვერ რიგდებოდნენ. ტაშირელმა მას რამდენჯერმე „ცისკრისათვის“ ფრანგულიდან რაიმეს თარგმნა ან პარიზული შთაბეჭდილებების დაწერა შესთავაზა, მაგრამ კნენამ შორს დაიჭირა. თავაზიანი ღიმილით ეუბნებოდა უარს.

„რა მშვენიერი ქალია, რა ცოდნის პატრონი! — ფიქრობდა თავისთვის ვახტანგ ტაშირელი, — მაგრამ არაფერი სწამს, არაფრისა სჯერა. მაინც რა დიდი ძალა ყოფილა რწმენა!“

მეორე ოთახში პატარძალს რთავდნენ.

განკარგულებებს შუშანიკი იძლეოდა.

ფერშანგოვის დედის დარიგებანიც მკაფიოდ ისმოდა.

— ქმარს გაფრთხილება უნდა, მარგალიტ! — არიგებდა პატარძალს, — კაცის გული ჭიქაა, გადავარდება და გატყდება. ქალები უფრო გამძლენი ვართ. მინას შვიდი შვილი მივაბარე, მაგრამ ამ ოხერ დედამინაზე ისევ დავდივარ.

— რა გულკეთილი დედაბერია! — თქვა კნენა გოსტაშაბიშვილმა.

ქრისტინემ თავი მოიწონა, გაიბადრა.

— გულკეთილია, მაგდა, გულკეთილი, — დასძინა ტაშირელმა, — ოთხმოცდაათ წელიწადს გადასცილდა, მაგრამ არც მხნეობა აკლია, არც გონება და თვალის ჩინი. სიყვარული აძლებინებს!

დედაბერს ბადიშები თავს ევლებოდნენ. იმასაც გულით უყვარდა ისინი. როცა კონსტანტინესა და ქრისტინეს გულმურაზიანი „ბაბოჯან“ ესმოდა, გაცისკროვნებულ დედაბერს სულ „აჯან! აჯან!“ ეკერა პირზე. მეზობელ დედაკაცებს უტყვებოდა:

— ჩემს მელქუას ისეთი ხასიათი რომ არა ჰქონოდა, რა გვიჭირდა? ან მე იმ გულმკვდარ ანუშას რას ვერჩოდნი? კერპი იყო, ცრემლს არასოდეს წამოვადებდა. როცა შვილსა და რძალს იგონებდა, ცალი ხელი დაღონებულ თვალებთან მიჰქონდა.

სიყვარული ჯეჯილივით იყო აბიბინებული მამრადიანთ ოჯახში.

თავანკარა, უზადო სიყვარულს აქ შუშანიკი თესდა და უვლიდა.

კნენინა გოსტაშაბიშვილს ამ პატარა, მაგრამ მუდამ მხნე და გამრჯე ქალის მიმზიდველი, რალაც ღვთიური მადლით გასხვივოსნებული სახე განსაკუთრებით მოსწონდა. ჩუმად უმზერდა და მისი ყურებით ტკბებოდა ხოლმე. ვილაცას ამსგავსებდა. ერთხელ მოაგონდა კიდეც. ასეთი სახე, გარეგნულად უდრტვიწველი, მაგრამ შინაგანად დაძაბული და დაფიქრებული, გოიას ცოლის პორტრეტზე ჰქონდა ნანახი.

6. მდაბიოთა ბედნიერება

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივადნიეთ პოლიტიკურ თანასწორობას, მუშები კი სოციალურად უკვე თანასწორნი არიან.

კლოდ ტილლი

მარგალიტას შიო ღურგალზე ათხოვებდნენ. ეზო თანდათან ყარაჩოლელებით ივსებოდა. იქიდან მხიარული ყიყინა, ხუმრობა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა.

ვახტანგ ტაშირელმა „ცისკრის“ კორექტურები დაკეცა, უჯრაში შეინახა.

ყველანი აივანზე გავიდნენ.

დიდი თუთის ქვეშ შიო ღურგალი იდგა.

ტანმორჩილი შუახნის კაცი იყო, ჩოფურა და კისერა. გარს ამხანაგები ეხვივნენ, ეხუმრებოდნენ.

— ვაჰ, შიოჯან! — ეუბნებოდა ერთი მათგანი, — კისერა ხარ, მარგალიტაზე თვალს კარგად დაიჭერ, არსად გაგექცევა!

ერთი ამქრის ხალხი ერთად ხარხარებდა.

— ტუტუტო! — დაიძახა ერთმა ყველაზე ბრგე და ყველაზე ომახიანმა ყარაჩოლელმა, — რა ვუყოთ, რომ კისერაა? ერთბაშად მაგის მარჯვენას არ შეედავო. გარჯასა და პატიოსნებაში ტოლი არ დაუდო!

— მაშ! მაშ! — დაიძახეს სხვებმაც.

იმ ბრგე და ომახიანი ყარაჩოლელის ნათქვამს ბეჭედი დაჰკრეს.

აივანზე ღურგლების ამქრის უსტაბაში სოსანა მძიმე-მძიმედ ამოვიდა. ყველას დარბაისლურად მიესალმა. თავი ისე ეჭირა, როგორც ამქრის უსტაბაშს შეეფერებოდა.

ვახტანგ ტაშირელმა ხელი მაგრად ჩამოართვა. დიდის ამბით მოიკითხა:

— როგორ ბრძანდებით, სოსან, რასა იქმთ?

— ვართ, ვახტანგჯან, — უპასუხა სერიოზულმა უსტაბაშმა, — ცხოვრება ჩვენ გვიტევს, ცხოვრებას ჩვენ ვუტევთ. რალაცნაირად ბარი-ბარში გამოვდივართ.

— ეგრეა, სოსან, ეგრეა.

— ეგ ხომ ეგრეა, ვახტანგჯან, მაგრამ გაძლება არ გინდა! გადასახადები ძალიან მოგვიმატეს. ბაზარს კი ცეცხლის ფასი უკიდია.

— ყველა მაგას ამბობს, სოსან, ღარიბ ხალხს ძალიან გაუჭირდა.

კნენინა გოსტაშაბიშვილი ორ მოსაუბრეს ინტერესით უყურებდა და უკვირდა, რომ მოსკოველი აზნაური უბრალო ხალხში შინაურულად ტრიალებდა.

თვითონ აივნის სვეტზე მიყრდნობილი, მედიდურად იდგა.

— ხალხი დღეს უბედურია, — მოესმა მას ტაშირელის აღელვებული ხმა, — მაგრამ ხალხისთვისაც გათენდება, სოსან!

— მაშ გათენდება, ვახტანგჯან?!

— გათენდება! — მტკიცე ხმით მიუგო ტაშირელმა.

მაგდას ელიმებოდა. მას არც მღვდლების ქადაგებანი სწამდა, არც სოციალისტების შეგონებანი. მათ შორის ერთგვარ მსგავსებასაც პოულობდა. ერთნი მაშვრალ ხალხს ზეცისკენ უშვერდნენ ხელს და ბედნიერებას სასუფეველში ჰპირდებოდნენ, ხოლო მეორენი მიწას დასცქეროდნენ, აქ აპირებდნენ თანასწორთა საზოგადოების დაარსებას, რომელიც ჯერჯერობით სენ-სიმონის, რობერტ ოუენისა და ფურიეს წიგნებში არსებობდა.

7. „რა დაემართა კნენინა გოსტაშაბიშვილს?“

არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობია ამდენის მარტოობით.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ეზოში ჟრიაშული გაძლიერდა. ყარაჩოლელნი ხუმრობდნენ და ისეთნაირად ენამახვილობდნენ, რომ მაგდა სიცილს ვეღარ იმაგრებდა. გაერთო, გახალისდა. უცებ ისეთ ბედნიერ ადამიანად იგრძნო თავი, რომ თვითონვე გაუკვირდა. მდაბიო ადამიანებთან ერთად იცინოდა. თვითონაც ხუმრობდა. ვარდისმონას ცალ მხარეს ჩამონეული კაბა სიცილით გაუსწორა. თავისი კნენინობა სულმთლად გადაავინცდა. სახიდან გოროზი ქალბატონის ნილაბი შეუმჩნევლად ჩამოეხსნა და ისეთი კეთილი, სადა და ყოვლად ბუნებრივი გამომეტყველება მიიღო, როგორც მას მხოლოდ საკუთარ მამასთან, გამდელთან და ზოგჯერ ვახტანგ ტაშირელთან ჰქონდა ხოლმე.

ვახტანგ ტაშირელი მალულად უმზერდა მას. მისი სიამოვნებით თვითონაც სიამოვნებდა, მაგრამ, ამავე დროს, თავის გულის სიღრმეში რალაც გაურკვეველი, იდუმალი წინათგრძნობის შიშით ფიქრობდა:

„არ ვიცი, მაგდას რა დაემართება, თუ ხალხთან

არ მივიდა, ხალხი არ ირწმუნა, საზოგადო საქმემ არ გაიტაცა. ეგ დიდი ხანია ზემოურებს აღარ ეკუთვნის“.

პატარძალი დიდი ამბით გამოიყვანეს აივანზე.

შუშანიკმა კნენინა გოსტაშაბიშვილს მორიდებით გაუბედა:

— დარჩით, კნენინავ, ჩვენთან ერთად ისიამოვნეთ.

მაგდა შეეყოყმანდა, მაგრამ შუშანიკის სანდომიან სახეს რომ შეხედა, უარი ვეღარ უთხრა.

მექორნინენი მეიდნის წმინდა გიორგის საყდრისკენ ფეხით გაემართნენ. მამრადებიც თან გაჰყვნენ.

აივანზე ვახტანგ ტაშირელი და მაგდა გოსტაშაბიშვილი შემოთავაზებულ სკამებზე დასხდნენ. აივნის ბოლოს ფერშანგოვის დედა და რამდენიმე დედაკაცი რიკულს გადაეყუდნენ. როცა მექორნინეთა მხიარული აურზაური მიწყდა, ფერშანგოვის დედამ დაიძახა:

— ქა, რატომ ზანდაროვები არსად გამოჩნდნენ?

მაგდამ ყურები ცქციტა.

ტაშირელი შეკრთა.

ერთმა დედაკაცმა დედაბერს გაკვირვებით უპასუხა.

— იჰ, მაირიკჯან, ნეტავი შენა! აბა, თეთრი ღიზა მარგალიტას გვერდით დაჯდომას როგორ იკადრებდა?

— მეხი კი დავაყარე, აჰანდე! — გაბრაზდა დედაბერი, — ქა, ფირუზა ზანდაროვის ცოლი საქციელს ვის უწუნებს?

მეორე დედაკაცმა მოაგონა:

— ზანდარანთ გიგა ფირუზაზე ნაკლები რით იყო? არ გახსოვთ, საკინძჩამოგლეჯილი მაკას საყვარლად რომ ეჯდა?

მაგდა გაფითრდა.

ტაშირელი წამოწივდა.

მესამე დედაკაცმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იდგა, ნიშნის მოგებით წარმოთქვა:

— თორემ ახლა თუ განკეპილია, მე შენ გეტყვი, ხელი ეშლება! ყველამ იცის, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლთან დაეთრევა.

მაგდას ზაფრანისფერი დაედო სახეზე.

ვახტანგ ტაშირელი გამშრალი იჯდა. არ იცოდა, რა ექნა. ვერც ადგომას ახერხებდა, ვერც სიტყვის თქმას. სივრცეს სულშეგუბებული გაჰყურებდა, არ უნდოდა, კნენინა გოსტაშაბიშვილის გაფითრებული სახე დაენახა.

დედაკაცები ოთახში შელაგდნენ, რადგან აივნის ბოლოს მზე მოადგა.

ხანგრძლივი და უხერხული დუმილი ვახტანგ ტაშირელმა იმით დაარღვია, რომ ერთი ახლად ნაპოვნი, მეტად ძველი და მეტად საინტერესო ხელნაწერის აღწერას შეუდგა.

მაგდა ყურს არ უგდებდა. ეკლებზე იჯდა. მექორნინეთა დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

როცა ანჩისხატის უბნის პატარა ქუჩა კვლავ ახმაურდა, ფეხზე წამოდგა.

დედაკაცები ზურნისა და ღრიანცელის ხმაზე ოთახიდან გამოცვივდნენ, აივანზე გადადგნენ.

მაგდამ პატარძალს პირზე აკოცა, ნეფეს ხელი ჩამოართვა.

— დარჩით, კნენინავ, — შეეხვეწა შუშანიკი, — ჩვენთან ერთად გაატარეთ დრო.

— გადაუდებელი საქმე მაქვს, შუშანიკ. თქვენთან ცოტა ხნით შემოვიარე.

შუშანიკს გაუკვირდა. ვერ მიმხვდარიყო, წელანდელ თანხმობას ახლანდელი უარი რატომ მოჰყვა. „რა დემართა კნენინა გოსტაშაბიშვილს?“ — თვალებით ეკითხებოდა იგი ვახტანგ ტაშირელს.

ტაშირელმა მას პირი მოარიდა, ისევე სივრცეს გახედა.

კნენინა გოსტაშაბიშვილს ყველამ მოწინებით დაუთმო გზა.

ჭიშკრამდე ის ვახტანგ ტაშირელმა მიაცილა. ნაღვლიანად გააყოლა თვალი მას და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კნენინა გოსტაშაბიშვილი ოდნავ წელში მოხრილი მიდიოდა.

8. მკვლელობა კარეტაში

ახალგაზრდა კაცმა აღმოიღო ხრმალი, მაგრამ მასვე წამსა ოთხი ნიღბიანი კაცი შეცვივდა საწოლს, შეიპყრეს ისი, შეუკრეს ხელები, აუკრეს პირი, მარკიზას გული წაუვიდა.

„საფია“, რომანი უფლისა რეჟე დებოვიარ

სამი დღის შემდეგ, ღამის თერთმეტ საათზე, ერთ მიყრუებულსა და ბნელ ქუჩაზე, კნენინა გოსტაშაბიშვილს დახურულ კარეტაში მკვლელები აუცვივდნენ და ბებუთით აჩეხეს, გაძლიანებული მეეტლეც მძიმედ დაჭრეს და ღამის წყვილიაღში გაუჩინარდნენ. პოლიციელის ჩამოვლამდე კარეტა დიდხანს იდგა უკაცრიელ ქუჩაზე. გვიან ღამით, უბნის პოლიციელმა ძლივს გაარჩია ცხენებს შორის ჩავარდნილი მეეტლე და მისივე განგაში ატეხა. მის ყვირილზე ახლომახლო სახლების მცხოვრებლები გამოცვივდნენ და ეტლს გარს შემოეხვივნენ. ვიღაცამ ეზოდან ანთებული ჩირაღდანი გამოიტანა და იქაურობა გაანათა. კნენინა გოსტაშაბიშვილი სისხლში ცურავდა. შეძრწუნებული ბრბო ჯერ გაშტერდა, მერე აყაყანდა და მთელი უბანი ფეხზე დააყენა.

რიყიდან, ზალმანის სასტუმროდან ეტლით მომავალმა გრიგოლ ზანდაროვმა, რომელსაც ეტლში ოპერის თეატრის ნორჩი ბალერინა ეჯდა, მეეტლეს ცხენები გააჩერებინა და იქით გაიხედა, სადაც ყველა სეირის საყურებლად გარბოდა.

შუა ქუჩაში გაჩერებულ ვიღაცის კარეტას გარშემო აღელვებული ხალხი შემოხვეოდა.

ზანდაროვმა კარეტას შორიდან დაადგა თვალი.

ეცნაურა.

მერე იცნო კიდეც.

ეტლიდან უფრო გადმოხტა, ვიდრე გადმოვიდა.

ნაბიჯს აუჩქარა.
ბრბო გაარღვია.

გაპრიალეზულ ვაჟბატონს პოლიციელმა უსიტყვოდ დაუთმო გზა.

ზანდაროვმა ეტლის პანია სარკმელში თავი გადაჰყო. ბებუთით მკერდგანგმირული მაგდა გოსტაშაბიშვილი ეტლის ბალიშებზე იყო გადასვენებული. ზანდაროვი ზარდაცემული მიაცქერდა მას და ჩირაღდნების შუქზე მყისვე თვალში მოხვდა, რომ ამ მუდამ გოროზსა და ამპარტავან კენინას სახეზე ისეთი გაოცება ეწერა, რომლის მსგავსს ცხოვრებაში არავინ არასოდეს არ ამჩნევდა. სიკვდილი უკვე დაუფლებოდა მისი ლამაზი პირისახის ნატიფ ნაკვეთებს. მხოლოდ მის წაბლისფერ კულულებს შერჩენოდათ ისევე სიცოცხლის ნიშატი. გრიგოლს ცრემლი მოერია. ქვედა ყბა აუკანკალდა. დარეტიანებულმა პირჯვრის გადაწერა ძლივს მოახერხა. უცებ წელში გაიმართა და მოკლულს ყელზე დაამტერდა. მას მაინის ფრანკფურტში ნაყიდი მანიაკი აღარ ეკეთა, მანიაკი, რომელსაც კენინა გოსტაშაბიშვილი განუშორებლად თან ატარებდა.

მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: კენინა გაძარცვის მიზნით იყო მოკლული.

9. კენინა და ნაიბი

ქალის და მხედრის ცხოვრების სხვადასხვა გზა სიკვდილმა შეაერთა, როცა ერთს ახსენებდნენ, მეორესაც ასახელებდნენ.

თანამედროვეს ჩანაწერებიდან

არისტოკრატი ქალის მკვლელობას მაინცდამაინც დიდი აურზაური არ გამოუწვევია თბილისში. პირველი შთაბეჭდილება და მითქმა-მოთქმა სწრაფად მიწეშლდა.

ქალაქის ხალხს სულ სხვა რამ გაუჩნდა სალაპარაკოდ.

მეფისნაცვლის სასახლის წინ, მაღალ სვეტზე, ჰაჯი-მურატის მოკვეთილი თავი იყო დაგდებული.

ქალაქის ყველა უზნიდან მის სანახავად მორბოდნენ. ნიკოლოზის მოედანზე ხალხს ზიმზიმი გაჰქონდა.

კენინა გოსტაშაბიშვილის პანაშვიდს თითო-ოროლა არისტოკრატი დაესწრო.

კენინა მზეხათუნი ერთი წუთით გამოჩნდა და სწრაფად გაუჩინარდა.

ჭირისუფლობა კენინა გოსტაშაბიშვილს ანჩისხატისუბნელებმა გაუჩინეს.

ვახტანგ ტაშირელი კედელთან იდგა, ხელები თვალებზე აეფარებინა და ჩუმად ქვითინებდა. მის გვერდით მდგარი თვალცრემლიანი ქრისტიანე დროგამოშვებით ამშვიდებდა მას. დაღონებული კონსტანტინე მამრადე კარებთან იშვიათ მომსვლელს მოკრძალებით უთმობდა გზას. მარგალიტა ახლაც ქუჩაში იდგა, ქმრის ხელი თავის ხელში ეჭირა და კენინას სახლის განათებულ ფანჯრებს თვალდანამული შესცქეროდა.

უზარმაზარი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი შუათახში დასვენებულ ცოლის ცხედარს გამტერებულად დაჰყურებდა. თუმცა ბაღდადი გაშლილი ჰქონდა, მსხვილ ცრემლებს მაინც სახელოთი ინმენდა.

ძალისუბნელმა ზაქარამ ძვირფასი მანიაკი ჯერ უნაბის ქვეშ ჩაფლა, მერე სამტრედეში გადაიტანა, ბოლოს საბუხრეში დამალა. ამასაც ეჭვით დაუწყო ყურება და იმდენ ხანს იბორიალა, სანამ პოლიცია არ დაადგა თავზე.

ქარი მოცდამეცხრა

1. აბრუნდი

ქალაქელ ვაჭრებს ცუდი ესა გჭირთ, რომ არა გაქვთ ძმის არც სიყვარული, არც შებრალება.

ლავერენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

გრიგოლ ზანდაროვი ცოლს ცივ ნიავს არ აკარებდა. ყურადღებას არ აკლებდა და მოუთმენლად მოელოდა ვაჟის დაბადებას.

მანანამ მეოთხედ მოილოგინა და მეოთხედაც გოგო ეყოლა.

ზანდაროვს ისევე გაუყვითლდა პირი.

თეთრმა ლიზამ მეოთხედ მიაყარა ქოქოლა „ნაკენინარს“. გათამამდა და იქ დაერჭო, სადაც წინათ რძალი ყოფნას უკრძალავდა.

მანანას მისთვის არ ეცალა, ბოღმით იყო გასივებული.

ცრუმორწმუნემ და მალემრწმენმა გოგოს დაბადებაში ღვთის რისხვის ნიშანი დაინახა.

ანრილდა და აფორიაქდა.

ეკლესიებში სიარულს მოუხშირა. ყველა ეკლესიაში ყველა ხატს სანთელს უნთებდა. ხატებთან სასოებით მუხლმოყრილი გულმხურვალედ ლოცულობდა. სახლში მარჩიელები და მჩხიბავები გაამრავლა. მწირებს და მონოზნებს თავი მოუყარა. მონასტრებს მდიდრულ შესანიარავებს უგზავნიდა და საკუთარი ხელით განთქმული ეკლესიების განთქმულ წმინდანებს ოქრონაკერებს უქარგავდა.

მილიონერის სახლში კვლავ დატრიალდა საკმევლის სუნი.

თეთრი ლიზა გაკვირვებული იყო. ხელებს შლიდა და თავის დოსტ მაიკო კურტიანიძესთან გაოცებით ლაპარაკობდა:

— ქა, ღმერთს ეგეთი რა შესცოდა? ნეტავ ვიცოდე, რა ცოდვას ინანიებს?

მაიკო მის ნათქვამს ხარბად კრეფდა, თვითონ კი არაფერს ამბობდა.

გრიგოლიც დუმდა. ხმას არ იღებდა.

როცა ძალისუბნელ ზაქარას სასამართლომ განაჩენი გამოუტანა, რუხი ფარაჯა ჩააცვეს და კატორღის

გზას შეუყენეს, თითი შუბლთან დაატრიალა, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა და, საერთოდ, კნენინა გოსტამა-ბიშვილი შარშანდელი თოვლივით დაავინყდა.

დროს შესანიშნავად ატარებდა.

თეატრსა და სანახაობებს არ აკლდებოდა. თეატრში მარტო უხდებოდა სიარული, რადგან მარჩიელ-მჩხი-ბავებსა და მონოზნებს შორის ჩამჯდარ ქალბატონს აღარც იტალიელი მომღერლები აგონდებოდა, აღარც ოპერისა და სალონების ბრწყინვალე საზოგადოება.

მონოზნებიც სულ იმას ჩასჩინებდნენ, რომ თეატრი ეშმაკის გასართობი იყო, ხოლო მეჯლისები — კუდიანების ღრეობა.

თანდათან ყველგან ფეხი ამოიკვეთა.

აღარც თვითონ იღებდა სტუმრებს, აღარც სტუმრად მიდიოდა სადმე.

მისი გზა ეკლესიებისკენ მიდიოდა და იმავე გზით შინ გარინდებული ბრუნდებოდა.

ქალაქში მითქმა-მოთქმა განშორდა.

დავით გერმანოზიშვილი ბრაზობდა, პატივმოყვარე და ამპარტავანი, დის საქციელზე იყო გაჯავრებული, მაგრამ მასთან უსიამოვნო ლაპარაკს ერიდებოდა. ერთხანს (სანამ ზაქარას ასამართლებდნენ და ამოდ ცდილობდნენ მის თანამონაწილეთა დასახელებას) თვითონაც შემფოთებული უვლიდა ქალაქს გარშემო და გულს ნადირობაზე აყოლებდა.

კნენინა მზეხათუნმა ძმისწული ჯერ მაგრად გამოლანძღა, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა და მონოზნების მიერ მოჯადოებული გონზე ვერ მოიყვანა, ხელი ჩაიქნია და განერიდა.

გრივოლმა კიდევ უფრო გაშალა ფრთები.

თეთრმა ლიზამ გესლიანად ჩაუღიმ-ჩაუღილინა მაიკო კურტანიძეს:

— თვალი დაუდგეს ჩვენს სუტ-კნენინას, აჰანდე!

მაიკომ არც ახლა ამოიღო ხმა, მაგრამ თავლისფერი თვალები ისეთნაირად გაუმუქდა და ისეთმა ფერმა გადაჰკრა სახეზე, რომ თეთრმა ლიზამ მყისვე ენაზე იკბინა.

ქალაქში ხმა დაირხა, რომ მდიდარი და ლამაზი ზანდაროვი თითქმის ყოველდღე სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლში იყო დარჭობილი, როცა სოვდაგარი ქარვასლაში იჯდა, ხოლო მისი ასული ირციპუხოვის პანსიონში ფრანგულსა და ცეკვებს სწავლობდა.

მაიკო სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რით უნდა მოეხიბლა ტანკენარი გრივოლი სოვდაგარის კუნძივით დამრგვალებულ ცოლს. დალონებულს და თვალცრემლიანს აგონდებოდა, რომ ამ ტიკივით გაბერილ დედაკაცს ფუშფუშა გიშრისფერი თმა ჰქონდა, ლოყაზე — ლამაზი ხალები, ხოლო მავყალივით შავი თვალები — ისეთი ცოცხალი და ურცხვი, რომლის მსგავსი, აღიარებდა გულდამწვარი მაიკო, მხოლოდ მაკას სახეზე ენახა.

ბოლმა და სიყვარული სულს უხუთავდა მაიკო კურტანიძეს. თან უკვირდა, რომ მისი გამწირავი მამაკაცის დავინყება არ შეეძლო და, ის კი არა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ენატრებოდა იგი.

2. ძია ლაზარეს ღუძანი

*საყვარელო, ნუ სტირი,
თავს ნუ იკლავ, ნუ სტირი,
შენი ბედის შემკვრელი
ერთხელ გახსნის, ნუ სტირი!*

ქალაქური სიმღერა

მაიკო თავის თავდავინყებულ სიყვარულს ვერაფრით მოერია. პირიქით, უცნაური რამ დასჩემდა. დიდხანს, დიდხანს დახეტილობდა იმ ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, სადაც წინათ გიგასთან ერთად დასეირნობდა. დიდხანს ჩერდებოდა იმ უკვე დაბერებულ ხეებს ქვეშ და იმ ჩამოფხავებულ ჭიშკრებთან, სადაც გიგას ყელზე ეხვეოდა და ტუჩებს უკოცნიდა. თვალი უშტერდებოდა და წამნამებზე ცრემლი ეკიდებოდა. ბურანიდან რომელიმე მეზობლის „გამარჯობა“ ძლივს აფხიზლებდა. გამორკვეული კვლავ ხარბად უყურებდა ძველი სახლების მოფარებულ კედლებს და იაქთალებს, სადაც სიბნელე, ასე ეგონათ შეყვარებულებს, გამვლელებს მათი დაღანდვის შესაძლებლობას არ აძლევდა და იქამდე ვერც მთვარის შუქი აღწევდა.

ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა მაიკოს, მაგრამ ხარახურას და წვრილმანს იმ დუქანში ყიდულობდა, სადაც გიგა ჯერ დახლიდარად მუშაობდა, მერე კი მედუქნედ. უყვარდა ამ დუქნის წინ გადმოხურული ლაბადის ქვეშ ხის გრძელ სკამზე ჯდომა და თავის ნანატრ გიგაზე ფიქრი. ახლა ეს სკამიც ისევე იყო დაძველებული და მიგლეჯილ-მოგლეჯილი, როგორც ყველაფერი ძველი დუქნის გარშემო.

ხნიერ მედუქნეს არ უკვირდა, რომ მდიდარი ალაფის ცოლი მისი დუქნის სკამზე იჯდა და ისვენებდა. როცა ეს ტანმალაღი და თვალმწყაზარი ქალი აღმართზე ამოდიოდა ხოლმე, ხელს მალიმალ გულზე იდებდა და თეთრი, უნაოჭო შუბლიდან ხელსახოცით ოფლს ინმენდდა.

მედუქნემ ერთხელ მაიკოს გაუბედა და უთხრა:

— მაიკო, გატყობ, აღმართზე ამოსვლა გიჭირს, რაც სასყიდელი გჭირდება, იმისთვის ან შენი ბიჭები, ან მოახლე გამოგზავნე, შენ რაზე ირჯები?

— ბიჭები სწავლობენ. მოახლე სახლს ალაგებს. მე კი აქეთ მოსვლა მუდამ გულს მიხალისებს, ძია ლაზარე!

— მართალია, შორს არა ცხოვრობ, მაგრამ წინაკისა და მიხაკ-დარიჩინისათვის შენ რად უნდა მოდიოდე?

— ეჰ, ძია ლაზარე, ვინ იცის, რამდენჯერ მოვსულვარ ამ დუქანში?! ამ დუქნის დახლში მეცა ვმდგარვარ, განა!

ხნიერმა მედუქნემ პირი დაალო. დუქნის პატრონი ბევრჯერ იყო გამოცვლილი. ამიტომ ლაზარემ მაიკო კურტანიძის თავგადასავალი არ იცოდა.

პირველი გამასლაათების შემდეგ მაიკომ კიდევ უფრო მოუხშირა ძველ, კარგად ნაცნობ დუქანში სიარულს. ხნიერსა და გულკეთილ მედუქნეს ხან რაზე

ელაპარაკებოდა, ხან — რაზე. ლაზარეს ცოტა მუშტარი ჰყავდა, უცოლშვილო და უნათესავო კაცი იყო და მაიკოსთან მუსაიფით თვითონაც თავს ირთობდა. ზოგჯერ ბუზღუნით ჩაურთავდა ხოლმე:

— ამ ტიალ დუქნისკენ მუშტრებს გზა ვერ ვაპოვინენე, თითო-ოროლა გროშს ძლივს ვიგებ. ახლა აღარ მიკვირს, რომ ვინც ამ დუქანს პატრონად დასდგომია, ყველა გაკოტრებულია და გაქცეულია.

მაიკო პირგამტკნარებული უსმენდა მედუქნის ლაპარაკს, გულში კი იცინოდა და ამბობდა: „აქ ერთი ახალგაზრდა, ძალიან, ძალიან ლამაზი კაცი იყო მედუქნედ, თავზე იმას მე გაუფსნორე ვაჭრის ქუდი, გავამდიდრე და ქარვასლამდე მივიყვანე“. თან გულშივე ოხრავდა და სინანულით ფიქრობდა: „ნეტავ ისიც მედუქნედ დარჩენილიყო და მეც ხაბაზის ცოლად, ნეტამც! ნეტამც!“

გულდანყვეტილი თავისთვის ასე ოხრავდა და მოთქვამდა, გარეგნულად კი არაფრით არ გამოხატავდა თავის მღელვარებას და სინანულს.

ერთხელ მზე ისეთნაირად მოადგა ხის გრძელ სკამს, რომ მაიკოს სახეზე ოფლი ნურნურით ჩამოედინა. ლაზარეს შეეცოდა, დუქნის კარიდან გამოსძახა:

— მაიკო, მაგ მზეში რად იტანჯები, უკანდუქანში მოისვენე.

მაიკოს გული აუფანცქალდა, თვალები გაუბრწყინდა, გულკეთილი მედუქნე იმას სთავაზობდა, რის თქმასაც თვითონ ვერასგზით ვერ ბედავდა.

ლაზარემ მას უკანდუქნისკენ გზა მისცა თუ არა, გაკვირვებულმა ახედ-დახედა. მუდამ პირნალვლიან მაიკოს თვალები უცინოდა. სულ ერთიანად იყო გამოცვლილი. მისი თაფლისფერი თვალები, წელან მუქი ბრინჯაოსფერი რომ გადაჰკრავდა, ახლა არაჩვეულებრივად ანათებდა და წყაროს წყალივით კამკამებდნენ. სიარულიც სწრაფი და ცოცხალი გაუხდა. წელან აღმართზე წელში გატეხილი, ახლა დედოფალივით იყო ამართული და გაცისკროვნებული. მედუქნე თვალს არ უჯერებდა. ერთ ადგილზე გამტერებული იდგა. გუმანით გრძნობდა, რომ მაიკო რაღაც ანაზდეულ სიხარულს უნდა გამოეცვალა, მაგრამ ამ სიხარულის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

იმ პატარა ოთახში, დუქანს უკან რომ ეკრა, მაიკოს თითქმის ყველაფერი უცვლელი დახვდა. ოღონდ უფრო სუფთა და კრიალა იყო, ვიდრე იმ დროს. კედელთანაც კაკლის ხის ტახტი იდგა, რომელზედაც მედუქნის ფაქიზად მოვლილი ლოგინი იყო გამლლილი. არც ტომრები იყო ისე უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილი, როგორც ეს დაუდევარ გიგას სჩვეოდა. მაგრამ მაინც იმდროინდელი იერი სჭარბობდა და გარშემოც იმდროინდელი სურნელი იდგა. კაკლის ხის ტახტი ვინმეს გარეთ რომ გაეტანა, კაცი იფიქრებდა, სადაც არის, კარი გაიღება, გიგა შემოვა და მაიკოს ყელზე მოეხვევაო. ამ აზრმა ისეთნაირად გაუელვა მას თავში, რომ სული შეუგუბდა,

გული შეეკუმშა, თავშეუკავებლად დაემხო ტომრებზე და ქვითინი აუფარდა.

თავზე უარესად გაკვირვებული მედუქნე დაადგა.

— რა დაგემართა, მაიკო?

მაიკოს ყრუდ მოესმა მისი ხმა, ძლივს გამოფხიზლდა, ტომრებზე წამოჯდა, თვალებიდან მუშტებით მოიწმინდა ცრემლები.

— მაპატიე, ძია ლაზარე, შენი ჭირიმე!

ლაზარე მიხვდა კიდევც მისახვედრელს და ვერც მიხვდა.

— რა უნდა გაპატიო, შვილო? დანყნარდი, გული მოიბრუნე. წყალი ხომ არ მოგიტანო?

— არ მინდა, ძია ლაზარე.

— რა ვქნა, რომ არ ვიცი, რა დაგემართა?

— ნურაფერს ნუ მკითხავ, ძია ლაზარე, შენ შემოგველე.

— კარგი, კარგი. შენ თავს თვითონვე მიხედე. მე დუქანში გავალ, იქნებ მუშტარი გამორჩედს.

„შვიდევიზირიანზე“ გაზრდილმა მედუქნემ სიყვარულის ყველა მისახვევ-მოსახვევი და ათასნაირი კუნჭული ზეპირად იცოდა. მყისვე მიხვდა, რომ მაიკო კურტანიძე მის დუქანში ვილაცის სიყვარულს მოჰყავდა. იქნებ ის ვილაც წინათ ამ დუქნის პატრონი იყო? ახალგაზრდა და ლამაზი? მერე, მერე რა მოხდა? ეს კი ძნელი გასაგები იყო, მაგრამ ზრდილობიანი ხნიერი მედუქნე ამის გაგებას არც აპირებდა. ისედაც ბევრი რამ იყო მისახვედრიც და გასაგებიც. ამ ლამაზი ქალის სასონარკვეთილი ტრფიალი ვილაცის მიმართ მას არ აკვირვებდა, რადგან ბართლომე კურტანიძე ნანახი ჰყავდა.

როცა ლაზარემ მაიკო თავდაღმართამდე მიაცილა, ტკბილად გაუღიმა და უთხრა:

— როცა გინდა, მაშინ მოდი, მაიკო! უკანდუქანში მოისვენე; თუ გეტირება, იტირე, თუ გეცინება, იცინე. ვინ რას იტყვის? ოთხმოც წელს მიღწეული ვარ, თვალი მე არ მიჭრის და ჩინი, ერთადერთ კბილსაც ისე ვუფრთხილდები, როგორც ძუნწი მარგალიტს.

გულკეთილად გაიცინა და მაიკოც გააცინა.

3. ჭირის ოფლი

თავზე ცეცხლი მიკიდია, ეს დოლბანდი ას გირვანქას იწონის.

ჟორჟ ზანდი, „ლეონე ლეონი“

გრიგოლ ზანდაროვმა ფეხსაცმელების ფაბრიკის კედლები აიყვანა და შენობა გადაახურინა. დურგლებმა და მღესავეებმა შიგნითა საშუაოები დაამთავრეს. რუსეთიდან მოწვეულმა ოსტატებმა მარსელიდან მიღებული მანქანები და დაზგები გამართეს. ტყავეულიც ბლომად იქნა მოზიდული. მაგრამ თავი და თავი დაქირავებული მუშახელი იყო. მუშახელი ქალაქში ძნელი საშოვნელი აღმოჩნდა. აგურქარხანასა და შუშის

ქარხნებში მომუშავეთა გადმოხიზვას ჯამაგირის მო-
მატება სჭირდებოდა, რის გამოც მოგებას დახარბებულ
მილიონერს ეს სარფიანად არ მიაჩნდა. დღიურად მო-
მუშავე იმერელი მუშებიც იმაზე მეტს მოითხოვდნენ,
რასაც დღიურ სამუშაოებში იღებდნენ. საქმეს ისიც
ართულებდა, რომ დაქირავებულ მუშებს ხელობის
სწავლა და განაფვა სჭირდებოდათ, ეს კიდევ არაფე-
რი. ვინც მასთან გაჭირვების გამო და ლუკმაპურის
საშოვნელად მოდიოდა, იმათაც ამქრის ხალხი ბნელ
ქუჩაბანდებში უხვდებოდა და ცხვირ-პირს ამტვრევ-
და. განსაკუთრებით, თათრული ჩუსტების მკერავები
და მეჩქემეები იქნევდნენ მუშტებს. ქარვასლების
სოვდაგრები იცინოდნენ და გრიგოლ ზანდაროვის
გაკოტრებასლა უცდიდნენ.

— მაშ, მაშ! — ლაზღანდარობდნენ ისინი, — ტეტიე-
ბი ქალამნებს გაიხდიან და ზანდაროვის პოლსაპოშკებ-
ში ივლიან, ქალაქელი ვირგლებიც თათრულ ჩუსტებს
მტკვარში გადაყრიან და ზანდაროვის ბატინკებით
იოლად წავლენ, ეგ არის რაღა!

წასახალისებლად ვორონცოვმა ზანდაროვის ფაბრი-
კას ჯარისკაცებისათვის ათასამდე ჩექმა შეუკვეთა. ამ
შეკვეთას რამდენიმე ოსტატმა და შეგირდმა ადვილად
გაართვა თავი, მაგრამ ზანდაროვმა იმაზე ნაკლები
მოიგო, რასაც უცხოური საქონლით ვაჭრობით გებუ-
ლობდა.

შეფიქრიანდა.

დაეჭვდა.

გაუჭირდა.

თანდათან მოიღრუბლა.

საფეთქლებთან თეთრი მოემატა.

გარეთ იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ შინ ცხვირჩა-
მოშვებული იჯდა.

გაჭირვებულს სოვდაგრებმა ფეხი დააჭირეს.

თავი იმათაც ასნიეს მალლა, ვისაც წინათ ზანდა-
როვის ეშინოდა.

სოვდაგრებმა სოვდაგრულად დაიწყეს მის წინააღ-
მდეგ მოქმედება.

ვილაცამ ნახევარ ფასში გაჰყიდა ისეთივე საქონელი,
რომელიც მას ნიჟინ-ნოვგოროდიდან, ვარშავიდან,
ლაიფციგიდან და პარიზიდან დიდის ვაი-ვაგლახით
მოეტანა.

ზარალი ზარალს დაერთო.

ფირუზა და გრიგოლ ზანდაროვების მიერ გავსე-
ბულმა სალარომ პირი მოიხსნა და დაცარიელება იწყო.

გრიგოლს თანდათან მოეკიდა, დაეუფლა და ძვალსა
და რბილში გაუჯდა გაკოტრების შიში. გაღიზიანდა.
ბრაზიანი გახდა. თეთრ ლიზას პირველად შეუბრუნა
სიტყვა, ცოლს ცამონმენდილზე წაეჩხუბა და ქუდმოგ-
ლეჯილი გარეთ გავარდა.

დედამთილმა და რძალმა ერთიმეორეს გაკვირვებით
გადახედეს და პირველად გამოელაპარაკნენ ერთმა-
ნეთს შინაურულად.

მხოლოდ ქარვასლებში არ იმჩნევა ზანდაროვი

არაფერს. ძველებურად დარდიმანდულად დაიარებოდა
ამაყი და გულზვიადი კაცის ნიღბით.

სოვდაგრები მასთან თავდაჭერილები იყვნენ. ზურგს
უკან კი დაცინვას არ აკლებდნენ, თან შეთქმულებივით
ჩურჩულებდნენ და მოქიშპეს ხაფანგს უგებდნენ.

ზანდაროვი დაიბნა.

დაფრთხა.

ჭირის ოფლმა დაასხა.

მარჯვედ მოქმედების უნარი დაკარგა.

შიშით და ცახცახით ელოდა, თუ როდის დააგო-
რებდნენ მას მეტოქე სოვდაგრები ქარვასლის კიბეზე.

4. განვილვებული საყვარელი

ასე არ უნდა მელაპარაკო, ჩემო ძვირფასო.

ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

ზანდაროვის სალაროს ფული სულ უფრო და უფრო
აკლდებოდა, მომატებით კი აღარაფერი ემატებოდა.
ჯერჯერობით უძრავი ქონება იყო ხელუხლებელი, მა-
გრამ მასაც საფრთხე ემუქრებოდა. თუ ხელმოცარული
ზანდაროვი საქმეს დროზე არ გამოასწორებდა, ისიც
ისევე გაიყიდებოდა ჩაქუჩით, როგორც სხვა გაკოტრე-
ბული სოვდაგრების ქონება იყიდებოდა.

გრიგოლი თავს აჩქარებას უსაყვედურებდა.

ფეხსაცმელების ფაბრიკით დაინტერესების დღეს
სწყევლიდა.

ფირუზას წინდახედულობას ამართლებდა და საკუ-
თარ დოყლაპიობას ამტყუნებდა.

გულში ქალაქურად იგინებოდა და ილანძლებოდა.

იჯდა და თავაულებლივ ანგარიშობდა.

ანგარიში ებნეოდა და თავს ველარ აბამდა.

ნაფიქრალს და ნაანგარიშვეს ვილაც მარჯვედ და
ოსტატურად ურღვევდა.

გასაქანს აღარ აძლევდა. ძვირად ნაყიდს ჩალის
ფასად აყიდვინებდა. ჩანდა, ის ვილაც მასზე ლონიერიც
იყო და მდიდარიც. მის ასავალ-დასავალს ზანდაროვმა
ვერასგ ზით ვერ მიაგნო.

გაბრაზებულმა საკუთარი მსტოვრები დაიფრინა.

აღარავის არ ენდობოდა, აღარავისთან კრინტს
აღარ ძრავდა.

გულჩათხრობილი გახდა.

ფული სჭირდებოდა, მაგრამ ფულის სესხებაზე
სოვდაგრებთან სიტყვის ჩამოგდებას ერიდებოდა. არ
უნდოდა მათთვის ახალი სიხარულის საბაბი მიეცა.
ისიც კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ სოვდაგრები
კიდევ უფრო წაუჭერდნენ მას თოკს ყელზე.

დაბნეულსა და დამფრთხალ ზანდაროვს ვიკრიკო-
ვის ცოლი გაახსენდა. შინ მიეჭრა.

საყვარელს მიკიბულ-მოკიბულად რაღაც უთხრა,
რაღაც გააგებინა, საჭირო თანხაც დაუსახელა, ქმარ-
თან ამ თანხაზე სიტყვის ჩამოგდება სთხოვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ჩემი შეყვარებულის პირადი მწვრთნელი ვარ“

ქართველებს „მისტერ პლანეტა“ გვყავს: 28 წლის ზურა წილოსანმა 44 უცხოელ კონკურსანტს აჯობა, რომ ეს ტიტული მოეპოვებინა. ზურა ხატია წერეთლის სკანდალური კლიბიდანაც გვახსოვს... როგორ მოახერხა ქართველმა კონკურსანტმა კარგად მომზადებული, ნავარჯიშები უცხოელების დამარცხება, როგორ ცხოვრობს „მისტერ პლანეტა“ და საიდან მოხვდა ხატია წერეთლის კლიპში, ამის შესახებ თავად გვიამბობს:

ნანობს თუ არა ხატია წერეთლის კლიპში მონაწილეობას „მისტერ პლანეტა“

ეთო ყორღანაშვილი

— 3 წელია, რაც კონკურსი — „მის და მისტერ პლანეტა“ საქართველოში ტარდება. წელს, საერთაშორისო კონკურსისთვის კასტინგზე სამოდლო სააგენტო „კატრინმა“ მე შემარჩია. შემდეგ „მის და მისტერ პლანეტა“ ჩატარდა, რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა. მონაწილეები 44 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. მე საქართველოს სახელით ვმონაწილეობდი და გავიმარჯვე — „მისტერ პლანეტა“ გავხდი. გამარჯვებულად საერთაშორისო ფიურში ამირჩია. „მის პლანეტა“ პორტუგალიელი გოგონა გახდა. ფინალი ბათუმის თეატრში გაიმართა. მანამდე ფიურის წევრები კონკურსანტებს წდლის განმავლობაში გვაკვირდებოდნენ, ქულებს გვიწერდნენ... ტურისტული განვითარების თვალსაზრისითაც კარგია, რომ ეს კონკურსი ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა.

„მისტერ პლანეტის“ სტატუსი შენთვის რას ნიშნავს?

— ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, რადგან კონკურსი საქართველოში ტარდებოდა და საქართველოს სახელით ვმონაწილეობდი. ფიზიკურად ძალიან კარგად მოვემზადე, ბევრს ვშრომობდი მანერებზე, ქცევებზე... ვვარჯიშობდი, სწორი კვების რეჟიმს ვიცავდი... დიდი კონკურენცია იყო, მაგრამ ბოლოს პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც ფიურში აღნიშნა, რომ ერთადერთი ბიჭი ვიყავი, რომელიც ყველანაირ კრიტიკიუმს (სიმაღლე, სხეული, თავდაჯერებულობა, გარეგნობა) ვაკმაყოფილებდი... მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული, „მისტერ პლანეტის“ ტიტულს არ ველოდი... თუ შესაძლებლობა მექნება, მეტ წარმატებას მივალწევ.

კონკურსის დასრულების მერე, თავს „მისტერ პლანეტად“ გრძნობ?

— ბევრმა დამირეკა და გამარჯვება მომილოცა, ჩემთვის ეს დიდი

სტიმული იყო. „მისტერ პლანეტა“ ისეთი სტატუსია, რომ რა ვიცი (იციინის)... კმაყოფილი ვარ. მაგარი ხალხი გავიცანი. ყველას დიდ მადლობას ვუხდის, ვინც მხარი დამიჭირა.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ, შენი კარიერა უფრო მეტად ვითარდება?

— კი, ვითარდება, უფრო მაღლა და მაღლა „მიდის“. გარკვეული შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ იმაზე ვიქნები ორიენტირებული, რაც ჩემი კარიერისთვის უკეთესი იქნება. ამ ეტაპზე, ცოტა ხნით ვისვენებ. კონკურსზე დიდი გამოცდილება მივიღე, რადგან 44 ქვეყნის წარმომადგენელთან მომიხდა კონკურენცია. ევროპიდან ძალიან კარგად მომზადებული ხალხი ჩამოვიდა...

მანამდე სამოდლო სფეროში რა გამოცდილება გქონდა?

— ორმაგი კონტრაქტი მაქვს: სამოდლო სააგენტოებთან — „გოლდენ ბრენდთან“ და „კატრინთან“ ვთანამშრომლობ. ჩემი კარიერა „გოლდენ ბრენდში“ დაიწყო, შემდეგ „კატრინმა“ დიდი გამოცდილება მომიცა.

რა გამოცდილებას გულისხმობ, ჩვენებებში, კონკურსებში მონაწილეობდი?

— რა თქმა უნდა. „გოლდენ ბრენდის“ კონკურსში, სადაც ავტომობილი თამაშდებოდა, სამწუხაროდ, ვერ გავიმარჯვე — მეორე ადგილი დავიკავე, „კატრინზე“ კი უკვე ვიამბუთ — „მისტერ პლანეტისთვის“ ამ სააგენტომ შემარჩია.

როგორც „მისტერ პლანეტამ“, პრიზი თუ მიიღე?

— თავდაპირველად, როცა „კატრინმა“ შემარჩია, ჩემი პრიზი 2.500 ლარი იყო. საერთაშორისო „მის და მისტერ პლანეტას“ რაც შეეხება, 1.000 ევრო, 800 ლარი და კიდევ სხვა საჩუქრები გადმომიცეს. პლუს, „კატრინმა“ სასტუმროში 8-დღიანი ცხოვრება დამიფინანსა. საინტერესო პრიზებს კიდევ ველი...

სამოდლო სფეროში სერიო-



ფიზიკურად ძალიან კარგად მოვემზადე, ბევრს ვშრომობდი

ზული მიზნები გაქვს?

— საქართველოს ნაკრების წევრი ვარ ფიტნესსა და ბოდიბილდინგში. სხვადასხვა წელს, შეჯიბრებებში მეორე და მესამე ადგილი მაქვს დაკავებული. აქტიურად ვმუშაობ. ფიტნესშიც და სამოდლო სფეროშიც სერიოზული მიზნები მაქვს. პარალელურად, მწვრთნელი ვარ — გოგონებსა და ბიჭებს დარბაზში ვავარჯიშებ.

იციან, რომ მათ „მისტერ პლანეტა“ ავარჯიშებს?

— კი, უკვე ბევრმა იცის, მომილოცეს... ყველას დიდ მადლობას ვუხდის.

რაც „მისტერ პლანეტა“ გახდის, შენი თავყვანისმცემლების რაოდენობა გაიზარდა?

— კი და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — გასაკვირი არ არის.

შეყვარებული გყავს?

— ხშირად ბევრი ცნობილი ადამიანი მაღავს, რომ შეყვარებული ჰყავს. ამბობენ, — არ გვყავსო (იციინის). ამ სტერეოტიპს დავამს-

ხვრევ და გეტყვით: შეყვარებული მყავს. 2 წელია, ერთად ვართ.

— ვინ არის შენი რჩეული, როგორ გაიცანი?

— მეგობრის დაბადების დღეზე გაიცანი. ჩვენი ურთიერთობა კარგად დაიწყო და მშვენივრად ვითარდება. ის თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობს — მესამე კურსის სტუდენტია. ასევე, სპორტდარბაზში ვარჯიშობს. სხვათა



44 ქვეყნის წარმომადგენელთან მომიხდა კონკურენცია

შორის, ჩემი შეყვარებულის პირადი მწვრთნელი ვარ.

— ეჭვიანია?

— ისეთ სფეროში ვარ, რომ მის ადგილას, ბევრი გოგონა იეჭვიანებდა, თუმცა ამ მხრივ, პრობლემა აღარ გვაქვს.

— მის მიმართ ეჭვიანობას თავად თუ ამჟღავნებ?

— რალა დაგიმალოთ და — არა. ძალიან ერთგული ვარ. ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა, ყველაფერში მეხმარება...

— სოციალურ ქსელში შენთვის უხამსი წინადადებებით მოუმართავთ?

— კი ყოფილა ასეთი შემთხვევები, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

— მამაკაცებიც გწერენ?

— დიდად არა. არც მათ ვაქცევ ყურადღებას.

— შენს მთავარ შარმად რას მიიჩნევ?

— რა თქმა უნდა, გააჩნია, დიზაინერი როგორ ჩაგაცემევს, მაგრამ ბოლო დროს მოდის სფეროში ტენდენ-

ცია შეიცვალა — მოდელის სიმალლესა და ნავარჯიშებ სხეულს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წინათ ცოტა სხვანაირ ბიჭებს ირჩევდნენ. ახლა, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცურობას აქცევენ ყურადღებას — მაღალი, ნავარჯიშები ბიჭები მოსწონთ.

— შენი ოჯახის წევრები ვინ არიან?

— მამა ბიზნესმენია, დედა — პედაგოგი. დაც მყავს, რომელიც გათხოვილია. ჩემი ძმა სწავლობს.

— ოჯახს შენი პროფესიული არჩევანის მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვს?

— ძალიან კარგი. ბედნიერები არიან, რომ „მისტერ პლანეტის“ ტიტული „მიფუტანე“. ამაყობენ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ჩემ გვერდით იყვნენ და არიან.

— ვარჯიშის გარდა, კიდევ როგორ უვლი თავს?

— უმეტესწილად, მაინც ვარჯიშებ ვარ ორიენტირებული. სწორი კვების რეჟიმს ვიცავ...

— სილამაზის სალონს ხშირად სტუმრობ?

— თუ ჩვენება ან „ივენიტი“ მაქვს, სალონში ამ შემთხვევაში მივდივარ, ისე კი — თმის შესაჭრელად, წვერის ან წარბის შესასწორებლად თუ შევივლი.

— ზურა, ხატია წერეთლის კლიბში როგორ მოხვდი?

— შემთხვევით. კასტინგი ჩატარდა და 6 ბიჭი შეგვარჩიეს.

— კლიბი მოგწონს?

— როგორ გითხრათ, მხიარული, საზაფხულო, ნორმალური კლიბია.

— მასში მონაწილეობას ხომ არ ნანობ?

— თავდაპირველად, როცა კლიპს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ვნანობდი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგისკენ „შეტრიალდა“. ახლა არ ვნანობ. რალაცები მარკეტინგულად ვერ გავთვალე, რალაცები სწორად არ იყო გადაღებული, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხატია წერეთელი მხიარული ადამიანია, რომელიც თავის საქმეს აკეთებს.

— ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებით აჟიოტაჟი, ჭორები ხშირია. ახლა უკვე ყველაფრისთვის მზად ხარ თუ კიდევ შეიძლება, რამე ინანო?

— ეს ბარიერი გადავლახე, მაგრამ გზაში თუ შემეფეთება, კიდევ გადავლახავ. ადამიანი სხვაგვარად ვერ განვითარდები. რაც მოგწონს, ის საქმე უნდა აკეთო...

„ძალიან იშვიათად ვწერ ჩემს ბაბუაზე საერთოდ რამეს, მით უმეტეს, პოლიტიკურ კონტექსტში, მაგრამ არის მომენტები, როდესაც მიმიძიმს სიჩუმე და გული მტკივა. მარტო საქართველოში შეიძლება გაიხსნას ევროპის მოედანზე გამოფენა ბერლინის კედლის ფრაგმენტიდან და არ იყოს იქ ჩემი ბაბუის, ედუარდ შევარდნაძის ფოტო. ეს არც ადამიანურ, არც ობიექტურ და მით უმეტეს, არც ისტორიულ ლოგიკაში არ ჯდება...“

შეგახსენებთ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის შეილიშვილებმა საქართველოში გერმანიის ელჩს წერილით მიმართეს, სადაც შევარდნაძეები გულისტკივილს გამოთქვამენ, რომ ევროპის მოედანზე, ბერლინის კედლის ფრაგმენტის გახსნის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე ედუარდ შევარდნაძის ფოტოსთვის ადგილი ვერ გამოინახა. გთავაზობთ განცხადების ტექსტს მცირეოდენი შემცირებით (სტილი დაცულია):

„გვინდა, ჩვენი ღრმა გულისტკივილი გამოვხატოთ ევროპის მოედანზე, ბერლინის კედლის ფრაგმენტის გახსნის ფარგლებში, გამართულ გამოფენასთან დაკავშირებით. ამ ექსპოზიციაზე, ისტორიულ ფოტოებს შორის, ჩვენი ბაბუის, ედუარდ შევარდნაძის ადგილი არც კი გამოინახა. ეს ფაქტი, როგორც ადამიანურად, ისე ისტორიულად ობიექტური ისტორიის სრულ იგნორირებას წარმოადგენს.“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა ამ მოვლენის „ანომალური“, ისტორიულად უსამართლო ხასიათი. მაღლობა მას ასეთი სწორი სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი და ადამიანური პოზიციისთვის.

თქვენო აღმატებულება, გვსურს, თავს მივცეთ უფლება და შეგახსენოთ:

— 1989 წლის 12 ივნისს მიხეილ გორბაჩოვის და ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ედუარდ შევარდნაძემ ბატონ გენშერთან საუბრისას განაცხადა: „ალბათ ძალიან მალე დიდი საუბარი გვექნება კონტინენტის მომავლის შესახებ“ და „როდესაც საამისოდ დრო მომნიჭდება, ბერლინის კედელიც დაინგრევა“.

„ეს არც ადამიანურ და მით უმეტეს, არც ისტორიულ ლობიკაში არ ჯდება“

ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე ბაბუაზე, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე პოსტს ავრცელებს. ტელენამყვანი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ცოცხალი ხნის წინ თბილისში გახსნილ გამოფენაზე, რომელიც ბერლინის კედლის დანგრევას ეძღვნებოდა, ედუარდ შევარდნაძის ფოტოსთვის ადგილი არ მოიძებნა (სტილი დაცულია).

რის გამო წუხან შევარდნაძის შვილიშვილები

— 1989 წლის 9 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი გაიხსნა და გერმანია ფორმალურად გაერთიანდა.

— 1990 წლის 15-16 ივლისს საბჭოთა კავშირში, სტავროპოლის ოლქში — არხისში, გორბაჩოვის, კოლის, გენშერის და შევარდნაძის შეხვედრა გაიმართა. დღის წესრიგში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა იყო.

— 1990 წლის 12 სექტემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ორი პლუს ერთი“. ხოლო მეორე დღეს, 13 სექტემბერს შევარდნაძემ და გენშერმა, უკვე ამ თანხმობის პარაფირებას მოაწერეს ხელი. მოგვიანებით კი გორბაჩოვმა და კოლმა საბოლოოდ დაადასტურეს „ხელშეკრულება კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“...

ეს მხოლოდ რამდენიმე მშრალი ფაქტის კონსტატირებაა, რაც ნამდვილად არ ასახავს სრულად, ჩვენი ბაბუის, ედუარდ შევარდნაძის, პირად წვლილს და დამოკიდებულებას გერმანიასა და გერმანელების მიმართ. არ ასახავს მის უდიდეს პატივისცემას გერმანელ თანამოაზროვნეებსა და პარტნიორებთან. აქ არ ჩანს მისი უდიდესი პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც მან თავისი ცხოვრების გზაზე იტვირთა იმ იმედით, რომ გერმანია ერთიანდებოდა ევროპისა და მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

მოგეხსენებათ, ბერლინის კედლის 19 ნატეხიდან, ერთ-ერთი წარწერით — **Danke, Eduard** მის სახლ-მუზეუმში ინახება. ამ ნატეხმა მსოფლიოს ის მრავალი გამოფენა შემოიარა, რომელიც გერმანიის გაერთიანებას ეძღვნებოდა. თუმცა, რატომღაც, ედუარდ შევარდნაძის ფოტოს ვერ გამოენახა ადგილი იმ გამოფენაზე, რომელიც მის სამ-

შობლოში ჩატარდა... ქალბატონო ელჩო, თქვენ, ეს გამოფენა საქართველოში იმიტომ გახსენით და არა სხვა ქვეყანაში, რომ აქ ედუარდ შევარდნაძის ისტორიული სამშობლოა.

ჰანს-დიტრიხ გენშერისა და ედუარდ შევარდნაძის პარტნიორობა და მეგობრობა ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველი გახდა. სწორედ გენშერი იყო ის პირველი დასავლელი პოლი-

რალაც ექვს თვეში ჰანს-დიტრიხ გენშერიც გარდაიცვალა. მასთან ოფიციალური გამომშვიდობებისას გერმანიის ბუნდესტაგში, ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, არაერთხელ გაუღერდა ედუარდ შევარდნაძის სახელიც — კაცის, რომელმაც ჰანს-დიტრიხ გენშერთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი გერმანიის და შესაბამისად, ახალი ევროპის არქიტექტურის ჩამოყალიბებაში.

თქვენო აღმატებულება, გვჯე-



ბერლინის კედლის 19 ნატეხიდან, ერთ-ერთი წარწერით — **Danke, Eduard** მის სახლ-მუზეუმში ინახება

ტიკოსი, რომელიც საქართველოს ეწვია და გერმანიის სახელით საქართველოს პირველმა მიულოცა დამოუკიდებლობა. გენშერი იყო ის პოლიტიკოსი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების ცერემონიაზე ჩამოვიდა და თვითონაც, უკვე დაუძღვრებულმა, უკანასკნელი პატივი მიაგო ჩვენი ბაბუის ხსოვნას, მის დამსახურებას გერმანელი ხალხის წინაშე. სულ

რა, რომ გამოფენის დაგეგმვისას დაშვებული იქნა უხეში, სრულიად გაუმართლებელი შეცდომა და რომ ეს არ არის გერმანელი ხალხის და გერმანიის სახელმწიფოს პოზიცია. გვჯერა, ყველაფერს ილონებთ იმისთვის, რომ ეს სამარცხვინო ხარვეზი აღმოიფხვრას...“ — ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილები აწერენ.

„მეგობრებს არ ირჩევენ“

„ჩვენ შევხვდით ერთხელ წვიმიან ქალაქში, / არავინ აღარ გვახსოვდა სხვა, / ცხოვრების ამ ერთ ფურცელს დრო გადაშლის, / არ ვიცით, რა გველოდება ხვალ“, — ეს გახლავთ კუბლეთი ნოდუკო ტატიშვილისა და სალომე ბაკურაძის დუეტის ახალი სიმღერებიდან, რომელზეც ვიდეორგოლი შეიქმნა და რომლის პრემიერაც რამდენიმე დღის წინ, კინოთეატრში გაიმართა. სიმღერის მუსიკა ლილიკო ნემსაძეს ეკუთვნის, ტექსტი — ირინა სანიკიძეს. კლიპი ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო. ვიდეორგოლი დარბაზში მყოფმა მაყურებელმა მოინწონა.

როგორ გახდა სალომე ბაკურაძე ნოდუკოს „გულის ნაწილი“

ლალი ფაცია

გარდა იმისა, რომ სცენაზე შეხბობილი პარტნიორები არიან, ნოდუკოსა და სალომეს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს. „ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე ერთმანეთს სულ ვეუბნებოდით, „დუეტი არ ჩავწეროთ?..“ ამასობაში, წლები ისე გავიდა, რომ ეს მხოლოდ ახლა შევძელით... ამ სიმღერის შექმნისთვის მადლობა ლილიკო ნემსაძესა და ირინა სანიკიძეს. ნამუშევარს „ერთხელ წვიმიან ქალაქში“ ჰქვია, — ამბობს ნოდუკო.

ნოდუკო:

— კლიპის სიუჟეტი ასეთია, — შეყვარებულები ერთმანეთს შორდებიან, წლების მერე კი თითოეული მათგანი სხვას პოულობს და ისევ იმ ადგილზე ხვდებიან, სადაც ყოველთვის ხვდებოდნენ, ახსენდებათ თავიანთი სიყვარული...

სალომე:

— სიმღერა რადგან ორივეში ერთნაირ ემოციას იწვევდა, — დაკარგულ სიყვარულზე და შემდეგ — ნაპოვნზე უნდა ყოფილიყო. ნესტან სინჯიკაშვილს იდეები გავუმხილეთ, რომელმაც ჩვენს ჩანაფიქრს გაცილებით კარგად შეასხა ფრთები, ვიდრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი... თან, ეს ის შემთხვევაა, როცა ტექსტი და მუსიკა ერთმანეთს უხდება.

— სიმღერაში ამბობთ: „ჩვენ შევხვდით წვიმიან ქალაქში“. რეალურად, როდის დაიწყო თქვენი მეგობრობა?

ნოდუკო:

— 2004 წელს პროექტში — „ნუცას სკოლა“... სალომე ძალიან პოზიტიური, მხიარული, კომუნიკაბელური ადამიანია და თავიდანვე ასე დავინახე...

სალომე:

— კარგად მახსოვს ნოდუკოსთან შეხვედრის დღე, — იმ პერიოდში კარგ ხასიათზე ვერ იყო და მისი გამხნელება გადავწყვიტე. ერთ გოგოს გაბრაზებული ჰყავდა, სიყვარული ახალი დანგრეული ჰქონდა, რაზეც გაუთავებლად ლაპარაკობდა... საერთო ენა უცებ გამოვძებნეთ.

ნოდუკო:

— სალომეს გული გადავუშალე და ჩვენი მეგობრობაც ასე დაიწყო... მგონია, მეგობრებს არ ირჩევენ, ყველაფერი თავისთავად ხდება — გული გულს პოულობს. მეგობარს ვისაც ვეძახი, ისინი ჩემი გულის ნაწილები არიან...

სალომე დასავით მყავს, მისი შვილის ნათლია ვარ...

— სიმღერაში როგორი პარტნიორია?

— სცენაზე ერთად დგომის იმდენწლიანი გამოცდილება გვაქვს, რომ სავარაუდოდ, 300-მდე ერთობლივი გამოსვლა მაინც გვექნება.

სალომე:

— ნოდუკოსთან სიმღერა კომფორტია. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, რა სიგიჟეც უნდა მომივიდეს თავში, ვიცი, აუცილებლად ამყვება. კარგად ვიცნობ მას და ისიც ვიცი, რა შეიძლება გაუხარდეს ან ეწყინოს...

— ნოდუკო საზოგადოების გარკვეული ნაწილის, უმეტესად, ინტერნეტაქტივისტების რისხვის ობიექტი გახდა, როდესაც მას ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამი ფრაზა გაუქილიკეს...

ნოდუკო:

— მგონი, ის ამბავი თითქმის დამონოვილი იყო და ამაზე გავბრაზდით. ის ინტერვიუ ვინც წაიკითხა, მიხვდა, რომ ინტერნეტში რაღაცეები ხელოვნურად იყო გაზვიადებული. თან, კონტექსტიდან ამოვარდ-



ხომ შეიძლებოდა, ჰყოლოდა ისეთი მეორე ნახევარი, ვინც რაღაც დისკომფორტს, ჩვენ შორის ბარიერს გააჩენდა?

ნილი ფრაზა გავრცელდა და სულ მგონია, ვილაცამ „გააჩალიჩა“... თორემ ყურნალმა, რომელმაც ის ინტერვიუ დაბეჭდა, სულ სხვა რამ ჩადო იმ ყველაფერში.

სალომე:

— ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. თუ ადამიანს ვიცნობ, პრესისა და ვილაც ადამიანების მანიპულირების გამო, მასზე წარმოდგენა არ შემეცვლება...

ნოდუკო:

— ახლა უკვე მეც ასე ვარ, მაგრამ თავიდან რომ გამოვჩნდი და ხალხმა გამიცნო, ნებისმიერი სახის ჭორი მოქმედებდა...

თუ სცენაზე ჩემი და სალომეს პარტნიორობას დავუბრუნდებით, მარტო სამი წელი ერთ-ერთ კლუბში, ილურიდის ბენდთან ერთად ვმღეროდით. კვირაში რამდენიმე დღეს 2-საათიანი პროგრამა გვქონდა... ოქროს მომღერალია და კომფორტული ადამიანი. მისგან არანაირი ბოროტება არ გამიგია, ყველას უღიმის...

— მახსოვს, „ნუცას სკოლის“ შემდეგ ალექსანდრე ბასილიას კვინტეტშიც ერთად მღეროდით...

ნოდუკო:

— კი, ალექსანდრე ბასილიას კვინტეტის პირველ შემადგენლობაში ვიყავი, როდესაც სოფო ხალვაში იურმალას კონკურსზე წავიდა, მერე გათხოვდა და ლატვიაში ცხოვრობდა. ალექსანდრე ბასილიამ მთხოვა, იქნებ კარგი გოგო მომიყვანო. იმ პერიოდში ბევრი გასტროლი და

კონცერტი გვექონდა... მაშინვე დავურეკე სალომეს, ჯგუფში შენნაირი მომღერალი გვჭირდება, უახლოეს მომავალში გათხოვებას ხომ არ აპირებ-მეთქი? გაგიჟდა, რომ გაიგო, ბასილიასთან უნდა მოსულიყო. ბასილიაც შორიდან იცნობდა სალომეს, ერთად გვამღერა და 15 წუთში მოხიბლული იყო სალომეთი, — ასეთ გოგოს ვეძებდით... თვითონ ბასილიასთან ურთიერთობა ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო. სულ ვამბობდი, — ჩემი მესამე ბაბუამეთქი. იმდენად ზრუნავდა ჩვენზე, რომ ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც ლეგენდა, საოცარი კომპოზიტორი და კეთილი ბაბუა...

სალომე:

— ის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დასამახსოვრებელი, მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპი იყო, რაც ასევე, ნოდიკოს უკავშირდება, როგორც თითქმის ყველაფერი ჩემს კარიერაში. ალექსანდრე ბასილიასთან მუშაობა, ზღაპარში მოხვედრას ჰგავდა. ცოცხალ ლეგენდასთან ვმუშაობდი და ვურთიერთობდი. უშუალო, ჩვეულებრივი და არაპომპეზური ადამიანი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი პიროვნებასთან გვექონდა საქმე, ყველანაირ ბარიერს, დაძაბულობას გიხსნიდა. გაცნობის პირველსავე დღეს ბაბუა-შვილიშვილივით აღმოვჩნდით. იმ დღის შემდეგ ყველანი გავხდით ერთი დიდი ოჯახი და სწრაფად ვიპოვეთ საერთო ენა, როგორც მუსიკალური, ისე პიროვნული, ადამიანური მიმართულებით. კვინტეტში ერთად ყოფნამ მე და ნოდიკო კიდევ უფრო დაგვაახლოვა. თუ მანამდე და-ძმასავით ვიყავით, მერე ტყუპი და-ძმა გავხდით.

ნოდიკო:

— სალომე ლაშას რომ ხვდებოდა, დედამისი მეუბნებოდა, — მისმა საქმრომ სალომეს ხელი შენ უნდა გთხოვოსო, — მსიამოვნებდა ამას რომ ვისმენდი.

სალომე:

— ლაშას რომ უნდა გაეცნო, შეხვედრისას, მახსოვს, ძალიან ნერვიულობდა, ისეთი გაფითრებული იყო, მეცინებოდა... ვერაფერს მეუბნებოდა, არადა, რომ არ მოსწონებოდა და ჩაეთვალა, რომ ეს ის არ იყო, ვინც ცხოვრებაში გვერდით უნდა მყოლოდა, მერე რა უნდა ექნა?

— მოგეწონა სასიძო?

ნოდიკო:

— სალომე ღმერთმა შეახვედრა იმ ადამიანს, ვინც უნდა ყოფილიყო მისი მეორე ნახევარი... ჩემი და მისი მეგობრობა ხელნამოსაკრავი არ იყო. ხომ შეიძლებოდა, ჰყოლოდა ისეთი მეორე ნახევარი, ვინც რაღაც დისკომფორტს, ჩვენ შორის ბარიერს გააჩენდა? ლაშა არ აღმოჩნდა ასეთი. ის ოქროს სიძეა და თან, ჩემი ძმაცაცია.

სალომე:

— მეც მიფიქრია, — ნოდიკოს მომავალ ცოლთან რომ ვერ გამოვძებნო საერთო ენა, რა უნდა ვქნა-მეთქი? მაგრამ ასეთი რამ არ მოხდება! ნოდო არჩევანში არ შეცდება (იციინის)...

საერთოდ, ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანი სიმართლეა. როცა გახსნილი ხარ და არაფერია დამალული, იქ ყველაფერი კარგად არის.

ნოდიკო:

— ახლა კი ვარ სალომესა და ლაშას არაჩვეულებრივი შვილის, ალექსანდრეს, იმავე სანტის ნათლია.

სალომე:

— სანამ სანტი დაიბადებოდა, რამდენიმე თვე ექოსკოპიაზე სქესი არ ჩანდა. ჩავთვალეთ, რომ გოგო იყო. ბოლოს ექოსკოპიაზე რომ

ლი სახელი ალექსანდრე იყო (ფეხბურთელ დელ პიეროს გამო) და ეს სახელი განსაკუთრებულად მეც მომწონდა. ჰოდა, ბავშვს ალექსანდრე, ალესანდრო ჰქვია და ბოლოს, სანტიც დავუძახეთ. თავიდანვე ვიცოდით, რომ ნათლია ნოდიკო უნდა ყოფილიყო.

ნოდიკო:

— ამიტომ, გადამწყვეტილი მქონდა, მის საკეისრო კვეთით დაბადებას დავსწრებოდი, რომ მისთვის სურათი და ვიდეოც გადამელო (მანამდე დეიდაშვილის შვილის საკეისრო კვეთას დავესწარი და ის ემოცია არასდროს დამავიწყდება), მაგრამ სანტიმ დაგეგმილზე ცოტა ადრე გადამწყვიტა დაბადება... თუმცა, როგორც კი ეს ამბავი გავიგე, მაშინვე მივვარდი სამშობიაროში და ბავშვი მანახვეთ-მეთქი. იმის მერე მიყვარს და ვგიჟდები მასზე...

— ახალი ვიდეოს შემდეგ, რა მოლოდინი გაქვთ?

ნოდიკო:

— არის არხები, სადაც ვიდეო გავა. სიმღერა ისეთი, რომ მგონია, ბევრი ადამიანი მასში საკუთარ თავს აღმოაჩენს...

სალომე:

— არ მეშინია კრიტიკის და ამას, როგორც რჩევას, ისე ვიღებ. მაგრამ თითიდან გამონოვილი კრი-



სავარაუდოდ, 300-მდე ერთობლივი გამოსვლა მაინც გვექნება

ტიკა ყველაფერს აზიანებს. ჯობს, სიამოვნება მიიღონ...
ნოდიკო:
— ცოტანი ვართ ქართველები და თუ ერთმანეთის გვერდით არ ვიდგებით და მხოლოდ ცუდს დავუნყებთ ქექვას, დავმარცხდებით... ამიტომ, მეტი პოზიტივი დავინახოთ ერთმანეთში.



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით <http://svetnov.wordpress.com/gza.fantazia@gmail.com>

სვეთა კვარაცხელია

დასაწყისი ნი. „ბზა“ №41-46

წამხდარი ქალი



იმ დღიდან ყველაფერი აირია. ნათელი იყო, რატომაც მომატყუა. შემამონმა, ვაპირებდი თუ არა მის ცოლად შერთვას და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს ჩემს გეგმებში არ შედიოდა, ტაქტიკა შეცვალა. პაემანზე ხან მოდიოდა, არ მაფრთხილებდა და არც ახსნა-განმარტებას იძლეოდა, რატომ ვერ მოვიდა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ ცდილობს, მაეჭვიანოს-მეთქი, ამიტომ მსუბუქად ვსაყვედურობდი, როცა ვერ ახერხებ გამოსვლას, იქნებ გამაგებინო, რომ არ გელოდო-მეთქი. წინასწარ მეც არ ვიცო, როდის როგორ მომიხერხდებაო, მარტივი პასუხი გამცა.

მერე დასასვენებლად გაემგზავრა... უჩემოდ. ნათესავებთან ერთად მივდივარ და სხვანაირად არ გამოვალ. ამაზეც დავხუჭე თვალი. მეც ავიღე შევებულება და ბორჯომში, ჩემს ჯგუფელებს ვენვიე.

მთაში დასვენებას მაინც სხვა ეშხი აქვს, თითქოს უფრო კაჟდები, სულ სხვა ენერჯით ივსები, ვიდრე ზღვაზე. ზღვა უფრო რომანტიკული დასვენებისთვისაა კარგი, მთა კი შენი ძალების გამოსაცდელად. მოიკიდებ ზურგჩანთას, შეუდგები ბილიკს და თითქოს უსასრულობას მიუყვები. იღლები, ქოშინებ, მაგრამ უკან მაინც არ იხევ, ვინმემ სისუსტე რომ არ დაგნამოს.

მართლაც ბევრი ვიხეტიალე. ბორჯომის ხეობა ულამაზესია. მართალია, შხარასა და თეთნულდისნაირი მწვერვალები არ არის, მაგრამ ისეთი ლამაზი მთა-გორეებია, ცქერით ვერ გაძღები, განსაკუთრებით გვერდისუბნის ხეობაში, სადაც აღმართიც ბლომადაა და

დაღმართიც.

სექტემბერში ჩამოვედი. დავრეკე ნანასთან, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო. კლარას ნახვა ნამდვილად არ მინდოდა, ამიტომ სალამომდე მოვიცადე, ცოტა გვიან კიდევ ერთხელ დავრეკავ-მეთქი, თუმცა ცდა ძალზე გამიჭირდა. გული ცუდს მიგრძნობდა. იმის გაფიქრებაც კი, რომ სხვაზე გამცვლიდა, გულს მიკლავდა. ეგოისტურად მიყვარდა, არავისთვის არ მემეტებოდა. სამსახურში თითქმის ყველამ იცოდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ და ისიც იცოდნენ, ცოლად რატომაც არ ვირთავდი. მასზე ყველამ ყველაფერი იცოდა ჩემ გარშემო.

სალამოს ისევ დავრეკე. ამჯერად კლარამ მიპასუხა და — სამსახურიდან ჯერ არ დაბრუნებულაო. არც კი ვიცოდი, მუშაობა თუ დაინყო. ეს სიახლე აღმოჩნდა ჩემთვის.

კვლევით ინსტიტუტში მოწყობილა, საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმების განყოფილებაში. ეს ის პერიოდი იყო, პრივატიზება რომ შემოდიოდა მოდამი. ამაზე იყო გადართული მთელი ქვეყანა და იქმნებოდა და იქმნებოდა კერძო სამსახურები, რომლებშიც ეკონომისტები და ფინანსისტები ერთიანდებოდნენ და აკვალიანებდნენ ორგანიზაციებს თუ კერძო პირებს, როგორ მოეხდინათ საწარმოების თუ ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწების პრივატიზება და კერძო ბიზნესი წამოეწყათ.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ კერძო საწარმოში დაენყო მუშაობა, რომლის ოფისი რომელიღაც კვლევით ინსტიტუტში მდებარეობდა. სულ რაღაც ორი კვირაა მუშაობს და უკვე პირველი ხელფასიც მისცესო.

ეს ჩემთვის სიახლე იყო. არც უთქვამს. გული დამწყდა. არა, გული კი არ დამწყდა, გავბრაზდი. იმის ღირსიც არ ვიყავი, ეთქვა?

გადავწყვიტე, აღარ დამერეკა და, საერთოდ, აღარ მომიკითხა. მაინტერესებდა, თვითონ თუ გავახსენებოდი.

იმ სალამოს არ დაურეკავს, არც მეორე დღეს. მეც არ შევეხმიანე. თუ პრინციპია, პრინციპი იყოს-მეთქი.

ასე გავიდა სამი დღე. მეოთხე დღეს, სალამოს, სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, უცებ ვიღაცის მანქანაში სრულიად შემთხვევით მოვკარი თვალი. ხომ არ მემულება-მეთქი, მაშინვე მოვატრიალე ჩემი მანქანა და გავეკიდე. სანაპიროს დაუყვინენ. ისეთ მანძილზე მივდევედი უკან, რომ ვერ შევემჩნიე. საჭეს ახალგაზრდა მამაკაცი ეჯდა, დაახლოებით ჩემი ტოლი. შორიდან მშვენიერი ბიჭი ჩანდა. მცხეთისკენ გადაუხვიეს... მე იქვე შევანელე სვლა, აღარ მიყვები. ისედაც გასაგები იყო ყველაფერი...

ნერვიულობისგან ვცახცახებდი, ნერვებს ველარ ვთოკავდი. ასეთი გაცეცხლებული კარგა ხანია, არ ვყოფილვარ. ახლა რომ მენახა, ალბათ, ცემით დავაოსებდი. კიდევ

კარგი, იმ დღეს არ დამირეკა და ავცდით ერთმანეთს, თორემ თავს ვეღარ შევიკავებდი.

მერე ნელ-ნელა გადამიარა, ისე აღარ ვყრიდი ცოფებს, მაგრამ ნახვა ახლა უფრო მეტად მინდოდა. უნდა გამერკვია, რა ხდებოდა და საბოლოოდ გადამეწყვიტა, ერთად ვრჩებოდით თუ ვშორდებოდით.

მიუხედავად ასეთი სურვილისა, არ ვურეკავდი. მაინტერესებდა, ოდესმე თუ გავახსენდებოდი და თუ დამირეკავდა.

გავახსენდი. სხვის მანქანაში რომ ვნახე, მას მერე ორი დღე კიდევ გავიდა და დამირეკა. ორ საათში ჩვენს ბინაში გამოვალ და თუ გცალბა, გნახავო. კარგი-მეთქი.

აი, ახლა კი გამიჭირდა თავის მოთოკვა. ორი ჭიქა ღვინო დავლიე, გულზე ცოტათი რომ მომშვებოდა, მაგრამ მგონი, პირიქით იმოქმედა, უარესად დავიძაბე.

ნახევარი საათით ადრე მივედი და ლოდინმა მომიწია. სანამ მოვიდოდა, ჩემი დამემართა. ხან ბოლთას ვცემდი, ხან დავჯდებოდი, ხან წამოვწვებოდი...

როგორც იქნა, მოვიდა, მაგრამ თხუთმეტი წუთის დაგვიანებით.

დაგვიანება, იცოცხლე, ყოველთვის იცოდა.

სევდიანი მეჩვენა. სულაც არ უციმციმებდა თავისი ლამაზი თვალები. მშვიდად გამისწორა მზერა, თითქოს იოტისოდენა დანაშაულიც არ მიუძლოდა ჩემ წინაშე.

ასე ვიდექით და ერთმანეთს შევყურებდით.

— არ მაკოცებ? — ოდნავ გაკვირვებული ხმით მკითხა.

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვიცი, გინდა თუ არა ჩემი კოცნა.

— ეგ საიდანლა მოიტანე ახლა?

— მე საიდან მოვიტანე? არც არსაიდან, რასაც ვხედავ, იმას ვამბობ.

— რას ხედავ, ნეტავ? — უდარდელი ღიმილით მკითხა და ხელები გამოიწვინა, რომ ყელზე მომხვეოდა, მაგრამ თავი უკან გადავხარე.

— ანდრია, რა ხდება?

— ეს შეკითხვა მე უნდა დამესვა შენთვის. ნანა, რა ხდება?

— არაფერი, — მხრები აიჩეჩა, მაგრამ წელანდელი უდარდელი იერი ვეღარ შეინარჩუნა, განითლდა.

— მუშაობა დაგინყია, რაც არ ვიცოდი. პირველი ხელფასიც აგიღია,

ესეც გამომაპარე. ერთი კვირაა, შენთან დაკავშირებას ვცდილობ და თითქოს არც ვარსებობდე, სრული იგნორი. და მეუბნები, რომ არაფერი ხდება?

— მე მეგონა, შევებულეაში იყავი.

— ვიყავი, მაგრამ ორი თვით კი არა, 24 დღით, რომელიც ზუსტად ერთი კვირაა, დამთავრდა.

— მე არ ვიცოდი, ჩამოსული თუ იყავი.

— მართლა? დეიდაშენმა არ გითხრა, რომ დავრეკე?

— კი, მითხრა, მაგრამ... მეგონა...

— ააა, გეგონა, რომ ბორჯომიდან დაგირეკე, არა?

— ჰო.

— მერე? სახლში ვერ დამირეკე? შეგემონებინა. ან აქ გამოსულიყავი და გენახა, მაგიდაზე წერილი რომ დაგიტოვე. არც ეგ გიფიქრია. თუმცა, მადლობელიც უნდა ვიყო, რომ არ გადმოხვედი და შენი ახალი საყვარლები აქ არ მოიყვანე.

— ანდრია! — შეცბუნებულმა ამოთქვა.

— რა ანდრია, რა ანდრია! არ მითხრა, რომ სხვას არ ხვდები! გგონია, არ ვიცი? გინდა, გითხრა? მანქანის ნომერიც კი ვიცი!

— ვიცი, რომ იცი. მეც დაგინახე იმ დღეს, უკან რომ გამოგვეკიდე.

გავშრი. არც მიფიქრია, თუ შემამჩნევდა. ცოტა არ იყოს, გამიტყდა.

— აჰა... მერე რატომ არ გაა-

ჩერებინე მანქანა შენს მეგობარს?

— არ მინდოდა, თავი უხერხულად გეგრძნო. ვიფიქრე, როცა ვნახავ, მერე ვეტყვი-მეთქი.

— იმის მერე ორი დღე გავიდა და არ დამირეკე...

— იმიტომ, რომ გაბრაზებული იქნებოდი და მინდოდა, დამცხრა-ლიყავი.

— დედუქციის მეთოდი. — სიცილი ამიტყდა.

— დედუქცია ამას არ სჭირდება, გადასარევად გიცნობ! — ტუჩები გაბუსხა და სანოლზე ჩამოჯდა.

— ჩემთვის სათქმელი არაფერი გაქვს, გარდა იმისა, რომ იმ დღეს დამინახე?

— მაქვს.

— მიდი მერე, რას უცდი, დაინყე! — სკამი გამოვნიე და წინ დავუჯექი.

— მე ვთხოვდები, ანდრია! — მომახალა მოულოდნელად, მაგრამ მშვიდად.

ყოველნაირი პასუხისთვის ვიყავი მზად, წინა დღეებში ასჯერ მაინც წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრის მომენტი და ის, რაზეც ვისაუბრებდით. რას მეტყოდა, რითი იმართლებდა თავს, როგორ შეეცდებოდა თავისი დანაშაულის გაბათილებას... მაგრამ გათხოვებას თუ მიხსენებდა, წამითაც არ მიფიქრია. ისე გამოაცა მისმა ნათქვამმა, თითქოს გაუთხოვრობის ალტქმა ჰქონოდა დადებული.

— რა თქვი?



— ვთხოვდები. — იმავე ტონით გაიმეორა და ჯიქურ გამისწორა თვალი.

— რატომ? — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, რომ მეკითხა.

— იმიტომ, რომ შენ არ გინდევარ ცოლად, მე კი ოჯახი მინდა მყავდეს — ქმარი, შვილები... შენ ამას არასდროს გააკეთებ, რადგან მე სამარცხვინო ქალი ვარ, საზოგადოებაში არგამოსაჩენი, თავისმომჭრელი და ასე შემდეგ.

— ასე ნუ ამბობ... — ხმა გამებზარა.

— რასაც ვამბობ, სრული სიმართლეა. არ ვაპირებ არაფრის ახსნას, არც პრეტენზია არა მაქვს შენთან. ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. შენ მე ამ ცხოვრებისკენ მომაბრუნე, მადლობის მეტი არაფერი მეტქმის, მაგრამ ასე გაგრძელება არ შემიძლია.

დავმუწედი. რასაც ამბობდა, ყველაფერში მართალი იყო და რა უნდა მესაყვედურა?

— რატომ არაფერს მეუბნები? მწარეა სიმართლე? — დამცინავი ნაპერწკლები აუკიაფდა თვალებში.

— ვინ არის მაინც, კარგი ადამიანი?

— კარგი ადამიანია. რაც მთავარია, ვუყვარვარ, თანაც ისე, რომ უნდა, სულ მის გვერდით ვიყო.

— გილოცავ...

— მადლობა... თუ არაფერი გაქვს სათქმელი, მე წავალ... მელოდებიან... — ნიშნის მოგებით მითხრა და ირონიული ღიმილით გამომხედა.

— არა, არაფერი... წადი შენს გზაზე, — ამრეხით წარმოვთქვი და ავდექი.

მასთან საუბარი ამით დავამთავრე.

ზღაზვნით წამოიმართა. თან უნდოდა წასვლა, თან ყოყმანობდა. არ მოელოდა, ასე ადვილად თუ დავთმობდი. ალბათ იფიქრა, ვერ შემეღვინა და თვითონვე შემირთავს ცოლად. მე კი ამხელა რისკი ვერ გავწიე. ვერ შევძელი, მეჯობნა ჩემი თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

როცა ჩემგან სასურველი პასუხი ვერ მიიღო და არც შევეცადად გამეჩერებინა, ადგა და წავიდა. უსიტყვოდ, დამშვიდობების გარეშე...

მას შემდეგ წლების განმავლობაში არ მინახავს. არც არაფერი

გამიგია მასზე. შემთხვევითაც არ გადავწყდომივარ.

პირველ ხანებში ძალიან ცუდად ვიყავი. დეპრესიამ შემიპყრო. არც სამსახური მინდოდა, არც კარიერა, არც მშობლები და არც არავინ ქვეყანაზე. უფასო შვებულება ავიღე და ორი კვირით მოსკოვში გავემგზავრე, ჩემს ბიძაშვილებს ვესტუმრე. ვიფიქრე, გულს გადავყოლებ-მეთქი. არც ამან მიშველა. სანამ ჩემს თავს არ შევეუძახე, გონს მოდი, ასე გაგრძელება კარგს არაფერს მოგიტანს-მეთქი, ვერაფერი გავაწყვე. მერე დავჯექი და გავანალიზე, რა აზრი ჰქონდა ჩემს ასეთ განცდებს და უკვე გაფუჭებულ საქმეს რას ვუშველიდი ამდენი დარდითა და ვარამით. აღმოვაჩინე, რომ ვერც ვერაფერს. ჰოდა, ვიფიქრე, რაც არის, არის. ცხოვრება გრძელდება. არ მიმართლებს სიყვარულში? ნუ მიმართლებს, რაშიც მიმართლებს, იმას მაინც მივხედო-მეთქი და გავაგრძელე მუშაობა.

დავიცავი დისერტაცია, დავამუღამე ჩემი პროფესია და წლების შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო ქირურგის სახელიც გამივარდა. მერე ალიკა გარდაიცვალა, შუა ოპერაციის დროს ინფარქტმა გლიჯა და წამში გათავდა ამხელა კაცი. ძლივს მოვახერხე იმ ოპერაციის დასრულება. აბა, წარმოიდგინეთ, თან თავზარდაცემული კოლეგის უეცარი გარდაცვალება, თან საოპერაციო მაგიდაზე გაფატრული პაციენტი გინევს. როგორია? რამდენიმე კვირა შოკში ვიყავი, მდგომარეობიდან ვერ გამოვდიოდ.

ახლა ყველაფერი რიგზეა. ახლა მე მყავს ასისტენტები და ეს ახალბედა ქირურგები მე ოპერაციის ჩატარებაში მეხმარებიან. თბილისში ყველა მიცნობს და დაფასებული ექიმი ვარ. ამასთან, სხვა მხრივაც პერსპექტიული გახლავართ — უცოლო, მდიდარი, კარგი სახლკარით, მანქანით... ერთი სიტყვით, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. ეგაა მხოლოდ, ვერაფერს შეძლო ჩემი შებმა, ცოლქმრული უღელი არა და არ დავიდგი ქედზე.

ქალები კი, იცოცხლე, ბლომად ირევინ ჩემ გვერდით. ერთმანეთისგან განურჩევლად, ყველა მეპრანჭება: გათხოვილი თუ გასათხოვარი, ქვრივი თუ განათხოვარი, შინაბერა თუ ახალგაზრდა... ახლა ბევრად სიმპათიურად გამოვიყუ-

რები, ვიდრე ახალგაზრდობაში, ოღონდ ეგაა, უფრო მედიდური გავხდი. ასე რომ არა, ვინ იცის, უკვე მომჩანგლავდა რომელიმე ლამაზმანი.

ქალთან დამოკიდებულებაში დისტანციას აღარ ვარღვევ, შეყვარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ ისე მომეწონება, რომ გადავწყვეტ, მასთან სექსი აუცილებლად უნდა მქონდეს, რა თქმა უნდა, ურთიერთობას გავაბამ, მაგრამ თავიდანვე ვაგრძნობინებ, რომ სხვა რამის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ერთგვარ ზეპირ კონტრაქტს ვაფორმებ ქალებთან — მე ასე და ასე მოვიქცევი, შენგან კი ამას და ამას ვითხოვ-მეთქი.

ეს საუცხოო მეთოდი გამოდგა. არც ურთიერთობა გრძელდება დიდხანს და არც უკმაყოფილო რჩება არავინ. დიდი, დიდი, ექვსი თვე ან წელიწადი გაგრძელდეს შეხვედრები, რადგან ყოველდღე ან ყოველკვირა კი არ ვხვდები ასეთებს, არამედ თვეში ან ორ-სამ თვეში ერთხელ. მრავალფეროვნება რომ მომენატრება, დავურეკავ ერთს. თუ სცალია, ხომ კარგი, შევხვდები და რომელიმე იაფფასიან სასტუმროში წავიყვან, ან ჩემთან სახლში დავიბარებ, თუ არ სცალია, მაშინ მეორეს, მესამეს შევეხმიანები და ასე...

ასე რომ, ქალი არ მაკლია. მაკლია სხვა რამე — სიყვარული და ოჯახური სითბო. ახალგაზრდა აღარ ვარ, მომერია ასაკი, ამიტომ იმის გაფიქრებაც კი მიჭირს, რომ ოჯახი უნდა შევქმნა. რა დროს ეგ არის. არც ვნანობ. დიდად არასდროს მქონია სურვილი, შვილები მყოლოდა. არ ვიცი, რისი ბრალია. შეიძლება იმისი, რომ მეც დედასერთა ვარ და ცოცხალი თავით არასდროს მინდოდა, და ან ძმა მყოლოდა.

ბავშვები მიყვარს, როგორ არ მიყვარს, მაგრამ სხვების და არა ჩემი. ახლა ვერც წარმომიდგენია, მე რომ შვილი მყავდეს... რა ვიცი, იქნებ კარგიცაა, ვილაც მამას რომ დაგიძახებს, თუმცა ამაზე თავის დროზე უნდა მეფიქრა. ახლა ზედმეტად დაგვიანებული მგონია. 56 წლის კაცმა ახლა რომ შვილზე ვიფიქრო, როდისღა მომესწრება? ან მას რაში გამოადგება მიხრწნილი მამა, როცა 19 წლის გახდება? აქეთ ვეყოლები საპატრონო. არა,

არ მინდა. შეიძლება ვნანობ კიდევაც და ჩემს თავს არ ვუტყდები, ასე ეუღლად რომ დავრჩი, მაგრამ ახლა სინანულიც დაგვიანებულია.

აი, ეს ამბავი გახლდათ ჩემი ცხოვრების პრელუდია და რომ არ მომეყოლა, ინტერლუდიას აზრი არ ექნებოდა. რადგან ნანაზე ასე თუ ისე მოგანოდეტ ცნობები, იმასაც გეტყვით, რომ ამ დღეებში სრულიად შემთხვევით გადავეყარე. ეს კი სულ რაღაც ექვსიოდე დღის წინ მოხდა.

იმ დღეს მაგრად წვიმდა. სამსახურიდან გამოსულს ქუჩაში ისეთი საცობი დამხვდა, მეგონა, სახლამდე ვერასდროს მივალწევდი. ის იყო, სპორტის სასახლეს გავცდი, რომ ვილაც ქალმა ხელი დამიქნია. ალბათ ყველას უქნევდა ხელს წვიმის გამო და სულერთი იყო, ვინ გაუჩერებდა. შემეცოდა. ვიფიქრე, განა სად უნდა ცხოვრობდეს ისეთ ადგილას, გაყვანა დამეზაროს-მეთქი და გავუჩერე.

— ვერაზე გამიყვანთ?

აუუ, ოღონდ ეგ არ ეთქვა... ჭირის დღესავით მეზარება ხოლმე პიკის საათებში ვერაზე გასვლა, ისეთი საცობებია. მაგრამ რადგან გავუჩერე, უარი არ გამოდიოდა.

უკან ჩაჯდა. კარგა ხანს ერთმანეთს არ დავლაპარაკებდით. სარკიდან შევათვალიერე. ლამაზი ქალი ჩანდა, მთლად ახალგაზრდაც არ იყო, მაგრამ კარგად შენახული. შავი ხვეული თმა კრაველის ჯიშის ცხვარივით დაეხუჭუჭებინა. უცნაური ის იყო, რომ ამ წვიმაში მზის სათვალე ეკეთა.

— რომელ ქუჩაზე? — გულგრილად ვკითხე, როგორც კი ჩაჯდა.

— კობის ქუჩა.

ყურები ვცქვიტე. სწორედ მაგ ქუჩაზე მქონდა ბებუის დანატოვარი ბინა, სადაც მე და ნანა ერთ დროს ერთმანეთს ვხვდებოდით. კიდევ ერთხელ შევხედე სარკიდან, მაგრამ არ მეცნო. მაგ ქუჩაზე ასეთი ქალი არასდროს მენახა, თუმცა, არც ისე ხშირად ვარ იქით, მხოლოდ მაშინ, როცა მდგმური ბინის ქირისთვის დამიბარებს.

— დიდი ხანია, ვერაზე ცხოვრობთ? — გამოველაპარაკე.

— ცხრა წელია, თუმცა მანამდეც მაგ ქუჩაზე ვცხოვრობდი... სამი წელი, — თქვა და ჩემი სახლის ნომერი არ დაასახელა უცებ?

მოულოდნელობისგან დავამუხ-

რუჭე. უცნაური ის იყო, რომ ეზოში მხოლოდ ჩემი ბინა იყო, სხვა არავინ ცხოვრობდა. ვიფიქრე, ჩემი მდგმური ხომ არ იყო-მეთქი და ინსტინქტურად ვკითხე:

— მდგმურად?

— არა. ქმართან ერთად. მერე გავვეყარე.

აი, ხათაბალა! რაღაცას იტყუება ეგ ქალი!

— მაგ ნომერში მე ვცხოვრობ წლებია, მაგრამ თქვენ არ მახსოვხართ, — ვუთხარი და დაჟინებით დავაკვირდი სახეზე.

უეცრად სწრაფად ასნია თავი, სათვალე მოიხსნა და სარკეში გაცეხული მზერა შემომაფეთა. ოჰ, ეს მზერა... დაუვინყარი, გაუხუნარი...

— ანდრია, შენ ხარ? — ხმადაბლა იკითხა.

— ნანა? — მეც შევაგებე შეკითხვა.

— ღმერთო ჩემო! — სასონარკვეთილი ხმით აღმოხდა.

მსწრაფლ გავაჩერე მანქანა.

— წინ გადმოჯექი! — ვთხო-

ჭალარა შეგპარვია. შეგპარვია კი არა, მოგრევია, — გადაიკისკისა.

— სად ხარ, რას საქმიანობ? მართლა ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობ?

— კი, მანდ ვცხოვრობ. ათი წლის წინ მიყიდა ჩემმა ქმარმა ეგ ბინა. ძალიან მინდოდა, სადმე მანდ მეცხოვრა, ჩვენი შეხვედრების ადგილთან ახლოს. არ დავიმალოვ და იმის იმედიც მქონდა, რომ ოდესმე შეგხვდებოდი. მაგრამ არც მიფიქრია, თუ ვერ გიცნობდი.

— ესე იგი, გათხოვილი ხარ?

— ვიყავი. მერე დავქვრივდი. ახლა ისევ მარტო ვარ.

— შვილები?

— ერთი გოგო მყავს. მზეთუნახავი... შენ?

— მეც ისევ ისე, როგორც ვიყავი. ვცხოვრობ მარტო — არა ცოლი, არა შვილი. მარტოხელა მგლურ ცხოვრებას ვენევი. სად მუშაობ?

— არც არსად. ჩემი გოგო მარჩენს და მეც რაღაცებს ვჩალიჩობ. თუ დრო გაქვს და არ დაიზარებ, გამომიარე, ჩემს შვილსაც გაგაც-



ვე და ვიგრძენი, როგორ ამიტყდა კანკალი...

მუნჯებით ვისხედით და ერთმანეთს ვათვალიერებდით.

— ვერ გიცანი, როგორ შეცვლილხარ, — როგორც იქნა, ამოვთქვი.

— მეც ვერ გიცანი, შენც შეცვლილხარ, — გაიღიმა.

— თმა სხვა ფერი გაქვს, თანაც დახვეული...


— ჰო, ასე უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები. შენ კიდევ

ნობ, ყავა დავლიოთ, წარსული გავიხსენოთ...

ისე შეფუთა ეს შეთავაზებები, რომ უარი არ მეთქვა. ისედაც არ ვეტყოდი უარს, რადგან ძალიან გამიხარდა მისი ნახვა, ძალიანაც ავფორიაქდი და სიამოვნებით ვესტუმრებოდი შინაც, მით უფრო, რომ ქმარი არ ჰყოლია.

ერთი სიტყვით, მოვილაპარაკეთ, რომ წინასწარ დავურეკავდი და შეხვედრაზე შევთანხმდებოდით...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მისიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 95 130 მისიჯის ფასი 50 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.



ქალები

123902 2-ჯერ გავაკეთე განცხადება, უამრავი მამაკაცი გამომეხმარა და პირადად ვესაუბრე. ეს იყო კაცების ხროვა, ქალის ხარჯზე დამკვიდრება რომ უნდოდათ. ამდენმა უსაქმურმა, არარაობამ ან მახინჯმა სად მოიყარა თავი თბილისში?

123764 ვარ 52 წლის, გაუთხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი, სუფთა წარსულით, განათლებული, მოწესრიგებული, ექიმი, ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს ასეთივე მონაცემების მამაკაცი, 60 წლამდე.

123765 გამარჯობა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ცოლს გაშორებულ ან ქვრივ მამაკაცს, ეკონომიურად მყარად მდგარს. ვარ 42 წლის, სიმპათიური, განქორწინებული ქალი.

123774 გავიცნობ მამაკაცს, ლამაზს, შეძლებულს, სამსახურიანს, სერიოზული ურთიერთობისთვის, ოჯახის შექმნის მიზნით, 53-60 წლამდე. თბილისელი უნდა იყოს.

123844 ვარ 49 წლის ქალბატონი. მანუხებებს სიდუხჭირე. გავიცნობ ისეთ მამაკაცს, რომელსაც ეკონომიურად არ უჭირს და შეუძლია ქალის რჩენა. არ ვმესიჯობ, მხოლოდ დარეკეთ.

123377 გავიცნობ დაოჯახების მიზნით ქვრივ ან ცოლს გაცილებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის, 38 წლის ზევით.

123533 მყავს 53 წლის მეგობარი,

სერიოზული, სიმპათიური, სუფთა წარსულის, ეკლესიური, მედიცინის მუშაკი, განათლებული. შეგვეხმაროს შესაბამისი მონაცემების მამაკაცი. არასერიოზულები და უსაქმურები ნუ შენუხდებით, თავი შეიკავეთ.

123536 ვარ 39 წლის. ვიმეგობრებ ისეთ ადამიანთან, ვინც გვერდით დამიდგება და დამეხმარება მატერიალურადაც.

123538 ვარ ძალიან ლამაზი ქალი, 19 წლის გოგოს ვჯობივარ, თანაც ვარ განათლებული, მოსიყვარულე, 75 წლის ქალი, ვნებიანი. მოგანიჭებთ უდიდეს სიყვარულს.

123592 ვარ 49 წლის მანდილოსანი. მანუხებებს სიდუხჭირე. ვეძებ ისეთ მამაკაცს, რომელსაც ეკონომიურად არ უჭირს და შეუძლია ერთი ქალის რჩენა. არ ვმესიჯობ. მხოლოდ დარეკეთ.

123602 ვარ 52 წლის, გაუთხოვარი მანდილოსანი, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულით. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს განათლებული, კულტურული, დასაქმებული, 60 წლამდე ასაკის მამაკაცი, სერიოზული ურთიერთობისთვის.

123759 დაოჯახების მიზნით, ვისაც ჩემსავით დრო გაგეპარათ. გავიცნობ 45-55 წლის მამაკაცს. იქნებ გვეცადა ცხოვრების ახალი ფურცლის შევსება?

123764 ვარ 52 წლის, გაუთხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი, სუფთა წარსულით, განათლებული, მოწესრიგებული, ექიმი, ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს ასეთივე მონაცემების მამაკაცი, 60 წლამდე.

121915 ვარ 48 წლის ქალბატონი. ძალიან მიჭირს ეკონომიურად. გავიცნობ უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად მხარში ამომიდგება.

121931 ვარ 50 წლის, სასიამოვნო, ინტელიგენტი, სერიოზული ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ 55 წლის ზევით ასაკის, ქვრივ ან ოჯახიან მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მატერიალურად მხარში ამოდგომა.

121726 ჩემი ნათესავი არის სერიოზული, ლამაზი ისედაც და სულითაც, 50 წლის, ქვრივი. სჭირდება სერიოზული ურთიერთობისთვის მეგობარი, უცოლო ან ქვრივი, სიმპათიური მამაკაცი, რომელიც გაუნევეს თანადგომას და დახმარებას. გართობისთვის არ დარეკოთ.

123069 ვარ 50 წლის, გაუთხოვარი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი, სუფთა წარსულით, მავნე ჩვევების გარეშე. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს 60 წლამდე ასაკის, სერიოზული, განათლებული, კულტურული მამაკაცი.

ყურადღება!
95 130 ისარგებლეთ ამ ნომრით, რომელზეც მესიჯების გამოგზავნას შეძლებთ იმისათვის, რომ თქვენი განცხადება ჟურნალ „გზაში“ განათავსოთ. ასევე, ავტომატურ რეჟიმში შეძლებთ სასურველი ადამიანის ტელეფონის ნომრის გაგებას (ამის პრაქტიკა უკვე გქონდა).
მესიჯის გამოგზავნის წესი ასეთია: მობილური ტელეფონის შესაბამის ფუნქციაში კრებთ მესიჯის სასურველ ტექსტს და გზავნით ნომერზე — 95 130 (ისევე, როგორც ჩვეულებრივ, მესიჯის გაგზავნისას იქვევით ხოლმე).

123087 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მამაკაცს. ვარ 47 წლის, სიმპათიური, განქორწინებული ქალი. ვცხოვრობ შვილებთან ერთად.

123101 ვარ 39 წლის, მაღალი, სრული, სასიამოვნო გარეგნობის, კულტურული, განათლებული ქალბატონი. მინდა, გავიცნო ასევე კულტურული, განათლებული, შეგნებული მამაკაცი. სასურველია, ჰყავდეს კარგი მანქანა და არ ჰქონდეს ძალიან თხელი ჯიბე. ტაქსის მძღოლებმა, უსაქმურებმა თავი შეიკავეთ.

122872 ვარ 50 წლის, განათლებული, სერიოზული, წესიერი ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ 55-65 წლამდე ასაკის, ფინანსურად ძლიერ, ქვრივ ან ოჯახიან მამაკაცს, რომელიც ამომიდგება მხარში. ანა.

122895 გამარჯობა. ვარ ქვრივი, 6 შვილის დედა. ვეძებ მარტოხელა კაცს, ვისაც უნდა სიყვარული, სითბო, სიტკბო. გელი.

122930 კვირაში ორჯერ შევხვდები მამაკაცს, რომელიც დამაფინანსებს. ვარ ახალი განქორწინებული, შუახნის, ქერა ქალი.

122977 ვარ მაღალი და გამბდარი ნამდვილად არა ვარ. მყავს 2 შვილი. მე თვითონ ვარ 45 წლის. მსურს, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 45-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცი. უნდა იყოს ბინიანი და რა თქმა უნდა, შეძლებული. მე თვითონ გაჭირვებამ გადაძირა და უფულო თავიცი მიძულს უკვე. აბა, გელოდებით.

123002 ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაროს ცოლს გაცილებული მამაკაცი, 35-დან 40 წლამდე. დასაქმებული, თუნდაც — შვილიანი. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. თამუნა.

122745 ვარ 50 წლის, გაუთხოვარი მანდილოსანი, სუფთა წარსულით, მავნე ჩვევების გარეშე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 60 წლამდე ასაკის მამაკაცს. გამართობები, მატყუარები ნუ გამომეხმარებთ.

122786 ვარ 43 წლის, თბილისელი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 60 წლამდე ასაკის მამაკაცს. გთხოვთ, გამომიგზავნოთ 121331 მესიჯის ავტორის ნომერი.

122788 ვარ 39 წლის ქალბატონი. სამეგობროდ, ფარული შეხვედრებისთვის ვეძებ მამაკაცს, 45 წლამდე.

122802 ვარ 49 წლის მანდილოსანი. მანუხებს სიდუხჭირე. ვეძებ ისეთ მამაკაცს, რომელსაც არ უჭირს და შეუძლია ერთი ქალის შენახვა. არ ვმესიჯობ, მხოლოდ დარეკეთ.

122850 ვეძებ მამაკაცს, ლამაზი, ფულიანი, სამსახურიანი, სერიოზული ურთიერთობისთვის, 53-60 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით, მხოლოდ თბილისელი უნდა იყოს.

122560 ვარ მეუღლეს გაშორებული, 39 წლის. მყავს ერთი შვილი. გავიცნობ 43 წლის მამაკაცს სამეგობროდ, მანქანის და ფულიანს.

122714 ვარ 26 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 35 წლამდე მამაკაცს. მყავს ერთი შვილი. არასერიოზულები ნუ გამომეხმარებთ.

122745 ვარ 50 წლის, გაუთხოვარი მანდილოსანი, სუფთა წარსულით, მავნე ჩვევების გარეშე.

პატივცემულ მოკითხველო, ტელეფონის ნომრებს რედაქცია ვერ მოგცემთ, გთხოვთ, იხილოთ 76-ე გვერდზე, გამომავალი ტექსტით მოცემული წესი იმის შესახებ, როგორ შეიძლება სასურველი ადამიანის ტელეფონის ნომერი. პატივისცემით, რედაქცია

ვისურვებდი, გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, 60 წლამდე ასაკის მამაკაცი. გამართობები, მატყუარები ნუ გამომეხმარებთ.

122540 ვარ 18 წლის გოგო, ცოტა პუტკუნა (ამის გამო მიწუნებენ). არასდროს მქონია კაცთან ურთიერთობა. ვარ ოჯახის გოგო, ვეძებ მამაკაცს, დასაოჯახებლად. ელენე.

122544 ვარ ქვრივი, 50 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ მამაკაცს, 50-60 წლამდე. დანარჩენი — პირადად.

122286 დამიმესიჯოს ფინანსურად ძლიერმა მამაკაცმა. ვარ განქორწინებული, ლამაზი ქალი.

122083 ვარ 48 წლის, ქმარს გაცილებული, თბილი, სასიამოვნო გარეგნობის. გავიცნობდი სერიოზულ კაცს.

122212 ვარ 50 წლის, სიმპათიური, განათლებული, ოჯახიანი ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ 55-65 წლამდე ასაკის, მატერიალურად ძლიერ, ოჯახიან მამაკაცს, რომელიც მატერიალურად ამომიდგება მხარში. ანა.

121968 ვარ 48 წლის ქალბატონი. განვიცდი სიდუხჭირეს. მსურს, გავიცნო ეკონომიურად მაღლა მდგომი მამაკაცი, რომელიც მხარში ამომიდგება მატერიალურად. არ ვმესიჯობ. მხოლოდ დარეკეთ.

121988 ვარ 46 წლის ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე ასაკის, თბილისელ მამაკაცს. არასერიოზულები და უსაქმურები არ გამომეხმარონ.

122015 ვარ 19 წლის გოგო, 16 წლის ნამოვედი სახლიდან. ვეძებ ისეთ კაცს, ვინც აღმზრდის, გამათბობს და სიამოვნებას განმაცდევინებს. ვარ მაღალი და უხვი. დამიკავშირდით მხოლოდ რეალური მსურველები. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს.

121909 ობოლი სიყვარულის თამადობით, ყველა სიყვარულმა გაიხაროს!!! ვისაც მართლა ნამდვილი სიყვარული შეუძლია, გამო-

მეხმაროს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 51 წლის, მაღალი, 175 სმ სიმაღლის და ერთი კარგი ინდაურის წონა — 58 კგ, გრძელი, ქერა თმით, სიმპათიური ქალბატონი. მიყვარს იუმორი.

121734 ვარ 39 წლის ქალბატონი. სამეგობროდ ვეძებ მამაკაცს, 45 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის.

121768 არ მეგონა, თუ აქ დავწერდი. ვარ 41 წლის. მყავს 11 წლის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე მამაკაცს, სამსახურითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფილს. შეიძლება ქვრივიც, ბავშვებით. დანარჩენი — პირადად.

121824 ვარ 42 წლის. ვცხოვრობ თბილისში, მარტო. გავიცნობ 40-დან 65 წლამდე მამაკაცს, დაოჯახების მიზნით.

121598 ვარ 59 წლის, მარტოხელა ქალბატონი. მარტოობა თანდათან უფრო გაუსაძლისი ხდება. ვეძებ ადამიანს, ვინც ამ ყოფას შემიმსუბუქებს, ვისაც დავეყრდნობი.

121630 ვარ 48 წლის ქალბატონი. ძალიან მიჭირს ეკონომიურად. გავიცნობ უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც მხარში ამომიდგება ყველანაირად. არ ვმესიჯობ. მხოლოდ დარეკეთ.



მამაკაცები

123880 ქალბატონებო, ვისაც გსურთ ფარული შეხვედრა ისე, რომ არავინ გაიგოს, დამიმესიჯეთ. საიდუმლოს შენახვა ვიცი. გიორგი.

123893 გთხოვთ, მომცეთ ნომერი, რომლის კოდიც არის 121682.

123903 მინდა, გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით და შვილი რომ გამიჩინოს. კარგი მეოჯახე, კარგი დიასახლისი 28-დან 38 წლამდე გოგო. ჰქონდეს კარგი წარსული, იყოს ქვრივი ან ქმარს გაცილებული, 5 წლამდე ასაკის შვილი თუ ეყოლება. ძან მსუქნებმა თავი შეიკავეთ. ვარ 43 წლის, სიმპათიური, ცისფერთვალა.

123927 გთხოვთ, მომწეროთ 113878 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

ვარ 43 წლის, დაუოჯახებელი. ვეძებ ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს, 40 წლამდე. დანარჩენი — პირადად.

123928 გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისათვის სულით ლამაზ ქალბატონს.

123929 გთხოვთ, გამომიგზავნოთ 123602 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

123930 ვარ მეუღლეს გაცილებული, 45 წლის, სერიოზული მამაკაცი. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ, სუფთა, მონესრიგებულ მანდილოსანს, 25-დან 45 წლამდე. იქნება ყველაფრით კმაყოფილი და ბედნიერი.

123931 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მონესრიგებულ, სისუფთავის მოყვარულ ქალბატონს. ვარ მეუღლეს გაცილებული, მაქვს სამსახური. დავებმარები ყველანაირად.

123933 ვარ 42 წლის. ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს. მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. ვცხოვრობ ქუთაისში.

123936 გავიცნობ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით, 40-დან 45 წლამდე, თუნდაც განათხოვარს ან შვილიანს. ვარ 41 წლის. დამიმესიჯეთ ქალბატონებო. გელოდებით, ვისაც ოჯახი გსურთ.

123980 გავიცნობ ქალს 35-45 წლამდე, რომელსაც ფული და მანქანა არ უნდა. დამირეკე პირდაპირ!

123982 ვეხმაურები 49 წლის ქალბატონს. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

123983 ვეხმაურები 59 წლის ქალბატონს. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

123761 გავიცნობ ქალბატონს 22-დან 40 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი, 187 სმ სიმაღლის.

123880 ქალბატონებო, ვისაც გსურთ ფარული შეხვედრა ისე, რომ არავინ გაიგოს, დამიმესიჯეთ. საიდუმლოს შენახვა ვიცი. გიორგი.

123288 მსურს 122786 მესიჯის ავტორის გაცნობა. არის 43 წლის.

123296 ვარ 62 წლის და დაინტერესებული ვარ ქალბატონების გაცნობით. გთხოვთ, დამიკავშიროდით.

123310 გამარჯობა. მე ვარ ლუკა, 30 წლის, უკომპლექსო.

123315 ვარ თბილისელი, უმაღლესი განათლებით, ასაკოვანი, უკომპლექსო. ვცხოვრობ სოფელ გუბში, მარტო. მინდა, გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით 50-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონი.

123324 ვარ ზედმეტად მორიდებული, 34 წლის, სიმპათიური გარეგნობის, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი მამაკაცი. გამეცნოს სასიამოვნო გარეგნობის, 20-დან

40 წლამდე ასაკის, ლამაზი მანდილოსანი.

123332 ვარ 44 წლის, 180 სმ სიმაღლის, მორწმუნე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-დან 45 წლამდე ასაკის პატიოსან ქალბატონს.

123346 გამარჯობა. მინდა, გავიცნო მანდილოსანი. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ადამიანობა ჰქონდეს. ყველა სურვილს შევუსრულებ. ლუკა, 30 წლის.

123379 ოჯახის შესაქმნელად მინდა გავიცნო სოფელში მცხოვრები, განათლებული და წესიერი, 60-65 წლის ქალბატონი. ვარ 68 წლის, განათლებული და წესიერი მამაკაცი. დანარჩენი — პირადად.

123394 თბილისელი მამაკაცი, პენსიონერი, ბინით უზრუნველყოფილი, გავიცნობ ქალბატონს.

123399 ვარ 30 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო სიმაღლის, მონესრიგებული, არამწვევლი ბიჭი. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრებ გოგოს.

123401 მინდა, გავიგო 122930 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

123424 ქალბატონების საყურადღებოდ: ნუ მოტყუვდებით და ნურც გაგიტაცებთ სიყვარული იმ მამაკაცების, რომელიც დიდ ქონებას გპრდებათ და კარგი მანქანით იპყრობს თქვენს გულს. ერთს გირჩევთ — მომენდე და იგრძნობ სითბოს და იმ სიყვარულს, რაც ცხოვრების მანძილზე არ მიგიღია. კაცი — ასაკით.

123431 გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს, სამეგობროდ, შიდა ქართლიდან. ვარ 50 წლის. გიორგი.

123432 გავიცნობ სამეგობროდ მამაკაცს, 38-43 წლამდე. ვარ გურიიდან, განათხოვარი. მყავს ერთი გოგონა. თავისუფალი და გამგები, თბილი ქალბატონი, ცოტა პუტკუნა.

123497 ვარ 42 წლის მამაკაცი. იმერელი. ვმუშაობ თბილისში. თუ ვინმეს შეუძლია გვერდში დგომა, აქვს ნებისყოფა, გამიწიოს თანადგომა, შევექმნათ ოჯახი. დამირეკოს გულწრფელმა.

123503 გავიცნობ 38-40 წლის ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით.

123519 გამარჯობა. 122788 მესიჯის ავტორის ნომრის გაგება მინდა, თუ არის შესაძლებელი.

ყურადღება! გთხოვთ, ისარგებლოთ მხოლოდ ლათინური შრიფტით. ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სხვა შრიფტს ნუ გამოიყენებთ, რადგან სისტემა ვერ „კითხულობს“ (უცნაური იეროგლიფების სახით ფიქსირდება) და მესიჯი ვერ გამოქვეყნდება.

123529 გავიცნობ ქალბატონს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, 186 სმ სიმაღლის. დასაქმებული.

123557 მე ვარ გიორგი, 23 წლის. მსურს გავიცნო გოგონა სერიოზული ურთიერთობისთვის. ვისაც სურს, შემეხმიანოს.

123561 ვარ 28 წლის ბიჭი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 25-დან 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს.

123562 გავიცნობ ინტიმური ურთიერთობისთვის გოგოს ან ქალს, 30-დან 35 წლამდე.

123576 მინდა ოჯახის შესაქმნელად გავიცნო ქმარს გაცილებული გოგო, 30 წლამდე. ვცხოვრობ თბილისში. ვარ 28 წლის.

123593 ვარ 32 წლის. ვეძებ პატიოსან, მორწმუნე გოგოს. დამირეკეთ და გავიცნოთ ერთმანეთი. ვცხოვრობ ვერაზე.

123594 ვარ 32 წლის, გავიცნობ ნორმალურ, წესიერ, მეოჯახე გოგოს. ვცხოვრობ მარტო, ვერაზე. დამირეკეთ.

123615 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალბატონს. საიდუმლოს შენახვა ვიცი. გიორგი, 53 წლის.

123616 გავიცნობ ლამაზ, მხიარულ გოგოს.

123668 გავიცნობ ქალს, ვისაც მსახური უნდა. ვარ 32 წლის, მქვია გიო. ჩარიცხვის მათხოვრები ნუ მწერთ, რეალურმა, სანდო ქალბატონმა მომწეროს, ვისაც მსახური უნდა.

123691 ვარ 32 წლის, კარგი აღნაგობის ბიჭი. ვმუშაობ. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ მანდილოსანს, 28-დან 40 წლამდე, გაუთხოვარს ან განქორწინებულს.

123696 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ გოგოს. ვარ ძალიან ლამაზი, 30 წლის, სპორტული აღნაგობის, კარგი სამსახურით. მომწეროს, ვისაც ნამდვილი სიყვარული უნდა. მიშკა.

123745 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ვნებიან ქალბატონს, შეხვედრის ადგილით, ვისაც ნამდვილად კარგი მეგობარი მამაკაცი სურს ჰყავდეს და არა — ფულის ტომარა. ვარ თბილისელი, სიმპათიური, 45/178/72. მავნე ჩვევა არ მაქვს. მომწერეთ. ინკოგნიტო.

123761 გავიცნობ ქალბატონს 22-დან 40 წლამდე, ფარული შეხ-

ვედრებისთვის. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი, 187 სმ სიმაღლის.

123765 გამარჯობა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, გაშორებულ ან ქვრივ მამაკაცს, ეკონომიურად მყარად მდგარს. ვარ 42 წლის, სიმპათიური, განქორწინებული ქალი.

123135 გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სულითა და გარეგნულად ლამაზ ქალბატონს. საიდან არის, მნიშვნელობა არა აქვს. ვარ თბილისელი, 47 წლის, სპორტული აღნაგობის, ყველანაირად უზრუნველყოფილი.

123136 ვარ 30 წლის, სპორტული აღნაგობის, 197 სმ სიმაღლის, დასაქმებული. მყავს „მერსედესი“. გავიცნობ გოგოს, 18-დან 30 წლამდე. გამომეხმაურეთ, თემური.

123137 ვეხმაურები 122540 მესიჯის ავტორ გოგონას. გთხოვთ, დამიკავშირდეთ. თემური.

123143 ვარ 56 წლის, სექსუალურად დაუკმაყოფილებელი მამაკაცი. საკმაოდ შეძლებული. ვფლობ კამასუტრას. გავიცნობ 30 წლამდე გოგონას, გარყვნილი თამაშების მოყვარულს! დავეხმარები მატერი-ალურადაც. შემეხმიანოს რეალური

123057 ვარ 58 წლის მამაკაცი, განათლებული, გულისხმიერი, საშუალო სიმაღლის, ოჯახიანი. ვცხოვრობ სამეგრელოში. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ ვნებიან, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს.

123077 ქალეზო, ქვეყნის თვალეზო, გენაცვალათ თემური.

123095 სამეგობროდ და ხანგრძლივი შეხვედრებისთვის, შეხვედრის ადგილით, სოფლიდან, რაიონიდან გავიცნობ ქალბატონს. ვარ 53 წლის მამაკაცი, ცოლშვილიანი. არ ვენევი, არ ვსვამ. მომწერეთ. თუ ვინმეს გაცნობის სურვილი გაქვთ, დამიმეხიჯეთ.

123098 მინდა დავეხმარო 121206 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. მადლობა ჟურნალ „გზას“.

123155 გთხოვთ, 122015 მესიჯის ავტორის საკონტაქტო ნომერი მომწეროთ. მე მქვია თემური.

123179 მინდა, ფარული შეხვედრისთვის გავიცნო 121734 მესიჯის ავტორი. ნომერი მომწერეთ.

123185 ვარ 36 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ, წესიერ მანდილოსანს. ვცხოვრობ მარტო,



მსურველი. ვცხოვრობ თბილისში. 122999 ვარ 35 წლის, ბინითა და მანქანით უზრუნველყოფილი, სიმპათიური მამაკაცი. გამეცნოს 25-დან 40 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის, ლამაზი მანდილოსანი.

123000 ვარ სიმპათიური, 34 წლის მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას.

ვარ წესიერი, პატიოსანი, უზომოდ თბილი, ალერსიანი, ყურადღებიანი. ნამდვილად არ წააგებ.

122889 გავიცნობ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით, განათხოვარს ან ბავშვიანს. მთავარია, გამიგოს და შემეხიჯოს. თუ ასეთ ქალს შევხვდები, სიკვდილამდე მისი ერთგული ვიქნები და მისთვის დაუფიქრებლად მოვკვებები. ვარ 35 წლის.

95 130

122933 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, 25-დან 35 წლამდე. ვცხოვრობ თბილისში, მაქვს კარგი სამსახური. დანარჩენი — პირადში.

122934 შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ამოვუდგები მხარში სულიერად და ფინანსურად, ოღონდ იყოს ერთგული.

122971 გავიცნობ გინეკოლოგ ან სექსოლოგ ქალბატონს, 40 წლამდე. თქვენ გენაცვალეთ.

122978 სახლში მყავს მარტო დედა. იმედია, ეს დანესებულება დამეხმარება დაოჯახებაში. დანარჩენი — პირადად. ასეთი დანესებულების შესახებ გვიან გავიგე. იმედი მაქვს თქვენი. მოხარული ვარ. წინასწარ გმადლობ. მინდა დაოჯახება.

122991 გავიცნობ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით, 38-დან 48 წლამდე. ვცხოვრობ ბათუმში, ვარ 48 წლის. ჩემი სახელია დათო. მადლობას გიხდით რედაქციას.

122992 ვარ 42 წლის, 175/75. გავიცნობ კეთილ, გულისხმიერ ადამიანს, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახი და თბილი კერა. არ ვენევი. მყავს ერთი შვილი. ვმუშაობ. ვეძებ სიტბოსა და სიყვარულს.

122999 ვარ 35 წლის, ბინითა და მანქანით უზრუნველყოფილი, სიმპათიური მამაკაცი. გამეცნოს 25-დან 40 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის, ლამაზი მანდილოსანი.

123000 ვარ სიმპათიური, 34 წლის მამაკაცი. გავიცნობ ლამაზ, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას.

122747 გავიცნობ ბათუმელ გოგოს, წესიერს, პატიოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით, 25-დან 30 წლამდე. ვარ დასაქმებული, კარგი გარეგნობის, ახალგაზრდა ბიჭი.

122756 ვარ 47 წლის, მაღალი, არამსუქანი, კარგი აღნაგობის მამაკაცი. ვარ განქორწინებული, შვილი არა მყავს. ოჯახის შექმნის

მიზნით გავიცნობ ასევე მაღალ, გამბდარ, თბილ, მეოჯახე, მოსიყვარულე გოგოს. ვარ დასავლეთის ერთ-ერთ ქალაქიდან. სასურველია, ისიც დასავლეთიდან იყოს. დაინტერესებულ პირებს ვთხოვ, დამიკავშირდნენ.

123186 გამარჯობა. გავიცნობ ქალს თბილი, მეგობრული ურთიერთობისთვის, 20-დან 35 წლამდე... ვარ ქუთაისელი, 28 წლის, სანდო და ერთგული. გელოდებით.

122867 გამარჯობა. გავიცნობ მანდილოსანს სამეგობროდ, ფარული ურთიერთობისთვის. ვარ 35 წლის. თუ შემეხმიანებით, არ ინანებთ.

122869 ვარ 55 წლის, უცოლმვილო. ვმუშაობ თბილისში, „მარშრუტკაზე“. ვცხოვრობ ქირით. სასურველია, ნორმალური ოჯახი შევექმნა. მინდა, ერთგული მეუღლე შემხვდეს, რომელიც სოფელშიც გამომადგება.

122874 გავიცნობ ქალს, სამეგობროდ.

122878 გავიცნობ უკომპლექსო ქალბატონს გახსნილი, თამამი ურთიერთობისთვის. ვარ 32 წლის ბიჭი, უკომპლექსო. ჩარიცხვის მათხოვრები ნუ შემანუხებთ. დამიმესიჯეთ. გიო.

122764 ვეძებ ქალს, შეხვედრებისთვის, ერთგულსა და თბილს. ვისაც სიტბო და ალერსი აკლია, შემეხმიანეთ.

122817 ქალებო — ახალგაზრდა ბებიებო, აკი გვიყვარხართო? დამიმესიჯეთ, გელოდებით 48 წლის მამაკაცი.

122549 გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, მონესრიგებულ, სერიოზულ, სისუფთავის მოყვარულ მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის. დავეხმარები, იქნება ყველანაირად კმაყოფილი და რაც მთავარია, ბედნიერი.

122550 ვარ მეუღლეს გაცილებული. გავიცნობ 25-40 წლის სერიოზულ ქალბატონს, ფარული შეხვედრებისთვის, თუნდაც ჰყავდეს მეუღლე და შვილი. იქნება ყველაფრით უზრუნველყოფილი.

122567 ვარ 30 წლის, ვცხოვრობ მარტო, თბილისში. ფარული ურთიერთობისთვის გავიცნობ ქალს, 25-დან 40 წლამდე.

122592 ვცხოვრობ ევროპაში. მაქვს ორი უმაღლესი განათლება. მყავს 2 ვაჟი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-38 წლის, სერიოზულ ქალბატონს.

122597 დროგამოშვებითი შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, ოჯახიან, ნორმალურ ქალს (არამსუქანს), ვისაც სიტბო აკლია. ვარ 49 წლის, ოჯახიანი კაცი. ოჯახი კარგია, მაგრამ ხანდახან განტვირთვაც საჭიროა. დამიმესიჯეთ. ვარ დასაქმებული, მსურს, მყავდეს ნორმალური მეგობარი ქალი.

122610 ვარ თბილი და ერთგული ადამიანი, 37 წლის, 185 სმ სიმაღლის, სიმპათიური. ვეძებ ქალს, ფარული შეხვედრებისთვის. მაქვს შეხვედრის ადგილი. დავეხმარები და მხარში ამოვუდგები.

122623 მინდა გავიცნო სამეგობროდ გოგო, 35 წლამდე, ფარული ურთიერთობისთვის.

122624 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს, 40 წლამდე, თუნდაც ჰყავდეს ოჯახი. მინდა საიდუმლო შეხვედრები, ვარ 30 წლის.

122638 ცოტა უნჯი, ცოტა მუნჯი, წამახინჯო, წესიერი, ჩემისთანა ბედნიერი არის ვინმე აქ მომწერი? 50 წლის, თვინიერი.

122639 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. ვარ 30 წლის.

122683 ვარ 55 წლის, ცოლს გაცილებული, სიმპათიური, ყველაფრით უზრუნველყოფილი. მქვია მამუკა. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, თხელი აღნაგობის, სიმპათიურ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ იმერეთიდან. დამიკავშირდით სალამოს საათებში.

122701 გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 30-42 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ჩამოყალიბებულს, განათლებულს, მხიარულსა და ვნებიანს. მე მქვია ნიკა, ვარ 37 წლის.

122703 გავიცნობ თელავში ან თელავთან ახლოს მცხოვრებ, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, მქვია თორნიკე. დანარჩენი — პირადად.

122706 ვარ ექიმი, სიმპათიური. გავიცნობ ქალს, 45 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის.

იმისათვის, რომ სასურველი ძალაფონის ნომერი გაიგოთ, გამოაქვეყნებული მესიჯის წინ მიტოვებული ამჟამინა კოდი უნდა გაგზავნოთ ძალაფონის ნომერზე: 95130 პასუხი სასურველი ნომრით, მოგივრათ ავტომატურ რეჟიმში, მესიჯის სახით

95 130

122708 ვარ 42 წლის, სიმპათიური, ექიმი. გავიცნობთ პარული შეხვედრებისთვის მანდილოსნებს.

122710 ვცხოვრობ სოფელში, მარტო. მყავს 2 შვილი. ოჯახის შექმნით დაინტერესებულ, 55-65 წლის ქალბატონებს ვთხოვ, დამიკავშირდნენ.

122716 ვარ ქვრივი, სპეციალური განათლებით, ასევე ნამსახურები ვარ უფროსი ოფიცრის რანგით. ამჟამად მშობლიურ კერაზე ვენევი საოჯახო სამეურნეო საქმიანობას. მაქვს ადამიანისთვის საჭირო რეპუტაცია. მიყვარს საქმის ხარისხიანად, ბოლომდე მიყვანა. პატივს ვცემ მოწესრიგებულ და კარგი წარსულის მქონე, წარმოსადეგ, 50-60 წლამდე ასაკის მარტოხელა ქალბატონს.

122736 ვარ 35 წლის, ცოლს გაცილებული. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის ქალბატონს.

122747 გავიცნობ ბათუმელ გოგოს, წესიერს, პატიოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით, 25-დან 30 წლამდე. ვარ დასაქმებული, კარგი გარეგნობის, ახალგაზრდა ბიჭი.

122756 ვარ 47 წლის, მაღალი, არამსუქანი, კარგი აღნაგობის მამაკაცი, განქორწინებული. შვილი არ მყავს. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ასევე მაღალ, გამხდარ, თბილ, მეოჯახე, მოსიყვარულე გოგოს. ვარ დასავლეთის ერთ-ერთი ქალაქიდან. სასურველია, ისიც დასავლეთიდან იყოს.

122422 მოგესალმებით ქალბატონებო და გოგონებო, ვინც ნაიკითხავს და შემეხმიანება. 38 წლის მაქსი. დანარჩენი — პირადში.

122444 გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის. იკითხეთ ზურა.

122447 თანაცხოვრებისთვის გავიცნობ თავისუფალ, მავნე ჩვევების გარეშე ქალბატონს, კარგი წარსულით.

122464 ვარ თბილისელი, 35 წლის მამაკაცი, მშრომელი, დასაქმებული, არამსმელი, ქორწინებაში არ მყოფი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე ასაკის, წესიერ გოგოს. არ მოგაკლებთ სიტბოსა და სიყვარულს. დანარჩენი — პირადად. დათუჩა.

122470 გამარჯობა. გავიცნობ ქმარს გაცილებულ გოგოს, 30

წლამდე. ვარ 27 წლის. ვცხოვრობ თბილისში.

122475 ვარ 55 წლის, ცოლს გაცილებული, სიმპათიური, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, თხელი აღნაგობის სიმპათიურ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

122527 გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 30-42 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ჩამოყალიბებულს, განათლებულს, მხიარულსა და ვნებიანს. მე მქვია ნიკა, ვარ 37 წლის.

122549 გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, მოწესრიგებულ, სერიოზულ, სისუფთავის მოყვარულ მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის. დავეხმარები და



იქნება ყველანაირად კმაყოფილი და რაც მთავარია, ბედნიერი.

122550 ვარ მეუღლეს გაცილებული. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს, ფარული შეხვედრებისთვის, თუნდაც ჰყავდეს მეუღლე და შვილი. იქნება ყველაფრით უზრუნველყოფილი.

122254 ვარ 45 წლის, თბილისელი, განქორწინებული, ვცხოვრობ მარტო, მაქვს სამსახური, მყავს მანქანა. გავიცნობ ქალბატონს, ქმარს გაცილებულს, ქვრივს. ვფიქრობ, დეტალებზე პირადად ჯობია საუბარი. გმადლობ.

122270 ვარ 55 წლის, უცოლშვილო. თბილისში ვცხოვრობ ქირით. ოჯახის შექმნის მიზნით შემეხმიანეთ. გამართობა არ დამირეკოს. მიხიანამდევი ქართული ოჯახის შექმნა.

122278 გამარჯობა. მიხიანა, გავიცნობ 35-დან 45 წლამდე ასაკის,

ყველაფრით უზრუნველყოფილი ქალბატონი, სამეგობროდ. არ ინანებთ, ვარ სუფთა წარსულის მქონე, ცოლს გაშორებული მამაკაცი.

122282 გავიცნობ ქალს, ოჯახის შესაქმნელად, 25-დან 40 წლამდე, თუნდაც განათხოვარს. ვცხოვრობ რაიონში, აღმოსავლეთში.

122284 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მაღალ, ლამაზ გოგოს, 25-დან 35 წლამდე.

122285 თანაცხოვრებისთვის გავიცნობ პატიოსანი წარსულით, მავნე ჩვევების გარეშე, ნორმალური შეხედულების ქალბატონს, 45-დან 53 წლამდე. ვარ თბილისელი,

განქორწინებული, მაქვს ბინა და სამსახური. ვარ 53 წლის. დანარჩენი — პირადად.

122343 ვარ 55 წლის. გავიცნობ ქალბატონს, სამეგობროდ. დამიკავშირდეს სერიოზული, სანდომიანი ქალბატონი. ვარ იმერეთიდან. ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი, ცოლს გაცილებული. დანარჩენი — პირადად. მომწერეთ ან დამირეკეთ სალამოს საათებში.

122365 ვარ 45 წლის, ხაშურელი მამაკაცი. გავიცნობ ქალბატონს ხანგრძლივი, რომანტიკული, თავისუფალი ურთიერთობისთვის. გიო.

122082 მივესალმები გოგონებს, ქალბატონებს, დახატულებს, ლამაზებს. ვინ მოისურვებს ჩემს გაცნობას. 39 წლის ვარ. 45 წლამდე ქალბატონები შემეხმიანეთ პირადში. მერე ვისაუბროთ.

122096 ვარ 31 წლის, მაღალი,

95 130

სიმპათიური მამაკაცი. ფარული ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მანდილოსანს, თბილისში მცხოვრებს.

122111 ვარ 50 წლის მამაკაცი. ვცხოვრობ ქუთაისში. ვიმეგობრებ „ბალზაკის ასაკის“ ქალბატონთან, ვისაც უყვარს სითბო და ალერსი.

122128 გავიცნობ მიმზიდველსა და კარგი წარსულის ქალბატონს. ვარ 53 წლის, განქორწინებული, თბილისელი, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ვეძებ ერთგულ და პატიოსან ქალს, ნამდვილ მეოჯახეს, 45-დან 53 წლამდე. მომწერეთ ან დამირეკეთ.

122192 გავიცნობ ქალს, სამეგობროდ. ვარ 35 წლის, 180 სმ სიმაღლის, გამხდარი მამაკაცი.

122254 ვარ 45 წლის, თბილისელი, განქორწინებული. ვცხოვრობ მარტო, მაქვს სამსახური, მყავს მანქანა. გავიცნობ ქალბატონს, გაცილებულს, ქვრივს... ვფიქრობ, დეტალებზე პირადად ჯობია საუბარი. გმადლობ.

121941 ვარ 40 წლის, ვესაუბრები ნებისმიერ თემაზე გოგონებსა და ქალბატონებს. გიგა.

121943 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მაღალ, ლამაზ და სერიოზულ გოგოს, 25-დან 30 წლამდე.

121959 გავიცნობ ქალს, სექსისთვის, ბინიანს, 40 წლამდე. ვარ 35 წლის მამაკაცი, მუხიანელი.

121962 გავიცნობ ბინიან ქალს, 40 წლამდე, ვისაც ნამდვილი ოჯახი უნდა. კმაყოფილი დარჩებით.

122001 ვარ თბილისელი, 68 წლის, ჯანმრთელი, სიმპათიური მამაკაცი. ვეძებ ადამიანს, რომელიც გამიგებს. ოჯახის შექმნის მიზნით, გთხოვთ, გამოემხმართოთ, არ ინანებთ.

122013 გამარჯობა. გავიცნობ გოგონას, შეხვედრებისთვის. ვარ 37 წლის. დავეხმარები ყველანაირად.

122014 გამარჯობა. ვარ 32 წლის მამაკაცი, დასაქმებული. მსურს, გავიცნო 29 წლიდან 32 წლამდე ასაკის მანდილოსანი, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით.

122062 ვარ ერთი მახინჯი და უშნო, მაგრამ შენთვის გაუკარგდები, „ძვირფასო“. განქორწინებული, 43 წლის.

122063 ვარ 31 წლის, ბაიკერი. მინდა, გავიცნო 22-დან 35 წლამდე გოგო. მაქვს ბინა, მანქანა და რა თქმა უნდა, მოტოც. მიყვარს იუმორი და რაც მთავარია, ამომიდგეს მხარში.

122071 ვარ 48 წლის, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 45-55 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონს.

122081 ვარ 28 წლის, 187 სმ სიმაღლის, დასაქმებული, მანქანიანი. გავიცნობ გოგოს, ქალს, თვეში რამდენჯერმე შეხვედრისთვის. მიყვარს ბევრი მოფერება, ვნებიანი და უკომპლექსო სექსი.

121833 ვარ თბილისელი მამაკაცი, 35 წლის. ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 28-30 წლის, პატიოსან, თბილისელ, მარტოხელა მანდილოსანს. ვარ უზომოდ თბილი და ალერსიანი.

121851 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს, 20-დან 35 წლამდე. ვცხოვრობ თბილისში, მაქვს კარგი სამსახური. ზურა.

121864 გავიცნობ ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 40 წლის მამაკაცი.

121750 გამარჯობა, გავიცნობ გოგონას ან 35 წლამდე ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 25 წლის. 173 სმ სიმაღლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი, სტაბილური სამსახურით.

121751 გამეცანით 50 წლამდე ასაკის მანდილოსნები.

121753 სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონს. გიორგი, 52 წლის.

121765 ვარ 58 წლის მამაკაცი, განათლებული, გულისხმიერი, საშუალო სიმაღლის, ზომიერი შესაძლებლობებით, ოჯახიანი. ვცხოვრობ სამეგრელოში. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ ვნებიან (არამსუქან) ქალბატონს. ავტომანქანა და შეხვედრის ადგილი მაქვს.

121774 სამეგობროდ გავიცნობ ქალბატონს, დღისით შეხვედრებისთვის, თბილისში. ვარ 54 წლის. სპორტული. ქვრივი.

121784 ვარ 43 წლის, საშუალო სიმაღლის, სასიამოვნო გარეგნობის იმერელი, მონესრიგებული, დასაქმებული, უზრუნველყოფილი, საიმედო მამაკაცი. ფარული ურთიერთობისთვის შემეხმიანოს

მონესრიგებული, სასიამოვნო გარეგნობის, საიმედო მანდილოსანი.

121786 ქალბატონებს სიცოცხლე და ჯანმრთელობა! გავიცნობ 40 წლამდე ასაკის ქალს, საოჯახოდ. მინდა, გავიგო ნამდვილი სიყვარულის გემო.

121795 სიყვარულისთვის ასაკი არ არსებობს, არც სილამაზე. მთავარი მონდომება და ლამაზი სულია. გავიცნობ ქალბატონს. ასაკს, ცოდნასა და სილამაზეს არ ვეძებ. მთავარია, შინაგანად იყოს ლამაზი. დამირეკეთ მსუქნებმაც.

121796 ვარ 28 წლის. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ დასაქმებული, ვმუშაობ. შემეხმიანოს ოჯახის შექმნის მიზნით 21-დან 26 წლამდე გოგო. ვარ თბილი, მოსიყვარულე ადამიანი. გიო.

121798 ფანჯარაში მტრედი ფრინავს, ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავს. არ მოგწყინდა გენაცვალე, ლოგინში რომ მარტო გძინავს? სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 46 წლამდე მანდილოსანს.

121817 ვარ 37 წლის, მაღალი და სიმპათიური. დავეხმარები და მხარში ამოგიდგები, ჩემო კარგო. გოგა მქვია.

121827 თბილი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს, თუნდაც ქმარს გამოჩვენო. მაქვს კარგი სამსახური დამოკიდებული არ ვარ არავისზე.

121833 ვარ თბილისელი მამაკაცი, 35 წლის. ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის პატიოსან, თბილისელ, მარტოხელა მანდილოსანს, 28-30 წლის. ვარ უზომოდ თბილი და ალერსიანი.

121331 ვარ 65 წლის, 170 სმ სიმაღლის, ბიოლოგიური ასაკის მამაკაცი, ბედნიერი და ჯანმრთელი, იოგას ვარჯიშებით. ვარ წარმატებული გამომგონებელი, რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, ლაურეატი და ბრინჯაოს მედალოსანი, უზრუნველყოფილი, კეთილმონყობილი ბინითა და აგარაკით. ვარ მარტოსული ქვრივი. ვსაჭიროებ მარტოხელა, სასიამოვნო, ჯანმრთელ, თბილ და უანგარო, 60 წლამდე ასაკის მანდილოსანის თანადგომას. სასურველია, ზოდიაკოთი იყოს: თხის რქა, ქალწული, კურო ან თევზები. ვპირდები: მყუდრო, თბილ, უზრუნველყოფილ თანაცხოვრებას, მნიშვნელოვანი მომავლის პერსპექტივით. იური.



სამყარო

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „მზა“ №44-№45

— ხედავ? — პისტოლეტიანი ხელი ჰაერში შემოატარა ჯანომ.

— რას?

— რამდენი სიკეთე მომიტანა ჩემმა გმირობამ?

— სიკეთის მოტანისა რა გითხრა, მაგრამ გმირი ნამდვილად არ ხარ.

— აი, ჩემი ლიზი კი ასე არ ფიქრობდა და გმირადაც საკმაოდ დიდხანს მთვლიდა.

— აღარ გთვლის?

— არა.

— ახლა სად არის?

— აბა, მე რა ვიცი?... წავიდა... მიმატოვა... ცოტა ადრე რომ მოსულიყავი, კიბეზე შეხვდებოდი ერთმანეთს... მართლა, პატიკო ფეიქრიშვილის ამბავი ხომ უკვე იცი?

— ვიცი.

— ის თუ იცი, რომ ყველაფერი სწორედ ამ ცინგლიანი პედერასტის გამო დაიწყო?

— საკმაოდ გვიან მივხვდი.

— სანყალმა პაპუნამ პატიკოს ცისფერობის ამბავი რომ გაიგო, თავიდან ისე გადაირია, რომ კინალამ თვითონვე გაუხვრიტა შუბლი. მაგრამ მერე, როცა იმ ახვარმა ჯოხაძემ ერთადერთი შვილი უკვე ფიზიკურადაც დაუმახინჯა, ადგილს საერთოდ ვეღარ პოულობდა და გვეხვეწებოდა, ჯოხაძის დაჭერასა და ციხეში გამოკეტვაში დამეხმარეთ, მერე კი მე მივხედავო.

— დაეხმარეთ?

— და მერე როგორ?... ჯოხაძე განყოფილებაში მივათრიეთ და კარგად დავამუშავეთ.

— სცემეთ?

— არა, თავზე ხელი მამაშვილურად გადავუსვით და საკუთარი უფლებებიც კი წაუუკითხეთ.

— ბოლო, სასიკვდილო დარტყმა ვინ მიაყენა?

— ძნელი სათქმელია. — მხრები აიჩეჩა მიმინოშვილმა. — ალბათ, პაპუნამ, ან იქნებ, სულაც მე. ისე,

პრაიმ ტაიმი



გვიგმაც კარგა ხანს უბაგუნა, მაგრამ ხომ იცი, შენი ბავშვობის მეგობარი ვინმეს ცემასა და ჩხუბში ღმერთს დიდად არ ექნა. სამაგიეროდ, ჯოხაძის ჩაძაღვება შენიშნა პირველმა, დაფეთებით კი ყველაზე მეტად პაპუნა დაფეთდა. მერე კარგა ხანს ერთმანეთს უაზროდ ვუყვიროდით, უშვერი სიტყვებით ვილანძღებოდით და ვერაფრით მივხვდარიყავით, ამის შემდეგ რა უნდა გვექნა. პირველი გონს ისევ გიგი მოეგო.

— ოთახში ცეცხლის გაჩენის და შემდეგ ამის ჯოხაძისთვის გადაბრალების იდეაც მას მოუვიდა, ხომ თავში?

— კი. სანთებელა კი მე შევაშველე.

— ჯოხაძის სანთებელა.

— შო, აი, ეს. — ჭიქა დადგა და მაგიდიდან სანთებელა აიღო მიმინოშვილმა.

— ამისთანა სამხილს ამდენ ხანს რისთვის ინახავდი?

— რისთვის? — სანთებელა რამდენჯერმე აანთო და ჩააქრო მიმინოშვილმა. — იმისთვის, რომ დროდადრო დამეხედა და ჩემ მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაული

გამხსენებოდა.

— ესე იგი, ჯოხაძის მოკვლას ნანობ?

— არა, ჯოხაძეს და ყველა მისნაირ არამზადას ახლაც დაუნდობლად ამოვხდიდი სულს. მე ის უდანაშაულო ადამიანები მენანებთან, ჩემი და ჩემი ძმაკაცების უაზრობით გაჩენილ ხანძარს რომ შეენიერნენ.

— პაპუნა და გიგიც ასე ფიქრობდნენ? — დაინტერესდა ლუკა.

— ეს მათთვის უნდა გეკითხა, მაგრამ დაგაგვიანდა. ისე, თავიდან სამივეს გვეგონა, რომ ხანძრის ჩაქრობისთანავე დაგვიჭერდნენ და ამისთვის თითქმის მზად ვიყავით. მაგრამ მერე, როცა ყველაფერი პირიქით მოხდა და გმირებადაც კი შეგვრაცხეს, გიგის ისიც კი წამოსცდა, ალბათ, ჩვენი შემდგომი ბედის განკარგვაში მთლად ზეციური ძალები ჩაერივნენო. რა იდიოტიზმია!.. ზეციური ძალები არა, კვახი!.. მოკლედ, შევთანხმდით, რომ ამ საშინელ საიდუმლოს სამივე სიცოცხლის ბოლომდე შევიანახავდით და ალბათ, ასეც იქნებოდა, მაგრამ შენ ველარაფერი მოგიხერხეთ.

— მე მომიხერხეთ თუ მომიხერ-

ხეთ... ჩემი ცხოვრების ნაშლის გეგმა რომელმა მოიფიქრეთ?

— გიგიმ. და ერთი გასროლით ორი კი არა, სამი კურდღელიც გააგორა: ჩვენ გადაგვარჩინა, შენ გაგანადგურა და შენი საცოლე ლოგინში ჩაიგორა.



— ნათია ყუშიტაშვილიც გიგიმ მოკლა?

— იმ სულელმა გოგომ თვითონ მოიკლა თავი.

— გიგიმ კი მხოლოდ ნარკოტიკი შეაშველა, ხომ?

— ისე, ეს გიგიმ კი არა, მე და პაპუნამ გავაკეთეთ. მერე ის გოგო კაიფში გაიპარა, შენ კი ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცა.

ისე, — ამღვრეული მზერა მოაპყრო ლუკას მიმინოშვილმა. — მაინც როდის მიხვდი ყველაფერს, მაშინვე?

— არა. თავიდან მსგავსი რამ თავში აზრდაც კი არ მომსვლია...

მერეც კარგა ხანს ვერაფრით ვიჯერებდი, უახლოეს მეგობარს ჩემთვის ამის გაკეთება თუ შეეძლო, მაგრამ გიგიმ შეძლო.

— მის პატიებაზე საერთოდ არ გიფიქრია?

— ისე მამუნათებ, თითქოს...

— არა, არა, — გაანწყვეტინა ლუკას მიმინოშვილმა. — არ იფიქრო, რამეში გამტყუნებდე. შენს ადგილზე იქნებ, უარესადაც კი მოვეცეულიყავი, მაგრამ ისე, სიმართლე გითხრა, მერჩივნა, ჩემგან დაგენყო.

— რა უნდა დამენყო? — ვერ მიუხვდა მიმინოშვილს ლუკა.

— შურისძიება.

— შურისძიება?

— ჰო... გაგიკვირდება და როცა დავრწმუნდი, რომ ყველაფერს მიხვდი, გულზე საოცრად მომეშვა. პაპუნას უცნაური დაღუპვიდან მოყოლებული სულ საკუთარ რიგს ველოდი. გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, როდის და როგორ მომკლავდი. ისე, რაც მართალია, მართალია, გიგის ძალიან ოსტატურად გაუსწორდი.

— ჯანო, რას ბოდავ? — ხმას აუნია ლუკამ, მაგრამ მიმინოშვილს მის შეკითხვაზე რეაქცია საერთოდ აღარ ჰქონია, ისე განაგრძო:

— მარტო ერთი ვერაფრით გამიგია, კობა აკობიძეს რალას ერჩოდის? პოლიციის განყოფილებაში მომხდარი ხანძრის ერთადერთი ნამდვილი გმირი ხომ სწორედ ის იყო და, თანაც, საერთოდ არაფერში, მათ შორის არც ნათია ყუშიტაშვილის სიკვდილში ყოფილა გარეული,

შენ კი ბრალიც არ ნამოგიყენა. მამ, რისთვისღა გაუხვრიტე შუბლი?

— ჯანო, ნუ ბოდავ-მეთქი! — უკვე ყვირილზე გადავიდა ნონას ნორობიდან გამოსული ლუკა.

— კარგი, კარგი, — დანებების ნიშნად მიმინოშვილმა ორივე ხელი ასწია. — სიმართლე გითხრა, ჩემთვის უკვე სულერთია, ვის როდის და რატომ გააგორებ. ნამდვილად სულერთია. არ გჯერა? აი, მიყურე! — უცბად პისტოლეტი ნიკაპქვემ მიიბჯინა მიმინოშვილმა, მაგრამ სანამ სასხლეტს ხელს გამოჰკრავდა, ლუკამ მისკენ ისკუპა და იარაღზე ხელი აუკრა. ტყვია მაინც გავარდა, ოღონდ მიმინოშვილის ნიკაპის ნაცვლად კედლის შპალერში ჩაერჭო.

სავარძელმა ორი ადამიანის სიმძიმეს ველარ გაუძლო და გადაყრავდა. მამაკაცები იატაკზე აღმოჩნდნენ. ხანმოკლე ძიძგილათობის შემდეგ ლუკამ ჯანოსთვის იარაღის წართმევაც მოახერხა.

— იარაღი დამიბრუნე! — მაშინვე აყვირდა მიმინოშვილი. — სიკვდილი მინდა გესმის, სიკვდილი!

— სიკვდილს ყოველთვის მოასწრებ. — კბილებში ავად გამოცრა ლუკამ. — მანამდე კი ის უნდა მითხრა, იმ ოთახში მეოთხე ვინ იყო?

— აუ, როგორ მომბეზრდა ეს ყველაფერი, მომეცი-მეთქი იარაღი!

ლუკამ ჯანო ფეხზე ძალით წამოაგდო, შემდეგ პერანგის საყელოში ორივე ხელით ჩააფრინდა და გამეტებით შეანჯღრია:

— მეოთხე ვინ იყო-მეთქი?!

— თვითონ ვერ ხვდები?

— ვერა!

— ვინ იყო და კატო, კიდევ ერთი შენი ბავშვობის მეგობარი.

— ვინ? — კინალამ გული გაუჩერდა ლუკას. — კატო საერთოდ რა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია და ყოველთვის თავში იყო. — აქირქილდა მიმინოშვილი — ისე, მეგობრებში მიმართლებსო, შენ უნდა დაიკვებნო.

— ღმერთო ჩემო... — მიმინოშვილს ხელი უცბად უშვა თავზარდაცემულმა ლუკამ და ისიც მაშინვე იატაკზე დაენაცხა. ლუკამ პისტოლეტი აიღო და კარისკენ შებრუნდა, მაგრამ ადგილზე გაშეშდა. ღია კარში სწორედ ის ორი იარაღმომარჯვებული მამაკაცი იდგა, რომლებსაც მან და ანიმ „დაუპატიჟებელი სტუმრები“ შეარქვეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



„ახლანდელი თაობა საცდელ კურდღელს ჰგავს“

პენსიონერი ქალბატონის წერილი ამქვეყნიურ სამართლიანობაზე მართლაც დაგაფიქრებთ. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ფული ადამიანს აფუჭებს და თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ იმ მაღალჩინოსნებს, რომლებსაც საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვთ, არც ქვეყანაზე დარდი შეანუხებთ და ვერც მოქალაქეების ღუბჭირ ცხოვრებაზე ფიქრი აუჩქროლებთ გულს (წერილის სტილი დაცულია)...

„ნუ გენაღვლები სწავლისთვის ყრმის წავლით ცემით ტირილი“

ლიკა ქაჩია

დღეს საქართველო, რა თქმა უნდა, ის აღარ არის, რაც ჩემი ახალგაზრდობის დროს იყო. ცხოვრება წინ მიდის, ვითარდება, მოდის ახალი თაობა თავისი ფიქრებითა და ოცნებებით. ცდილობენ თავის დამკვიდრებას — ასე იყო ყოველთვის, ყველა თაობასა და ყველა ეპოქაში, მაგრამ რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ჩემი ღრმა რწმენით, არც ერთ ზნეობრივ ჩარჩოში არ ჯდება. დიდი და პატარა თავის ცოდნასა და გამოცდილებას საქვეყნოდ გვახვევს თავს. თვალს მიადევნებ ტელევიზიით უამრავ შოუს, გვმოდვრავენ ჟურნალ-გაზეთებიდან და თუკი გაქვს გული, თუკი გიყვარს ქვეყანა, გაგიზრდია შვილები და ახლა შვილიშვილების ბედ-იღბლით ხარ დაინტერესებული, შიში გიპყრობს, რა ქნა, რა გზას უნდა დაადგე? პირადად მე, ძალიან მენატრება ძველად გადაღებული ფილმებისა და სექტაკლების ყურება. ხორავა, ზაქარიაძე, მაღალაშვილი, ანჯაფარიძე, ჩახავა და რა ჩამოთვლის ის კეთილშობილი ხელოვანების სახელებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ქართულ გენიას, ზნე-ჩვეულებებს ემსახურებოდნენ სცენიდან თუ ეკრანიდან.

ახლანდელმა თაობამ ამ დიდებული ხელოვანების სახელი კი არა, ერის მამებად ნოდებული ილიას, ვაჟას, აკაკის, ტატოს, გალაკტიონისა და სხვა მამულიშვილების სახელიც მიივიწყა. არადა, ამ ადამიანებმა ეს ერთი ციდა ქვეყანა ჩვენამდე მოიტანეს...

ჩვენც ვსწავლობდით სკოლაში და გვექონდა სახელმძღვანელოები, გვყავდა პედაგოგები და ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ მაშინდელი სკოლები ნაკლებ განათლებას აძლევდნენ ახალგაზრდებს, ვიდრე დღეს ხდება. ახლანდელი თაობა საცდელ კურდღელს ჰგავს. აბა, რამდენჯერ შეიცვალა სახელმძღვანელოები, რამდენმა სკოლამ

თვითონ აირჩია წიგნები. იმდენი ახალი კანონითა და გაფრთხილებით დახუნძლეს პედაგოგები, რომ თითოეულ მათგანს იმის შიშით, სამსახური არ დაკარგოს, ბავშვისთვის შენიშვნაც ვერ მიუცია. ბავშვისთვის დასჯა და ყურის აწევა ხომ დემოკრატიულ საქართველოს სკოლებისთვის მიუღებელია. ვიღას ახსოვს დიდებული „დავითიანიდან“ ამოღებული სიტყვები: „ნუ გენაღვლები სწავლისთვის ყრმის წვეპლით ცემით ტირილი“. ბავშვს თუ შენიშვნა არ მიეცი და არ მიუთითე, მაშ, როდის გაარკვიოს, როდის არის მართალი და როდის მტყუანი? ახლა ამბობენ, რომ თურმე, რა საჭიროა, ბავშვმა ამა თუ იმ ნაწარმებიდან ზეპირად ისწავლოს ფრაზები ან სტროფები? რა მოხდება, რომ ამა თუ იმ თემის წერისას სახელმძღვანელო წინ დაიდოს? სწორედაც ასე დამოძღვრის წყალობითაა, რომ თერთმეტი ათასმა მოზარდმა სკოლა ვერ დაამთავრა. რა მოხდა? ვის რაში სჭირდება ნასწავლი და უმაღლესდამთავრებული? თუმცა, ოფიცინტებად, დამლაგებლებად, დაცვის წევრად და კაზინოების მომსახურე პერსონალადაც მუშაობას აუცილებლად სწავლა-განათლება და დიპლომი სჭირდება, თურმე. სამაგიეროდ, არ შეიძლება, პედაგოგს მაღალი ანაზღაურება ჰქონდეს, რადგან ამ შემთხვევაში, პედაგოგს არ ეყვარება ბავშვიო. აი, თურმე როგორ რყვნის მაღალი შემოსავალი ადამიანს. ჩაწვდი ამ ჭკვიანური გამოთქმის აზრს და მივხვდი, ჩვენს რჩეულებს რატომ აქვთ თურმე გული გაცივებული და რატომ არ ფიქრობენ ხალხზე თუ ქვეყანაზე. თურმე, მათ მაღალი ხელფასები და პრემიები, დანამატები უცივებთ გულს და ამიტომაც იკლავენ თავებს თანამდებობების დასაკავებლად. თუ პედაგოგებს მაღალი ხელფასი ბავშვებს შეაძულებს, ჩინოვნიკებს რაღა შეაყვარებს ქვეყანასა და გაჭირვებულ ხალხს?



ასე უკუღმართად არის მოწყობილი ადამიანის გონება და რას გაიგებს მდიდარი კაცი ხალხის გაჭირვებას.

დემოკრატიული საქართველოს პენსიონერები იმით მაინც ვართ ბედნიერები, რომ ამ ჩვენი სამარცხინო პენსიის გადამკიდებელი, ყველაზე მოსიყვარულე და თავდადებული ხალხი გამოვდივართ. ჩვენს შრომას უქმად არ ჩაუვლია და ამიტომაც დაუფასებებართ დემოკრატიული საქართველოს მთავრობებს. ამ წლების მანძილზე, რაც თავისუფალი და დამოუკიდებელი გავხდით, ვინ იცის, უკვე რამდენი მთავრობის შეცვლის მომსწრეები ვართ, რომელ მათგანს მოუვიდა აზრად, რომ ჩვენც ადამიანები გახლავართ, შრომასა და ჯაფაში დაღლილი და დაავადებულები, გვეჭირდება ადამიანური ცხოვრება, დასვენება და გაცვეთილ ჯანმრთელობასთან ბრძოლა. გვეჭირდება მკურნალობა და წამლები! მადლობა იმისთვის, რომ ექიმთან მისვლა უფასოა, ზოგიერთი ანალიზიც ხელსაყრელია, მაგრამ ვის ეფიქრება, ექიმის მიერ გამოწერილ წამლებს როგორ ვიყიდით?

პირადად მე, ათ დღეში 50 ლარის გაგრძელება იხ. გვ. 75

ჰოროსკოპი

16-22 ნოემბერი

ვიწი



უქმებზე დაისვენეთ. ქალაქგარეთ გაისეირნეთ, მეგობრებთან ერთად იმხიარულეთ. ორშაბათს სიფრთხილე გმართებთ, ტრავმული დღეა. ურთიერთობისას მოერიდეთ ინტრიგებს.

კუჩი



სუთშაბათს ყველა საქმეს იოლად გაართმევთ თავს. ნუ გაართულებთ ურთიერთობას კოლეგებთან. სამშაბათი და ოთხშაბათი კარგი დღეებია ახალი პროექტების დასაწყებად. პარტნიორებთან შეთანხმებულად იმოქმედეთ.

ჯუჯი



სამსახურში მეტად გამოავლინეთ ინიციატივა. უქმებზე ახლობლების დახმარებით შემოქმედებითი იდეების განხორციელებას შეძლებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. გაიუმჯობესეთ ძილის რეჟიმი.

კიჩხი



შემოწმება, გამოცდის ჩაბარება მოგიწევთ. იყავით ყურადღებით. უქმეები მშვიდ გარემოში გაატარეთ. გავლენიანი მფარველების დახმარებით მნიშვნელოვანი საქმეების დაწყებას შეძლებთ.

ღიმი



მოთოკეთ ემოციები, ნურავის გაანდობთ საკუთარ განცდებს. სამშაბათს კოლეგებთან ერთად განიხილეთ ახალი იდეები და მათ განხორციელებასაც შეუდექით. გააუმჯობესეთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

ქაფი



პარასკევს დაასრულეთ სამსახურის საქმეები, რათა უქმეებზე დასვენება და გამოძინება შეძლოთ. ორშაბათი ინფორმაციის მიღების დღეა; ყურადღებით იყავით, გადაამოწმეთ ფაქტები. გააუმჯობესეთ ურთიერთობა ახლობლებთან.

სახი



პარასკევს საინტერესო ადამიანების გაცნობა გელით. უქმეებზე შეხვდით მეგობრებს, იმხიარულეთ. მოერიდეთ აზარტულობას საქმიანობაში, ფულის ფლანგვას. ახალი პროექტები კოლეგებთან ერთად განახორციელეთ.

მიწი



ახლობლები ყურადღებით გაგანებიერებენ. ახალი იდეების განხორციელება სამშაბათიდან დაიწყეთ, უქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. ყურად იღეთ ახლობლების რჩევები.

მშვიდობიანი



დაასრულეთ სამსახურის საქმეები, გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისგან, უქმეები მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ. კოლეგებთან შეთანხმებულად იმოქმედეთ, მუშაობისას მეტად დაკვირვებული უნდა იყოთ.

თხი



პარასკევს დაასრულეთ ვალდებულებები და უქმეები მშვიდ გარემოში გაატარეთ. ახალი საქმეების დაწყება სამშაბათისთვის გადადეთ. ნუ გაართულებთ ურთიერთობას მეგობრებთან, კოლეგებთან. არ აიღოთ მათგან ვალი.

მეფი



საქმეების მოგვარებისას მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. უქმეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. ნუ გაართულებთ ურთიერთობას უფროსთან, კოლეგებთან. მეტი დრო დაუთმეთ სამსახურის საქმეებს.

თი



პარასკევს შეამცირეთ დატვირთვა, მეტად დაისვენეთ, გამოიძინეთ. უქმეებზე სამომავლო გეგმა ჩამოწერეთ. სიფრთხილე გმართებთ იურიდიული საკითხების მოგვარებისას, გამოცდების ჩაბარებისა და დოკუმენტების შედგენისას.

როგორი იქნება 2018 წელი – რას გვიმზადებს ყვითელი ძაღლი

მართალია, ახალ წლამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ ვითვალისწინებთ მკითხველების ინტერესს და მოკლე ინფორმაციას შემოგთავაზებთ იმის შესახებ, თუ როგორი მომავალი წელი გველის წინ.

თავიდანვე გაგახარებთ — როგორც ასტროლოგები ვარაუდობენ, 2018 წელი, ყვითელი ძაღლის წელიწადი — საკმაოდ მშვიდი, ჰარმონიული და ნაყოფიერი იქნება. ამ წელს ადამიანები გაცილებით უფრო ტოლერანტულები, გამგებნი და დიპლომატიურები გახდებიან. ზოგადად მსოფლიოში წამოიწიეს ჰუმანურობის, საყოველთაო ძმობის და კაცთმოყვარეობის ტენდენცია.

ყვითელი ძაღლის წელი ბევრი ადამიანის ცხოვრებაში ე.წ. ლუზის

ჩაშვების და ნანატრი სიმშვიდის მოპოვების წელიწადი იქნება. ბევრ ჩვენგანს ზუსტად ამ წელს მიეცემა შანსი, შეიძინოს ნანატრი სახლი, დაოჯახდეს და ბოლოს და ბოლოს, ისეთ კომფორტს და სულიერ ნონასწორობას მიაღწიოს, რომელზეც მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა.

მოიმატებს ტოლერანტულობა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმოშობის ადამიანებს შორის კომუნიკაციისას. პოლიტიკურ სარბიელზე რეალურად

გაჩნდება შანსები, აქამდე არსებული მწვავე კონფლიქტები უფრო მშვიდობიანად და დიპლომატიურად მოგვარდეს.

არაჩვეულებრივი წელია მოგზაურობისა და შემეცნებისთვის. არ არის გამორიცხული ამ წელს მსოფლიოში იხილოს ახალი ტექნოლოგიები და პრეპარატები, რომელიც დიდ როლს ითამაშებს სამომავლოდ ჯანდაცვის სისტემაში.

უმართლებთ მათ, ვინც გამოირჩევა: სიმშვიდით, მეგობრულობით, მოთმინებით, ერთგულებით, პრაქტიკულობით, შრომისმოყვარეობით, ლოგიკური აზროვნებით და მიზანდასახულობით.

აქცია „მაკულიტერატურა“ რეგიონებში გრძელდება!!!

„აქციე მაკულატურა წიგნებად“ — ამ მოწოდებით ჰოლდინგმა „პალიტრამედია“ უპრეცედენტო აქცია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც წიგნის მოყვარულებს მაკულიტურის ახალ წიგნებში გადაცვლის შესაძლებლობა ეძლევათ. გრანდიოზული აქცია თბილისში 9 ნოემბრიდან დაიწყო და უკვე ათასობით ადამიანი ჩაერთო, 18, 19, 20 ნოემბერს კი „მაკულიტერატურა“ ქუთაისთან შესახვედრად ემზადება. ბათუმში 22, 23, 24 ნოემბერს, ხოლო ზუგდიდში 26-27 ნოემბერს, მოგვიანებით კი გორს, თელავსა და რუსთავს უმასპინძლებს.

„მაკულიტერატურა“ ჰოლდინგ „პალიტრამედიის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია, რომელიც 2012 წლიდან მრავალჯერ დაეხმარა პირადი ბიბლიოთეკების შექმნაში — ძველი ჟურნალ-გაზეთები, რვეულები, წიგნები თუ უბრალოდ, სხვა არასაჭირო ქალაქი შეგიძლიათ „პალიტრა L“-ის მიერ გამოცემულ ყველასთვის ცნობილ და საყვარელ ათასამდე დასახელების წიგნში გადაცვალოთ. გარდა იმისა, რომ „მაკულიტერატურა“ საოჯახო ბიბლიოთეკის თანამედროვე თუ კლასიკური ლიტერატურით განახლებასა და



18, 19, 20 ნოემბერი
მის: სულხან საბას 2 / გუმბაზას 5

გამდიდრებაში დაგეხმარებათ, პროექტი გარემოს მიმართ საკუთარი ეკოდამოკიდებულებითაც გამოირჩევა.

იხილეთ წიგნების არასრული სია, რომელ წიგნს რამდენი კილოგრამი მაკულატურის ჩაბარების სანაცვლოდ მიიღებთ ამ აქციის ფარგლებში

სიაში წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურა, გამომცემლობის ბესტსელერები და ყველაზე წარმატებული პროექტები დიდი ფასდაკლებით. წიგნების სრული ჩამონათვალის სანახავად ესტუმრეთ ვებგვერდს www.palitra.ge

დასახელება	საფასური (მაკულატურა, კგ)
„ჩემი პირველი ბიბლიოთეკა“, წიგნი-ჟურნალი „სუთქაწეშულა“	2
გასაფერადებელი — „ანტისტრესი 1“	3
„წიგნები-პედი“ — „შეპირება მსოფლიოს საუკეთესო გუნდში“	3
ერთი მოთხრობა — ერიკ-ემანუელ შმიტი „გამოჯანმრთელება“	5
ერთი მოთხრობა — ოსკარ უაილდი „მანთიერების მოწვევა“	5
„თოვლის გუნდა“ — „დაირიება სკოლის ზარი“	10
ვინქსი „გული არასოდეს ცდება“	18
„ლაზარი“ — ოთარ ჯირკვალიშვილი	18
მსოფლიო კულინარია, მე-9 ტომი „არაბული სამზარეულო“	18
„ჩემი რჩეული მსოფლიო“, მე-5 ტომი, რემარკი „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“	18
ქრისტეფორე კოლუმბი — „50 პერსონა“ ტომი 1	25
ლურჯი ოქანა ბრენდინგი მარტივად	27
„დიდი მხატვრები“ — „რუბენი“	35
ტოპორილერი „გაუხსნელი საშვეები“, ქეით ატკინსონი	37
„პალიტრა კლასიკა“ ნოდარ დუმბაძე ტომი 1	44
„ჩემი საყვარელი ქართული ხალხური ზღაპრები“	70
„უნებერსაღური საბედითი ენციკლოპედია“	100
„ვეფხისტყაოსანი“ — სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით (მოოქრული)	250


და კიდევ 1000-მდე დასახელების წიგნი!

5 000 წლით დათარიღებული შენობებისა და ნივთების ნაშთები

ნათასი წლით დათარიღებული საცხოვრებლები და მათში განთავსებული ნივთები — თიხის ჭურჭელი, სელის ქსოვილი, საკერავი და საქსოვი ხელსაწყოები, თევზსაჭერი ჰარპუნი, თიხის ფიგურები ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებით, სხვადასხვა დანიშნულების აქსესუარი, მათ შორის — თავის შესამკობელი დიადემები... გუდაბერტყას ნამოსახლარის გათხრის შედეგად აღმოჩენილი ეს ნივთები ამ ტერიტორიაზე 5 000 წლის წინ არსებული საზოგადოებისა და მის მიერ შექმნილი კულტურის შესახებ მოგვითხრობს... სამ ჰექტარზე გაშლილი ტერიტორია შიდა ქართლში, ახალშენსა და ხელთუბანს შორის მდებარეობს. მისი გათხრა 50-იან წლებში დაიწყო.

შორენა ლაბაძე

სერგო ნადიმაშვილის შემდეგ ტერიტორიის შესწავლა არქეოლოგმა, გიორგი მინდიაშვილმა განაგრძო. არსებული ინფორმაცია ახლახან კიდევ უფრო გამდიდრდა —



გიორგი მინდიაშვილი

და — ახალი ნასახლარებისა და მათში განთავსებული ნივთების აღმოჩენისა და შესწავლის შედეგად უძველესი მოსახლეობის, მათი საქმიანობისა და მათ მიერ შექმნილი კულტურის შესახებ არაერთი ფაქტი გახდა ცნობილი... ბატონ გოგის გუდაბერტყას ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნივთებისა და მათ მიერ ნაამბობი უძველეს ხალხთა ისტორიის შესახებ ვესაუბრეთ...

— გუდაბერტყას ნამოსახლარის გათხრა 1956 წელს, გორის მუზეუმის დირექტორმა, სერგო ნადიმაშვილმა დაიწყო. ასეთი მასშტაბის (3 ჰექტარი) ძეგლი შიდა ქართლში სხვა არ არსებობს. 50-იან წლებში ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლები შესწავლილი არ იყო. გუდაბერტყას გამოყოფა შემთხვევითი აღმოჩენის შედეგია. ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა

საქართველოს (ყოფილ კავკასიის) სახელმწიფო მუზეუმში შესწავლილი მასალების მიხედვით გამოყოფილი კუფტინმა და „მტკვარ-არაქსის კულტურა“ უწოდა. კულტურის გამოყოფა ერთგვაროვანი არქეოლოგიური მასალისა (იგულისხმება სხვადასხვა ნივთი) და ტექნოლოგიური ნიშნის მიხედვით ხდება. კუფტინმა დაადგინა, რომ ყველაზე ხშირად ერთმანეთის მსგავსი კერამიკა არაქსის ანუ არეზისა (მდინარის, რომელიც სომხეთის, თურქეთისა და ირანის საზღვარზე მიედინება) და მტკვარის აუზებში იყო აღმოჩენილი და მას „მტკვარ-არაქსის ენეოლითი“ უწოდა. ანუ პერიოდი, რომლითაც არქეოლოგები ქვასთან ერთად ლითონის, სპილენძის გამოყენების დასაწყისს აღნიშნავენ. ეს აღმოჩენა მეტად საგულისხმოა, რადგან ამ პერიოდის ძეგლები კავკასიაში თითქმის არ იყო წარმოდგენილი.

— ამ აღმოჩენამდე საქართველო ასეთი ადრეული დასახლებების ადგილად არ მიიჩნეოდა?

— მანამდე არსებობდა მოსაზრება, რომ საქართველოში მხოლოდ ანტიკურ ხანაში გაჩნდა მოსახლეობა. ეს აზრი სამთავროსა და თრიალეთის გათხრებმა გააბათილა. კუფტინმა ამ მიმართულებით მრავალი საინტერესო ნაშრომი დაგვიტოვა, რისთვისაც ის საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. სწორედ ამ განსაკუთრებული მონაცემების, არაორდინარული და იშვიათი განათლების მქონე პიროვნებასთან ერთად მუშაობდა გუდაბერტყას აღმოჩენი ბატონი სერგო ნადიმაშვილი 30-იან წლებში. ბატონი სერგო თავიდან განათლებით ტოპოგრაფი-გეოდეზისტი იყო. როგორც ჩანს, მუშაობის პროცესში ანთროპოგენული ლანდშაფტის შემჩნევამი თვალი გაეწაფა. ასე

მიაკვლია შიდა ქართლში ბევრ მნიშვნელოვან ძეგლს, მათ შორის, გუდაბერტყას ნამოსახლარს.

— ამ ნამოსახლარით თქვენ როდის და როგორ დაინტერესდით?

— 2002 წელს ბაქო-სუფსის მილსადენის ექსპედიციებში მუშაობისას ჯანდარის ტბიდან ქარელის რაიონის ჩათვლით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით საველე ოფიცრად ვმუშაობდი. ბულდოზერებისა და ექსკავატორების მუშაობას ვაკვირდებოდი, რომ რამე არ დაეზიანებინათ. მაშინ მომეცა საშუალება, ეს ადგილები სადაზვერვო თხრილებით მომესინჯა. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მაშინდელი დირექტორის, ვახტანგ ჯაფარიძისგან ნებართვა და დაფინანსება მივიღე, რათა ადგილზე გარკვეული სამუშაოები ჩამეტარებინა. გათხრებმა გუდაბერტყაზე ორი სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარი ფენა გამოავლინა. ზედა ფენაში მოცემულია გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის კულტურული ფენა, რომელიც ძვ.წ. XII-VII საუკუნეებს მოიცავს. მის ქვემოთ კი ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურული ფენაა განთავსებული. 2015 წელს, როცა გორის გამგეობის თავმჯდომარემ, დავით ონიაშვილმა გუდაბერტყას ძეგლის არსებობის შესახებ შეიტყო, ყველაფერი იღონა, რათა ამ ადგილზე ტურისტული ობიექტის შექმნის მიზნით არქეოლოგიური კვლევები გაგვეგრძელებინა.

— რა ნივთები იყო თავმოყრილი თქვენ მიერ აღმოჩენილ 2-ოთახიან შენობაში და რას ადასტურებს იმ პერიოდში ამ ტიპის ნივთების არსებობა?

— ეს შენობა 12 მეტრი სიგრძისაა და ბანური გადახურვა აქვს. კედელი იატაკიდან 60 სანტიმეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი, რაც თავის დროზე მომხდარი

ხანძრის დამსახურებაა. შეიძლება ითქვას, რომ იმ უძველესი გუდაბერტყელებისაგან განსხვავებით, რომლებმაც ერთი ფეხით გაასწრეს ცეცხლის წამკიდებელ თავდამსხმელებს, ჩვენ გაგვიმართლა, რადგან გაქცეულებმა ცოტა რამ თუ წაიღეს. ამის საპირისპიროდ, როცა ახალი სახლის აშენების მიზნითაა ძველი შენობა დანგრეული, მათ ნივთები წინასწარ აქვთ გაზიდული და ადგილზე აღარაფერი გვხვდება. ამიტომ, დამწვარი შენობის დანახვა, ჩვენთვის, არქეოლოგებისთვის დიდად სასიხარულოა (იკინის). ამ უბანზე 5 სხვადასხვა დროის შენობის ნაშთი გავთხარეთ. რაც შეეხება ნივთებს, აღმოვაჩინეთ ჩხირებით ნაქსოვი 5 000 წლის წინანდელი სელის ქსოვილი. გამოდის, მათ უკვე იციოდნენ ძაფის დართვა და ამას არა მხოლოდ ჩხირებითა და ყაისნალით ახერხებდნენ, არამედ მარტივ საქსოვ დაზგებს ფლობდნენ, რითაც საკმაოდ წმინდა ქსოვილს ქსოვდნენ. აქვე ნაპოვნია კვირისტავეები, ძვლის ნემსი, თიხისგან დამზადებული ცხოველების ფიგურები, ორივე მხრიდან გახეხილი ცხვრის კოჭი. ასეთი კოჭების დიდი რაოდენობაა აღმოჩენილი დიდ სამეფო ყორღანებშიც. კახეთში, ოქროს ლომის აღმოჩენის ადგი-

ლას, დაახლოებით, 365 ასეთი კოჭი აღმოჩნდა. ეს რიცხვი წელიწადის დღეების რაოდენობას ემთხვევა. გახვრეტილი ან გახეხილი კოჭებისა და მრგვალი კენჭების საშუალებით, შესაძლოა, მომავალს ან ამინდს წინასწარმეტყველებდნენ.

— საოცარია და ამ ადამიანების ძირითადი საზრუნავი თავის გადარჩენა და საკვების მოპოვება უნდა ყოფილიყო, თუმცა, ისინი ამასთანავე, ქმნიდნენ, ამუშავებდნენ, აპრიალებდნენ თიხის ჭურჭელს, ამზადებდნენ აქსესუარებს, ქსოვდნენ ქსოვილს... ბუნებრივია, ამაზე დიდ დროსა და ენერჯიას ხარჯავდნენ...

— დიახ და გარდა ამისა, აქტიურად აახლებდნენ დაზიანებულ შენობებს. უფრო მეტიც, გვიან ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. XVI-VI საუკუნეებში საფუძვლიანი ღუმელები და ფურნები ჰქონდათ, რომელთა აშენებას საკმაოდ დიდ დროს ანდომობდნენ. აღმოვაჩინეთ თიხის ჭურჭლის სახელური ცხენის გამოსახულებით. ცხენი კავკასიაში გვიან ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, კიმერიელებისა და სკვითების გამოჩენის პერიოდში. აქვე გახლდათ სანური და სახეხი ქვეები. ერთ კოკაში ირმის დახერხილი რქები იყო მოთავსებული. როგორც




ჩვენ გაგვიმართლა, რადგან გაქცეულებმა ცოტა რამ თუ წაიღეს

გაირკვა, ირმის რქა სხვადასხვა დაავადების საოცარი სამკურნალო საშუალებაა. მათ შორის, ძლიერი სისხლდენისა და ებილეფსიის სამკურნალოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. აღსანიშნავია ასევე ჭურჭელი, რომელშიც თავლის კვალი იყო. ბატონმა სერგომ აქ ორი დიადემა — შუბლის შესამკობი გვირგვინი აღმოაჩინა. განმედიის შემდეგ მათზე ირმების, ჯიხვებისა და ყარყატების საინტერესო გამოსახულებები გამოიკვეთა. სავარაუდოა, რომ ირემს წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ და თავყვანს სცემდნენ. ირმისა და ყარყატების გამოსახულებები მიანიშნებენ, რომ ადამიანები თავყვანს სცემდნენ მზეს, წე-

გამოიწერე ისტორიანი

1 წლით ჟურნალი



მიიღე ნიგნი სარეზერად

მხატვრულად გაცოცხლებული ისტორიული მოვლენები, ფაქტები და უახლესი აღმოჩენები უნიკალური ფოტოგრაფია და კომპიუტერული გრაფიკა ინფორმაციული დიამგრამები და რუკები. ტარმინთა განმარტებითი ლეგენდები და სპიხიბელი



უფასო მითანა

ფასი 3 ლ

ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
 www.elva.ge elva@elva.ge ადგილზე მითანა

ლინადის დროებს ირმით, ჯიხვითა ყარყატებით გამოსახავდნენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დიადემაზე კალენდარია გამოსახული. ირმებისა და ჯიხვების შეწყვილების პერიოდი ზამთრის პირს ემთხვევა. სამხრეთიდან ყარყატების გამოჩენა კი ზამთრის დასრულების ნიშანია. ისინი წელიწადს ამ ორ სეზონად ყოფდნენ.

— შესაძლებელია თუ არა, აღმოჩენილის მიხედვით ამ პერიოდში ცივილიზაციის არსებობა ვივარაუდოთ?

— ცივილიზაციად ზოგიერთი მეცნიერი კულტურას მიიჩნევს.

პროცესი ადრეული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენაა მიმართული. ჩნდებიან ბელადები, რომლებიც არა მხოლოდ დანიშნულებით, არამედ ქონებრივი მონაცემებითაც აღემატებიან სხვებს. ასეთ გორა-სამარხებში ვხვდებით რიტუალურ ტრანსპორტს — ოთხთვალა ურემს ერთმეტრიანი ბორბლებით. ურემი ხისგანაა დამზადებული და მასზე მიცვალებულია დაკრძალული. ბოლო დროს იქვე აღმოჩნდა რიტუალური გზები. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ამ გზით დამკრძალავი პროცესია მიემართებოდა სამარხისაკენ, მაგრამ



კერის ნატეხებს, ისევე როგორც ამ კერიდან ამოღებულ ნაცარს, არ ყრიდნენ

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით კი, ცივილიზაციად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოს დონემდე ამაღლდა და შექმნა დამწერლობა ან სხვის დამწერლობას იყენებს. მტკვარ-არაქსის კულტურაში აღმოჩნდა ჭურჭელი ზედ დატანილი პიქტოგრამებით. პიქტოგრამები მხოლოდ ჭურჭლის მორთულობას არ წარმოადგენს, არამედ გარკვეული შინაარსის მატარებელია. გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო დამწერლობის მცდელობა ანუ საზოგადოება ადრეული სახელმწიფოს ზღვართან იყო მისული. ძვ. წ. XXVII საუკუნიდან ამ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე გამოჩენას იწყებენ დიდი ზომის ყორღანები ანუ გორა-სამარხები. სამარხებს ზემოდან მიწისა და ქვის ყრილი აქვს. ჭურჭელზე ნიშნებისა და ყორღანების გამოჩენა მიგვანიშნებს, რომ

ეს მოსაზრება არ დასტურდება, რადგან ურემების დიდი ნაწილი ან დაშლილი სახითაა წარმოდგენილი, ან მათზე უძრავადაა დამაგრებული ანუ არ ტრიალებს. შესაბამისად, ამ ურემებს პრაქტიკული დანიშნულება არა აქვთ. ეს, უბრალოდ, მათი ხელისუფლების სიმბოლოა. მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ გზით მიცვალებულის სული ღმერთის, მზის შესახვედრად უნდა წასულიყო. რაც უფრო დიდია სამარხი, მით მეტი შანსია, რომ ის ტომის ან ტომთა გაერთიანების ბელადს ეკუთვნოდეს. კახეთში ერთ-ერთი მათგანის სიმაღლე 12, დიამეტრი კი — 146 მეტრი იყო. ქვები ქვაყრილში ალაზნის მეორე ნაპირიდან, ანუ 40 კმ-ით დაშორებული ადგილიდან ურმით იყო მოტანილი. ბოლო დროს ასეთი ყორღანი ჩვენი ცენტრის ხელმძღვანელმა, ზურაბ მახარაძემ ლაგოდეხის რაიონში, სოფელ ჭა-

ბუკიანთან გათხარა. ისიც 12 მეტრის სიმაღლის ყრილი იყო და ორი ურემი ჰქონდა ჩატანებული. თიხით ისე კარგად იყო დაკონსერვებული, წყალი ჩადიოდა, მაგრამ ჰაერი ვერ აღწევდა და შესაბამისად, ხე მთლიანად გადარჩენილი გახლდათ. აქვე აღმოჩნდა ტყავი, ქსოვილი და საოცარი, თანამედროვე დიზაინით გაფორმებული ტყავის ჩანთები.

— გუდაბერტყას ნამოსახლარის გათხრის შედეგად მიკვლეული კულტურის ზუსტი დათარიღება შესაძლებელია?

— ეს კულტურა ძვ.წ. 3 100 წლიდან 2 600 წლამდე პერიოდს მოიცავს. გამოდის, ეს ხალხი 700 წელი ერთ ადგილას სახლობდა. შენობები რომ ინგრეოდა, ადგილს ასწორებდნენ და მასზე მეორე შენობას აშენებდნენ. ამ ნგრევა-შენებას ბუნებრივი ბორცვი თანდათან აამაღლა და კულტურული ფენების სიმაღლემ გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩათვლით 3 მეტრს მიაღწია.

— გათხრების შედეგების განზოგადება თუ გვაძლევს საშუალებას, ამ საზოგადოებისა და კულტურის განვითარების დონეზე ვიმსჯელოთ?

— რა თქმა უნდა. გუდაბერტყაზე სერგო ნადიმაშვილის მუშაობისას ხორბალი, ცხვრისა და ძროხის ძვლებიც აღმოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეცხვარეობა და სავარაუდოდ, კულტურული მეფუტკრეობა კარგად იყო განვითარებული. გუდაბერტყელებმა იციან ქსოვა, კერვა — ვიპოვეთ ძვლის ნემსი და ბევრი კვირისტავი. ამ ნასახლარზევე ნაპოვნია ჰარპუნის ანუ თევზის დასაჭერი ჭვილი (შუბი), რომელსაც ერთი კბილი აქვს. მათ ჰქონდათ გარკვეული რწმენა-წარმოდგენები, კერა მათთვის წმინდა ადგილი იყო. კერის ნატეხებს, ისევე როგორც ამ კერიდან ამოღებულ ნაცარს, არ ყრიდნენ, ორმოებში ინახავდნენ. აქვე ვხვდებით ცხვრის, ხარის, ადამიანების თიხის მინიატიურულ ფიგურებს. ამ უზარმაზარ სივრცეზე სახლობს ხალხი, რომელიც მცირე განსხვავებულობის მიუხედავად, ძირითადად, ერთნაირ კერამიკას ამზადებდა, ერთნაირ სამეურნეო საქმიანობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობას, მეფუტკრეობას, მიწათმოქმედებას, მეცხვარეობას მისდევდა.

შენც აირჩიე საუკეთესო!

„ბიბლუსის“ მრავალფუნქციურ ფილიალში Allwine.ge-მ მსურველებს 23 სახეობის ქართული ღვინო სადგუსტაციოდ წარუდგინა. ღონისძიებაზე ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი. მათ ყველა ღვინო დააჭაშნიკეს და საუკეთესო აირჩიეს — ხმა მისცეს სასურველი ღვინის სახეობას.

მარიამ მენაბდიშვილი

„საფარავი აუცილებლად უნდა მოხვდეს ათეულში!“

დეგუსტაციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სომელიეთა ასოციაციის წევრმა ნიკა დევიძემ: „გასინჯულ ღვინოებს შორის, სავარაუდოდ, საფერავი ამოვიცანი.“



ის აუცილებლად უნდა მოხვდეს საუკეთესო ათეულში, თუმცა მე უპირატესობას თეთრ ღვინოებს ვანიჭებ. მომწონს თეთრი არომატული ღვინოები, მაგალითად, ქისი. ღვინო ქართული ეთნიკური კულტურის საგანძურია და ასეთი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია.“

სომელიეთა ასოციაციის წევრის აზრით, 10 საუკეთესო ქართულ ღვინოს შორის, საფერავთან ერთად, აუცილებლად უნდა მოხვდეს იმერული და კახური ღვინოები.

„სუთი პლუსი ხვანჭკარას!“

თავისი ღვინო აირჩია ფოტო-ჟურნალისტი **გოგა ჩანადირიძე**: „სანამ ცოცხლები ვართ, არა მხო-



ლოდ ათი ქართული, არამედ ყველა ღვინო უნდა დავაჭაშნიკოთ. ეს არაჩვეულებრივი პროექტი ღვინის კულტურის ქვეყანაში შესანიშნავი წამოწყებაა“.

გოგა ნითელი ნახევრად ტკბილი ღვინის მოყვარულია, თუმცა მოსწონს რამდენიმე თეთრი ღვინოც, რომლებიც, ძირითადად, ევროპული ტექნოლოგიით მზადდება:

„განსაკუთრებით მომეწონა ერთ-ერთი ნითელი ღვინო, შეფასებისას ხუთი პლუსიც კი დაფუნერე. ალბათ, ხვანჭკარა უნდა იყოს... ჩემი საყვარელი ღვინოებია ქისი, მანავის მწვანე, ხვანჭკარა, ტვიში, შავკაპიტო. ტრადიციული ღვინოებიდან კი, ალბათ, ოჯახის თეთრ ღვინოს ავირჩევდი.“

„ძველი ქართული ვაზის ჯიშები ისევ ცოცხალია!“

დეგუსტაციას ღვინის კლუბის წევრი და ჟურნალისტი ალექო ცქი-



ტიშვილიც ეწვია: „ასეთ აქციებს მივესალმები, რადგან უცნობი ან მივიწყებული ქართული ვაზის ჯიშების გაცოცხლებასა და ბაზარზე გატანას უწყობს ხელს. ჯიშები, რომლებიც ჩვენ ახალი გვეგონია, სინამდვილეში ძველია, მაგრამ ისევ არსებობს, ცოცხალია!“

„ჯიშების მიხედვით უნდა დავასახელო ხიხვი — კახური ვაზის ჯიში, რომელიც დავიწყების ნისლიდან გამოდის. ასევე — კრახუნა, რომელიც იმერული ვაზის ჯიშია. მესამე ადგილზე უსახელოურია, მეოთხე და მეხუთე ადგილებს ჩემთვის საფერავი და რქანითელი იკავებს“.



ამერიკელის არჩევანი ოჯალაშია

არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ქართული ღვინო ძალიან მოსწონთ უცხოელებს და საქართველოში ჩამოსვლისთანავე ტრადიციულ ჯიშებს აჭაშნიკებენ. ღონისძიების ამერიკელი სტუმარი გრანტ ფრიმანი უკვე დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობს...

„შვიდი განსხვავებული ღვინო გავსინჯე, რომელთა შორის მუკუზანი ამოვიცანი — ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ღვინოა, თუმცა ყველაზე მეტად მაინც ოჯალაში მომწონს, რადგან მშრალია. გავსინჯე ნახევრად ტკბილი საფერავიც, რომლითაც ძალიან კმაყოფილი დავრჩი“.

ხმის მიცემა ახლაც გრძელდება

თქვენ რომელი ღვინო უნდა გავსინჯოთ, სანამ ცოცხალი ხართ? — ამ შეკითხვაზე პასუხის პოვნაში ეს პროექტი დაგეხმარებათ — მასში მონაწილეობა უკვე 100 000-მდე ადამიანმა მიიღო და ხმის მიცემა ახლაც გრძელდება ონლაინრეჟიმით. გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება „კვირის პალიტრის“, „ლელოს“, „ავტობილდისა“ და „გზის“ მკითხველსაც შეუძლია.



შავი კატა კარგი ნიშანია

ყველა ჩემპიონის ისტორია თავისებურად იწყება, ზოგს ბუნებრივად მოსდგამს სპორტის ამ თუ იმ სახეობის ნიჭი და მისი წყალობით აღწევს უმაღლეს მწვერვალებს, სხვები ხასიათის სიმტკიცით ადიან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის, გიორგი სხირტლაძის საჩემპიონო ხასიათი, შეიძლება ითქვას, მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც შვიდი წლის ასაკში რაჭის მთებში დაიკარგა და შეშინებულმა და ატირებულმა ბავშვმა მეორე დღეს, საღამოს პირზე მაინც მიაგნო სახლს. მთელი სოფელი ეძებდა, მშობლები გიჟებსა ჰგავდნენ, გამწარებული მამა ცემასაც უპირებდა, მაგრამ რომ წარმოიდგინა, რა გადაიტანა თითისტოლა ბავშვმა ტყეში მარტომ, მკერდში ჩაიკრა და ჰკითხა: შეგეშინდა შვილო, იტირეო? — ძალიან შეშემინდა და ვიტყვით კიდევაცო, უპასუხა.

გობი ფრანგიშვილი


ახლახან ბატონ გიორგის დაბადების დღე იყო, 85 წლის გახდებოდა. მისი მონაყოლიდან, პირველ რიგში, რატომღაც სწორედ ეს ეპიზოდი გამახსენდა, მტკიცე ხასიათით უნებურად პირველი ცხოვრებისეული გამარჯვება რომ მოიპოვა, შემდგომში კი მთელი კარიერის განმავლობაში მიზნის მიღწევაში ეხმარებოდა ჭიდაობაში. ჭიდაობა ბატონმა გიორგიმ საკმაოდ გვიან, 17 წლისამ დაიწყო და ათი წელი ღვარა ოფლი, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლებოდა. რაჭული სიღინჯით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა დიდ გამარჯვებამდე.

წარმოშობით გიორგი სხირტლაძე ონის რაიონის მალალმთიან სოფელ მთისკალთიდან იყო. ათი წლისაც არ იყო, სამამულო ომი რომ დაიწყო. შრომას იმთავითვე მიაჩვიეს მშობლებმა. უფროს ძმებთან ერთად მთაში ბალახს თიბავდნენ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და თავისუფალ ჭიდაობაში შალვა ნოზაძესთან დაიწყო ვარჯიში.


ჯანი საკმარისზე მეტი ჰქონდა, მუყაითი შეგირდიც გამოდგა და მალე საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ის ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა, მაგრამ მსაჯებმა რატომღაც თავხედური გადაწყვეტილება მიიღეს, გამარჯვება კიველ ნიკოლოზ კომოვს მიაკუთვნეს. ეს გადაწყვეტილება იმდენად უსამართლო იყო, რომ დარბაზი ლამის დაანგრიეს გულშემატკივრებმა. როგორც ჩანს, უკრაინელი ფალავანი ღირსეული კაცი იყო და მოგვიანებით ოქროს მედალი ბატონ გიორგის აჩუქა, შენ უფრო გეკუთვნისო.

1954 წელს ქართველმა მოჭიდავემ უკვე ოფიციალურად მოიპოვა ოქროს მედლები, ჯერ ბუდაპეშტში, სტუდენტთა საერთაშორისო თამაშებზე ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის პირველ ტიტულსაც დაეუფლა.

მეღბურნის ოლიმპიური თამაშების წინ მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიდა ჩატარდა. იმ პერიოდში ეს საბჭოეთის ქვეყნის ყველაზე



მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო და გამარჯვებულები პრაქტიკულად ინალდებდნენ ოლიმპიურ საგზურებს. ქართველმა ფალავანმა არც აქ დაუდო ტოლი არავის და ჩემპიონობასთან ერთად ავსტრალიის საგზურიც გაინალდა. თუმცა „მწვანე კონტინენტზე“ მის გამოსვლას ილბლიანს ვერ ვუნოდებთ, მაგრამ ამაში თავად ბატონი გიორგი არ იყო დამნაშავე. სპორტის ალბათ ყველა სახეობაში და მათ შორის ჭიდაობაში არაკეთილსინდისიერი მსაჯები დღესაც საკმაოდ არიან და როგორც ჩანს, მაშინაც იყვნენ. მეღბურნის ოლიმპიურ ხალიჩაზე, ტურნირის სტარტზე სხირტლაძის მეტოქე, ბულგარელი ნიკოლა სტანჩევი პასიურობისათვის სამჯერ გააფრთხილეს და წესების შესაბამისად ბოლოს მოხსნეს კიდევ შეჯიბრებიდან. გამარჯვებულად ქართველი ფალავანი გამოაცხადეს და ხელიც აუწიეს. მაგრამ შემდეგ თავიანთივე გადაწყვეტილება შეცვალეს და მოგება ბულგარელს მიაკუთვნეს. მაშინდელი წესებით მარცხით დაწყებულ ტურნირშიც შეიძლებოდა ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. გივი კარტოზია მეღბურნში სწორედ ასე გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ გიორგი სხირტლაძეს მსაჯებმა მეორე, თანაც ფინალური შეხვედრაც წაართვეს. ფინალამდე მან ბეჭებზე დააწვინა ფილიპინელი ნიკოლას არჰელესი, სამხრეთაფრიკელი გერმანუს ვან ზილი და გერმანელი იოჰან შტერნი. ფინალში ჯერ ფიზიკურად ძალიან ძლიერ და



ქართველმა ფალავანმა არც აქ დაუდო ტოლი არავის

უხეშ ტურქ ისმეთ ათლის სძლია, ხოლო შემდეგ ამერიკელი დან ჰოჯი ც გააკრა ხალიჩას. მსაჯმა ტუშე დააფიქსირა, თუმცა ხალიჩის ხელმძღვანელი არ დაეთანხმა და ჭიდაობა დგომში გააგრძელეს. ცოტა ხანში ჩვენებურმა ისევ გამოჰკრა სარმა და კიდევ ერთხელ ნააქცია მეტოქე, მაგრამ ამჯერად ტუშე ამერიკელს ჩაუთვალეს და ვერცხლის პრიზიორიც ის გახდა. ოქროს მედალი ბულგარელ სტანჩევს მიანიჭეს, ჩვენს მოჭიდავეს კი ბრინჯაოს მედალი ერგო.

სტანჩევი რომ საჩემპიონო კაცი არ იყო, სულ რამდენიმე თვეში გამოჩნდა. 1957 წლის ზაფხულში სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ბულგარელთა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მხოლოდ მეოთხე ადგილის დაკავება შეძლო, ბატონი გიორგი კი ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამ ჩემპიონატიდან აღსანიშნავია მისი შეხვედრა მასპინძელთა ფალავანთან, ჰასან გიუნგიორთან. უკვე ვთქვი, თურქები უხეში მოჭიდავეები არიან, თუ გაუჭირდათ, ბევრ რამეს კადრულობენ. სხირტლაძე-გიუნგიორის შეხვედრის დროსაც, თურქმა ვერაფერი რომ ვერ გაახერხა, ქართველს განზრახ თავი ჩაარტყა სახეში. სხირტლაძე შეტორტმანდა, თითქოს ნოკდაუნში იყო და გიუნგიორი ხელახლა რომ ნაოვიდა დასარტყმელად, თავი თავად დაუხვედრა. ნოკდაუნში ახლა თურქი აღმოჩნდა. სხვათა შორის სამართლიანი რომ ვიყო, ისიც უნდა ვთქვა, რომ თურქმა გულშემატიკივრებმა საქციელი მოუწონეს ქართველს, თავი რომ არ გააბრიყვებინა მეტოქეს.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული გიორგი სხირტლაძემ 1959 წელს, თეირანში მოიპოვა. აქაც ერთი ეპიზოდი მახსენდება ბატონი გიორგის მონაყოლიდან. ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე რაჭაში ჩავიდა, შემოდგომა იდგა და მამას დავეხმარები მოსავლის აღებაში. მალე დეპეშა მიიღო მოსკოვიდან, ჩემპიონატზე, ირანში გამგზავრების დრო არისო. მამა-შვილმა თავიანთთვის პატარა სუფრა გაშალეს, თითო ჭიქა ხვანჭკარითაც დაილოცნენ. უკვე სახლიდან გამოდიოდა, შავმა კატამ რომ გადაურბინა. მამამ, ცუდის ნიშანია და თეირანში შენს ნასვლას აზრი აღარ აქვსო. მაინც ნავიდა და იქიდან ოქროს მედალიც

ჩამოიტანა. ტურნირის დაწყებამდე ჩვენს ფალავანს სწორედ ის კატა დაესიზმრა, გამომგზავრების წინ რომ გადაურბინა. მეკრძრე ეჯდა და ეფერებოდა. ბატონ გიორგის სიზმარი კარგად ენიშნა და იმედიანადაც დაინყო ჭიდაობა, თუმცა გამარჯვება ადვილი ნამდვილად არ ყოფილა, განსაკუთრებით მასპინძელთა ჯილასთან, ნაბი სორურისთან. ალბათ გახსოვთ, მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე სწორედ მასთან დათმომ ჩემპიონის ტიტული. ირანელ ფალავანს ახლაც პირველობის იმედი ჰქონდა, მისი ჭიდაობის სანახავად თავად შახიც მივიდა, თუმცა ფუჭად გაისარჯა. სხირტლაძემ სამჯერ დააგდო ხალიჩაზე სორური, მაგრამ მსაჯებმა წმინდა გამარჯვება არც ერთხელ არ მისცეს, ქულებით მოგება ჩაუთვალეს. გულგატეხილმა შაჰმა მაშინვე დატოვა ტრიბუნა, ქართველმა ფალავანმა კი ასეთივე წარმატებით გააგრძელა ფინალისაკენ გზა. ფინალში გადამწყვეტი ჩვენი და უნგრელი მოჭიდავის, გეზა

გორიაში კვლავაც უძლიერესი იყო. კონკურენტები ამ წონაში საკმაოდ ძლიერები იყვნენ, მათ შორის ქართველი ფალავნები, ჯუმბერ დავლიანიძე და გურამ გობეჯიშვილი (ოლიმპიური ჩემპიონის, დავით გობეჯიშვილის ბიძა). გადამწყვეტი სწორედ სხირტლაძე-გობეჯიშვილის შეხვედრა გამოდგა, რომელშიც ბატონმა გიორგიმ იმარჯვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მეოთხე ტიტული მოიპოვა.

რომის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონია 25 აგვისტოს მოეწყო. იმ დღეს ოლიმპიურ სტადიონზე ქართველი სპორტსმენებიდან ალლუმში 16 ათლეტმა მიიღო მონაწილეობა. მათგან ათმა შინ ოლიმპიური მედალი ჩამოიტანა. გიორგი სხირტლაძეს ვერცხლის ჯილდო ერგო. ეს მისთვის მეორე ოლიმპიური მედალი იყო. თუმცა ამ შედეგით თავადვე იყო უკმაყოფილო, ოქრო უნდა აეღო, მაგრამ საკუთარი შეცდომის გამო ხელიდან გაუშვა ეს შანსი. ზედიზედ ორი



ქართველი სპორტსმენებიდან ალლუმში 16 ათლეტმა მიიღო მონაწილეობა

ხოლომის შეხვედრა გამოდგა. ღირსეული მეტოქეების ჭიდილი სხირტლაძის გამარჯვებით დასრულდა და მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ის ავიდა. ეს ბატონ გიორგის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშები გიორგი სხირტლაძისათვის ბოლო საერთაშორისო ასპარეზობა იყო, თუმცა ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე უნდა დაემტკიცებინა საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებისათვის, რომ საშუალო წონით კატე-

სუფთად მოგებული შეხვედრის შემდეგ უცნობ ამერიკელთან, ედვარდ დე ვიტთან მოდუნებულად იჭიდავა და წააგო.

30 წელს მიტანებული ფალავანი კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობდა. საბჭოთა ნაკრებშიც თავის წონაში კვლავაც პირველ ნომრად ითვლებოდა და 1961 წლის იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მომზადებული გამგზავრა, მაგრამ ვლადივოსტოკში დეპეშა დაანთეს, მამა გარდაგეცვალო. ეს დიდი ტრაგედია იყო ბატონ გიორგისათვის და გულგატეხილმა ჭიდაობასაც თავი დაანება.

რომელი მხარის უფლებებია დარღვეული?

ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორის აზრით, 19 წლის მსმენელი ანზორ სვიანაძე, ცენტრიდან ჰომოფობიური ხასიათის „ფეისბუქ“-სტატუსების გამო გაირიცხა. ამ ფაქტს პოლიტიკოსი, სანდრო ბრეგაძე და მსახიობი დავით ქაცარავაც გამოეხმაურნენ.



ჩვენ წარმოვადგენთ არაფორმალური განათლების სფეროს

ნიკო ჯავახიშვილი

სანდრო ბრეგაძემ სოლიდარობა გამოუცხადა ანზორს, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ იმიტომ გარიცხეს, რომ მამათმავლობა არ მოსწონს. დავით ქაცარავაც მოუწოდებდა სრულიად საზოგადოებას, ამ ახალგაზრდის დასაცავად ხმა ამოიღონ: „ნუთუ მართლა თვლით, რომ საკუთარი აზრის დაფიქსირების-



ლგბტ არ მომწონს, თუმცა ქვებსაც არ ვესვრი

თვის მოსწავლე უნდა გაირიცხოს სკოლიდან? აქ მნიშვნელობა არა აქვს გადმოცემის ფორმას. ვუშვებ ასევე იმ აზრს, რომ არ მოგწონთ ის, რაც ხდება, მაგრამ რატომ ხართ ჩუმი? ხომ არ გეშინიათ ლგბტ თემის? ხომ არ გეშინიათ სამსახურების დაკარგვის? ... გაიღვიძეთ დღეს! ხვალ გვიანი იქნება!“

ანზორ სვიანაძე:

— სასწავლებლიდან მხოლოდ იმის გამო გამრიცხეს, რომ ჩემი აზრი გამოვთქვი ლგბტ პირებზე — 5 ნოემბერს ჩემს „ფეისბუქ“-გვერდზე დავდე ასეთი სტატუსი: „LGBT — არ ვიცი, შევავო და ჩემი „ფეისბუქ“ თუ ისე მეგობრები გავახარო, თუ დავამხო გამზრდელი თავზე? მგონი, შექება ჯობია. მირჩიეთ“. დირექტორმა, ნატალი პატარიძემ ჩემი ყველა სტატუსი დასჭირა, თავის გვერდზე გადაიტანა და ჩემი გარიცხვის შესახებაც ისაუბრა. მხოლოდ მას შემდეგ წაშალა ეს სტატუსი, როდესაც უამრავმა ადამიანმა გამლანძღა და დამამცირა. ის ცრუობს, როდესაც ამბობს, გავაფრთხილეო. არც ის უთქვამს, რომ სტატუსი ამელო და არც ის, რომ სასწავლებლიდან გარიცხვას მიპირებდა. დიახ, ლგბტ არ მომწონს, თუმცა ქვებსაც არ ვესვრი მათ. საპროტესტო აქციები დავაანონსე და ვიცი, ბევრი დამიდგება გვერდში, ბევრმა ღია მხარდაჭერა უკვე გამომიცხადა, ვისთვისაც სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანია და ვინც ფიქრობს, რომ დაირღვა ჩემი უფლებები და მოხდა ჩემი დისკრიმინაცია. ვალდებულები ვართ, სიტყვის თავისუფლება ყველამ დავიცვათ!..

ნატალი პატარიძე, ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი:

— სკოლის პედაგოგებიცა და მოსწავლეებიც დაადასტურებენ, რომ ანზორი მუდმივად ლაპარაკობდა სიძულვილის ენით. მისი მხრიდან იყო ქსენოფობიური განცხადებებიც — ვერ იტანს თურქებს და არ ერიდებოდა ამის ხმამალა თქმას.

— მაშინ რატომ არ გარიცხეთ სკოლიდან?

— ბევრჯერ გავაფრთხილეთ და შანსი მივეცით, გამოსწორებულიყო, მაგრამ რაკი არ გაითვალისწინა, გავრიცხეთ. ჩვენი მთავარი ღირებულებაა, ახალგაზრდულ ცენტრში იყოს ძალადობისგან დაცული ტოლერანტული გარემო.

— ის, ვინც სიძულვილის ენაზე საუბრობს, ძნელად ფარავს ამ სიძულვილს. მე ვნახე ანზორის სტატუსები, მაგრამ იქ შესაშფოთებელ-ალსაშფოთებელი არაფერი შემინიშნავს.

— ძალიან ბევრი სტატუსი წამოიღია მისი გვერდიდან. მაგალითად, სტალინს რომ მოუწოდებდა, დაეხვრიტა ლგბტ; რომ საქართველო უყვარს მამათმავლების გარეშე; რომ საქართველო გმირების ქვეყანაა და მისივე სიტყვებით, „აქ პიდარასტების ადგილი არ არის“ და ა.შ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ არაფორმალური განათლების სფეროს, სადაც ნებისმიერ თემაზე სიძულვილის ენის ტირაჟირება იკრძალება შიდაგანაწესით და როცა სტუდენტი არ ემორჩილება, ჩვენ უარს ვამბობთ მისგან მიღებულ შემოსავალზეც კი.

— რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ პოზიციას ჩვენ, ბევრი ვაფიქსირებთ სოციალურ ქსელებსა თუ პირად საუბრებში და მაშინ ყველა უნდა დავითხოვოთ სასწავლებლებიდან და სამსახურებიდან?

— ნებისმიერ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სიძულვილის ენით.

P.S. 16 ნოემბერს, ჟურნალის გამოსვლის დღეს, 17.00 საათზე იყო დაანონსებული ანზორ სვიანაძის მხარდასაჭერი აქცია ქუთაისში. ანზორი ამბობს, რომ ბოლომდე იბრძოლებს სიტყვის თავისუფლების დასაცავად და იმასაც დასძენს, რომ სხვადასხვა არასამთავრო ორგანიზაციამ მას უკვე გამოუცხადა მხარდაჭერა...

„ახლანდელი თაობა საცდელ კურდღელს ჰგავს“

დასაწყისი იხ. გვ. 65

ნამლები მჭირდება, თვეში — 150 ლარი პრეპარატებში მეხარჯება, ჰოდა, მრჩება 30 ლარი. იქნებ მასწავლოთ, როგორ ვიმყოფინო ეს თანხა?..

შენ, ვისაც ხელფასი 3.000 ლარი ან უფრო მეტიც გაქვს, რა სინდისით იღებ დანამატს, როცა იცი, როგორ ცხოვრობენ შენს მეზობლად? ნუთუ, ამას ეძახით თავისუფლებასა და თანასწორობას? რა სინდისით მოძღვრავთ ხალხს ტელეკრანიდან? თანაც, ჩემს თაობას აკრიტიკებთ, არადა, ჩემს თაობას ასეთი სამართლიანობა არასადროს ჰქონია. ჩვენ სხვანაირად გვესმოდა ეს ცხოვრება. ლუკმაპურს გაჭირვებულებს ვუყოფდით. სახელმწიფო ხაზინაში ხელის მოფათურებს ქურდს ვეძახდით, იყიდე-გაყიდეთი დაკავებულებს — სპეკულანტებს, ამორალურ ქალებს — უზნეობებს. ჩვენი თაობის წინაპრები უფრო კეთილები, მშრომელები და ქვეყნის მოყვარულები იყვნენ. ჰოდა, ამიტომ ხართ თქვენც ჯერ კიდევ ქართველები! წინაპრების შრომის-მოყვარეობამ და სამშობლო მიწის სიყვარულმა შემოგინახათ საქართველოს მიწა-წყალი; მიწის თითოეული გოჯი გლეხკაცის ოფლით არის მორწყული და დაფასეთ ეს...

ახლა რა ხდება? უპატრონოდ მიგდებულია სოფლები და ამიტომაც, სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილ საკვებს ვეძალებით და შედეგაც სახეზეა: ამდენი უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საზიანო საკვების მიღებამ ხედავთ, რა მდგომარეობამდე მიგვიყვანა? ამდენი დაავადება, ამდენი გაახალგაზრდავებული სიკვდილი, ამდენი ავადმყოფი მოზარდის დანახვა გულს მიკლავს.

უკვე 25 წელი მიილია, რაც თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვინ გაიხარა ამ თავისუფალ, სამართლიან ქვეყანაში ცხოვრებით? ღმერთმა შეგარგოთ, თუკი ალალი შრომით გაქვთ ნაშოვნები ქონება, მაგრამ თუკი ქონება სხვისი ცრემლის, ქურდობის წყალობით შეიძინეთ, გეშინოდეთ! სხვისთვის რაიმეს წაგლეჯა არ შეგრჩებათ...

მაჯერებთ, ჩაკვდაო კორუფ-

ცია, არადა, კარგად გაახილეთ თვალები, ჩაკვდა კი არა, ყვავის, ოღონდ — ერთეულებისთვის. ჩვენი ქვეყანა ძალიან პატარაა, ყველა ერთმანეთის ნათესავია, მეგობარი ან მეზობელი. რამდენიც უნდა ეცადოთ ის დამაჯეროთ, რომ სამართლიან ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვერ დამაჯერებთ ამაში და ვერც იმაში, რომ თანასწორუფლებიანები ვართ. პენსიონერთა დიდ არმიას ლამის, შიმშილით სული გასძვრეს და თქვენი სამართლიანობა როგორ დავიჯერო?

იმაზეც მინდა დაფიქრდეთ, თურას მოგვიტანს საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ საცხოვრებლად გაქცეული ხალხი. იქ გაზრდილი

მაგრებულებს? სახლებში არავინ გივარდებათ, იცხოვრეთ ისე, როგორც გასურთ, მაგრამ ნურც პატივისცემას მოითხოვთ. საქართველოს ისტორიას ახსოვს თქვენნაირი ადამიანები, ისინი შრომობდნენ თავისთვის და საკუთარ სურვილებს საქვეყნოდ არ ჰყენდნენ, შედეგად კი ხალხის სიყვარულსაც იმსახურებდნენ. დღეს რომ ზიზღი იგრძნობა არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების მიმართ, ეს ისევე იმის ბრალია, რომ ცდილობთ, იყოთ დაფასებულები...

ახალგაზრდებთან ერთი სათხოვარი მაქვს: ნამდვილო ქართველებო, ნუ მიატოვებთ სოფლებს, უპატრონოდ!



მომავალი თაობა ქართულ ზნეს ივიწყებს და ყველაფერ უცხოურს იყვარებს. კი ბატონო, ჩვენს ეპოქაშიც იყვნენ ზნედაცემულები, ღირსებადაკარგული მამაკაცები, მაგრამ სააშკარაოზე კი არ გამოჰქონდათ თავიანთი უსაქციელობა. პარადს არ აწყობდნენ, არც პატივისცემას ითხოვდნენ ხალხისგან და ა.შ.

დღეს თურმე, თავისუფლება ის არის, ქალმა ტელევიზიის ეკრანიდან თავი მოიწონოს საყვარლების რაოდენობით. ჩაიცვას ისეთი სამოსი, რომ უხერხულობაც კი იგრძნოს მისი სიგრძის გამო, მაგრამ ფეხი ფეხზე მაინც გადაიდოს და გამოფინოს თავისი სიმდიდრე. მე ვინ მკითხავს მათ განსჯას? მაგრამ ვერ ვეგუები ჩემი მენტალიტეტის პატრონი ამ ყველაფერს. ნუთუ, ამ საქციელს ამართლებს სიტყვა „თავისუფლება“? ნუთუ, გვიბიჭვებით უნდა ვიამაყოთ ქართველებმა? ნუთუ, მართლა იმდენი არიან, რომ პროტესტის ხმამაღლა გამოთქმის სურვილი უჩნდებათ ზურგგა-

საით გინდა გაიხედო, რა გინდა ინამო? რა დარჩა ქვეყანაში სუფთა და შეურყვანელი? ქართველთა რწმენა შეირყა. თვით ეკლესია-მონასტრებიც შულღმა მოიცვა. ვისი ბოროტი ხელი და ენა შეურაცხყოფს ერის სალოცავ ტაძრებს? უფლისაც აღარ გეშინიათ? აღარც ღმერთი გწამთ და აღარც — ხატი. მე კი ბოლოს, ერთი კუბლეტით დავასრულებ სათქმელს:

„რომელ ეკლესიას ვთხოვო მფარველობა, მომაკვდინებელი საცეცები იქაც მოქმედებენ, მაინც ღმერთს შევეთხოვ, ხალხო, მფარველობას, ჩვენი საქართველო რომ დიდხანს აარსებოს“.

P.S. შემოგვიერთდით და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები. ჩვენთვის თითოეული თქვენგანის სიტყვა მნიშვნელოვანია. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81

რატომ უნდა ვიყოთ მარადის სულიერად მღვიძარენი

სახარებაში გვხვდება იგავები, რომელთა მეშვეობითაც მაცხოვარი მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით ესაუბრება მოციქულებს და მათაც და მათი სახით მთელ კაცობრიობას მოუწოდებს მარადიული სიფხიზლისკენ.



ჰორენა მერაპვილაძე

ლუკას სახარების თანახმად, მაცხოვარი მოციქულებს მოუთხრობს იგავს „ფხიზელ მონებზე“, რომლებიც თავიანთი ბატონის ქორნილიდან დაბრუნებას ელოდებიან, რათა როგორც კი დაუკაკუნებს, იმწამსვე გაუღონ. ასეთი მონები ბედნიერები არიან, რადგან შინ დაბრუნებული ბატონი, როდესაც მათ სიფხიზლეს ნახავს, შემოირტყამს სარტყელს, დასვამს, მივა და მოემსახურება. ნეტარ არიან ის მონებიც, რომლებსაც მეორე და მესამე გუშაგობისას მისული ბატონი მღვიძარეთ, ფხიზელს ნახავს.

სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ საათზე მოვა ქურდი, იფხიზლებს და თავისი სახლის ძირის გამოთხრას არ დაანებებსო, — ბრძანებს უფალი და მსმენელთ მიმართავს: ამიტომ მზად იყავით, ვინაიდან რომელ საათზეც არ ფიქრობთ, სწორედ მაშინ მოვა კაცის ძეო. პეტრე მოციქული კითხვით მომართავს მაცხოვარს: უფალო, ამ იგავს ჩვენ გვეუბნები თუ ყველასო? უფალი კი კვლავ იგავურად მიუგებს, „ერთგული და ბოროტი მონების“ იგავით: „ვინ არის ერთგული და გონიერი გამგებელი, რომელსაც დააყენებს ბატონი თავის მსახურებზე, რათა დროულად მისცეს მათ ულუფა? ნეტარია მონა, რომლის ბატონი მოვა და ამის მოქმედს იხილავს, მას მთელ თავის ქონებაზე დააყენებს. თუ ბატონი იმ დღეს მოვა, როცა არ ელის და იმ ჟამს, როდესაც არ იცის, შუაზე გაჰკვეთს მას და ურწმუნოებთან დაუდებს ნილს...“

ვის მსახურებზე, რათა დროულად მისცეს მათ ულუფა? ნეტარია მონა, რომლის ბატონი მოვა და ამის მოქმედს იხილავს, მას მთელ თავის ქონებაზე დააყენებს. თუ ბატონი იმ დღეს მოვა, როცა არ ელის და იმ ჟამს, როდესაც არ იცის, შუაზე გაჰკვეთს მას და ურწმუნოებთან დაუდებს ნილს...“

მამა მამარი:

— ამ იგავებით უფალი სულიერი სიფხიზლის აუცილებლობისკენ მიგვანიშნებს. სულიერი სიფხიზლე აუცილებელი პირობაა, მინიერი სურვილებისა და უკეთური ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქრისტიანი განუწყვეტლივ იმის მცდელობაში უნდა იყოს, რომ აკონტროლოს გულისა და გონების მოძრაობა, ღვთისათნო აზრები შეითვისოს, ურიგო კი განდევნოს. სულიერი სიფხიზლე აუცილებელი მდგომარეობაა იმისათვის, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს ბოროტისგან მოწვედილ უკეთურ აზრებს, უკუაგდოს ისინი, ვიდრე ბოროტის ნებას დაჰყვება და ცოდვას ჩაიდენს. რაც მეტად აკონტროლებს ადამიანი თავს, მით მეტად მღვიძარებს სულიერად, მით მეტად განიწმინდება ბოროტებისგან, შემოსული ვნებებისგან და მიიწვეს

სულიერი სრულყოფილებისკენ. რაც მთავარია, არავინ უწყის, როდის დადგება უფლის მეორედ მოსვლის ჟამი ან ხორციელი სიკვდილის დრო, ამიტომ განუწყვეტლივ სულიერი მღვიძარება მოგვეთხოვება, მუდამ მზად რომ ვიყოთ უფლის მეორედ მოსვლისა თუ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლისათვის — როდესაც უფლის სამსჯავროს წინაშე მოგვიხდება წარდგომა და ჩვენ მიერ ქმნილი საქმეების მიხედვით განვისჯვებით. როგორც უფალი იგავური თქმით გვაუწყებს, ნეტარნი არიან ის მონები, რომლებიც მღვიძარენი ელიან თავიანთ ბატონს — უფლის მოსვლას. არ უწყიან, როდის მოვა, მაგრამ იციან — თუ მღვიძარე დახვდებიან, მისგან უდიდეს პატივს მიიღებენ.

ის მონა კი, რომელიც უფალმა სამუშაოდ დააყენა, პატრონის მოსვლას ელოდა, მაგრამ რომ შეაგვიანდა, იფიქრა, ჯერ ადრეაო და მსახურების ცემასა და განცხრომით ცხოვრებას მიეცა, მაგრამ განბილებული დარჩა, რადგან ბატონი სწორედ იმ დროს მოვიდა, როდესაც განცხრომით ცხოვრებას მისცემოდა და დასაჯა.

უნდა ვეცადოთ, რომ ყოველწამიერად მზად ვიყოთ ღვთის წინაშე წარსადგომად, იმ უგუნური მონის მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ.

— სულიერი მღვიძარების მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ფიზიკური მღვიძარებაც...

— ჯან-ღონის აღსადგენად ძილი ცოდვა არ არის. უნდა დავისვენოთ და სამუშაო ძალები აღვიდგინოთ, მაგრამ ზედმეტი ძილი სულიერ ზრდა-განვითარებას აფერხებს. როდესაც ადამიანს იმაზე მეტხანს სძინავს, ვიდრე ორგანიზმს ძალების აღსადგენად სჭირდება, ის მოდუნებულია და სულისთვის სასარგებლო საქმეების კეთება ეზარება. ადამიანმა, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მოძღვრის

რჩევა-მითითებით უნდა დაანესოს, რამდენ ხანს იძინოს დღე-ღამის განმავლობაში. ხორციელი მღვიძარება არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ადამიანმა რაც შეიძლება ნაკლები იძინოს; შეიძლება ადამიანი ღამეებს ათენებდეს, მაგრამ არა იმისათვის, რომ ილოცოს და სულისთვის სასარგებლო საქმეები აკეთოს, არამედ — გაერთოს და განცხრომას მიეცეს. ამას სჯობს იძინოს, ძილის დროს მისი სული უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება.

— რომელ ცოდვებს შობს სულიერი სიფხიზლის უქონლობა?

— პირველი ცოდვა, რომელიც მღვიძარებას უპირისპირდება, სულიერი სიზარმაცვა, რომელიც ფაქტობრივად მშობელია ყველა ცოდვისა. ის პირველ ყოვლისა, შობს ულოცველობას და სხვა ღვთისათნო, სულიერ საქმეთა შეუსრულებლობას. სანაცვლოდ, ადამიანი ივინყებს საკუთარ ცოდვებს, უგულვებელყოფს ღვთის მცნებებს, კარგავს ღვთის შიშს. ეძლევა გართობას.

— გამოსაფხიზლებლად და ცოდვილი მდგომარეობიდან გამო-

სასვლელად უფალი განსაცდელს მოგვივლენს ხოლმე...

— განსაცდელი ადამიანს ეძლევა ღვთის დაშვებით. უფალი მიუშვებს ბოროტს ადამიანზე, რომ ადამიანი განმტკიცდეს და სულიერად გამოფხიზლდეს. შესაძლოა, ადამიანი ამ დროს არათუ განმტკიცდეს, არამედ კიდევ უფრო დაეცეს სულიერად, მაგრამ უფალი ამას იმის გამო უშვებს, რომ ადამიანს სულიერი სიმტკიცე შემატოს.

— რატომ, რა სახით ეხმარება ადამიანს განსაცდელეები, რატომ სჭირდება განსაცდელი რომ სულიერად განმტკიცდეს?

— ეს არის წამალი სულისათვის, რადგან ადამიანი არის დაავადებული. როგორც ხორციელ მკურნალობას სჭირდება წამალი, ასევე სულიერ მკურნალობასაც სჭირდება წამლობა ცოდვებისგან მიყენებული ზიანის განსაკურნებლად. ხორციელად ჩადენილი ცოდვების განკურნება როგორ ხდება? — ცოდვების მოშორებით და ცოდვათა მოშორების ერთ-ერთი საშუალება, წამალი არის განსაცდელი. რასაც ჩვენ განსაც-

დელს ვუნოდებთ, არის წყალობა ღვთისა, რომელიც ჩვენს სულიერ სწეულებას ანადგურებს. სულიერი სწეულებები ადამიანებს უჩნდებათ ცოდვის ჩადენის შედეგად. ჩაიდინა ადამიანმა ცოდვა, მის სულს გაუჩნდა დაავადება. სწეულებაში ცხადია არ ვგულისხმობ იმას, რასაც მედიცინა გულისხმობს ანუ ფსიქიკურ დაავადებას. სულიერ სწეულებას ინვევს ცოდვა. თუ ადამიანი მადლობს უფალს იმ განსაცდელეებზე, რაც მოველინება, მისი სული მსწრაფლ იკურნება, ხოლო თუ უფალს ყვედრის, ადამიანის სული მეტად მძიმდება. ამიტომ ადამიანი ყოველთვის მადლიერებით უნდა შეხვდეს განსაცდელს, რადგან ეს არის ღვთის წყალობა და არა — სასჯელი. სულიერი მღვიძარება რომ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ, უნდა შეგვეძლოს სიკვდილზე განუწყვეტელი ფიქრი. ეს უდიდესი ნიჭია — სიკვდილის გახსენებისას ადამიანი უფრო აცნობიერებს, რომ უფლის წინაშე წარდგომა მოუხდება და მეტად ცდილობს სულიერ მზადყოფნაში — მღვიძარე მიეგებოს უფალს.



აონ გოლზუორთი
ფორსაიების საბა
წიგნი 1

წიგნის სპეციალური ფასი
5.50 ლ
პურნალთან ერთად
7 ლ

ჯონ ბოლზუოხითი ფორსაიების საბა წიგნი 1

ინგლისური ჯანსიხოსი
ნოხაიხისი მნაიხის,
ჯონ ბოლზუოხითის
„იჩაიი“ ოთხბოთაიი



შაბეაბი წიგნაბი

23-დან
30 ნოემბრამდე

იკითხეთ წიგნის მაღაფიებაბი და ჰრამის გავრცელებების ჯიხურაბაბი ან დარაქათ ნოზრეაბე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილიაბე მოზარეთებთ უკვა გავოსაული ტოშაბი შაბიძლიათ შაბიძნოთ წიგნის მაღაფიებაბი



თამთა პატაშურის როგორ და საოცნებო როლი

„მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაკავებული ვარ, მაინც ვცდილობ, მხატვრული ლიტერატურისთვის დრო გამოვანახო“, — ამბობს მსახიობი თამთა პატაშური და აღიარებს, რომ მის ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა ნაწარმოებებს ძალით აკითხებდნენ. წიგნის სამყაროში მისი მეგზური ბებია იყო, მამა კი ყოველთვის ისტორიული ჟანრის ლიტერატურას ურჩევდა.

„ის ცნობილი პიროვნებაა და ვერ დავასახელებ“

თამთა პატაშური

პრემიუმის მამიერ

— ვნანობ, ბავშვობისა და თინეიჯერობის პერიოდი უფრო ნაყოფიერად რომ არ გამოვიყენე. მაშინ ნასაკითხად გაცილებით მეტი დრო და საშუალება მქონდა, ინტერესი კი — ნაკლებად. დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ რომ წავიკითხე, შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ კითხვა მოთხოვნილებად გადამექცა. ეს ნაწარმოები ძალიან მომეწონა.

მამა ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იყო. რა თემაზეც უნდა დავლაპარაკებოდი, რაც უნდა მეკითხა, პასუხი ყველაფერზე ჰქონდა. ის პროფესიით ინჟინერია, ყოველთვის ისტორიული ჟანრის წიგნებს მირჩევდა. ამ მხრივ ყველაზე მეტად ბებია აქტიურობდა, გასაქანს არ მძღვედა, სულ მიმეორებდა, რომ კარგად მესწავლა და ბევრი წამეკითხა. მაშინ ვფიქრობდი, რომ ზედმეტი მოსდიოდა, ახლა კი ვხვდები, მართალი იყო. ოჯახი ყველანაირად უნდა ეცადოს, ბავშვს კითხვა შეაყვაროს და პირველ რიგში ამის მაგალითს შეილებს მშობლები უნდა აძლევდნენ. ერთი შვილი მყავს. ვცდილობ, ასაკის შესაბამისად მივუდგე, რაც უძნელდება, სხვაგვარი ფორმით დავაძლევინო. ცოტა ხნის წინ, მოთხრობა უნდა ნაკითხა, ესწავლა, მაგრამ ვერ დავაინტერესე. ხატვა უყვარს და ვთხოვე, მოდი თან დავხატოთ-მეთქი. დაინტერესდა და ასეთმა მიდგომამ გაამართლა.

არაერთი საყვარელი ავტორი მყავს, მაგრამ მათგან თეოდორ დრაიზერსა და ჰენრიკ იბსენს გამოვარჩევ. ძალიან მომწონს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება.

ლიტერატურული პერსონაჟები რეალურ ცხოვრებაში რომ არსებობდნენ, დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი დრაიზერის კერისთან, ამავე სახელწოდების რომანიდან. ჩემთან ძალიან ახლოსაა, კითხვისას მასში ჩემს თავს ვხედავდი.

მამაკაცი პერსონაჟებიდან შექსპირის რომელი შემეყვარებოდა. მიზიდავს თავისი სიგჟით, ქცევებით, დამოკიდებულებებით.

ბანალურია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჯულიეტას როლს დიდი სიამოვნებით შევასრულებდი.

— ვინ ასრულებს მარგალიტას როლს ფილმში „შერეკილები“?

— არიანა შენგელაია.

— რა ჰქვია ზიარებისთვის განკუთვნილ პურს?

— სებისკვერი.

— რომელ ქვეყანას მართავდა ფარაონი?

— ეგვიპტეს.

— გურამ ფანჯიკიძის რომელ რომანში გადაუნერგეს ტრავმირებულ სტუდენტს მომაკვდავი აკადემიკოსის ტვინი?

— ფილმიც არის გადაღებული, ხომ?

— დიას.

— „სპირალი“.

— ამ ხელსაწყოს სახელი ორი ლათინური სიტყვისგან წარმოიშვა. ეს სიტყვებია: „წყვილი თვალი“. რომელ ხელსაწყოზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ: ამ ხელსაწყოს დახმარებით შეგვიძლია, შორს მყოფი საგნები დავინახოთ.

— ბინოკლი.

— მას ეს ფსევდონიმი ძლიერი ხასიათის გამო შეარქვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ მართლაც ფოლადივით მტკიცე იყო.

— სტალინი.

— ცნობილია, რომ თავისუფლების ქანდაკება ამერიკელებს ფრანგებმა აჩუქეს. ამ სკულპტურაზე მუშაობისას, ვინ გამოიყენა მოდელად მოქანდაკემ?

— არ მახსოვს.

— საკუთარი დედა. დაალაგე სიტყვები ისე, რომ ანდაზა გამოვიდეს: კარი, ტკბილი, გააღებს, რკინის, ენა.

— „ტკბილი ენა რკინის კარს გააღებს“.

— რომელ ცნობილ მხატვარს ეძღვნება ალა პუგაჩოვას სიმღერა მილიონი ვარდის შესახებ?

— ნამდვილად არ ვიცი.

— ფიროსმანს. 1895 წელი კინემატოგრაფიის დაბადების წელია. სად გაიმართა პირველი კინოჩვენება?

— მინიშნება შეიძლება?

— ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქში.

— თითქოს პარიზი მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ.

— დიას. რომელმა ცნობილმა მხატვარმა მოიგონა სიკვდილი, მისი ნახატები ძვირად რომ გაყიდულიყო?

— ვერ ვიხსენებ.

— რემბრანდტმა. რისი შიშია მონოფობია?

— მარტოობის.

— რაიმე შიში თუ განუხებს?

— დახურული სივრცის შიში მაქვს. კლაუსტროფობია გაუცნობიერებლად ჩამომიყალიბდა. არ შემეძლია ლიფტში მარტო შესვლა. რომელ სართულზეც უნდა ვიყო ასასვლელი, აუცილებლად ფეხით ავალ. მხოლოდ ჩემი კორპუსის ლიფტში არ მეშინია.

— ბერტრან რასელი მასზე ასეთ განმარტებას აკეთებდა: ის 4 ინგრედიენტისგან შედგება: თბილი პირადი ურთიერთობისგან, არსებობის ღირსეული საშუალებისგან, წარმატებული სამსახურისა და ჯანმრთელობისგან. რა ჰქონდა მხედველობაში მას?

— სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ბედნიერება?
 — რა თქმა უნდა. აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია „ბათუ“?
 — „გამზრდელში“ გვხვდება.
 — სპორტი გიტაცებს?
 — ძალიან. სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი ჩიორას მეძახდა, ძალიან სწრაფი ვიყავი, კარგად დავრბოდი. ჩოგბურთზეც დავდიოდი.
 — სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს აწერიათ ნომრები ქუდებზე?
 — ვაიმე! (ფიქრობს) ნყალბურთის.
 — რას ამბობს რუსთაველი, — „თუ ყვავი ვარდსა იშოვის, თავი...“
 — „...ბულბული ჰგონია“.
 — რომელ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში?
 — ინგლისურად.
 — ცდები, ჩინურია სწორი პასუხი.
 — ა, მართალია. ინგლისურად შეიძლება ქართველიც ლაპარაკობდეს, მაგრამ ჩვენთვის მშობლიური ენა ხომ არ არის?
 — დაბნეული ადამიანებისთვის, იტალიაში გამოუშვეს სპეციალური ყავის ფინჯანი. მასში საკმარისი სითხით შევსების შემდეგ მელოდირი ზარი გაისმოდა. ფინჯანი ბაზარზე მალე მოთხოვნადი გახდა. ვინ ყიდულობდა მას?
 — ვერ გიპასუხებ.
 — უსინათლო ადამიანები. რას აკეთებდა ბალზაკი, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობდა? რაღაც ჩვეულება ჰქონდა.
 — არ ვიცი.
 — ქუდს იხდიდა გენიალური ადამიანების პატივისცემის ნიშნად. „ვეფხისტყაოსნის“ რომელ გმირთან არის შედარებული ვეფხვი ამ სტრიქონში: „ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხვი შევიპყარ ხელითა, მის მიერ კოცნა მომიხდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“?
 — ნესტან-დარეჯანთან.
 — რა ერქვა მდინარეს, სადაც პირველად ოქრო აღმოაჩინეს?
 — ვერ ვიხსენებ.
 — კლონდაიკი. სიტყვას — „ზახრუმა“ ხშირად ამბობ?
 — ადრე ვამბობდი, დიდი ხანია აღარ მითქვამს.
 — რას ნიშნავს, იცი?
 — ზუტად არ ვიცი, დაყრუებას თუ რაღაც ამდაგვარს არ ნიშნავს?
 — სპარსული სიტყვაა და არგადარჩენას ნიშნავს. პოეზია გიყვარს?
 — ძალიან. რომელი ლექსებიც მიყვარს, უმრავლესობა ზეპირად ვიცი. ტერენტი გრანელის „ქალის აგონია“ ძალიან მომწონს, განსაკუთრებით ეს სტროფი: „...სარკესთან ზიხარ და ფიქრობ სხვაზე,/ ხან როგორც მტრედი, თვალებს დანაბავ./ მიყვები ბედის უცნაურ ხაზებს/ და ნატრობ ვილაც არათანაბარს...“
 — შენთვის ლექსი მოუძღვნიათ?
 — კი, ერთმა ადამიანმა საკმაოდ ვრცელი ლექსი მომიძღვნა, თან დამხატა და მოგვიანებით ამ ლექსზე სიმღერაც შექმნა. ის ცნობილი პიროვნებაა და ვერ დავასახელებ. ამ ნახატს დღემდე ვინახავ. სიმღერაც

მომასმენინა, ინტერნეტით გამომიგზავნა და მომენონა. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნო იყო.
 — „დღეები ბრუნავს ვით კამათელი/ და ყვავილების არის მრავლობა./ ჩემთვის დღესავით არის ნათელი,/ რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა./ წელიწადები წავლიან ძველნი,/ შეიცვლებიან ქარით სიონი,/ როგორც ერთია ქვეყანა მთელი,/ ისე ერთია...“
 — „...ისე ერთია გალაკტიონი“.
 — ბარონი დენონი ფრანგი გრაფიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო. ის დაწინაურებული იყო ლუდოვიკო XVI-ის და ნაპოლეონ I-ის დროს. ალექსანდრე I კი მისგან სურათებსა და სხვადასხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა ამ ნივთებს?
 — ვერ გიპასუხებ.
 — ერმიტაჟში. ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის მდგომარეობის ფიქსირებისთვის, ოფიციალურად პოლიფიზიოგრაფი ჰქვია. დაასახელე მისი საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.
 — ვერ ვხვდები, რაზეა ლაპარაკი?
 — სიცრუის დეტექტორი. რომელი სათამაშო იქნა დაპატენტებული 1975 წელს ბუდაპეშტში, ერნო რუბიკის მიერ? ამ სათამაშოთი გამომგონებელი მილიონერი გახდა, მსოფლიოს კი თავსატეხი გაუჩინა. სათამაშოს მომხმარებელთა ასაკი განუსაზღვრელია. ის ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად სათამაშოდ ითვლება.
 — კუბიკ-რუბიკი.
 — რა განაპირობებს ადამიანის კანის, თმის და თვალის შეფერილობას?
 — პიგმენტი.
 — რა ჰქვია ბრიყვეულად განეულ სამსახურს, რომელსაც განზრახული სიკეთის ნაცვლად ზიანი და უსიამოვნება მოსდევს? მიგანიშნებ, ეს გამოთქმა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კრილოვის იგაგ-არაკი „დათვი და მიუდაბნოე“ გამოქვეყნდა.
 — დათვური სამსახური.
 — დაბოლოს, დაასრულე ოსკარ უაილდის ცნობილი გამოხატულება: „ყოველთვის აპატიე შენს მტრებს, ამაზე მეტად მათ...“
 — ვერ დავასრულებ.
 — „...არაფერი აგიჟებთ“.



ბონების საპარტიშო

„გზის“ ერთგული
მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები
ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა
დროს გამოქვეყნებული მასა-
ლების მიხედვით არის შედგენი-
ლი. შეეცადეთ, პასუხი გასცეთ
ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ
არ გაგაქცეთ თვალი

1. რომელი მწერლის ცნობილ ნაწარმოებს უძღვის წინ თ. ჰობსის გამონათქვამი: „თუნდაც გალიაში ათასი სული ჩასვთ, იგი გართობის ადგილად მაინც ვერ გადაიქცევა.“

2. დაასრულეთ მაკიაველის ფრაზა: „ყოველი არსების პირველი კანონია თავის შენარჩუნება, ცხოვრების გაგრძელება. თქვენ ღვარძლს თესავთ და გგონიათ, ...“

3. ვინ არიან ადვენტისტები?

4. დაასრულეთ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი: „შენ ნუ გგონია, რამეს ვდარდობ,/ რამეს მივჭირი,/ ნურც იმას ფიქრობ,/ უზუნაესს რამეს შევეუთქვამ, —/ მე მიჭირს შენთან განშორება,/ თორემ...“

5. რა დამთხვევებია აბრაამ ლინკოლნისა და ჯონ კენედის მკვლელობებს შორის?

6. ჯგუფი The Who-ს გიტარისტი ტაუნსენდი ჰყვებოდა ერთ შემთხვევაზე, როცა თვითმფრინავი „კონკორდის“ ერთი რეისით ელტონ ჯონთან ერთად მგზავრობდა. უცებ თვითმფრინავმა ვარდნა დაიწყო. მგზავრები უკვე სიცოცხლეს ემშვიდობებოდნენ. განსაკუთრებით ხმამაღლა, ელტონის რიგიდან, ვიღაც ქალი წიოდა. თვითმფრინავმა, რაღაც საოცრების ნყალობით, აეროდრომამდე მიაღწია. მოგვიანებით, როცა ერთმანეთში საუბრობდნენ, ტაუნსენდმა ელტონ ჯონს უთხრა: — ყველაზე უარეს დღეში აღმოჩნდი, რადგან შენ გვერდით მჯდომმა ქალმა მთელი თვითმფრინავი გააყრუაო. — გამოიცანით, რა პასუხი მიიღო ამაზე ელტონ ჯონისგან?

7. რას ნიშნავს ლათინური გამონათქვამი: „სუმა სუमारუმ“ (Summa summarum)?

ანეკდოტები



* * *

ექიმთან:

— თქვენს ქმარს აბსოლუტური სინყნარე სჭირდება. მე დამამშვიდებელი აბები გამოვწერე.

— როდის უნდა მივცე ხოლმე?

— არასდროს! აბები — თქვენთვისაა.

* * *

ავტობუსში ასული კონტროლიორი გურულს ბილეთს სთხოვს.

— არა მაქვს. შენ გაქვს? — შეუბრუნა კითხვა.

— მე კონტროლიორი ვარ.

— მასე ძამა, მამაჩემი ელექტრიკოსია, მარა, დენის ფულს მაინც ვიხდით. მიდი და ეილე ახლა ბილეთი!

* * *

— მე და ჩემმა ცოლმა ვიჩხუბეთ და მან შიმშილობა გამოაცხადა.

— რამდენი დღეა არ ჭამს?

— არ ვჭამ...

* * *

— მამა, რატომ ჰკივია ყველა ბავშვთა პოლიკლინიკაში ექიმი აიბოლიტის პლაკატები? — გაკვირვებული სახით კითხულობს პატარა დათუნა.

— შვილო, ეგ ხომ ზღაპრის გმირია?

— ჰო, მაგრამ... ის ხომ ვეტერინარი იყო?..

* * *

სასამართლოში:

— ბატონო ადვოკატო, ტყუილად ირჯებით, თქვენმა კლიენტმა უკვე ყველაფერი აღიარა.

— თქვენო ღირსებავე, მაგ გარენრის გვერათ და ჩემი — არა?!

* * *

— ძუკუ, გაიგე, თურმე ერთი ფაროსანას მოკვლა 200-ის დახოცვას უდრის!

— ხოხ! მასე, მთელი გარნიზონი ამომიყუყავს და ორდენი არ მეკუთვნის?!

* * *

მოსუცი ქალი უზნის მალაზიაში შევიდა და გამყიდველს ეუბნება:

— ჩემი პატარა შვილიშვილი ორი კილოგრამი ორცხოხილას საყიდლად გამოვუშვი. თქვენ კი, 500 გრამი მიგიციათ!

— ქალბატონო, ჩემი სასწორი არ ტყუის, თქვენ კი თქვენი შვილიშვილი აწონეთ. — უპასუხა გამყიდველმა.

* * *

სამშობიაროს დერეფანში მჯდომ მამაკაცს საბანში გახვეულ ჩვილს უჩვენებენ და ეკითხებიან:

— თქვენი ბავშვია?

მამაკაცი იმშუშნება, ფიქრობს, აკვირდება და ყოყმანით ამბობს:

— საბანი ჩემია და...

* * *

— გამომყევი რააა!

— მერე, სადაც გამოგყვები, იქ რა დამხვდება?



* * *

ერთ პატარა პარიზულ კაფეში გაღეშილი მთვრალი ზის, ზედიზედ კონიაკიან ჭიქებს ცლის და უკან ისვრის. ასე ერთხანს გაგრძელდა. უკანა მაგიდასთან მჯდომს ნერვებმა უმტყუნა და მიმართა:

— არ იცით, რომ ყოველ მესამე ფრანგს, რომელიც ალკოჰოლს ეტანება, ციროზი აქვს?!

— მე ეგ არ მეხება! მე რუსი ვარ! — იყო პასუხი.

* * *

— კაცები აფასებენ „გამგებიან“ ქალებს და არა „გაგებულებს“.

— კი მაგრამ, რა განსხვავებაა?

— დიდი განსხვავებაა: „გაგებულ“ ქალს ყველაფერი ისე ესმის, როგორც თვითონ სჭირდება; ხოლო „გამგებს“ ისე — როგორც კაცს სჭირდება.

* * *

კლინიკის დერეფანში ერთ-ერთი პაციენტი გამომწვევად ჩაცმულ ექიმ ქალბატონს თვალს აყოლებს და თავის პალატის ექიმს ეკითხება:

— ახალი თანამშრომელი გყავთ?

— ჰო. ეს ქალბატონი მაიაა.

— რისი ექიმა?

— ეგ პაციენტების შინაგან ორგანოებს აკვირდება, ჩვენ კი მის გარეგან ორგანოებს ვაკვირდებით.

* * *

— დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ზღაპრულ ხასიათზე ვარ.

— რალაც მხიარულებას რომ ვერ გატყობ?

— გეუბნები, ზღაპრულ ხასიათზე ვარ და ყველა ცხრა მთას იქით მინდა გავისტუმრო!!!

* * *

— „დიეტა-საოცრება“ იცი?

— აბა?

— რაც მოგხვდება, ყველაფერს ჭამ და მერე, საოცრების იმედად ხარ.

* * *

სასამართლოში:

— ბრალდებულო, აუხსენით სასამართლოს: სეიფის გატეხისას რატომ წამოიღეთ იქიდან მხოლოდ ფული და სამკაულები კი დატოვეთ?

— ბატონო მოსამართლე, თქვენ რა ჩემი ცოლივით ლაპარაკობთ...

* * *

— დღეს შევეცადე, რომ ჩემი თუთიყუშისთვის ჰიპ-ჰოპის ცეკვა მესწავლებინა, მაგრამ მგონი დებილია.

— დარწმუნებული ხარ, რომ პრობლემა თუთიყუშშია?

* * *

ჟურნალისტი ახალგაზრდა რესპონდენტს ეკითხება:

— რა აზრის ხართ დაგროვებით პენსიაზე?

— კარგია, თორემ აღარ შემიძლია: ეს იპოთეკაო! ეს ავტოლომბარდიო! განვადებო! ჯარიმაო! გადასახადიო!.. პრაქტიკულად ხელფასიდან არაფერი მრჩება და დაგროვილი პენსიით სიბერეში იქნებ მაინც, ბოლოს და ბოლოს, მეღირსოსო ლაღი ცხოვრება!!!

* * *

— ქალბატონო, თქვენს თვალეში მინდა ჩაძირვა!

— მოითმინეთ, ჯერ ხომ არ ამცრემლებია?!



* * *

ბიზნესმენი თავის ეჭვიან ცოლს:

— ძვირფასო, ალბათ უკვე მეასედ გიხსნი, რომ ქალთა სახელები და ტელეფონის ნომრები ჩემი „ორგანიზერის“ „ბე“ ნაწილში ის არ არის, შენ რომ ფიქრობ...
— აბა, რა არის?!

— ბუღალტრები, ბანკირები და ბროკერები...

ბონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. სტენდალის „ნითელსა და შავს“.
2. „... პურის თავთავს მოვიმკითო“.
3. ქრისტიანული სექტის წევრები, რომლებსაც სწამთ ქრისტეს მეორედ მოსვლა ახლო მომავალში.
4. „... სიკვდილი, / სიკვდილი რაა — / სულის გაყრა / ცოდვილ სხეულთან“.
5. ლინკოლნი ამერიკის პრეზიდენტი 1860 წელს გახდა, კენედი — 1960 წელს. ორივე ხუთშაბათს მოკლეს, მეუღლის თანდასწრებით. ლინკოლნის შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა ჯონსონმა, კენედის მკვლელობის შემდეგ — ასევე, გვარად ჯონსონმა. ლინკოლნის შემცვლელი ჯონსონი დაიბადა 1808 წ., კენედის შემცვლელი — 1908 წ. ლინკოლნის მკვლელი ჯონ ბუტი დაიბადა 1829 წ., კენედისა (ოფიციალური ვერსიის თანახმად) — ლი ჰარვი ოსვალდი — 1929 წ. ორივე მკვლელი სასამართლომდე მოკლეს. ლინკოლნის მდივანი, გვარად კენედი, დაჟინებით სთხოვდა პრეზიდენტს, არ წასულიყო იმ თეატრში, სადაც შემდეგ მკვლელობა მოხდა; კენედის მდივანი, გვარად ლინკოლნი, ასევე სთხოვდა კენედის, არ წასულიყო დალასში.
6. „— რა ქალი? სულელი, ეს ხომ მე ვიყავი!“ — ყოველგვარი მორიდების გარეშე აღიარა შოუბიზნესის ვარსკვლავმა.
7. საბოლოო შედეგს (ჯამების ჯამს).

ჩვენი ფოსტობაღერა



რუბრიკა მოამზადა ირინა ჰანდიქარმა

შეაბრთვე სამხედრო საათების უნიკალური კოლექცია

გერმანული საათი
B-Uhr
დრო მნიშვნელოვანია



არსენალი



“არსენალის”
ეკიტხვალისთვის
საათის
სპეციალური ფასი

12 ლ

შურნალთან ერთად

15 ლ

„ლიუფტვაფა“, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები, მეორე მსოფლიო ომის დროს მსოფლიოში უძლიერეს სამხედრო არმიას წარმოადგენდა. ლიუფტვაფას მფრინავმა-ასმა ერიკ ჰარტმანმა “მესერშიმით” 802 საჰაერო ბრძოლა გამართა და მოწინააღმდეგის 352 თვითმფრინავი ჩამოაგდო. ასეთი საბრძოლო შედეგი არც მანამდე და არც მას შემდეგ მსოფლიო ავიაციის ისტორიაში არავის ჰქონია. „ლიუფტვაფას“ პილოტები მა-2 მსოფლიო ომის დროს B-UHR მათის საათებზე დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებას.



12 ისტორიული მათის საათი



პროსტამოლ[®] უნო

Extract Serenoa repens 320 mg

მათკასური პრობლემის კასურად მომზარება



**ანელებს პროსტატის შეზღოვმ
გადიდებას და არეზულირებს შარდვას**



**დაზოადებულია
გერმანიუში**

პროსტამოლ[®] უნო

Extract Serenoa repens 320 mg

**მხენარეული პრეპარატი
დაგიბრუნებთ კომფორტს**



გაცივმა ურეცეპტოდ

პროსტამოლ[®] უნო გამოიყენება პროსტატის კეთილთვისებიანი გადიდებით გამოწვეული შარდვის პრობლემების სამკურნალოდ (I და II სტადიაზე)

გამოყენებისას გაცნაით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს. თბილისი 0160, დ. გამრეველის 19, ტელ: 2241370/71/72, ფაქსი: 2241210, ელ-ფოსტა: geobc@wanex.net

მასალა შემუშავებულია 03.2017
მასალა ვარგისია 03.2019

GE_PRO-02-2017_V2_print
SmPC Prostamol[®] uno 07.2013

**M BERLIN-CHEMIE
MENARINI**